


INTERCULTURAL RELATIONS SOCIETY

№30  
2018



კულტურათაშორისი კომუნიკაციები  
**INTERCULTURAL COMMUNICATIONS**  
**МЕЖКУЛЬТУРНЫЕ КОММУНИКАЦИИ**

ISSN 1512-4363

**INTERCULTURAL RELATIONS SOCIETY**

**ISSN 1512-4363**

*საერთაშორისო სამეცნიერო-პერიოდული გამოცემა*  
*International scientific periodical edition*  
*Международное научно-периодическое издание*

**კულტურათაშორისი კომუნიკაციები**

**INTERCULTURAL COMMUNICATIONS**

**МЕЖКУЛЬТУРНЫЕ КОММУНИКАЦИИ**



**№30**

**თბილისი – Tbilisi – Тбилиси**  
**2018**

UDC (უკ) 008 (100)

კ-897

მთავარი რედაქტორი

Editor-in-chief

Главный редактор

ინდირა ძაგანია

Indira Dzagania

Индира Дзаганя

რედაქტორები

ლირა გაბუნია

ოლლა პეტრიაშვილი

მარინე ტურავა

ირინე ჯობავა

ირმა ზაქარაია

Editors

Lira Gabunia

Olga Petriashvili

Marina Turava

Irina Jobava

Irma Zakaraia

Редакторы

Ли́ра Габу́ния

О́льга Пе́триашви́ли

Ма́рина Тура́ва

И́рина Дžóбава

И́рма Зака́рая

კომპიუტერული

რედაქტირება

რობერტ მესხი

Computer

Editing

Robert Meskhi

Компьютерное

редактирование

Роберт Месхи

პასუხისმგებელი

მდივანი

ლიანა გვასალია

Executive

Secretary

Liana Gvasalia

Ответственный

секретарь

Лиана Гвасалиа

### სარედაქციო საბჭო

ვეინ ჯეიკობი (აშშ), იან კე (ჩინეთი), ბილალ დინდარი (თურქეთი), ირადა ჰუსეინოვა (აზერბაიჯანი), ენდრიუ ჰარისი (დიდი ბრიტანეთი), მარია კორნელია ბარლიბა (რუმინეთი), დორის ფეგელი (ავსტრია), სვეტლანა ტერ-მინასოვა (რუსეთი), ნილაკში სურანარაიანი (ინდოეთი), გიორგი პოპა (მოლდავეთი), ილონა მანელიდი (საბერძნეთი), ილიას უსტუნერი (თურქეთი), ანა აგრანატი (ისრაელი), ლალა ახმედოვა (აზერბაიჯანი), აიტენ მუსტაფაევა (აზერბაიჯანი), დავით გოცირიძე (საქართველო), ლეონიდე ჯახაია (საქართველო), მიხეილ ბოგუტსკი (პოლონეთი), ირენა კუდლინსკა (პოლონეთი), ირინა მატიაში (უკრაინა), ვილემ პენდრიკ დე ბოფორტი (ნიდერლანდების სამეფო), ვენტა კოცერე (ლატვია), ჟანა ტოლისბაევა (ყაზახეთი), მერი მადარშახი (საფრანგეთი), რობერტო რიჩი (იტალია), იორდან ლუცკანოვი (ბულგარეთი), რეგინა კარველინე (ლიტვა), ალექსანდრე გრუშა (ბელარუსია), მარია ჰუნკალ გუტიერეს მანგადო (ესპანეთი), გიორგი აგოსტონი (უნგრეთი), ენრიკე კერო ხორვილია (ესპანეთი).

### Editorial Board

Wayne Jacoby (USA), Yang Ke (China), Billal Dindar (Turkey), Irada Huseynova (Azerbaijan), Andrew Harris (Great Britain), Maria Cornelia Barliba (Romania), Doris Fögel (Austria), Svetlana Ter-Minasova (Russia), Neelakshi Suryanarayan (India), Gheorghe Popa (Moldova), Ilona Manelidu (Greece), Ilyas Ustunyer (Turkey), Ann Agranat (Israel), Lala Akhmedova (Azerbaijan), Ayten Mustafaeva (Azerbaijan), David Gotsiridze (Georgia), Leonid Jakhiaia (Georgia), Mikhael Bogutski (Poland), Irena Kudlinska (Poland), Irina Matyash (Ukraine), Willem Hendrik de Beaufort (the Netherlands), Venta Kotsere (Latvia), Jhana Tolisbaeva (Kazakhstan), Mehri Madarshahi (France), Roberto Righi (Italy), Yordan Lyutskanov (Bulgarian), Kamal Makili-Aliyev (Azerbaijan), Irina Andriushenko (Ukraine), Maria Dimasi (Greece), Ritsuko Inoue (Japan), Ala Sainenco (Moldova), Manuel Filipe da Costa (Portugal), Roman Dyakon (Latvia), Regina Karveliėne (Lithuania), Alexander Grusha (Belarus), Maria Juncal Gutierrez Mangado (Spain), Gyorgy Agoston (Hungary), Enrique Quero Gervilla (Spain).

### Редакционный совет

Вэйн Джекоби (США), Ян Кэ (Китай), Билял Диндар (Турция), Ирада Гусейнова (Азербайджан), Эндриу Харрис (Великобритания), Мария Корнелия Барлиба (Румыния), Дорис Фегель (Австрия), Светлана Тер-Минасова (Россия), Нилакши Сурьянараян (Индия), Георгий Попа (Молдова), Илона Манелиду (Греция), Ильяс Устуньер (Турция), Анна Агранат (Израиль), Лала Ахмедова (Азербайджан), айтен Мустафаева (Азербайджан), Давид Гоциридзе (Грузия), Леонид Джахия (Грузия), Михаил Богутский (Польша), Ирэна Кудлинска (Польша), Ирина Матяш (Украина), Виллем Хендрик де Бофорт (Нидерланды), Вента Коцере (Латвия), Жанна Тольсбаева (Казахстан), Мери Мадаршахи (Франция), Роберто Ричи (Италия), Йордан Люцканов (Болгария), Кямал Макили-Алиев (Азербайджан), Ирина Андриушенко (Украина), Мария Димаси (Греция), Ритсуко Иноуэ (Япония), Алла Сайиненко (Молдова), Мануэль Филипе де Коста (Португалия), Роман Дьякон (Латвия), Регина Карвелине (Литва), Александр Груша (Белоруссия), Мария Хункал Гутиэрэз Мангадо (Испания), Гиорги Агостон (Венгрия), Энрике Керо Хорвиллья (Испания).

EAN 9771512 43 6007

ირინა ყრუაშვილი

(საქართველო)

სუბსტანტიური პრეფიქსული დერივატები გერმანულ ენაში

სუბსტანტიური პრეფიქსული დერივატების სახელდებითი ფუნქცია მდგომარეობს უკვე არსებული სახელების მნიშვნელობის მოდიფიკაციაში. სინტაქსური კონსტრუქციების კომპრესიაში ისინი თითქმის არ მონაწილეობენ. პრეფიქსაციისას ხდება სუბსტანტიური ძირეული ფორმის დეტერმინირება მორფემული პრეფიქსით: Wald - Urwald. რადგანაც პრეფიქსული დერივატები მოტივაციის მაღალ ხარისხს ავლენენ, მათი გაგება სიძნელეს არ წარმოადგენს. არსებითი სახელის სფეროში პრეფიქსაცია ნაკლებად არის განვითარებული. ძირითადი გერმანული პრეფიქსებია: *erz-*, *ge-*, *miss-*, *un-* და *ur-*. *ge-*-ს გარდა ყველა პრეფიქსი მახვილიანია, თუმცა *miss-* შეიძლება ზოგჯერ უმახვილო იყოს. ორი მათგანი – *miss-* და *un-* უარყოფის სემას შეიცავს, ორი კი – *ur-* და *erz-* გამაძლიერებელი მნიშვნელობით გამოიყენება. განცალკევებით დგას *ge-* პრეფიქსი, რომელიც ძირითადად კოლექტიურ სახელებს აწარმოებს.

უნდა აღინიშნოს, რომ სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში არ არსებობს ერთიანი თვალსაზრისი პრეფიქსების და, საერთოდ, აფიქსების იდენტიფიკაციის კრიტერიუმებზე. ზოგიერთი მკვლევრის მიერ აფიქსად მიჩნეული სიტყვაწარმოებითი ელემენტი სხვა წყაროებში ცალსახად აფიქსიდად, კომპოზიციურ წევრად ან სულაც კონფიქსად განიხილება და პირიქით. ასე, მაგალითად, სიტყვაწარმოებით ელემენტს *haupt-* პრეფიქსად მიიჩნევენ ფლაიშერ/ბარცი (7, 200), დუდენის გრამატიკა (2, 731), ლოდე (9, 147), მაშინ როცა აღნიშნულ ელემენტს პრეფიქსიდად განიხილავს ელზენი (4, 68). სიტყვაწარმოებით ელემენტს *-los* ფლაიშერი სუფიქსს უწოდებს (6, 273), ელზენი კი *-los*-ს სუფიქსიდად მოიხსენიებს (4, 75). სუფიქსად განიხილავს *-werk-*ს ფლაიშერი, მაშინ როცა *werk-*ს სუფიქსიდად მიიჩნევს ელზენი (4, 75). ფლაიშერ/ბარცის მიერ კომპოზიციურ წევრებად განიხილულ სიტყვაწარმოებით ელემენტებს *Bombe*, *Heide*, *Hölle*, *Mord*, *Affe*, *Hund*, *Sau* (7, 101) პრეფიქსიდად უწოდებს ელზენი (4, 68). ფლაიშერ-ბარცის მიერ კონფიქსებად შერაცხულ ელემენტებს *makro-*, *mikro-*, *multi-* (7, 205) პრეფიქსებად მიიჩნევს ელზენი (4, 95), პრეფიქსებად განიხილავს მათ ასევე დონალიზი (1, 98). ზოგიერთ ლექსიკონში კი მხოლოდ ზოგადად არის მითითებული სიტყვაწარმოებითი საშუალებები და მწკრივთწარმომქმნელი კონსტიტუენტები ისე, რომ არ ჩანს, ესა თუ ის ელემენტი აფიქსია, აფიქსიდად თუ რომელიმე სხვა კლასის წარმომადგენელი მორფემა (8; 10; 11). ამასთან დაკავშირებით ელზენი სამართლიანად შენიშნავს, რომ „ხშირად არა მხოლოდ სხვადასხვა ნაშრომის, არამედ თვით ერთი ლექსიკონის ფარგლებშიც კი ტერმინოლოგიური მონაცემები ერთმანეთისაგან ძალიან განსხვავებულია“ (5, 90).

ცალ-ცალკე დავახასიათოთ სუბსტანტიური პრეფიქსები.

*erz-* პრეფიქსიანი სუბსტანტიური დერივატები თანამედროვე გერმანულ ენაში მცირე რაოდენობით გვხვდება. მათი გამოყენება ძირითადად მე-17 საუკუნიდან იწყება (6, 291). *erz-* პრეფიქსი გამაძლიერებელი მნიშვნელობით ხასიათდება და უმთავრესად ნეგატიური შეფასების მქონე პიროვნებათა აღმნიშვნელ სახელებს უკავ-

შირდება. ბაზისური სიტყვა შეიძლება იყოს როგორც სიმპლექსი, ასევე სუფიქსური დერივატი: Erzfeind, Erzgauner, Erzlügner, Erzrevanchist, Erzhippie, Erzkapitalist.

ge- პრეფიქსი უკვე აღარ მიეკუთვნება პროდუქტიულ პრეფიქსთა რიცხვს. იგი კოლექტიურ სახელებს, უპირატესად კი, საგანთა აღნიშვნებს აწარმოებს. მაგალითად, Geäst, Gebälk, Gebüsch, Gehörn, Gemäuer, Gestein, Gesträuch, Getäfel, Gewölk. მათ ნაწილობრივ კონკურენციას უწევენ -werk სუფიქსიანი დერივატები: Buschwerk, Mauerwerk. ზოგიერთ სიტყვაწარმოებით კონსტრუქციაში კოლექტიურობის, კრებითობის ნიშან-თვისება დაკარგულია. მსგავს შემთხვევებში შესაბამის სიმპლექსსა და დერივატს შორის მხოლოდ მცირედი სემანტიკური სხვაობა არსებობს, ან მათ შორის საერთოდ არ შეინიშნება სემანტიკური დიფერენციაცია, მაგალითად, Stern - Gestirn, Wasser - Gewässer, Trank - Getränk. გაუმჭვირვალე წარმონაქმნებს წარმოადგენენ Gewicht, Gewand, Gespenst, Gemüse, Genick, Geweih, Geländer. სრულად იდიომატიზებულია წარმონაქმნები Geflügel, Gewitter, Gezücht. ზემოთ ჩამოთვლილი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციებისაგან განსხვავებით, ბაზისური სიტყვა შეიძლება იყოს ასევე ზმნა: Geklingel, Geflatter, Gebräu, Gebrüll.

miss- პრეფიქსი გერმანულში შედარებით იშვიათია. იგი გვხვდება განსხვავებული ფორმალური სტრუქტურის მქონე არსებით სახელებში. ბაზისური სიტყვა შეიძლება იყოს სიმპლექსი (Missbild, Missfarbe, Missklang), ექსპლიციტური დერივატი (Missverhältnis, Missstimmung, Misswirtschaft), ან ინფინიტიური კონვერსია (Missbehagen, Missvergnügen). კომპოზიტი ბაზისად არ გამოიყენება. ზოგჯერ miss- პრეფიქსიანი არსებითი სახელი შეიძლება დაუკავშირდეს როგორც miss- პრეფიქსიან ზედსართავს, ასევე ზმნას:

- der Missbrauch – missbräuchen – missbräuchlich,
- der Missfallen – missfällen – missfällig,
- das Misstrauen – missträuen – misstrauisch.

ასეთ შემთხვევებში ხდება მახვილის მონაცვლეობა. არსებით სახელსა და ზედსართავში miss- პრეფიქსი მახვილიანია, ხოლო ზმნაში – უმახვილო. სწორედ უმახვილო ზმნურ miss- პრეფიქსს უკავშირდება ის გარემოება, რომ ზედსართავებში missträten, missglückt, misslungen აღნიშნული პრეფიქსი უმახვილოა, განსხვავებით ზემოთ ნახსენები კონსტრუქციებისაგან.

miss- პრეფიქსი უარყოფის სემას შეიცავს (Misserfolg - „წარუმატებლობა“) და იმავდროულად პეიორატიული ელფერით ნორმისაგან გადახრას გამოხატავს, ე. ი. შეფასებითი ნიუანსის მატარებელია. მისი სიტყვაწარმოებითი მნიშვნელობაა „ცუდი, მცდარი, არასწორი“: Missernte – „ცუდი მოსავალი“. ასეთივე წარმონაქმნებია: Misslaune, Missheirat, Missgeburt, Missverständnis, Missgriff, Missachtung, Missinterpretation, Missmanagement, Missvergnügen, Missgunst. ზოგჯერ miss- პრეფიქსი უარყოფის გამომხატველი un- პრეფიქსის სინონიმად შეიძლება ჩაითვალოს: Missbehagen - Unbehagen, Missmut - Unmut, Missetat - Untat.

un- პრეფიქსი შეიძლება დაუკავშირდეს სიმპლექსურ ბაზისს (Unart, Undank, Unfall) ან კომპლექსურ არსებით სახელს (Untiefe, Undichte). ისეთი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები, როგორებიცაა Unabhängigkeit, Unbescheidenheit, Unsicherheit შეიძლება მივიჩნიოთ un- პრეფიქსიან დესუბსტანტიურ დერივატებად (ბაზისი არსებითი სახელი Abhängigkeit) ან -heit/-keit სუფიქსიან დეადიექტიურ დერივატებად (ბაზისი ზედსართავი unabhängig) (7, 202). un- პრეფიქსი უარყოფით სემას შეიცავს და იგი იმავდროულად ნორმასთან ნეგატიურ მიმართებას გამოხატავს. სიდიდის არარსებობა განიხილება როგორც ნორმისაგან გადახრა, პეიორატიული შეფასება. ამით

აიხსნება ის გარემოება, რომ un- პრეფიქსით არ შეიძლება ყველა უარყოფითი არსებითი სახელის წარმოება. un- პრეფიქსი ძირითადად იმ არსებითი სახელებისათვის არის განკუთვნილი, რომლებიც პოზიტიური მნიშვნელობის მქონე ცნებებს, გარკვეულ ნორმებს (მაგალითად, სოციალურს, ეთიკურს ან ესთეტიკურს) უკავშირდება და რომელთა უარყოფა ამავედროულად ნეგატიურ შეფასებას იწვევს. არსებითი სახელის მარტივი, მტკიცებითი აფორმატიული ფორმა გამოხატავს პოზიტიურ, ნორმის შესატყვის მნიშვნელობას, ხოლო un- პრეფიქსიანი უარყოფითი ფორმა კი – ნეგატიურ, ნორმის საწინააღმდეგო მნიშვნელობას. მაგალითად, Aufrichtigkeit - Unaufrichtigkeit, Anständigkeit - Unanständigkeit, Geduld - Ungeduld, Gehorsam - Ungehorsam, Ordnung - Unordnung, Ruhe - Unruhe. უარყოფითი მნიშვნელობის მქონე ცნებებს un-პრეფიქსი იშვიათად დაერთვის: Unschuld, Unmissverständlichkeit.

პრეფიქსი un- შეიძლება სხვა სიტყვაწარმოებითი მნიშვნელობითაც შეგვხვდეს, რომელშიც უარყოფა არ არის გამოხატული. აქ დომინირებს მხოლოდ შეფასებითი ნიუანსი „ნორმისგან გადახრა, ნაკლოვანება“: Unmensch, Unkraut, Unsitte, Unwetter, Ungewitter. ზოგჯერ un- პრეფიქსი გამაძლიერებელი მნიშვნელობით გვხვდება და ის ძალიან დიდი რაოდენობის გამოხატვას ემსახურება: Unmasse, Unmenge, Unsumme, Unzahl, Unkosten. un- პრეფიქსი დღევანდელი ფორმით ჯერ კიდევ გუთურში არსებობდა. დიდი ხნის ისტორიამ განაპირობა ის, რომ თანამედროვე გერმანულ ენაში ხშირია un- პრეფიქსიანი გაუმჭვირვალე წარმონაქმნები: Ungetüm, Unhold, Unflat. იდიომატიზებულია Unfall, Unrat.

ur- პრეფიქსი გამაძლიერებელი მნიშვნელობით გამოიყენება და მასში იმავედროულად მოცემულია თავდაპირველი მდგომარეობის, დროის თვალსაზრისით დიდი ხნით დაშორებული მოვლენის თვისება. იგი უკავშირდება როგორც სიმპლექსურ არსებით სახელებს, ასევე სუფიქსურ დერივატებს: Urmensch, Urahne, Urzeit, Urgeschichte, Urgestein, Urelefant, Urwald, Uraufführung, Ursprache, Urbevölkerung, Ureinwohner. სუფთა გამაძლიერებელი მნიშვნელობა ur- პრეფიქსს ძირითადად დეადიექტიურ არსებით სახელებთან და სუბსტანტიურ სუფიქსურ დერივატებთან აქვს, მაგალითად, Urgemütlichkeit, Urmusikanten. ნათესაობის აღმნიშვნელ სიტყვებში ur- პრეფიქსიანი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები ყოველთვის ერთი თაობით უკან მდგომ თაობას გულისხმობენ, მაგალითად, Großmutter - Urgroßmutter („ბებია - დიდი ბებია“), Großvater - Urgroßvater („ბაბუა - დიდი ბაბუა“).

არსებითი სახელის სფეროში საკმაოდ ხშირად გვხვდება უცხოური (ნასესხები) პრეფიქსები, ესენია: a-/an-, anti-, de-/des-/dis-, ex-, hyper-, in-/il-/im-/ir-, inter-, ko-/kol-/kom-/kon-/kor-, makro-, maxi-, mega-, mikro-, mini-, multi-, non-, para-, post-, prä-, pro-, re-, sub-, super-, topp-, trans-, ultra-, vize-. ეს პრეფიქსები შეიძლება ხუთ ჯგუფში გავაერთიანოთ ხუთი სემის შესაბამისად:

პირველი სემა – უარყოფა: a-/an-, de-/des-/dis-, in-/il-/im-/ir-, non-.

მეორე სემა – გაძლიერება: hyper-, makro-, maxi-, mega-, multi-, super-, topp-, ultra-.

მესამე სემა – დაკნინება (დომინუტივი): mikro-, mini-.

მეოთხე სემა – პოზიციური მიმართება: anti-, pro-, vize-.

მეხუთე სემა – ორიენტაცია.

აქედან უკანასკნელი ჯგუფი თავის მხრივ ორ ქვეჯგუფად იყოფა, რომელთაგან ერთი გამოხატავს სივრცობრივ ორიენტაციას: inter-, para-, re-, sub-, trans-, ხოლო მეორე – დროით ორიენტაციას: ex-, post-, prä-.

განცალკევებით დგას პრეფიქსი ko- თავისი ვარიანტებით kol-/kom-/kon-/kor-, რომელიც თანხვედრას გამოხატავს.

a- პრეფიქსი, რომელიც ხმოვნის წინ an- ვარიანტის სახით გვხვდება, შედარებით იშვიათია. იგი ძირითადად სამეცნიერო დარგობრივ ტექსტებში გამოიყენება, როგორც ნეიტრალურ-შეფასებითი უარყოფა: Agraphie, Arrhythmie, Apräsenz. მაგრამ გვხვდება ყოველდღიურ სასაუბრო ენაშიც: Analphabet, Amoral.

პრეფიქსი anti- გამოხატავს უარყოფით დამოკიდებულებას ბაზისური სიტყვით გამოხატული ცნების მიმართ. იგი შეესატყვისება გერმანულ ელემენტებს „gegen-“ და „wider-“ („საპირისპიროდ, საწინააღმდეგოდ“). ეს პრეფიქსი გამოირჩევა საკმაოდ მაღალი ხმარების სიხშირით: Antiheld, Antikörper, Antithese, Antialkoholiker, Antilärm, Antifaschismus.

პრეფიქსები de-/des-/dis- საკმაოდ არის გავრცელებული არსებითი სახელის სფეროში. ისინი ძირითადად სამეცნიერო დარგობრივ ტექსტებში გვხვდება. de-/des-/dis- პრეფიქსებიანი ყველა დერივატი უარყოფის სემას შეიცავს და მათში იმავედროულად მოცემულია პეიორატიული შეფასების ელფერი: Dekompression, Desinfektion, Desinteresse, Disproportion, Disharmonie, Dissonanz, Disqualifikation.

ex- პრეფიქსი ლათინურიდან მომდინარეობს. იგი უკვე ორას წელზე მეტია თითქმის უცვლელი ფუნქციით ხასიათდება. ex- პრეფიქსის, როგორც პროდუქტიული აფიქსის წარმოშობა უკავშირდება 1773 წელს რომის პაპის კლემენს XIV-ის მიერ იეზუიტთა ორდენის გაუქმებას. ამ ორდენის საკმაოდ დიდი პოლიტიკური გავლენით აღჭურვილმა წევრებმა ზოგიერთ ევროპულ ქვეყანაში ჯერ კიდევ ადრე დაკარგეს თავიანთი თანამდებობები. Ex-Jesuit ნიშნავდა კაცს, რომლის საზოგადოებრივი სტატუსი ძირფესვიანად შეირყა. კანცელარიებიდან სიტყვა ზოგად პოლიტიკურ ლექსიკაში გავრცელდა და გაჩნდა ანალოგიური წარმონაქმნები: Exgeneral, Exminister (3, 241). ex- პრეფიქსი ძირითადად პიროვნებათა აღნიშვნებს უკავშირდება და ნიშნავს „ყოფილს“: Expräsident, Exweltmeister, Exkanzler, Exliebhaber, Exmann.

hyper- პრეფიქსი გაძლიერების სემას შეიცავს და პეიორატიული ელფერით ნორმისაგან გადახრას გამოხატავს, ნიშნავს „მეტისმეტად“, „ზედმეტად“: Hyperformat, Hyperkultur, Hyperkritik, Hyperprogramm, Hyperästhetik, Hypererregung, Hyperfunktion, Hypermoral, Hyperangebot. ეს კონსტრუქციები ირონიულ ელფერს ატარებენ, ისინი გადაჭარბების, გაზვიადების კომპონენტს შეიცავენ და ამიტომ ერთგვარ ნეგატიურ ფორმებად აღიქმება: Hyperästhetik არის გადაჭარბებული ესთეტიკა.

in- პრეფიქსი შეიძლება il-, im-, ir- ვარიანტების სახით შეგვხვდეს იმის მიხედვით, თუ რა ფონემით იწყება მის გვერდით მდგომი არსებითი სახელი. im- პრეფიქსული ვარიანტი დგას b, p და m ფონემების წინ: Impietät, Immoralität, Immobilität, ხოლო il- და ir- ვარიანტები – l და r ფონემების წინ: Illegalität, Irrationalität, Irregularität, Irrealität, Irrelevanz. in- პრეფიქსი თავისი ვარიანტებით მხოლოდ მრავალმარცვლიან უცხოურ სიტყვებს უკავშირდება: Inaktivität, Inkonsequenz, Inkompetenz, Indiskretion. ეს პრეფიქსი უარყოფის სემას შეიცავს. in-/il-/im-/ir- პრეფიქსებიანი დერივატები განსაკუთრებით ხშირად მეცნიერულ დარგობრივ ტექსტებში გამოიყენება, მაგრამ საყოველთაო ხმარების ენაშიც გვხვდება. აღნიშნული პრეფიქსი თავისი ვარიანტებით მსგავსი მნიშვნელობით ზედსართავებშიც გვხვდება. შესაბამისად, გვაქვს პარალელური სუბსტანტიური და ადიექტიური წარმონაქმნები: Impotenz - impotent, Intoleranz - intolerant, Impertinenz - impertinent. სინონიმური მნიშვნელობისაა un- გერმანული პრეფიქსი. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია შემდეგი გარემოება: un- პრეფიქსი უფრო ხშირად გერმანულ ბაზისს უკავშირდება, ხოლო in-/ il-/ im-/ ir- პრეფიქსები კი – უცხოურს. ამდენად, გვაქვს შესატყვისობები: Immobilität - Unbeweglichkeit, Intoleranz - Unduldsamkeit, Inkonsistenz - Unbeständigkeit.

inter- პრეფიქსი ცნებებს შორის სივრცობრივ განლაგება-ორიენტაციას აღნიშნავს („zwischen“ - „შორის“), მაგრამ იგი პროდუქტიულ აფიქსად იქცა არა აღნიშნული მნიშვნელობით, არამედ მნიშვნელობით international - „საერთაშორისო“. იგი ჩვეულებრივ უკავშირდება უცხოურ ბაზისიან სუფიქსურ დერივატებს და საკმაოდ გავრცელებულია: Interlinguistik, Intertank, Interhotel, Interkosmonaut, Intercamping.

ko- პრეფიქსი kol-/kom-/kon-/kor- ვარიანტებით იშვიათად გვხვდება. იგი შეესატყვისება გერმანულ ელემენტებს „bei“, „mit“ („თან“, „ერთად“) და ძირითადად უცხოურ ბაზისიან პიროვნებათა აღმნიშვნელ სახელებს უკავშირდება: Koautor, Kopilot, Konrektor, Kollaborateur, Koregisseur, Kovorsitzender. თუ ბაზისი პიროვნებათა აღნიშვნას არ წარმოადგენს, მაშინ, როგორც წესი, უპირატესობა ენიჭება გერმანულ შესატყვისს, თუმცა გვხვდება ko-/kol-/kom-/kon-/kor- პრეფიქსებიანი დერივატებიც, მაგალითად, Kooperation - Zusammenarbeit, Koexistenz - friedliches Nebeneinanderleben, Kontext - Textzusammenhang. აღნიშნული პრეფიქსი თანხვედრას, გაერთიანებას გამოხატავს (Koautor - „თანაავტორი“). იგი უმთავრესად ტერმინოლოგიურ ლექსიკაში გვხვდება: Koproduktion, Korreferat.

Makro- პრეფიქსი გამაძლიერებელი ფუნქციით გამოიყენება. იგი ძირითადად სპეციალურ ტერმინოლოგიურ ლექსიკაში გვხვდება: Makrostruktur, Makrokosmos, Makroökonomie.

პრეფიქსი Maxi- სემანტიკურად აკონკრეტებს ბაზისის სიდიდესთან მიმართებაში. მას გამაძლიერებელი მნიშვნელობა აქვს. დონალიზის მიხედვით, „Maxibrief არის სხვა ნორმალურ წერილებთან შედარებით სიდიდით უფრო დიდი წერილი“ (1, 99). ასეთივე წარმონაქმნებია: Maxibildschirm, Maxirock, Maxipackung, Maxisingle, Maxiversion, Maxifete.

Mega- პრეფიქსიც სემანტიკურად აკონკრეტებს ბაზისს და ხაზგასმას, გაძლიერებას ემსახურება: Megashow, Megaparty, Megahit, Megaflopp, Megaereignis. Megaparty არის განსაკუთრებით დიდი, გამორჩეული, დიდებული წვეულება, Megashow ყველა სხვა შოუებს შორის გამოირჩევა თავისი პომპეზურობით.

Makro- პრეფიქსის ანტონიმურია პრეფიქსი Mikro-, რომელიც დიმინუციური ფუნქციით გვხვდება და დარგობრივ ტექსტებში გამოიყენება: Mikrokosmos, Mikrochip, Mikrobiologie, Mikroorganismus. დიმინუციური მნიშვნელობით გამოიყენება ასევე პრეფიქსი mini-, რომელიც სემანტიკურად აკონკრეტებს ბაზისურ სიტყვას სიდიდესთან მიმართებაში: Minikleid, Minirock, Miniaktion, Miniauto, Minikamera, Minipreis.

პრეფიქსი multi- გამაძლიერებელი ფუნქციით ხასიათდება, მისი სიტყვაწარმოებითი მნიშვნელობაა „მრავალგზის“: Multitalent, Multimillionär.

non- პრეფიქსი უარყოფის სემით არის წარმოდგენილი. იგი უფრო ნაკლებად არის გავრცელებული, ვიდრე უარყოფის გამომხატველი სხვა უცხოური პრეფიქსები: Nonkonformismus, Nonexistenz, Nonstopflug.

para- პრეფიქსი ბერძნულიდან მომდინარეობს და სივრცობრივ ორიენტაციას გამოხატავს („neben“, „in der Umgebung von“ - „გვერდით“, „ახლოს“); იგი ძირითადად უცხოურ ბაზისიან არსებით სახელებთან გვხვდება, რომლებიც ტერმინოლოგიურ ლექსიკას განეკუთვნება: Paramedizin, Paragenese.

დროითი ორიენტაციის გამოსახატავად გამოიყენება პრეფიქსები post- და prä-, რომლებიც ერთმანეთის მიმართ ოპოზიციურ მიმართებაში არიან. post- პრეფიქსი ლათინურიდან მომდინარეობს და ნიშნავს „nach“-ს („შემდეგ“). იგი გამოიყენება არსებით სახელებში ისეთი თვისების აღსანიშნავად, რომელიც რომელიმე გარკვეული პერიოდის, ფაზის და მისთ. შემდეგ ვითარდება. post- პრეფიქსიანი კონსტრუქ-



ციები ძირითადად სპეციალურ დარგობრივ ლექსიკაში გამოიყენება: Postmoderne. prä- პრეფიქსი ასევე ლათინურიდან მომდინარეობს და ნიშნავს „vor“-ს („წინ“). ის გვიჩვენებს, რომ რაიმე თვისება დაფიქსირებულია დროის გარკვეული მომენტის ან რომელიმე მოვლენის წინ. იგი ძირითადად უცხოურ ბაზისიან სუფიქსურ დერივატებთან გვხვდება: Präexistenz, Prädisposition, Prähistorie, Präfaschismus, Präformation. prä-პრეფიქსიანი კონსტრუქციები გავრცელებულია ტერმინოლოგიურ ლექსიკაში.

პრეფიქსი pro- მომდინარეობს ლათინურიდან და აღნიშნავს „für“, „vor“, „anstatt“ („თვის“, „წინ“, „ნაცვლად“). იგი პოზიციური მიმართების გამომხატველია, თუმცა მას ხშირად განსხვავებული მნიშვნელობები ახასიათებს. სიტყვაწარმოებით კონსტრუქციებში Prorektor, Prodekan ის მოადგილეს აღნიშნავს, სიტყვაწარმოებით კონსტრუქციაში Proseminar კი – დამწეები სტუდენტებისთვის ჩატარებულ სემინარს. საწყის საფეხურს აღნიშნავს ის დერივატში Proenzym.

პრეფიქსი re- ლათინურიდან მომდინარეობს („zurück“, „wieder“ - „უკან“, „ისევ“). იგი შეესატყვისება გერმანულ ლექსემას „wieder“: Resozialisierung, Reimport, Reexport, Reinfektion, Retransfusion. აღნიშნულ პრეფიქსთან მიმართებაში საუბარია ძირითადად დევერბალურ დერივატებზე, რომელთაც უცხოური ბაზისი აქვთ.

sub- პრეფიქსი ლათინურიდან მომდინარეობს და სივრცობრივ დაქვემდებარებას გამოხატავს („unterhalb von“ - „ქვევით, დაქვემდებარება“). იგი ძირითადად უცხოურ ბაზისიან სუფიქსურ დერივატებს უკავშირდება, რომლებიც ტერმინოლოგიურ ლექსიკას განეკუთვნებიან: Subsystem, Subklasse, Subkultur, Subunternehmer. გეოგრაფიულ ტერმინოლოგიაში sub- პრეფიქსი გამოიყენება გარკვეულ კლიმატურ ზონასთან უშუალო განლაგების გამოსახატავად: Subtropen.

super- პრეფიქსი გაძლიერების სემას შეიცავს და ძირითადად გერმანულ სიტყვებს უკავშირდება. იგი პოზიტიური შეფასების გამომხატველია და განსაკუთრებით ხშირად გამოიყენება ახალგაზრდა თაობის მეტყველებაში, მაგალითად, Superauto, Superfilm, Superpreis, Superhotel, Supermusik, Supermannschaft. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ super გერმანულში დიდი ხანია დამოუკიდებელი ლექსემის სახით გამოიყენება. ასევე ლექსემად გვხვდება გერმანულ ენაში topp, ხოლო როგორც დერივაციულ პრეფიქსს მას გამაძლიერებელი მნიშვნელობა აქვს: Toppausbildung, Topphit.

პრეფიქსი trans- ლათინურიდან მომდინარეობს („über“, „hinaus“, „jenseits“ - „ში, შორის“, „გავლით“, „გაღმა“). იგი გამოხატავს სივრცობრივ ორიენტაციას და მხოლოდ დევერბალურ დერივატებში გვხვდება, მაგალითად, Transformation. ყველაზე ხშირად trans- პრეფიქსი დარგობრივ ლექსიკაში გამოიყენება: Transuran, Transaktion. იგი გვხვდება ასევე გეოგრაფიულ დასახელებებში: Transkaukasien, Transjordanien, Transbaikalien.

პრეფიქსი ultra- გაძლიერების სემას შეიცავს. super- პრეფიქსის მსგავსად, ისიც ნორმისგან გადახრას გამოხატავს და ნიშნავს „მეტისმეტად“, „ექსტრემალურად“: Ultramarathon. მაგრამ ultra- პრეფიქსი სხვა მნიშვნელობითაც გამოიყენება, კერძოდ, იგი სპეციალურ დარგობრივ ტერმინოლოგიაში, განსაკუთრებით კი ფიზიკის სფეროში, გამოხატავს გარკვეული მაჩვენებლების, დადგენილი ზღვრის გადალახვას. ამ შემთხვევაში იგი გერმანულ ბაზისურ სიტყვებს უკავშირდება: Ultrakurzwele, Ultraschall. პრეფიქსი ultra- ფიგურირებს ასევე სიტყვაწარმოებით კონსტრუქციებში Ultralinker, Ultrarechter, სადაც ადამიანის პოზიციური მიმართებები, პოლიტიკური შეხედულებებია გამოხატული.

პრეფიქსი vize- მოადგილის, შემცველის მნიშვნელობით გამოიყენება: Vizekanzler, Vizepräsident, Vizebürgermeister.

ამრიგად, სუბსტანტიური პრეფიქსული დერივატის ფუნქცია მდგომარეობს არსებითი სახელის ძირითადი მნიშვნელობის მოდიფიკაციაში. სუბსტანტიური სუფიქსური დერივატებისაგან განსხვავებით, პრეფიქსულ დერივატებს ბაზისად მხოლოდ არსებითი სახელი აქვთ. პრეფიქსი ნაწილობრივ ცვლის ბაზისური სიტყვის მნიშვნელობას. ყველა პრეფიქსს აქვს მეტ-ნაკლებად მკაფიოდ გამოხატული, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი დამოუკიდებელი მნიშვნელობა. გამოიყოფა შემდეგი სემები: უარყოფის, გაძლიერების, კინობითი (დომინუციური), პოზიციური მიმართების, სივრცობრივი ორიენტაციის, დროითი ორიენტაციის.

### **ლიტერატურა:**

1. Donalies E., Die Wortbildung des Deutschen. Ein Überblick. Tübingen, 2005.
2. Duden in 12 Bänden. Die Grammatik. Bd. 4., 7. völlig neu erarb. und erw. Aufl. Mannheim et. Al, 2006.
3. Eisenberg P., Grundriss der deutschen Grammatik. Bd. I. Das Wort. Stuttgart Weimar, 1998.
4. Elsen H., Grundzüge der Morphologie des Deutschen. Berlin/Boston, 2011.
5. Elsen H., Problemzonen der Wortbildung und der Eintrag im Wörterbuch. In: A. Klosa (Hrsg.): Wortbildung im elektronischen Wörterbuch. Tübingen, 2013.
6. Fleischer W., Wortbildung der deutschen Gegenwartssprache. Leipzig, 1983.
7. Fleischer W./Barz I., Wortbildung der deutschen Gegenwartssprache. Unter Mitarbeit von M. Schröder. Tübingen, 1995.
8. Langenscheidts Großwörterbuch. Deutsch als Fremdsprache. Berlin et al, 2011.
9. Lohde M., Wortbildung des modernen Deutschen. Ein Lehr- und Übungsbuch. Tübingen, 2006.
10. Wahrig. Deutsches Wörterbuch. Hrsg. von R. Wahrig-Burfeind. Gütersloh/München, 2006.
11. Duden Online-Wörterbuch.  
<https://www.duden.de/woerterbuch> [Letzter Zugriff am 02.07.2018].

**Irina Kruashvili**

### ***Noun Prefix Derivatives in the German Language***

#### **Summary**

Prefixation of nouns, in contrast to composition and suffix derivation, is less developed in the German language. The number of prefixes is much smaller than the number of suffixes and semantically they are much poorer. Noun prefixes are involved mainly in the formation of the following word-formation meanings: negation, amplification, diminution, although there are other, less-developed and widespread word-formation meanings. The nominative function of noun's prefix derivatives consists in the modification of the meanings of already existing nouns. The most important German noun prefixes are: *erz-*, *ge-*, *miss-*, *un-*, *ur-*. Borrowed prefixes that come from Latin and Greek prepositions and adverbs are widely used in many European languages and they play an important role in the formation of internationalisms.

The article deals with the noun prefixes, analyzes the prefix derivatives in the German language and provides corresponding examples.

**Ирина Круашвили**  
**Субстантивные префиксальные дериваты в немецком языке**

**Резюме**

Префиксация существительных в отличие от композиции и суффиксальной деривации развита слабее в немецком языке. Число префиксов значительно меньше числа суффиксов, и семантически они намного беднее. Субстантивные префиксы участвуют в создании прежде всего следующих словообразовательных значений: отрицание, усиление, уменьшительность, хотя имеются и другие, менее развитые и распространенные словообразовательные значения. Номинативная функция субстантивных префиксальных дериватов заключается в модификации уже имеющихся имен существительных. Основными немецкими субстантивными префиксами являются *erz-*, *ge-*, *miss-*, *un-*, *ur-*. Заимствованные префиксы, происходящие от латинских и греческих предлогов и наречий, распространены во многих европейских языках и играют большую роль в формировании Интернационализмов.

В статье в отдельности рассмотрены субстантивные префиксы, проанализированы префиксальные дериваты в немецком языке и приведены соответствующие примеры.

**Lilia Trinca**  
(Moldova)

## **THE ROLE OF ARCHAISMS IN TURNING EXPRESSIONS INTO PHRASEOLOGICAL UNITS**

It is axiomatic that phraseology is not only a universe of soul and ethnic thoughts, but also of inherited spiritual order, which has been constantly confirmed and enriched through a lucid consciousness over many centuries. Language – and phraseological units are a part of language units – is presented as a theory of reality, as a mental, abstract model of concrete reality. As is known, language is not *Érgon* (product), but *Enérgeia* (activity): it is constantly moving, evolving, being a process that, definitely, unfolds very slowly. Therefore, a clear delimitation between the old and the new cannot be made, especially since the specificity of the linguistic phenomenon often presupposes the coexistence of language facts representing the new and the old. This is what ensures the continuation of the evolutionary process, called by E. Coseriu "on-the-go change" (1, 57). Language retains its structure of "latent deposit", a virtual and static system, lacking "operational time". A characteristic feature of phraseological units is that they, as well as language on the whole, are in a perpetual evolution. Analyzing the components of fixed word combinations, one can notice the dynamics of this evolution not only in diachrony, but also in synchronicity. If the linguistic phenomenon were represented by a vector line, which illustrates its longitudinal development, phraseological units containing archaic elements would be intercepting transversal cross-cuts since they contain in their structure outdated phenomena that "survived" and occur today only in fixed syntactic constructions. Phraseological units containing archaic elements represent a peremptory proof that any glotic element is not only part of a structure of a particular age, but also of a structure built up over time, having a process character. These expressions are several centuries old, evoking images of long gone times. For this reason they may contain crystallized linguistic "rudiments", i.e. shapes and meanings which were common once, but which have become outdated. However, many of these phraseological units are perceived as elements that belong organically to the contemporary phraseology system, while the literary Romanian language, although refractory to the infiltration of archaic phenomena in its system, admits the existence of such glotic elements, which do not fit into the current use perspective. Archaisms in the structure of phraseological units, as has been mentioned, are favored elements because they have acquired a second life. The presence of archaisms in phraseological units gives the latter a high degree of cohesion in comparison with other types of word combinations. Their specificity lies in the fact that since they contain lexical units and constructions that are out of use, they are perceived by speakers as unknown "exotic" creations whose phraseological meaning is not deduced from the meanings of the component elements. Preserving the archaic elements in the structure of the phraseological unit undoubtedly denotes that these constructions have long been used and have long been accepted. The attempt to motivate the possibility of "sedimentation" of archaic elements in the structure of phraseological units involves revealing the distinctive features of phraseological units: polilexity, reproducibility, stability, idiomacity, complexity and expressiveness. We are particularly interested in stability and idiomacity. A word combination is considered stable when the component elements form a unit that cannot be fully explained by the syntactic and semantic regularities of combining words, and when the combination is used by the language community as a lexeme. In such a way, since phraseological units are characterized by stability, i.e. by the impossibility of changing / modifying their lexical components, idiomacity is one of their semantic peculiarities. Idiomacity is the property of not realizing regular semantic relations between the meaning of the component elements and the general meaning of the phraseological unit. If none of the components keeps its literal meaning in the phraseological unit, it means that the phraseological unit is completely

idiomatic. The global meaning, alias phraseological, does not coincide with the literal meaning resulting from the meanings of the constituent elements of the phraseological unit. The higher the discrepancy between the phraseological meaning and the literal meaning, the higher the degree of idiomaticity of the phraseological unit. In this way, the phraseological unit does not represent an isomorphism between expression and content, and its component elements often do not appear in phonetic, grammatical, lexical oppositions, i.e. they are no longer commutable. The aforementioned, of course, does not imply the interpretation of phraseological units as "irrelevant" or, even less, as anomalies, but suggests their comparison with a chemical combination, about which Ch. Bally said: „On dit qu'un groupe forme une unité [phraséologique] lorsque les mots qui le composent perdent toute signification et que l'ensemble seul en a une; il faut en outre que cette signification soit nouvelle et n'équivalé pas simplement à la somme des significations des éléments (ce qui du reste serait absurde). On peut comparer ce changement à celui qui résulte d'une combinaison chimique" (2, 74-75).

The Romanian linguist S. Cârâc introduces the concept of isomerism for the phraseological unit, a concept borrowed from the sphere of chemistry, meaning "a feature of some substances with the same chemical composition to have different characteristics" (3, 64). In this way, a phraseological unit can become partially idiomatic if it contains lexical elements / units that keep their own significance. For example, the sum of the meanings of the constituent elements of the phraseological unit *a vinde apă la sacagiu* (to sell water to the water-carrier) has nothing in common with its phraseological meaning "to try to give someone something that they have in abundance; try to teach (or deceive) somebody more skilled (or more cheeky) than you", but the meaning of the expression *a adormi somnul de veci* – "to die" lies at its surface (it is easily deduced from the sum of the meanings of the component elements) which makes this expression partly idiomatic.

In conclusion we note that the diminution of the initial motivation of the word combination until its disappearance, the loss of its analyzable character makes it possible to maintain the archaic elements in the structure of phraseological units. In modern Romanian many of the archaisms of any level (phonetic, lexical, grammatical) are present exclusively in phraseological units and are not found as constituents of free combinations. Being reconstructed in the speaker's consciousness, it is absolutely irrelevant whether or not the phraseological unit contains archaic elements, although they may be incomprehensible to the speakers of the modern language. In such cases, there is no question whether a certain lexical unit is used in its basic or figurative meaning. The speaker is deprived here of the possibility of establishing the existence or the lack of such semantic transformations: he/she simply memorizes and reproduces the expression without realizing the meaning of its component elements. For instance, the phraseological unit *a avea însemnat pe cineva* (*ceva*) *la catastif* has kept in modern Romanian the meaning of "to have (keep) a record of somebody's deeds (in order to take revenge on him/her)". The presence of the lexical archaism *catastif* ("register, condice") in the structure of the phraseological unit – unknown to most speakers – makes its form inherently incomprehensible, the speakers perceiving this expression as an integral linguistic unit. Or in the phraseological unit *a lua pe cineva la rost* "to rebuke someone", the component *rost* updates its original meaning ("mouth"), which is archaic today and is known, largely, only by specialists. This is also a reason why the given phraseological unit is interpreted as a unitary one, without being able to be dismembered in constituent elements. The expression *a pune bețe în roate* "to hamper" continues to be used today by the speakers (though they perceive the grammatical form *roate* as an archaic one), since the phraseological unit is perceived as something integral. Such phraseological units, along with *a cădea în brânci*, *a băga pe cineva în boale*, *în doi timpi și trei mișcări*, *a bate câmpii*, *în (de) veci*, *a da ortul popii*, *a nu avea nici o lețcaie*, *a umbla cu plosca* (*cu minciuni*) etc. are well known to all speakers of Romanian. At present, they continue to be very widely used in language, although speakers do not know the meanings of some of their components. This "ignorance" is not a barrier to the use of these expressions.

Although the signified of the lexical units in the structure of phraseological units merge into a whole, the polynomial structure of the signifiers, which represents the material expression of phraseological units, is preserved. The maintenance of archaisms is also favoured by the formal peculiarities of these expressions: the stable, immutable character, as well as the fixed word order of the component elements. The component elements of phraseological units have a higher or lower degree of welding, and an extremely low dissociation possibility. On the other hand, the presence of archaic elements contributes to solidifying the structural relations within stable word combinations, increases the degree of stability and "resistance" of the phraseological elements, maintains the fixed order. Being "exotisms", isolated from the system of the modern language, archaisms become nuclei that "attract" the other components and "cement" the structure of phraseological units.

In addition, phraseological units perform an aesthetic, emotional function, characterized by a strong stylistic value. The "irregularity" of archaic phraseological units, determined by placement outside the modern language norms (by the presence of some glottic phenomena out of general use), is an important source for the expressiveness of phraseological units. A word out of vogue and, hence, unclear or an unusual grammatical form, by increasing the expressiveness, are indices of phraseology. The existence of an archaism in the structure of phraseological units denotes that the process of "crystallization" of an expression has come to an end, receiving a fixed unity regime, alias repeated discourse, and its component elements condition reciprocally, without being deployable.

Thus, the elements that are out of use are initially the catalyst that generates the transformation of the free word combination into a fixed one, and then – an indicator of its becoming a phraseological unit: the presence of the archaism denotes the steady character of the word combination, going beyond the ambiguity of the distinctions fixed, stable /free, unanalyzable/analyzable within word combinations and establishing its status. We note, however, that the presence of archaic elements, although contributing to the solidification of structure relationships within stable word combinations, does not explain the reasons for the appearance of phraseological units. Rather, they are a testimony that this word combination has become a fixed one, that its component elements have managed to "age" and to "lag behind" the evolution of the lexical, phonetic or grammatical system. In this way, the archaisms in the structure of phraseological units support, most often, the idiomatic character of the expression, and do not create it. For many expressions that have a long existence in the language (sometimes over the ages), the accumulation in their structure of various types of archaisms is an indication of their becoming phraseological units, as well as a criterion that makes it possible to distinguish them from free word combinations.

#### **Literature:**

1. Coșeriu E., Prelegeri și conferințe, Iași: Institutul de Filologie Română „A. Philippide”, 1994.
2. Bally Ch., *Traité de stylistique française*, vol. I și II, Troisième édition, Librairie C. Klincksieck, Paris, 1985.
3. Cârâc I. S., *Introducere în morfologie*, Brăila: Editura Edmunt, 2002.

### **ლილია ტრინკა** **არქაიზმების როლი გამოთქმების ფრაზეოლოგიზმებად გარდაქმნაში** **რეზიუმე**

ნაშრომში გამოვლენილია ფრაზეოლოგიზმების დამახასიათებელი თავისებურება, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ისინი, როგორც მთლიანად ენა, მუდმივი ევოლუციის მდგომარეობაშია; გაანალიზებულია ამ მყარი სიტყვათშეთანხმებების კომპონენტები, რომელთა წყალობით ევოლუციის დინამიკის შემჩნევა

შესაძლებელია არა მხოლოდ დიაქრონიაში, არამედ სინქრონიაში; გამოკვლეულია ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც თავიანთ სტრუქტურაში შეიცავენ არქაულ კომპონენტებს და წარმოადგენენ მნიშვნელოვან არგუმენტს იმის სასარგებლოდ, რომ ყოველი ენობრივი ელემენტი გარკვეული ეპოქის სტრუქტურის შემადგენელი ნაწილია; შესწავლილია დღევანდელ დღეს არქაულ ლექსებთან ფრაზეოლოგიზმების ფუქციონირების სპეციფიკა; დადგენილია, რომ ამ ფრაზეოლოგიზმების მნიშვნელოვანი ნაწილი აღიქმება როგორც თანამედროვე ფრაზეოლოგიური სისტემის ორგანული ელემენტი, მაშინ როდესაც, სალიტერატურო რუმინული ენა, რომელსაც მსგავსი მოვლენების ინფილტრაციის პროცესის ათვისების უნარი არ ახასიათებს, თავის სისტემაში მაინც უშვებს ისეთი ენობრივი ელემენტების არსებობას, რომლებიც თანამედროვე ცნობიერებაში არ ეწერება.

**Лилия Тринка**

***Роль архаизмов в формировании фразеологизмов***

**Резюме**

В работе выявляется характерная особенность фразеологизмов, заключающаяся в том, что они, как и весь язык, находятся в состоянии непрекращающейся эволюции; анализируются компоненты этих устойчивых сочетаний, благодаря которым динамику эволюции можно заметить не только в диахронии, но и в синхронии; исследуются фразеологизмы, содержащие в своей структуре архаичные компоненты и представляющие важный аргумент в пользу того, что любой элемент глотики является составной частью структуры определенной эпохи; изучается специфика функционирования фразеологизмов с архаическими лексемами в настоящее время; устанавливается, что значительная часть таких фразеологизмов воспринимается как органические элементы современной фразеологической системы, в то время как литературный румынский язык, будучи невосприимчивым к процессу инфильтрации подобных явлений, в своей системе все же допускает существование таких глотических элементов, которые не вписываются в современный узус.

## ნინო მაშია (საქართველო)

### სამიწათმოქმედო რიტუალების აღმნიშვნელი ლექსიკა მეგრულ-ლაზურში

ენის ლექსიკური შედგენილობა ყველაზე ცვალებადია. იგი კვალდაკვალ მისდევს საზოგადოების განვითარებას. დროთა განმავლობაში იკარგება ან ჩნდება კონკრეტული სამეურნეო დარგები, რაც საფრთხეს უქმნის არაერთი ლექსიკური ერთეულის გაქრობას. ამიტომ უძველესი დარგობრივი ლექსიკური ჯგუფების სრულად აღწერა და ისტორიულ-შედარებითი ანალიზი მეტად საშური საქმეა.

სამეურნეო საქმიანობა საქართველოსთვის მხოლოდ მეურნეობის დარგი კი არ არის, არამედ მისი ისტორიის, ცნობიერებისა და კულტურული მემკვიდრეობის განუყოფელი ნაწილია. აგრარული სექტორის ერთ-ერთი უმთავრესი და განმსაზღვრელი რესურსი არის მიწა. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულება მიწასთან ასოცირდება, რადგან მიწა წარმოების მთავარი ფაქტორია.

საქართველოში სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში სოფლის მეურნეობა ასრულებდა ქვეყნის თვითმყოფადობის, თვითუზრუნველყოფისა და თავისთავადობის შენარჩუნების მნიშვნელოვან ფუნქციას.

საქართველოს დასავლეთ ნაწილში სამეურნეო ლექსიკის შესწავლისათვის, კერძოდ, სამიწათმოქმედო რიტუალების კვლევისათვის აუცილებელია ვიცნობდეთ ამ კუთხის ისტორიას, კლიმატს, ნიადაგს, მეგრელებისა და ლაზების ტრადიციულ საქმიანობას, მათ შრომით ადათ-წესებს. ყველა პერიოდის აღმწერელი თუ მკვლევარი საგანგებოდ მიუთითებს აქაური მიწა-წყალის სიუხვეზე, სიმდიდრეზე და სიკეთეზე. ეს ხაზგასმულია ვახუშტი ბატონიშვილთან: - „ერთი მხოლოდ მუშაკად მოქმედი კაცი, მხოლოდ წალდ-თოხისა მქონებელი დასახლდების, მოიყვანს საზრდელსა ჯალაბათსა და გარდაიხდის ბეგარასაცაო“ (2, 145). ანალოგიურად ახასიათებს სამეგრელოს ნიადაგებს კ. ბოროზდინი: „ხარობს ძალზე მრავალფერი კულტურა მცენარეთა სამეფოთაგან. აქაურს მიწას არავითარი ხელოვნური გაპატიება არ სჭირია, ისე ხორბალი ერთორმოცად მოდის. სიმინდი და ღომი პირდაპირ საარაკო მოსავალს იძლევიან; კარგად მოდის ბამბა, უმაღლესი ხარისხის თუთუნის... თუთუნის ხე და ვაზი ხომ ყველა ეზოშია“ (3, 99). სამეგრელოს მიწის ნაყოფიერებზე მიუთითებს ჟ. შარდენიც, რომელიც სამეგრელოში 1672 წ. ჩამოვიდა: „გარდა ღომისა სამეგრელოში მოჰყავთ დიდი რაოდენობით ფეტვი, უფრო ნაკლებად ბრინჯი, ხორბალი და პური, ხორბლის პურს მხოლოდ შეძლებულები ჭამენ“ (13, 113). ამ ცნობებს ავსებს ს. მაკალათია და მიუთითებს: „მიწა სამეგრელოში ურწყავია და ყველა მოსავალი ოდითგან, მათ შორის სიმინდიც ამინდზე იყო დამოკიდებული“ (8, 186). სათესი კულტურებიდან სამეგრელოში, ძირითადად მოჰყავთ ფეტვი, ღომი, სიმინდი, ხორბალი, ქერი, ჭვავი, ასევე ტექნიკური კულტურები.

სამიწათმოქმედო მუშაობის პროცესს მრავალი რიტუალი ახლდა. მიწათმოქმედება წარმოუდგენელი იყო სიმღერის გარეშე როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში. გამონაკლისს არც სამეგრელო წამოადგენდა. **ობირეში** (სიმღერა) და **ნოდურა ობირეში** (ნადური სიმღერა) ცნობილი გახლდათ ამ კუთხის თითქმის ყველა სოფელში.



გლეხები ყანის თოხნის დროს მღეროდნენ სიმღერას - **ხეხვამიო ხვარიელი**, (8, 187). არსებობს ცნობა, რომ ამ სიმღერას ტაროების ამოყრის პროცესში მღეროდნენ (20, 243). სიმინდის ამოყრის პროცესში მღეროდნენ **ოხოხოია**-საც, რომელიც ხორხოცს, ტამფანდურს, ერთგვარ მისამღერს ნიშნავს (12, 560), ასევე ცნობილია თოხნის დროს შესასრულებელი **ობირეშევი** (სიმღერები) **ოდოია** (12, 551) და **ოჟონური** (12, 551).

**ოჟონური** სემანტიკურად გამჭვირვალეა (საყანეს ნიშნავს). **ოდოიას** სემანტიკა კი ბუნდოვანია. მეცნიერთა ნაწილი ფიქრობს, რომ კოლხთა ნაყოფიერების ღვთაების ოდის სახლი იგულისხმება (10, 172). ალ. ქობალიას ლექსიკონის მიხედვით, ოდოია ნაყოფიერების წარმართული ღვთაებაა და მასთან ყანურს, ყანაში სიმღერასაც ნიშნავს (12, 551). მეგრელთა რწმენით მოსავლიანობის მფარველი იყო **სუჯუნის ხატი**, ამიტომ კარგ ყანაზე სუჯუნა, ხატიბ **ყვანას** იტყოდნენ: „სუჯუნა მის უტიბუნი ღუმუ თის აყინია“ - სუჯუნა ვისაც წყალობს, ღომიც იმას ექნებაო (4, 111).

ლაზურში ცნობილია ერთადერთი სიმღერა - **ჰეამო**, რომელსაც მღერიან ნადში სიმინდის თესვის დროს (7, 911). სხვა ლაზური სიმღერები უშულოდ მიწათმოქმედებას არ უკავშირდება.

ლაზურში ნათესების მფარველ ხატს **ხალადიდა**-ს უწოდებენ (7, 870). **ხალადიდა** კომპოზიტია, **დიდა** ლაზურად დედაბერს ნიშნავს: „არ ოხორის ჯურთანე არ ბადი დო არ დიდა ქორტეს“ - ერთ სახლში ორი, ერთი ბერიკაცი და ერთი დედაბერი იყვნენ (7, 195). **ხალა** (არაბ. hala) ლექსიკონების მიხედვით მამიდას ნიშნავს: „ბაბაში და ხალა-ს ვუწოდებთ“ - მამის დას „**ხალას**“ ვეძახით (17, 101).

ლაზურში ცნობილია მოსავლიანობის ღვთაება **დიდა-მანგისა** (7, 195).

სიმინდის ყანა ქარისგან რომ დაეცვათ, მეგრელები ასრულებდნენ რიტუალს, სადაც წარმოთქვამდნენ სახვეწურს, რომელსაც **ბორიაშ ოხვამერი** ერქვა (8, 331).

ჭირნახულის დაბინავების შემდეგ სამეგრელოში იცოდნენ **შკვითული დლა**. ამ დღეს კლავდნენ გოჭს, ციკანს, ხბოს. ხარშავდნენ თევზს, აცხობდნენ ფეტვისა და პურის ფქვილის კვრებს, რომელსაც კვარი ჰქვია (6, 78).

ცნობილი რიტუალია **ნეძიშ თასუა** (კაკლის თესვა). ამ დროს ოჯახის უფროსი კაკალს და სხვა ყველა ჭირნახულის ცოტაოდენ თესლს ეზოში გაიტანდა დასათესად. ეს რიტუალი ტარდებოდა კარგი მოსავლისათვის.

სამეგრელოში მიმართავდნენ წარმართულ რიტუალსაც - **კატუმ ინოკირაფა**, რომელიც გვალვის წინამდეგ გამოიყენებოდა (რათა მდინარე განრისხებულიყო და წვიმა მოევიწყებინა) (12, 356). წვიმის მოსახმობი რიტუალი გახლდათ **ოჭვიმავარი**, რაც გულისხმობდა ბაყაყის გასრესას, საფლავიდან ძვლების ამოყრას, წყლის, ცის მთვარის რისხვას, რასაც წვიმა უნდა მოჰყოლოდა (12, 556).

ტერმინი **ძივაგობა**-ც გვალვის საწინააღმდეგო რიტუალს აღნიშნავს, რომელიც იგივე სახელწოდებით არის ცნობილი აფხაზეთის მკვიდრთათვის. **ძივაგა**-ს ეძახდნენ საფრთხობელას, გაბურძგნულ ტიკინას, რომელსაც მლოცველები წვიმისათვის კარდაკარ ჩამოატარებდნენ. საფრთხობელას ჯერ წუწავდნენ, ხოლო შემდეგ მდინარეში აგდებდნენ, მისი სახით ასამარებდნენ გვალვას.

**ძივაგა** იგივეა, რაც **ძვაბრა გონჯა**, **ძიგოუ** (12, 556). ეს ტერმინი დღესაც შენარჩუნებულია: „მუ **ძივაგა**-ს ქოგუქი-ა“ - რა საფრთხობელას ჰგავხარ-ო“.

საგულისხმოა, რომ ყველანაირ ლოცვას მეგრულად **ხვამას** ეძახიან და ეს ტერმინი ლაზურშიც იდენტურია (7, 882). **ხვამინი** (ლაზ) მიცვალებულის ლოცვაა, **ოხვამე** -

სამლოცველო (7, 689). **ოხვამე** მეგრულშიც სასაფლაოს, სამლოცველოს, საგოდებელს აღნიშნავს (12, 558).

სამეგრელოს სინამდვილეში ღმერთის შესაწირავ ღვინოს, პურს, საკლავს, თაფლს, თუ სანთელს **ოხვამერს** ეძახიან.

ალექსი ჭინჭარაული ძირს „ხვამ“ ბერძნულიდან ნასესხობად მიიჩნევს, ამბობს, რომ ბერძნულიდან სიტყვის შესხებისას ზანურმა **ხვამ ხომ** ფორმა მიიღო, ხოლო სვანურმა **ჯვამ-** (21, 207).

ჰაინც ფენრიხისა და ზურაბ სარჯველამის „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონში“ აღდგენილია ძირი \*ჯუვამ-: ისინი ერთმანეთს უპირისპირებენ ზანურში მოცემული ხომ-ალა-სა („დღეობა, სალოცავი“) და სვანურში დაცულ ლი-ჯუვამ-ს („სალოცავი“) | მა-ჯუვამ-ს („მადლობა“). ამ მეცნიერთა აზრით, ქართულში დღეს შესატყვისი ძირი არ ჩანს, თუმცა, სავარაუდოდ, მეგრულსა და ლაზურში ეს ფუძე ან ქართულიდან უნდა შესულიყო, ან სვანურიდან: „სვან. ჯუვამ და ლაზ. ხომ- (კომკმ-ა (19, 410).

რაჭა-ლეჩხუმსა და სვანეთში დადასტურებულია დღესასწაული „ხვამლობა“, რომელიც იმართებოდა ამაღლების მეორე შაბათს (სულთმოფენობაზე). „სახვამლობო“ კაკლის ხის ქვეშ ლოცულობდა ოჯახის უფროსი ქალი, რომელიც ანთებდა სანთელს და ამ დღისთვის სპეციალურად დაკლულ და შემწვარ წიწილას შემოავლებდა კაკლის ხის ქვეშ მიყვანილ ბავშვებს და დალოცავდა მათ“ (23, 112-113).

ხვამლ- ძირთან დაკავშირებით, ტარიელ ფუტყარაძე აღნიშნავს, რომ ლეჩხუმში დიდი მთის სახელი – ხვამლ-ი არის საერთოქართველური ვარიანტი; კერძოდ: ხვამ ლოცვაა, ხოლო ხვამლ-ი – სალოცავი ადგილი. მისი აზრით, ხვამლ- სიტყვაში -ლ ისეთივე სუფიქსია, როგორც თოვ-ს – თოვლ-ი, მამა – მამრ-ი... ფორმებში (11, 168-169). ლ-ს ფუნქციაა კუთვნილობის, წარმომავლობის გამოხატვა. შესაბამისად, ხვამლი – სალოცავი ადგილია, ან ადგილი, სადაც სალოცავი დგას | სალოცავიანი ადგილი.

ოხვამური – სალოცავი (18, 177-178).

ტერმინი **ზედაშე** ცნობილია ღვთაებისადმი შეწირული სოფლის მეურნეობის პროდუქტების აღსანიშნავად საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში. ზედაშე შესაწირავი ღვინოა სულხან-საბას განმარტებით. მის შესატყვისად, სამეგრელოში ტერმინ **ოხვამერი-საც** იყენებენ.

**ოხვამერი, სალოცავი, ზედაშე, სათაო, თავეული** ადგილობრივია, ქართული წარმოშობისაა (9, 159).

„აზღაღური ოხვამემ თის ქილისეფეტუ“ - აზღაღის სამლოცველოს თავზე ეკლესიები იყო (16, 698).

სალოცავ ღვინოს სამეგრელოში ტერმინი **ბენღვინი** ჰქვია. სოფ. პირველი მაისის მკვიდრი გაიოზ მირცხულავა (ხობის, რ-ნი 82 წლის) აღნიშნავს, რომ ბენღვინი მათ ოჯახში მხოლოდ შესაწირის დროს იხსნებოდა (ინჰყაფუდ). **ბენღვინი** ალ. ქობალიას მეგრულ ლექსიკონშიც განმარტებულია, როგორც ზედაშე (12, 60).

ცნობილია, რომ სამეგრელოში სოფ. მუხურში (ჩხოროწყუს რ-ნი) იცინდალეს წმ. გიორგის თავისი მამული ჰქონდა, რომელსაც **ხატიმ ბინეხს** ეძახდნენ. „თე ბინეხის (ვენახს) თოდუამ გვარი ულუანდუ დო შხვას გვარს უფლება ვაულუდ ობინეხემა მინულაში“- ამ ვენახს თოდუას გვარი უვლიდა და სხვა გვარს შიგ შესვლის უფლება არ

ჰქონდა. თოდუას გვარიდან იყო არჩეული მეხატული (რესპოდენტი, ანტონ თოდუა, სოფ. მუხური, 80 წლის).

მწიფობის, მოსავლის ნაყოფიერების ღვთაებაა **აგუნა** (12, 8).

4. Для ситуации состояния возможно выражение степени состояния на поверхностном уровне с помощью наречий степени *very*, *too* и др.; для ситуации воздействия это невозможно отсутствует.

5. Ситуация воздействия связывается с идеей протяженности во времени; ситуация состояния статична.

Как мы видим, эти (и некоторые другие) положения в той или иной степени имплицитно присутствовали в попытках отграничить пассив от оморфных структур. Однако их последовательному применению мешало игнорирование глубинного уровня, без учета которого последовательная делимитация пассива невозможна.

### ***Литература:***

1. Бархударов Л. С., Штелинг Д. А., Грамматика английского языка, М., 1973.
2. Болдырева М. М., Сочетание *to be* + причастие II со значением результативного состояния в современном английском языке, АКД. М., 1971.
3. Воронина Г. Б., Роль агенса в пассивных конструкциях, М., 1973.
4. Гордон Е. М., Крылова И. П., Грамматика современного английского языка, М., 1976.
5. Долинина Б., Рефлексив и средний залог в системе английских залогов и проблема гиперлексемы. В кн.: Проблемы теории грамматического залога, Л., 1978.
6. Жигадло В. Н., Иванова И. П., Йофик Л. П., Современный английский язык, М., 1956.
7. Завражина Е. П., Пассивные конструкции с агентивным дополнением в английском языке. КД. Л., 1989.
8. Каушанская В. Л., Ковнер Р. Л. и др., Грамматика английского языка, Л., 1973.
9. Киланава Э. В., К вопросу о делимитации пассива в современном английском языке. В сб.: Структура словаря и вопросы словообразования германских и романских языков, Пятигорск, 1978.

10. Либерман А. С., Конструкция to be + причастие II в современном английском языке и проблема страдательного залога. Вопросы методики и филологии. Сборник научных статей преподавателей иностранных языков Ленинграда, М., 1966.
11. Петунина И. А., О соотношении результата и статива с пассивом и перфектом в английском языке. В кн.: Лингвистические исследования. Грамматическая и лексическая семантика, М., 1981.
12. Райхель Г. М., К вопросу о грамматическом значении сочетания to be + причастие II в современном английском языке, АКД. М., 1954.
13. Смирницкий А. И., Морфология английского языка, М., 1959.
14. Хаймович Б. С., Роговская Б. И., Теоретическая грамматика английского языка, М., 1967.
15. Хельбиг Г., К проблеме пассива в современном немецком языке, ИЯШ, №3, 1977.
16. Шапиро М. С., Страдательный залог в современном английском языке, ИЯШ, №1, 1950.
17. Шапиро М. С., Пассивные конструкции в современном английском языке, КД. Лен., 1947.
18. Яхонтов С. Е., Формальное определение залога. В кн.: Типология пассивных конструкций (Диатезы и залого), АН СССР, Лен., 1974.
19. Duskova L., On Some Functional and Stylistic Aspects of the Passive Voice in Present-Day English, Philologica Pragensia, №3, 14, 1971.
20. Ganshina M. A., Vasilevskaya N. M., English Grammar, M., 1964.
21. Quirk R., Greenbaum S. and Others, A Grammar of Contemporary English, Longman, 1972.

**ემა კილანავა**  
**სტრუქტურა be + მიმღეობა II თანამედროვე ინგლისურში**  
**რეზიუმე**

კონსტრუქცია be + მიმღეობა II ომონიმურია, რადგან მას შეუძლია ვნებითი ვგარის გარდა გამოხატოს მოქმედება (ე.ი. შეუძლია აღწეროს არა მხოლოდ ზემოქმედება, არამედ მდგომარეობა). ლინგვისტური ლიტერატურის ანალიზის შედეგად, რომელიც ეხება საკუთრივ ვნებითის ფორმების დელიმიტაციის პრობლემას, ომონიმური სტრუქტურებიდან ჩვენ შევიმუშავეთ ზოგიერთი პრინციპულად მნიშვნელოვანი წინადადება ზემოქმედებისა და მდგომარეობის გამიჯვნის მიზნით.

**Emma Kilanova**  
**Structure be + participle II in contemporary English**  
**Summary**

The construction “be + Participle II” is homonymous as it may express besides the passive voice the active of state (i.e. it may reflect not only the situation of coercion but the situation of state as well). As a result of the survey of the linguistic literature concerning the problem of delimitation of the forms of the passive-proper from the homonymous structures we have worked out some principal propositions to differentiate the situations of coercion and state.

მანანა ღამბაშიძე  
(საქართველო)

მეტყველების აქტი როგორც სოციალური  
კომუნიკაციის საფუძველი

ტექსტის კომუნიკაციური ფუნქციის კვლევას ტექსტის ლინგვისტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. „ფუნქციის“ ქვეშ ზოგადად გაგებულია ერთი მთლიანის შიგნით პირის, ორგანოს ან საგნის ამოცანები. მაგალითად, ლაპარაკობენ გულის, ფარისებრი ჯირკვლის, მეშახტის, რომანის გმირის ფუნქციების შესახებ.

„ფუნქციის“ ამ ზოგადი განმარტების მიღმა ტერმინი „ტექსტის ფუნქცია“ შეიძლება განმარტებული იყოს როგორც აზრი, მიზანი, რომელსაც ტექსტი საკომუნიკაციო სიტუაციის ჩარჩოებში ასრულებს (1, 87).

როგორც კ. ბრინკერი, კ. კოლფენი და შ. პაპერტი აღნიშნავენ, ტექსტს შეიძლება ერთზე მეტი კომუნიკაციური ფუნქცია ჰქონდეს. მაგალითად, კულინარიულ წიგნს აქვს ინფორმაციული და აპელაციური ფუნქციები, თუმცა დომინანტია აპელაციური ფუნქცია (რეცეპტები არიან ემიტენტის ინსტრუქციები კერძების დასამზადებლად). აპელაციური (ინსტრუმენტული) ფუნქცია უმეტესად გადმოცემულია განსაზღვრული ენობრივი სტრუქტურებით (მაგ., ბრძანებითი კილოს ფორმებით, თავაზიანი ფორმით, ინფინიტივით და ა.შ.). შემდეგ მაგალითად შეიძლება მოყვანილი იქნეს რადიოგადაცემები, კერძოდ, ახალი ამბები. ამ შემთხვევაში დომინანტია ტექსტის ინფორმაციული ფუნქცია, ემიტენტი მსმენელს განსაზღვრული ფაქტის, ვითარების შესახებ ამცნობს. მაგრამ, რადგან ახალი ამბები ყველაზე მეტად უყვართ და განსაკუთრებით მოსმენადია, ვერ გამოირიცხება „ტექსტით გატაცების ფუნქციაც“, რომელიც იმას ემყარება, რომ ცნობები (ამბები) ახდენენ მოვლენების თემატიზირებას, რომლებიც ხელს უწყობენ ინტერპერსონალურ კომუნიკაციას, საუბარს (1, 88).

ეს მაგალითები ნათლად უჩვენებს, რომ ტექსტი სხვადასხვა ფუნქციით შეიძლება ხასიათდებოდეს, მაგრამ ტექსტის საკომუნიკაციო მოდუსი, მთლიანობაში, როგორც წესი, მხოლოდ ერთი ფუნქციით განისაზღვრება, რომელიც შესაბამისი კომუნიკაციური სიტუაციით ზუსტდება. ბრინკერი, კოლფენი და პაპერტი ამ დომინანტ საკომუნიკაციო ფუნქციას „ტექსტის ფუნქციას“ (Textfunktion) უწოდებენ. მაგრამ, როგორც ისინი აღნიშნავენ, ამ ცნების ზუსტი აღქმისათვის საკმარისი არ არის საკომუნიკაციო პროცესის შიგნით ტექსტის აზრის და მიზნების შესახებ საუბრის საყოველთაო ხერხი. ავტორები თეორიულ-ცნებით საფუძველად ტექსტის ფუნქციის ცნების ადეკვატური განმარტებისთვის მეტყველების აქტის თეორიას მიიხედვენ [ასევე ი. ლ. აუსტინი, ი. კ. სირლი, დ. ვუნდერლიხი (1, 88)].

ემიტენტი ტექსტებით და გამონათქვამებით ცდილობს საკომუნიკაციო პროცესში, განსაკუთრებული ხერხით, გავლენა მოახდინოს რეციპიენტზე. რადგან ზემოქმედების ეს სურვილი მიზანმიმართულ ქმედებას წარმოადგენს, ის განისაზღვრა როგორც მეტყველების აქტი, რომელიც ავტომატურად მიმდინარე მოქმედებებისაგან განსხვავებით (როგორცაა სუნთქვა, მოქნარება) განზრახულ ქმედებად შეიძლება შეფასდეს (1, 88).

მოქმედებები შეიძლება მიმართული იყოს პირადად მოქმედ ან სხვა პირებზე. პირის მიერ ფანქრის ხელში აღება სუბიექტური თვალსაზრისით გააზრებული, რაციონალური ქმედებაა. პარტნიორული ქმედება (მაგ., ერთი ავტომძღოლის მიერ მეორისთვის გზის დათმობა), წინა ქმედებისაგან განსხვავებით, სოციალური ქმედებაა (1, 88).

სოციალურ ქმედებებში კომუნიკაციური (ანუ ნიშანთა სისტემაზე დამყარებული) ქმედებები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენენ. როგორც ბრინკერი, კოლფენი და პაპერტი აღნიშნავენ, კომუნიკაციური ქმედება შეიძლება განხორციელდეს ენობრივი (მაგ., მრავალრიცხოვანი ლიტერატურული საკომუნიკაციო აქტებით) ან არაენობრივი საკომუნიკაციო საშუალებებით (ქესტიკულაცია, მიმიკა, ხატოვანი თვალსაჩინოება და ა.შ.), ან ორივე საკომუნიკაციო საშუალების ერთობლივი ზემოქმედებით (მაგ., Face-to-Face-კომუნიკაციით, სურათებით, კომიქსებით, სარეკლამო განცხადებებით). ავტომძღოლმა განაწვევება შეიძლება გამოხატოს ენობრივი შეძახილით „შე სულელო“ ან ქესტიკულაციით ან ერთდროულად ორივე მოქმედებით. მრავალი მოქმედება მხოლოდ ენობრივად ხორციელდება. მაგ., განაწვევებისათვის განცხადების შეტანა (1, 89).

კომუნიკაციური ასპექტის ქვეშ ენობრივი მოქმედებები (მეტყველების აქტი), რომლებიც ენობრივ ნიშანთა სისტემას ემყარებიან, არის მხოლოდ ფორმა, თუმცა, ჩვენი საზოგადოებისთვის საკომუნიკაციო პროცესის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფორმა.

მეტყველების აქტის აღწერისათვის ოპტიმალურია უკვე ნახსენები მეტყველების აქტის თეორია.

ბრინკერი, კოლფენი და პაპერტი განიხილავენ პუნქტებს, რომლებიც ტექსტის ლინგვისტური ანალიზისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. მეტყველების აქტის თეორიის ზუსტი განხილვა უნდა განხორციელდეს ლინგვისტური პრაგმატიკის ჩარჩოებში. ამ ავტორებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია განმარტება, რომ მეტყველების აქტი არა მარტო მიზანმიმართული, არამედ საყოველთაოცაა. ეს ნიშნავს: მეტყველების აქტი ხორციელდება ენობრივი ერთობის შიგნით წესების შესაბამისად, რომლებიც ცალკეულმა ენობრივ კომუნიკაციაში მონაწილეებმა თავიანთი სოციალიზაციის პროცესში მეტ-ნაკლებად სრულყოფილად შეისწავლეს. მაშასადამე, საკომუნიკაციო პარტნიორები ფლობენ ერთიან ცოდნას იმის შესახებ, საკომუნიკაციო სიტუაციებში როგორ პირობებში და რომელი წესების შესაბამისად შეიძლება შესრულდეს განსაზღვრული მეტყველების აქტი.

მხოლოდ ამ საყოველთაოდ მიღებული წესებისა და პირობების შესაბამისად შეუძლია რეციპიენტს გამონათქვამში ან ტექსტში ემიტენტის მიერ შემოთავაზებული ურთიერთგაგებინების ხერხი ამოიცნოს, ეს ნიშნავს შეიცნოს, როგორ აღიქვას გამონათქვამი (როგორც მტკიცება, შეკითხვა თუ ბრძანება და ა.შ.). აქ მახვილი მოდის „როგორ უნდა აღიქვას“, რადგან გამონათქვამის, როგორც განსაზღვრული მეტყველების აქტის, იდენტიფიკაციასთან არ არის აუცილებლად დაკავშირებული, რომ მოსაუბრემ მთქმელის „ნამდვილი განზრახვა“ ამოიცნო (1, 89).

როგორც ავტორები მიიხნევენ, მეტყველების აქტის საყოველთაობა, ერთი მხრივ, არის წინაპირობა იმისთვის, რომ მთქმელმა მსმენელს განსაზღვრული გამონათქვამით გააგებინოს, თუ რა სურს მისგან, მაგრამ მეორე მხრივ, შესაძლებელს ხდის მანიპულაციას (1, 90).

მეტყველების აქტის საყოველთაოდ აღიარებული კომუნიკაციური მნიშვნელობა გადმოიცემა ეგრეთ წოდებული კონსტიტუიური წესებით. რეგულაციური წესების საპირისპიროდ, რომლებიც უკვე არსებულ ან მათგან დამოუკიდებლად არსებულ ურთიერთობათა ფორმებს არეგულირებენ (მაგ., ქცევის წესები, მანერები), კონსტიტუიური წესები ქმნიან ურთიერთობების ახალ ფორმას (მაგ., ფეხბურთის და ჭადრაკის თამაშის წესები) (1, 90).

ბრინკერი, კოლფენი და პაპერტი ი. რ. სირლიზე დაყრდნობით გვაძლევენ კონსტიტუიური წესების შემდეგ ფორმულირებას:

- ბრძანების მეტყველების აქტის განხორციელებისათვის.

გამონათქვამი წარმოადგენს მოქმედის მცდელობას, მოსაუბრეს განსაზღვრული მოქმედება შეასრულებინოს.

მაგ.: მოვითხოვ, ხვალ დააღაგო!

– რჩევის მეტყველების აქტის განხორციელებისათვის.

გამონათქვამი წარმოადგენს მოქმედის მიერ მოსაუბრის დარწმუნებას, რომ მოცემული მოქმედება მთლიანად მოსაუბრის ინტერესებშია.

მაგ.: გირჩევ, ექიმთან წახვიდე.

– დაპირების მეტყველების აქტის განხორციელებისათვის.

გამონათქვამი კომუნიკანტებისთვის წარმოადგენს მოქმედის დაპირებას მოსაუბრის მიმართ, რომ შეასრულებს დაპირების შინაარსს.

მაგ.: გპირდები, ხვალ დავაღაგებ.

– მტკიცების, დამოწმების მეტყველების აქტის განხორციელებისათვის.

გამონათქვამი არის მოქმედის დასტური მოსაუბრის წინაშე, რომ მოცემული შინაარსი ნამდვილ, ფაქტობრივ სიტუაციას ასახავს.

მაგ.: ვამტკიცებ, რომ პროდუქტი X განსაკუთრებით კარგია.

– შეკითხვის მეტყველების აქტის განხორციელებისათვის.

გამონათქვამი წარმოადგენს მოქმედის მცდელობას, მოსაუბრის მხრიდან განსაზღვრული ინფორმაცია მიიღოს.

მაგ.: როგორ მივალ უსწრაფესად სადგურში? (ექსპლიციტურად: მე თქვენ გეკითხებით, როგორ...).

მეტყველების აქტის ექსპლიციტური ფორმა არის ეგრეთ წოდებული სრული წინადადება – პერფორმაციული ანუ მეტყველების ინდექსირებული ზმნით პირველ პირში, რის საფუძველზეც გამონათქვამი განივრცობა.

მაგ.: მე შენ გპირდები, რომ მე ხვალ მოვალ. მე შენ გირჩევ, ექიმთან წახვიდე.

ექსპლიციტური ფორმა ნათლად გვიჩვენებს, რომ ყოველი მეტყველების აქტი ორი კომპონენტისგან შედგება – **ილოკუციური ნაწილისაგან**, რომელიც მეტყველების აქტის ტიპს აღნიშნავს (მაგ., დაპირებას, რჩევას და ა.შ.) და **პროპოზიციური ნაწილისაგან**, რომელიც მოქმედების შინაარსს (მაგ., დაპირების, რჩევის) შეიცავს (1, 91).

ი. რ. სირლიზე დაყრდნობით ბრინკერი, კოლფენი და პაპერტი აღნიშნავენ, რომ განივრცობა, ასევე, ეგრეთ წოდებული „გამოხატულების აქტი“, რომელიც ეხება გამონათქვამის გამოხატვის მხარეს (ბეგრების, სიტყვების, წინადადებების გამოხატვა მეტყველების აქტის განხორციელებისას). გამოხატულების აქტის ცნება მოიცავს ენის ასპექტებს, რომლებიც არსებითად ტრადიციული ენათმეცნიერების, მაგრამ ასევე სტრუქტურული ლინგვისტიკის კვლევის სფეროს წარმოადგენენ (შევადართ „კლასიკური“ ლინგვისტიკური დისციპლინები – ფონოლოგია, მორფოლოგია, სინტაქსი, ლექსიკოლოგია), მაგრამ ლინგვისტიკური აღწერა აქ არ ემყარება თეორიულ საფუძველს. სტრუქტურული ლინგვისტიკის და გენერაციული ტრანსფორმაციული გრამატიკის შეზღუდული ცნების საპირისპიროდ, „ენა“ მეტყველების აქტის თეორიულ კონცეფციაში გულისხმობს საზოგადოების, შესაბამისად, ადამიანთა ჯგუფის მოქმედების სისტემას, რომელიც ყოველთვის მოიცავს გრამატიკული წესების სისტემას. სირლის მიხედვით, მეტყველების აქტი (როგორცაა დარწმუნება, ბრძანების გაცემა, შეკითხვის დასმა, დაპირების მიცემა, სურვილის გამოთქმა, რჩევის მიცემა, მილოცვის გამოხატვა), მაშასადამე, შედგება მოქმედების სამი სხვადასხვა სახისაგან – ილოკუციური აქტის, პროპოზიციური აქტის და გამოხატულების აქტისგან, რომლებსაც მოსაუბრე ნორმალურ საკომუნიკაციო პროცესში ერთობლივად და ერთდროულად ასრულებს (1, 92).

მეტყველების აქტის ამ კომპონენტებიდან განსაკუთრებით გამოყოფილია „პერლოკუციური აქტი“, რომელიც აღნიშნავს ზემოქმედებებს, რომლებიც შეიძლება ილოკუციურ აქტს ჰქონდეს რეციპიენტის ქმედებებზე, აზრებზე, მსოფლმხედველობაზე. მაგ., ფაქტის კონსტატაცია (მიუღერების ოჯახი გაქურდეს) ვილაცას ააღვლევებს, ხოლო ბრძანება (ფეხსაცმელი გამიწმინდე!) ვილაცაში ზიზღის გრძნობას აღძრავს. პერლოკუციური აქტები, ილოკუციური აქტებისაგან განსხვავებით, არ არიან ტრადიციული. ეს ნიშნავს, რომ ეფექტები „დაურწმუნებლობა“ და „სიძულვილი“, რომლებიც შეიძლება გამოწვეული იყოს სრულიად განსაზღვრული ადამიანების მიერ მოყვანილი გამონათქვამებით სრულიად განსაზღვრული სიტუაციური და სოციალური პირობების გავლენით, არ არიან მოცემული ჩვენი ენობრივი მოქმედების სისტემაში, სულ მციმრე არა იმ ხერხით, როგორც მიმართება შესაბამის გამოსატყულების აქტებსა და ილოკუციურ აქტებს („კონსტატაცია“, „ბრძანება“) შორის (1, 92).

ფუნქციონალური თვალსაზრისით უ. ენგელიც ყოველ გამონათქვამში გამოყოფს ილოკუციას და პროპოზიციას:

„პროპოზიცია გადმოსცემს გამონათქვამის მნიშვნელობას ვიწრო აზრით, იმას, რაც უცვლელი რჩება, მაშინ როცა გამონათქვამის მოქმედების ტიპი იცვლება, ამდენად გამონათქვამებს:

Die Fahrt dauerte **dreiviertel Stunden** (2, 37)

Dauerte die Fahrt **dreiviertel Stunden**?

Die Fahrt soll **dreiviertel Stunden** dauern!

ერთნაირი შინაარსი აქვს, რომ მგზავრობა განსაზღვრულ დრომდე (სამი მეოთხედი საათი) გრძელდება, მაშინ როდესაც მოქმედების ტიპი იცვლება.

ილოკუცია გამოხატავს გამონათქვამის მოქმედების ტიპს („მეტყველების აქტის ტიპიზაცია“), ანუ რა არის გამოსატყული: თხრობა, შეკითხვა, ბრძანება, მუქარა, თუ წინააღმდეგობა და ა.შ. კომუნიკაციაში მისი გამოყენება ისევე მნიშვნელოვანია, როგორც პროპოზიციის (3, 35).

უ. ენგელი მიუთითებს ილოკუციის გამოსატყვის საშუალებებზე:

1) უმეტესად ინტონაცია (ტონი მრუდი თხრობის დროს დაბლდება, შეკითხვის ბოლოს მაღლდება).

2) ბგერის სიძლიერე (ბრძანებები ხმამაღლა წარმოითქმის, ვიდრე თხრობითი ხასიათის შეტყობინებები).

3) სხვა პარალინგვისტური საშუალებები – მიმიკა და ქესტიკულაცია (3, 35).

მიუხედავად იმისა, რომ შეუძლებელია ამ საშუალებების ისეთი ზუსტი აღწერა, როგორც წინადადების წევრების და ფლექსიის ფორმების, მთლიანობაში ისინი კარგად ფუნქციონირებენ. ზოგადად თანამოსაუბრე პირი უპრობლემოდ შეიცნობს შესაბამის ილოკუციას.

აღსანიშნავია, რომ უ. ენგელი პროპოზიციისა და ილოკუციის გვერდით ასახელებს მესამე ელემენტს – პემას, რომელიც პირველად ცემბმა შემოიტანა. პემა უმეტესად დამატებით ინფორმაციებს აწარმოებს.

„პემა არის ნაწილთა კომპლექსი, რომელიც არ აწარმოებს ძირითად ინფორმაციებს, არამედ მათ აფასებს, რომელიც ასევე არ ემსახურება ილოკუციის გამოსატყვას, არამედ მასაც მხოლოდ აფასებს“ (3, 35).

პემას, ჩვეულებრივ, მიეკუთვნება ზმნის უღლებადი მორფემა და ექსისტენციალური გამონათქვამების დიდი ნაწილი (სხვადასხვა ჯგუფის ზმნიზედები).

Es war **vielleicht** der üppigste Juni (4, 80).

Immerhin schien ich **wirklich** in Bendorf zu sein (2, 55).

Sie sind **ja** so glücklich (2, 30).

Freude herrschte **sicher schon** in den Herzen (2, 85).

წინადადებაში „vielleicht“, „wirklich“, „sicher“ ვერიფიკატული თავისუფალი წევრებია და აღნიშნავენ წინადადების რეალურობის ხარისხს. უმეტესად სინამდვილე გვევლინება დადასტურებულად (დამოწმებულად), შეზღუდულად ან საეჭვოდ. ორფოლოგიური გამოსატყვის ფორმებია: მოდალური ზმნიზედა, უფლექსიო ზედსართავი სახელი (3, 128).

„Ja“, „schon“ მოდალური თავისუფალი წევრებია. ისინი, მცირე გამონაკლისის გარდა, ზემოქმედებენ გამონათქვამის ილოკუციაზე, აძლიერებენ, ასუსტებენ ან ცვლიან მას სხვადასხვა ხერხით. გამოსატყვენ მოქმელის მიდგომას, ან უქმნიან პარტნიორს გარკვეულ განწყობას. მათ არ დაესმის შეკითხვა, მათთან არ დგება უარყოფა. ისინი არ თავსდება წინაველში და უმეტესობა მათგანი უმახვილოა. მორფოლოგიური გამოსატყვის ფორმაა: გამონაკლისის გარეშე – ნაწილაკები (3, 128).

**დასკვნა:** როგორც ბრინკერი, კოლფენი და პაპერტი აღნიშნავენ, სოციალურ ქმედებებში კომუნიკაციური (ანუ ნიშანთა სისტემაზე დამყარებული) ქმედებები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენენ. კომუნიკაციური ქმედებები შეიძლება განხორციელდეს ენობრივი, არაენობრივი ან ორივე საკომუნიკაციო საშუალების ერთობლივი ზემოქმედებით. კომუნიკაციური ასპექტის ქვეშ ენობრივი მოქმედებები (მეტყველების აქტი), რომლებიც ნიშანთა სისტემას ემყარებიან, არის მხოლოდ ფორმა, თუმცა საზოგადოების შიგნით საკომუნიკაციო პროცესის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფორმა.

ავტორები ი. რ. სირლიზე დაყრდნობით აღნიშნავენ, რომ მეტყველების აქტი (როგორცაა დარწმუნება, შეკითხვის დასმა, დაპირების მიცემა, სურვილის გამოთქმა და ა.შ.) შედგება მოქმედების სამი სხვადასხვა სახისაგან – ილოკუციური აქტის, პროპოზიციური აქტის და გამოსატყვლების აქტისაგან, რომლებსაც მოსაუბრე ნორმალურ საკომუნიკაციო პროცესში ერთობლივად და ერთდროულად ასრულებს.

უ. ენგელი ილოკუციის და პროპოზიციის გვერდით ასახელებს მესამე ელემენტს – პემას, რომელიც პირველად ცემბმა შემოიტანა. პემა დამატებით ინფორმაციებს აწარმოებს და ძირითად ინფორმაციებს და ილოკუციურ აქტებს მხოლოდ აფასებს.

#### **ლიტერატურა:**

1. Brinker K., Cölfen H., Pappert St., Linguistische Textanalyse. Eine Einführung in Grundbegriffe und Methoden. Erich Schmidt Verlag, Berlin, 2004.
2. Böll H., Mein trauriges Gesicht. Erzählungen. Radugaverlag, Moskau, 2003.
3. Engel U., Deutsche Grammatik. Julius Gross Verlag, München, 2004.
4. Hesse H., Der Steppenwolf. Ariss Press, M., 2005.



**Manana Gambaschidze**  
***The Act of Speech as the Base of Social Communication***

**Summary**

As Brinker, Cölfen and Pappert note the communicative activities (namely those based on the system of signs) acquire the exceptional meaning in the social activities. The communicative activities may be realized by linguistic, nonlinguistic means or by simultaneous action of both communicative means.

Under the communicative aspects the linguistic activities (acts of speech), which are based on the system of signs, are only the form. Though, they present an exceptionally important form of the communicative process within the society.

The authors leaning on J. R. Searle note that the act of speech (such as: *to convince, to put a question, to give a promise, to express a wish*, and so on) consists of three different aspects of action: illocutive act, propositive act and the act of expression. In the process of the normal communication the interlocutor realizes all these acts simultaneously.

Side by side to the illocutive and propositive acts, Engel names the third element – pema, which first was brought in by Zemb. The pema produces the additional information and only estimates the basic and illocutive acts.

**Манана Гамбашидзе**  
***Речевой акт как основа социальной коммуникации***

**Резюме**

Как отмечают Бринкер, Колфен и Папперт, коммуникативные действия (а именно основанные на знаковой системе) обретают в социальных действиях исключительное значение. Коммуникативные действия можно осуществить языковыми, неязыковыми средствами или совместным воздействием обоих коммуникативных средств.

Под коммуникативными аспектами языковые действия (речевой акт), основывающиеся на знаковой системе, являются только формой, впрочем исключительно важной формой коммуникативного процесса внутри общества.

Авторы, опираясь на И. Р. Сирл, отмечают, что речевой акт (какими являются: убеждение, постановка вопроса, дача обещания, выражение желания и т.д.) состоит из трех разных видов действия: иллокутивного акта, пропозитивного акта и акта выражения, которые в процессе нормальной коммуникации собеседник осуществляет совместно и одновременно.

Наряду с иллокутивным и пропозитивными актами У. Энгель называет третий элемент – пему, которая впервые была введена Цембом. Пема производит дополнительные информации, а основные и иллокутивные акты только оценивает.

**Светлана Пендерава**  
(Грузия)

## **ФРАЗЕОЛОГИЧЕСКИЕ КОНЦЕПТЫ, ОТРАЖАЮЩИЕ СОВРЕМЕННУЮ РУССКУЮ, ГРУЗИНСКУЮ И АНГЛИЙСКУЮ МЕНТАЛЬНОСТЬ**

Актуальность данной темы исследования предопределяется активным развитием лингвокультурологических исследований концептосфер национальной культуры во фразеологизмах.

В результате межкультурных (кросскультурных) коммуникаций, т.е. вследствие расширения культурных, политических, экономических и других связей, стало необходимым исследовать национально-культурную ментальность различных народов, дабы облегчить понимание и познание национально-культурных особенностей представителей других культур.

В современном мире сложно себе представить развитие в различных сферах профессиональной деятельности без международной и межкультурной коммуникации.

Культура XX-XXI вв. приобретает все более интернациональный характер и основывается на динамичных процессах культурного общения. Поэтому межкультурная коммуникация служит залогом обогащения национальных культур разных регионов и стран мира. Процессы международного культурного обмена являются основой развития цивилизации, непременным условием движения по пути к прогрессу. Сегодня невозможно решить ни одной значимой проблемы без участия представителей разных культур, их конструктивного диалога, знания традиций и культур других народов (2, 7).

В настоящее время, на фоне интенсивных межкультурных контактов создалась такая ситуация, когда каждый народ открыт для восприятия чужого культурного опыта и, в то же время, сам готов делиться продуктами собственной культуры. Иными словами, межкультурная коммуникация - это взаимодействие и обмен информацией между представителями разных национальных культур.

«Культуры разных народов, как и люди - представители различных культур, взаимно обогащаются благодаря информативной функции. Ни одна культура не существует изолированно, она всегда, так или иначе, взаимодействует с другими культурами. Точно так же не может существовать без общения отдельный человек. То есть, культура не может существовать, если отсутствует общение в его различных формах» (1, 47).

В лингвокультурологической теории язык трактуется как универсальная форма первичной концептуализации мира; составная часть культуры, наследуемая человеком от его предков; инструмент, посредством которого усваивают культуру; транслятор, выразитель и хранитель культурной информации и знаний о мире. При этом язык не просто называет то, что есть в культуре, не просто выражает, «отражает» ее (пассивная функция языка), а «формирует» культуру (активная роль языка), как бы прорастая в нее, и сам развивается в культуре.

Культура же с лингвокультурологической точки зрения интерпретируется, прежде всего, как хранилище безграничного опыта нации, накопленного множеством поколений. Однако культура не может быть наследована генетически, и для передачи ее последующим поколениям необходим «проводник», в роли которого и выступает язык. Само существование языка как явления невозможно без культуры, так же как и существование культуры невозможно без языка (4).

«Язык обнажает специфику национальной ментальности. Он есть одновременно и продукт культуры, и ее важная составная часть, и условие существования культуры. Более того, язык – специфический способ существования культуры, фактор формирования культурных кодов. Язык – механизм, способствующий кодировать и транслировать культуру» (3, 178).

В последнее время в гуманитарных науках особое внимание уделяется соотношению языка и культуры, языка и национального менталитета, языка и мышления. Практически во всех научных сферах, исследователями философии, социологии, культурологии, лингвокультурологии и др., набирает популярность термин «концепт». На сегодняшний день, несмотря на широкое применение и исследование термин «концепт» лишён одного конкретного определения, и в каждой из этих сфер, даёт своё собственное толкование.

Концепт является главным термином лингвокультурологии. Традиционно под концептом понимаются ментальные образования, отражающие представления и понятия о фрагменте действительности. Концепт представляет собой главную единицу хранения значимой информации о мире в языковой картине мира этноса, как ключевой смысл, актуализованный не одним знаком, а целым их набором.

Концепт – это «квант» информации о мире, сгусток смыслов и ассоциаций, стоящий за словом и имеющий укорененность в точке зрения на мир, представленной в языке (8, 256-257). «Если говорить просто, то концепт – это то, что представляется мне при произнесении слова, даже порой и неосознанно для меня самого, и то, что имеет для меня значение, порою я и сам не знаю какое» (3, 178).

«Возможен не только национальный менталитет, но и менталитет любой формы групповой общности людей, которые являюся представителями определенной идеологии – профессиональной, социальной (менталитет интеллигенции, менталитет военных, менталитет юристов)» (8, 5).

Вот, к примеру, какую формулировку определению «политический менталитет» дает Н.Л. Подвойская в своей диссертационной работе под названием «Концепт политического менталитета в американской политологии второй половины XX века» - «часть менталитета в целом, но относящаяся к сфере политического, - это часть общего менталитета индивида, коллектива, общества, являющаяся системообразующей основой политической культуры; это часть, будучи глубоко укорененной в политической культуре, детерминирует ее содержание, обогащая его заимствованиями из других политических культур, а также детерминирует политическую систему общества; это часть общего менталитета, которая содержит в себе общераспространенные представления, установки и ценности в сфере политического, это ценностная картина мира, воспринимаемого через призму политики; это субъективный образ политической действительности и своеобразная форма его сознания» (6).

Базой для классификации концептов могут служить разные критерии. Концепты могут подразделяться 1) по способу репрезентации в языке, 2) по виду мыслительного обобщения, 3) по своему содержанию и степени абстракции передаваемой информации.

По выраженности в языке выделяют номинированные (вербализованные) и неноминированные (невербализованные или лакунарные) концепты. Номинированными являются концепты, для которых в системе есть регулярные языковые средства выражения, а ненормированные – концепты, не имеющие в системе языка регулярных, стандартных средств языковой объективации (5, 41).

По способу репрезентации в языке концепты подразделяются на лексические (выраженные одной лексемой) и фразеологические (выраженные сочетанием лексем), концепты, репрезентированные клишированными выражениями [пословицами, поговорками, афоризмами] (9).

В данной статье концепт рассматривается как ментально-культурное образование социальных групп, которые также характеризуются конкретными ментальными особенностями.

Представленные нами фразеологические концепты репрезентируются в языке новыми фразеологическими единицами конкретной социальной культуры, а именно политического,

экономического, военного, театрального, медицинского, научного, общественного (в том числе шоу-бизнес) менталитета.

В постижении культуры каждого народа особая роль принадлежит таким специфическим языковым единицам, репрезентам культуры как фразеологизмы. В языкознании, культурологии и философии языка общепризнанным является мнение о том, что фразеологизмы наиболее удобны для воплощения концептов языка культуры. Они подобны мини-текстам, в которых отображаются характерные черты мировидения национальной культуры любого народа. Именно фразеологизмы характеризуются сохранением и проявлением сознания и ментальной направленности современного общества.

Языковая картина мира отражает национальную картину мира и выявляется в языковых единицах разных уровней. Особый интерес вызывает картина мира, представленная во фразеологизмах. Сама природа фразеологических единиц тесно связана с фоновыми знаниями носителей языка, с практическим опытом личности, с культурно-историческими традициями народа, говорящего на данном языке.

Фразеологизмы - особый знак языка, в семантику которых вложена культурная семантика или культурная коннотация. Фразеологизмы выполняют не только языковую, но культурную функцию. Они представляют собой сложные лингвистические образования, в семантику которых неотъемлемой частью входит лингвокультурологический аспект. В них находят отражения и накапливаются материальные и духовные ценности, вырабатываемые людьми на протяжении всего своего существования и характерны для культуры определенной общности.

В данной работе у нас вызывают интерес концепты в языковой картине мира, в частности, во фразеологической картине мира. Исследование посвящено фразеологическим концептам, отражающим современную русскую, грузинскую и английскую ментальность.

Исследование проводилось на материале публикаций российских, грузинских и английских периодических интернет-изданий.

### **Классификация фразеологических концептов:**

**Фразеологический концепт - Политика:** эскалация конфликта - კონფლიქტის ეკსკალაზაცია - escalation of a conflict (т.е. рост напряженности, расширение масштабов и интенсивности противостояния сторон конфликта, ведущий, как правило, к исключению переговоров для решения спорных вопросов и часто в перспективе имеющий следствием применение насилия – [www.politika.ru](http://www.politika.ru). Национальная политическая энциклопедия), например: Киев заявил об эскалации конфликта в Донбассе (источник: [www.aif.ru](http://www.aif.ru) 11:02 16/06/2016) - კონფლიქტის ეკსკალაზაცია უკრაინის აღმოსავლეთ რეგიონში - საერთაშორისო გამომხატველობა (источник: [www.itv.ge](http://www.itv.ge) 2015-08-18, 13:17) - Losing his grip: Ukraine president warns of **conflict escalation**, possible 'martial law' (источник: [www.sott.net](http://www.sott.net) Radio Free Europe, Thu, 18 Aug 2016 18:11 UTC); вступать в конфликт - კონფლიქტში შესვლა - to come (enter) to a conflict; *политика/метод кнута и пряника* (в значении - награда или угроза наказания как способ убеждения) - *თავლაკვების და მათრახის პოლიტიკა/მეთოდი* - *Carrot and stick* < *Peitsche und Zuckerbrot* (в значении «плеть и пряник»); *холодная война* - ცივი ომი < *Cold War* - т.е. военно-политическое противостояние государств, когда применяются экономические санкции (эмбарго, экономическая блокада т.д.), также - враждебно-агрессивная политика реакционных кругов, создающая напряженность в международных отношениях и направленная на разжигание войны и многие другие.

**Фразеологический концепт - Экономика/Финансы:** вливать инвестиции/привлечение инвестиций - *ობვესტიციების მიზიდვა* - *capital injection* (вливание капитала), например: *Липецкая область стала одной из лучших в мире по привлечению инвестиций* (источник:

www.kp.ru 26 октября, 17:18, Экономика) - ანაკლიის პორტის განხორციელების პროცესში ხიზური ინვესტიციების მოზიდვა იგეგმება (источник: www.news.ge 4 ნოემბერი, 22:04) – Russia provides RB 1 trn capital injection to banks (источник: www.eiu.com January 26<sup>th</sup> 2015/Russia/Banking/Sberbank); привлечь/привлечение инвесторов; **фискальная политика – ფისკალური პოლიტიკა – Fiscal policy** (фискальная политика представляет собой меры, которые предпринимает правительство с целью стабилизации экономики с помощью изменения величины доходов и/или расходов государственного бюджета); **черный нал** (неофициальные, незаконные наличные деньги, незафиксированные в документах и необлагаемые налогом) – **შავი ფული < Black money** (букв. перевод «черные деньги»); **создание инфраструктуры - создание основы чего-нибудь; партнер по бизнесу; потребительская корзина; финансовая пирамида; бюджетная сфера; партнер по бизнесу; индекс делового доверия** и т.д.

**Фразеологический концепт - Общество/Шоубизнес (Шоубизнес – импортируемый концепт из английского языка): черная пятница - შავი პარასკევი < Black Friday** (Черная пятница – это пятница после Дня Благодарения в США, с которой начинается традиционный рождественский сезон распродаж, когда магазины предлагают самые большие скидки, дабы привлечь огромное количество покупателей), например: **Черная пятница 2016** в России (источник: веб-сайт под таким же названием www.black-friday-club.ru, предлагающий список популярных интернет-магазинов, предоставляющих огромные скидки) - „შავი პარასკევი“ საქართველოში - რა ფასდაკლებებს გვთავაზობს მაღაზიები თბილისში (источник: www.allnews.ge ეკონომიკა, 25.11.2016/ 14:47) – **Black Friday 2016 / Black Friday Deals** (источник: веб-сайт под таким же названием www.blackfriday.com); **сливки общества – ხალები საზოგადოება – cream of society/cream of the crop** (в значении *элита*, синоним – *высокое общество*, данный фразеологизм является крылатым выражением); **светское общество** – люди, популярные в той или иной сфере деятельности; **светская тусовка - სვეცკური ივენთი** (грузинский вариант происходит от русского слова «светский» и английского слова «event» - т.е. мероприятие) – место развлечения светского общества; **антигламурная личность** – человек, достигший положение в чем-либо, но пренебрегает светскими тусовками; **гламурный журнал; гламурная личность; гламурная модель, гламурная женщина, гламурная жизнь - გლამურული ჟურნალი, გლამურული მოდელი, გლამურული ქალი, გლამურული ცხოვრება, გლამურული მოდა - glamorous magazine, glamorous model, glamorous woman, glamorous lifestyle u m.d.** Изначальное значение слова *гламур* – обаяние, привлекательность, но в современном употреблении - это некий образ, который связан с модой, стилем жизни, глянцевыми журналами, телевидением; **одиозная фигура – ოდიოზური ფიგურა** (неординарная личность, вызывающая к себе отрицательное отношение); **одиозный характер – odious nature; odious act (гнусный акт)**. Однако в русском и грузинском употреблении словосочетание «одиозная фигура», зачастую, носит положительный оттенок и характеризует человека, имеющего свою точку зрения, идущего наперекор обстоятельствам.

**Фразеологический концепт - Театральная/Актерская (творческая) сфера: мощная энергетика - ძლიერი ენერგეტიკა** - о темпераментном, эмоциональном исполнении роли; **взорвать/порвать зал - დარბაზის ავეთქება** - произвести большое, сильное впечатление на публику; **создание/формирование имиджа - ობიჯის შექმნა** - образ, в котором та или иная личность хочет предстать перед публикой.

**Фразеологический концепт – Военная сфера: военный арсенал - სამხედრო არსენალი - military arsenal, военное превосходство - სამხედრო უპირატესობა - military superiority; военное противостояние / военная конфронтация - სამხედრო დაპირისპირება**

ბა/კონფრონტაცია - military confrontation; военный альянс - სამხედრო ალიანსი - military alliance, военная орбита - სამხედრო ორბიტა - military satellite.

**Фразеологический концепт - Медицина:** генетическая усталость или хронический синдром усталости - ქრონიკული დაღლილობის სინდრომი - chronic fatigue syndrome; положительная динамика - изменение к лучшему, улучшение, прогресс; отрицательная динамика - изменение к худшему, регрес.

**Фразеологический концепт - Юриспруденция:** правовой нигилизм = правовой беспредел - отрицательное отношение к законам; силовые структуры/органы - სამართალ-დამცავი სტრუქტურები/ორგანოები; презумпция невиновности - უდანაშაულობის პრეზუმპცია - presumption of innocence.

На основе проделанной работы, заключающейся в представлении фразеологических концептов, отражающих русскую, грузинскую и английскую ментальность, мы можем сделать следующие выводы: не только представители этнических групп, но и каждая социальная группа характеризуется собственными особенностями менталитета; выявленные же, в большей мере, общие или заимствованные фразеологические единицы, возникновение которых связано, в основном, с потребностью в наименовании новых реалий, являются следствием тесного взаимовлияния и взаимодействия этих языков и их культур.

#### **Литერატურა:**

1. Алефиренко Н. Ф., Лингвокультурология. Ценностно-смысловое пространство языка. Учебное пособие, Москва.
2. Боголюбова Н. М., Николаева Ю. В., Межкультурная коммуникация, часть 1. Учебник для академического бакалавриата, Москва - Юрайт, 2017.
3. Головкин Ж. С., Культура и язык: аспекты взаимодействия, Научные ведомости, №12 (52), 2008.
4. Кокарева Е. А., Взаимовлияние языка и культуры, Пермский государственный университет. [www.psu.ru/psu/files/4802/kokareva.doc](http://www.psu.ru/psu/files/4802/kokareva.doc)
5. Огдонова Ц. Ц., Проблема типологии концептов в современной лингвистике. Журнал вестник Бурятского государственного университета, 2011. <https://cyberleninka.ru/article/v/problema-tipologii-kontseptov-v-sovremennoy-lingvistike>
6. Подвойская Н. Л., Концепт политическогomentалитета в американской политологии второй половины XX века», кандидат политических наук, Москва. <http://www.dissercat.com/content/kontsept-politicheskogo-mentaliteta-v-amerikanskoi-olitologii-vtoroi-poloviny-xx-veka>
7. Попова З. Д., Стернин И. А., Монография: Язык и национальное сознание, Вопросы теории и методологии. Научное издание, Воронеж. Концептосфера и менталитет, 2002.
8. Радбиль Т. Б., Основы изучения языкового менталитета, Учебное пособие, Москва, 2010.
9. [http://www.ahmerov.com/book\\_1091\\_chapter\\_8\\_1.2.3.\\_Klassifikaija\\_koneptov.html](http://www.ahmerov.com/book_1091_chapter_8_1.2.3._Klassifikaija_koneptov.html)

**სვეტლანა ფენდერავა**  
**რუსული, ქართული და ინგლისური მენტალობის გამომხატველი**  
**ფრაზეოლოგიური კონცეპტები**  
**რეზიუმე**

აღნიშნულ სტატიაში განხილულია სამეაროს გამომხატველი ფრაზეოლოგიური კონცეპტები. კვლევის მიზანია რუსული, ქართული და ინგლისური მენტალობის გამომხატველი კონცეპტების შესწავლა.

**Svetlana Penderava**

***Phraseological Concepts Reflecting Modern Russian, Georgian and English Mentality***

**Summary**

In this paper, we are interested in concepts of the language image of the world, in particular, in the phraseological image of the world. The study is devoted to phraseological concepts, reflecting modern Russian, Georgian and English mentality.

**მაია გელაშვილი**  
(საქართველო)

**ქართულ-ოსური ენობრივი ურთიერთობები**  
(ქართველიზმები ოსურში)

ქართულ-ოსური ენობრივი ურთიერთობის პრობლემა დიდი ხანია საენათმეცნიერო კვლევების საგანს წარმოადგენს. საკითხს წლების განმავლობაში იკვლევდნენ და ახლაც გრძელდება მუშაობა ქართულ-ოსური ენობრივი ურთიერთობის შესახებ. განვიხილოთ პერიოდში დამუშავდა პრობლემები ისტორიული, პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, არქეოლოგიური თუ მითოლოგიური მიმართულებებით. არ შეიძლება არ გაავამახვილოთ ყურადღება ისეთი დიდი მკვლევრების ღვაწლზე, როგორებიც იყვნენ: ვ. აბაევი, ო. თედეევი, მ. ანდრონიკაშვილი, გ. ახვლედიანი, ვ. მილერი, გ. კლიმოვი და მრავალი სხვ. ასევე აღსანიშნავია ღვაწლი თანამედროვე მკვლევრებისა, როგორებიც არიან: მ. ჩუხუა, მ. ბუკია, რ. თოფჩიშვილი, ნ. ბეპიევი, ქ. გოდერძიშვილი. ზემოხსენებული ავტორების კვლევები წარმოგვიდგენენ ქართულ-ოსურ ურთიერთობებს ენობრივი (ლინგვისტური) კუთხით.

კავკასიის რეგიონში რამდენიმე ათასწლეულის მანძილზე მჭიდროდ თანაარსებობდნენ ქართველები და ოსები. ამ ხნის მანძილზე მათ ჰქონდათ საკმაოდ ინტენსიური ურთიერთობები ცხოვრების მრავალ სფეროში. რა თქმა უნდა, საუკუნეების განმავლობაში ერთობლივ ცხოვრებას უკვალოდ არ ჩაუვლია, დაგროვდა სოლიდური მასალა, გამოკვლეულ იქნა ნასესხები სიტყვები, როგორც ქართულიდან ოსურში, ასევე - პირიქით.

დასახელებულ ხალხთა მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის კვალი კარგად ჩანს ქართულიდან ოსურში შეთვისებულ ლექსიკაში. ნასესხებმა სიტყვებმა მოიცვა სხვადასხვა დარგი. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სვანური და მეგრულ-ჭანური ენების გავლენა ოსურ ლექსიკაზე. მათ ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდათ ოსებთან. თუმცა შეინიშნება დიალექტური ზეგავლენის კვალიც.

ოსურ ენაში ქართულიდან შეთვისებული სიტყვები სხვადასხვა დროისა და ხასიათისანი არიან, მომდინარეობენ დიალექტური წრიდან. აქ შეიძლება შევხვდეთ სესხების ყველა სახეს, მათ შორისაა:

- ცოცხალი ენობრივი ურთიერთობის შედეგად შეთვისებული სიტყვები;
- ხელოვნური, წიგნური გზით დამკვიდრებული სიტყვები;
- ქართული ენის გავლით და მისი მეშვეობით შესული ე.წ. ინტერნაციონალიზმები;
- ქართული წარმოშობის სიტყვები, შესული სულ სხვა ენის მეშვეობით ე.წ. შებრუნებული ნასესხობები.

დღემდე წარმოებულ კვლევებს გვინდა ჩვენი მხრიდან დავამატოთ ის ლექსიკური ერთეულები ოსურ ენაში, რომლებიც ქართულ-ქართველური ენებიდან უნდა იყოს შეთვისებული.

**Синон/сини** - ხის სასმისი /ღვინისთვის/.

ვ. აბაევს მიაჩნია, რომ ეს სიტყვა სპარსულიდან ან თურქულიდანაა შესული, თუმცა დანამდვილებით ვერ ასაბუთებს (14, 112).

მიგვაჩნია, რომ სიტყვა „სინი“ ქართულიდანაა შესული ოსურ ენაში. ძველ ქართულში გვხვდება სიტყვა „სინი“ - თუნუქი, რვალი (23).

თანამედროვე ქართულში ეს სიტყვა გამოიყენება ლანგრის, ლარნაკის მნიშვნელობით /ლითონის დიდი გაშლილი თეფში/. ფშაურ დიალექტში, გამოიყენება სიტყვა „სინი“, იგულისხმება ლითონის ფართო თეფში. ჯავახურში კი „სინი“ აღინიშ-



ნება როგორც საინი, რკინის თევში. „ყოფაში სინის რამდენიმე სახელწოდება მოწმდება: სინი, ლანგარი, ლანგარდი, თევში-სინი, ტაბაკ-ხონჩა და სხვა“ (24).

პროფესორი მერაბ ჩუხუა ყურადღებას ამახვილებს სიტყვა „სინზე“. ის წერს: „ქართ. სინ-ი, სინ-ის ქვა, სინ-ი ზარბაზნისა. სიტყვა არ არის ნასესხები ქართულში; ამას ამტკიცებს სარწმუნო შესატყვისები სხვა იბ.-კავკ. ენებიდან“ (12, 344). ჩვენი ვარაუდით, ოსურმა ენამ სწორედ ქართულიდან შეითვისა ეს სიტყვა.

**Сѣгь/сѣгѣ** - თხა.

მიგვაჩნია, რომ სიტყვა “сѣгь” ქართველურიდანაა შესული ოსურ ენაში. კერძოდ, ლაზურიდან. ლაზურში სილინ-ი ნიშნავს შველს (9, 16-19). საყურადღებოა, პროფესორ მ. ჩუხუას ნაშრომში გამოთქმული მოსაზრება ამ სიტყვასთან დაკავშირებით: „სხვა კავკასიური შესატყვისებიდან ყურადღებას იქცევს ოსური საღ „თხა“, ავტორს მიაჩნია, რომ ეს უკანასკნელი ნახურ შესატყვისს ინახავს (12, 247).

**Сѣлхѣр** - სულელი, ჭკუასუსტი, ჩერჩეტი.

აბაევი თვლის, რომ ეს სიტყვა მომდინარეობს სპარსული „საბუკ სარ“, რაც ნიშნავს სულელს (17, 63). ამ სიტყვას განმარტავს პროფესორი ნ. ბეპიევი ქართულ-ოსურ ლექსიკონში (2, 677).

სალახანა არაბულ-სპარსული სიტყვაა, ნიშნავს *გაფუჭებულს, ზნედაცემულს*.

კვლევის შედეგად ჩავთვაღეთ, რომ შესაძლოა ოსურში შესული იყოს ქართული სიტყვიდან სალახანა - გარყვნილი, გაფუჭებული, გაქსუებული.

გვხვდება დიალექტებში როგორც საქმის თავის ამრიდებელი, ცუდლუტი, ავარა: სალახანა კაცია, ეგრე დაეთრევა კარი-კარ, საცა მაღალ ჭერ დაინახამს, ჩემი სახლიაო იძახის.

**Сѣрты** - ზედ დართული. სართი.

აბაევი ამ სიტყვას არ განმარტავს (17, 87).

**Сѣр** - ოსურად ნიშნავს თავს (2, 678). Ты- აქცევს მას თანდებულად. ქართულში გვაქვს სიტყვა „სართი“ /თავსართი/, რომელიც შესაძლოა ამ სიტყვის წარმომავლობას უკავშირდებოდეს. მეგრულში სიტყვა „სართი“ ნიშნავს *განყოფადი, საბრუნო, საქანი* (25). დიალექტებში სართი ნიშნავს ვაჭრობაში (რაიმეს რომ ცვლიან), დანამატი: „ხარი ხარზე გადაცვალა, ორი ცხვარიც სართად მისცა“. თავსართი - ადამიანი, ცხენი: ფიცხი, თავდაუჭერელი. „ძიენ სართი კაცია, რამეს ეტყვი თუ არა, მაშინათვე ბრაზდება“ (26).

სალიტერატურო ქართულში სართი გამოიყენება როგორც დანამატი, ზედმეტი. „ტანისამოსი რუსის ფარაჯაზედ გავცვალე და ერთი თუმანიც სართი ავიდე“ (13).

**Сѣхи/сѣхе** - საკუთარი თავი/თავისიანი/თავისი.

**Сѣх** - არის მესამე პირის ნაცვალსახელი. Хи- მაწარმოებელი აფიქსია, დაერთვის სიტყვას და გამოხატავს კუთვნილებას. შესაძლოა, რომ მომდინარეობს ქართ. სიტყვიდან „სახე“. ქართულში სახე ნიშნავს *ხატს, პირისახეს, გამოსახულებას, მსგავსებას, შესახედაობას*. მეგრულშიც იგივე მნიშვნელობა აქვს. სვანურში გვაქვს „სა ხ“ - სახე (27).

**Сутыр/сотур** - სქელი, მჭიდრო, ფაფისებრი (2, 696).

აბაევი ვერ ასახელებს ამ სიტყვის წარმომავლობას. მკვლევარი ამ სიტყვას განმარტავს როგორც *ფაფისებრი, სქელი, ხშირი, მჭიდრო* (17, 176).

საყურადღებოა, რომ ლაზურში გვხვდება სიტყვა „სუთლი“, ნიშნავს *ფაფას* (9, 63). შესაძლოა ეს იყოს წყარო ოსურის სიტყვისა **сутыр/сотур**.

სავარაუდოა, რომ ლაზურში სიტყვა სუთლ-ი თურქულიდანაა შემოსული, „süt-lü“ ნიშნავს *რძეს* (9, 63).

**Тыфыл** - ცეცხლის სითბო, ცეცხლის ალი.

აბაევი აკავშირებს ბულგარულ სიტყვასთან täväl- ქარბუქი (17, 328).

ძველ ქართულში იყო სიტყვა ტფილი - თბილი, ვფიქრობთ, სწორედ ამ სიტყვიდან მომდინარეობს тыфыл (5, 648). ამავეს მოწმობს ილია აბულაძის ლექსიკონი (1, 432).

ამ მხრივ საყურადღებოა თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის კვლევები, ძვ. ქართულში იყო „ტფილი“, ახალ ქართულში გვაქვს „თბილი“; მეგრ. - „ტიბუ“; ლაზ. - „მტიბუ“ - გათბა. მკვლევრებს მიაჩნიათ, რომ ქართული სიტყვა წარმოადგენს წყაროს ინდოევროპული სიტყვისა „täfali“ /გათბობა/ (19, 253; 6, 140).

აღსანიშნავია ზ. სარჯველაძისა და ჰ. ფეინრიხის კვლევები:

ქართ. ტფ/ტფ - ტფ-ილ-ი; გან-გ-ტფე; გან-ტფ-ობა; ნელ-ტფ-ილ-ი;

ლაზ. ტიბ-/ტიბ- / ო-ტიბ-უ - „თბობა“; ო-ტიბ-ინ-უ - „ცხობა, „ტიბ-უ - „თბილი“.

მეგრ. ტიბ-/ტიბ- / ტუბ-უ - „თბილი“; უ-ტ ბ-აში - „უთბილესი“.

სვან. ტებ- ტებ-იდ /ტებ-ედ-ი /ტებ-დი „თბილი“ (7, 293). გ. დევეტერსმა შეაპირისპირა ქართული /ტფ-ილ/, მეგრული /ტიბ-უ/ და ლაზური /ტიბ-უ/ ფუძეები (21, 52).

გ. კლიმოვმა სვანური ტებ-ედ /ტებ-იდ ფუძე მოიხმო. მან საერთო ქართველური ფუძე-ენის დონეზე აღადგინა „ტაბ-/ტბ-“ (20, 25).

კვლევებიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ოსურმა ენამ სიტყვა Тыфыл ქართულიდან შეითვისა.

**Лдәр** - უმაქნისი.

ქართულში, ლაზურ დიალექტში, გვხვდება სიტყვა „ლოდორი“. მეგრ.- „ლოდორია“ - გვლუვი ტვინის ადამიანი (<http://www.ice.ge/liv/liv/megr.php>). სემანტიკურადაც და ფონეტიკურადაც მსგავსი სიტყვებია. საყურადღებოა, რომ ძვ. ქართულში იყო „ლერდანი“ - უგვანი, ზანტი, როგორც ამას განმარტავს სულახნ-საბა ლექსიკონში (5, 330).

**Ләппу** - ბავშვი /ბიჭი/

**ләппын** - ბარტყი.

აბაევი აკავშირებს ქართულ სიტყვასთან „ემაწვილი“ (15, 31).

მიგვაჩნია, რომ უფრო მართებულია, ვეძებოთ ამ სიტყვის წყარო ქართულში. ჩვენი დაკვირვებით, მისი წარმომავლობა დგინდება ქართული სიტყვიდან „ლაპ-ი“ მცირეწლოვანი.

ძველ ქართული „ლაპი“ საბას „სიტყვის კონაში“ განმარტებულია: „კაკაბთა, კოკობთა, როჭთა, შურთხთა და მისთანათა მართვენი“ (5, 32). მოხეურ დიალექტში „ლაპი“- წვენთა მოძრაობის დროა ხემცენარეებში, ანუ ნორჩის/ნედლის აღმნიშვნელი ჩანს.

**Епхи** - მგელი.

ეს სიტყვა იშვიათად გამოიყენებოდა ოსურში, უფრო გვხვდება სამხრულ ოსურში. Епхи შესაძლოა მომდინარეობდეს ქართ. სიტყვიდან „ვეფხვი“, სავარაუდოდ აქედანაა გვარი ეფხივევი/Епхив.

გერმანელი მკვლევარი სონია ფრიცი მიიხნევს, რომ სწორედ ქართულის გავლენაა ოსურ ენაში საკუთარი სახელი ვეფხვია (22, 273). ძველ ქართულად სიტყვა „ვეფხვი“ აღნიშნავდა ავაზას (1, 157). საყურადღებოა პროფესორ მ. ჩუხუას კვლევა. მკვლევარს მიაჩნია, რომ ქართული სიტყვა „ვეფხვი“ კანონზომიერ შესატყვისს შესული იქერიულ (ჩუჩნურ) ენაში ჰერს „ავაზა“, შდრ. ინგუშ. ფერს „ავაზა“ (11, 330-331).

**Фандыр**-ფანდური.

გ. აბაევის მიაჩნია, რომ სიტყვა ფანდური მცირე აზიიდან უნდა მომდინარეობდეს და ბერძნული ენის საშუალებით გავრცელდა ევროპაში (14, 446)

მ. ჩუხუას კვლევების თანახმად. მრავალ ქვეყანაში გავრცელებული საკრავიერი ინსტრუმენტი ფანდური უნდა მომდინარეობდეს ქართ. სიტყვიდან ფანდური. დამტკიცებულია, რომ „ურ“- ქართული სუფიქსია, რომელმაც შემოგვინახა ძვ. ქარ-

თულში დაკარგული სიტყვა „ფანდ“-ხელი. პროფესორმა ჩუხუამ დააკავშირა ეს სიტყვა უბის., ადილ., ბაცბ. და სხვა ენათა მონაცემებთან (12, 371).

ვიზიარებთ პროფესორ მ. ჩუხუას მოსაზრებას და მივიჩნევთ, რომ ოსურშიც ფუძე სწორედ ქართულიდანაა შესული.

ჩვენ ზემოთ წარმოვადგინეთ მცირე ნაწილი იმ დიდი ჩამონათვალიდან, რომელიც დაგვიგროვდა ქართულ-ოსური ენობრივ კონტაქტთა სპეციალური კვლევის პროცესში. სხვა ნაწილი წარმოვადგინებთ იქნება ჩვენს მომდევნო პუბლიკაციებში.

#### **ლიტერატურა:**

1. აბულაძე ი., ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.
2. ბეპიევი ნ., ქართულ-ოსური/ოსურ ქართული ლექსიკონი, 2014.
3. თედეევი ო., ნარკვევები ქართულ-ოსური ენობრივი ურთიერთობიდან, თბ., 1983.
4. თედეევი ო., შენიშვნები ქართულ-ოსური ენობრივი ურთიერთობიდან (რამდენიმე ბრუნვის შესახებ ოსურში); კრებ. „თბილისის უნივერსიტეტი, გ. ახვლედიანს“ (მიძღვნილი მისი დაბადების 80 წლისთავისადმი), 1969.
5. ორბელიანი ს. ს., სიტყვის კონა, ქართული ლექსიკონი, თბ., 1928.
6. ქლენტი, ს., ჭანური ტექსტები, ტფ., 1938.
7. სარჯველაძე ზ., ფენრიხი ჰ., ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი/Eti-mological Dictionary of the Kartvelian Languages, თბ., 1990.
8. ღლონტი ალ., ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ., 1984.
9. ჩიქობავა ალ., ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938.
10. ჩუხუა მ., ქართველური ლექსიკიდან, ეტიმოლოგიური ძიებანი, თბ., 1989.
11. ჩუხუა მ., იბერიულ-იჩქერიულ ენათა შედარებითი გრამატიკა, თბ., 2008
12. ჩუხუა მ., ქართულ-ჩერქეზულ-აფხაზური ეტიმოლოგიური ძიებანი, თბ., 2017.
13. ჭაბჭავაძე ი., გლახის ნამბობი, თბ., 2016.
14. Абаев В. И., Историко-этимологический словарь осетинского языка, в 5 томах, 1958-90.
15. Абаев В. И., Значение ареальных контактов в истории языка [На мат. осет. и кавк. Языков]; V рег. научн. Сессия по ист.-сравн. изуч. иб-кавк. яз. Тезисы докладов, Орджони-кидзе; 1973.
16. Абаев В. И., Значение ареальных контактов в истории языка [На мат. осет. и кавк. языков]; Материалы V регион. научной сессии
17. Абаев В. И., К этимологии samaia („samaias“ etimologiisaTvis; For the Etymology of "samaia"); ЕИКЯ, VI; 1979.
18. Абаев В. И., Осетинский язык и фольклор, 1949.
19. Гамкрелидзе Т. В., Иванов Вяч. Вс., Индоевропейский язык и индоевропейцы. Рекон-струкция и историко-типологический анализ праязыка и протокультуры (в двух частях), Тб., 1984.
20. Климов Г. А. Склонение в картвельских языках в сравнительно-историческом аспекте. М., 1962.
21. Deeters G., Armenisch und Südkaukasisch, „Caucasica“, fasc. 3-4, Lpz., 1926.
22. Sonja Gippert-Fritz, Die ossetischen Personennamen, Ph.D. diss., University of Vienna, 1983.
23. <http://www.ice.ge/liv/liv/ganmartebiti.php>
24. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=39&t=4110>
25. <http://www.ice.ge/liv/liv/megr.php>
26. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=28&t=6679>
27. <http://www.ice.ge/liv/liv/svanur1.php>

**Maia Gelashvili**

***Georgian-Ossetian Language Relations (Georgianism in the Ossetian Language)***

**Summary**

The purpose of the article is to present a small part of the research from a large list of the Georgian and Ossetian languages. We would like to share our contribution to this process.

**Майя Гелашвили**

***Грузино-осетинские языковые отношения (Грузинизмы в осетинском)***

**Резюме**

Цель статьи - представить небольшую часть исследования из большого списка грузино - осетинского языка. Автор делится своим вкладом в этот процесс.

**იავლინა გუჯეჯიანი**  
(საქართველო)

**მასდარის წარმოების ზომიერითი საპიტიხი სვანურში**

ი. იალღუზიძემ ქართულიდან ოსურზე თარგმნა რამდენიმე ტექსტი: 1. 1802 წლით დათარიღებული ხელნაწერი, რომელიც ეხება სოფ. ვანათში სასამართლოს დაწესებას. ოსური ტექსტი შესრულებულია ქართული გრაფიკით. ხელნაწერი 1926 წელს ქართველმა ისტორიკოსმა დავით კარიჭაშვილმა აღმოაჩინა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდში, ხოლო საფუძვლიანად შეისწავლა გი-

ორგი ახვლედიანმა, ქართველმა ლინგვისტმა და ოსოლოგმა; 2. ლოცვანი, დაიბეჭდა თბილისში 1820 წელს (ტირაჟი 300 ეგზემპლარი); 3. საღმრთო ლიტურგია /მოსკოვი, 1821 წ., 600 ეგზემპლარი/; 4. ოთხთავი, შესრულებული 1923 წელს, რომელიც არ გამოქვეყნებულა; 5. გამოკრებილი კურთხევანი /მოსკოვი, 1824 წ., 500 ეგზემპლარი/. აღსანიშნავია, რომ ხელნაწერები მხედრულად სრულდებოდა და იბეჭდებოდა ხუცურად. ამ წიგნებით სარგებლობდნენ როგორც სამხრეთ, ისე ჩრდილოეთ ოსეთის სამრევლოებში თითქმის 25 წლის მანძილზე (7, 109-120).

ჩვენ გვაქვს ცნობები იმის შესახებ, რომ ქართული გრაფიკით შესრულებული ოსური ტექსტები ი. იაღლუზიძემდე გაცილებით უფრო ადრე არსებობდა: რუსი ისტორიკოსი პ. ბუტკოვი, როდესაც საუბრობს გაიოზის მიერ ოსურისთვის რუსული გრაფიკის გამოყენების შესახებ, იქვე დასძენს, რომ ქართველებიც ოსური ენის გადმოსაცემად ხმარობდნენ თავიანთ ასოებს დიდი სიზუსტით (9, 6).

მოსე ჯანაშიელი, ქართველი ისტორიკოსი და ეთნოგრაფი, წერს, რომ ერეკლე II-ის დროს მეფის სტამბაში იბეჭდებოდა საღმრთო წიგნები ოსურ ენაზე ხუცური ანბანით, რომელსაც დაემატა ოსურისთვის დამახასიათებელი რამდენიმე გრაფიკული ერთეული. ჯანაშიელი იმასაც აღნიშნავს, რომ ასეთი წიგნი თავადაც უნახავს, 1753 წელს დაბეჭდილი (9, 7).

საარქივო მასალიდან, რომელიც პეტერბურგის ცენტრალურ ისტორიულ არქივში ინახება, ჩანს, რომ მე-18 საუკუნის 50-60-იან წლებში უკვე არსებობდა ქართული ანბანით ნაწერი ოსური ხელნაწერები. ამ ხელნაწერების შესრულებაც ოსეთში ქრისტიანობის გამავრცელებელი კომისიის სახელთან არის დაკავშირებული. ამ კომისიის წევრს, იღუმენ გრიგოლს, უთარგნია რამდენიმე სასულიერო ხასიათის ძველი ქართული გრაფემებით, თუმცა გრიგოლის საქმიანობას საყოველთაო ხასიათი არ მისცემია და მისი თარგმანები ხელნაწერის დონეს არ გასცილებია (9, 7).

თანამედროვე ოსური დამწერლობის ბედი საბოლოოდ გადაწყდა მე-19 საუკუნის შუა წლებში ანდრია შეგრენის მიერ. მოსკოვის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა, აკადემიკოსმა ა. შეგრენმა, იმოგზაურა ოსეთში. ის 1835 წელს ჩამოვიდა კავკასიაში თვალის ავადმყოფობის გამო მინერალურ წყლებზე სამკურნალოდ და ოსური ენის შესასწავლად. ა. შეგრენმა კირილიცას საფუძველზე დამუშავა და შეადგინა ოსური ანბანი. მანვე პირველმა შექმნა ოსურის გრამატიკა (36, 33).

შეგრენისეული ანბანი მოგვიანებით სრულყო რუსმა ენათმეცნიერმა ვსევოლოდ მილერმა. მან შეგრენისეული ანბანის რამდენიმე ასო გრაფიკულად დახვეწა.

პირველი ავტორი, ვინც სერიოზულად სცადა კავკასიაში გავრცელებულ ენა-კილოთა კლასიფიკაცია მის მიერვე ადგილზე მოპოვებული ენობრივი მასალის (ლექსიკის) საფუძველზე, იყო იოჰან ანტონ გიულდენშტედტი. მან ამჟამად იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის წევრებად მიჩნეული ენები რვა ჯგუფად დაყო. ამ ჯგუფთა შორის ი. გიულდენშტედტს პირველ ნომრად ცალკე აქვს გამოყოფილი „ქართველური დიალექტები“ ქართულის, მეგრულისა და სვანურის შემადგენლობით. კავკასიაში მოგზაურობის დროს იოჰან გიულდენშტედტმა შეკრიბა ლექსიკური მასალა და შეადგინა კავკასიაში გავრცელებული ენების შედარებითი სიტყვათა კონები. თითოეული ასეთი კონა შეიცავს 340-მდე სიტყვას /ესენია არსებითი სახელები, ნაცვალსახელები, რიცხვითი სახელები, ზედსართავები, ზმნები/. სიტყვები დალაგებულია შინაარსობრივად. მთის მრავალი იბერიულ-კავკასიური ენის ლექსიკური მასალა ასე ვრცლად პირველად ჩაიწერა, ამიტომ მათი შესწავლის ისტორიაში ამ დოკუმენტაციას დიდი ღირებულება აქვს. ლექსიკური მასალის შედარების საფუძველზე იოჰან გიულდენშტედტმა გამოყო ენათა ექვსი ჯგუფი:

- ქართული (ქართული, მეგრული, სვანური);

- ქისტური (ჩენური, ინგუშური, თუშური);
- ლეკური (ხუნძურ-დიდოური, ანწუხური, ჭარული, ყაზიყუმუხური, ახუშური);
- ჩერქეზული (ყაბარდოული და აფხაზური);
- ოსური;
- თათრული.

ეს ენები ჯგუფებად დაყო და ცალკეული ჯგუფის წევრთა ნათესაური ურთიერთობის საკითხი პირველად წამოაყენა იოჰან გიულდენშტედტმა.

1846 წელს ბერლინში გამოიცა გერმანელი კავკასიოლოგის, გეორგ როზენის, შრომა, რომლის სათაურია: „ოსური გრამატიკა გამოკვლევითურთ მეგრულისა, სვანურისა და აფხაზურის შესახებ“ (Ossetische Sprachlehre nebst einer Abhandlung ber das Mingralische, Suanische und Abchasische). აღნიშნულ ნაშრომში ოსურისთვის გ. როზენმა ქართული ანბანი გამოიყენა. მისი აზრით, ქართული ანბანი ოსური ბგერების ადეკვატურია (15, 144, 157).

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ოსური და მეგრულ ენებს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ, როგორც არქაულ ენებს. მისი შესწავლის მამამთავარი იყო პროფ. ვსევოლოდ მილერი (1846-1913) ის ხუთჯერ იყო ოსეთში. 1879, 1880, 1881 და 1886 წლებში. მილერმა საფუძვლიანად გამოიკვლია და შეისწავლა ოსური ენა, ლექსიკოლოგია და დაადგინა კავშირი მონათესავე ენებთა.

გასულ საუკუნის 40-იან წლებში სამეცნიერო მიზნით კავკასიაში გამოგზავნა ბერლინის მეცნიერებათა აკადემიამ პროფ. გეორგ როზენი. მან პირველმა, თუმცა დიდი დეფექტებით, შეადგინა გრამატიკული მიმოხილვა ჭანურ-მეგრულ-სვანურ-აფხაზურისა, აგრეთვე, ოსური ენისა. სახელწოდებით: „Uiber die sprache der Lazen, Dr. C. Rosen. 1844 da Ueber das Mingrelische, Suanische und Abchasische 1846. Berlin. გ. როზენი სრულებით არ ეხება მეგრ. ენის ბგერათა მხარეს /ფონეტიკას/ და არ მოჰყავს მეგრული ტექსტები. მის ნაშრომს აქვს მნიშვნელობა უფრო ლექსიკოგრაფიისათვის, ისიც დიდის სიფრთხილით. სხვათა შორის, მას ეკუთვნის უტყუარი აზრი იმის შესახებ, რომ ქართული მხედრული ასოები ყველა ასოებზე უფრო შეეფერებიან მეგრულ, სვანურ, აფხაზურ და ოსურ ენებსა. როზენი თავის შრომებში კიდევაც ხმა-რობს ამ ენათა სიტყვების გადმოსაცემად ქართულ ასოებს (14, 2).

ამ საკითხის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მკვლევარი გახლდათ ვასილ აბაევი. 1985-90-იან წლებში მან გამოსცა „ოსური ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონი“ დიდი მნიშვნელობა აქვს ირანულ ენათა კვლევისათვის, ქართულ-კავკასიური და ირანულ ენათა კონტაქტების შესწავლისათვის, აგრეთვე კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის საერთო ელემენტების კვლევის თვალსაზრისით. მან განაცხადა: „ოსურ-ქართული კულტურული ურთიერთობანი თავისი სიძველის, სიმდიდრის, სირთულისა და ინტერესის მიხედვით იმსახურებენ იმას, რომ გახდნენ საგნად სპეციალური კვლევისა“ (26, 93-94). აბაევამ თავის შრომებში ხაზგასმით აღნიშნა და დაასაბუთა: კავკასიური ელემენტი ოსურში შევიდა არა როგორც გარეგანი გავლენა, თურქულისა და არაბულის მსგავსად, არამედ როგორც დამოუკიდებელი სტრუქტურული ფაქტორი. როგორც მისი მეორე ბუნება (26, 79). ერთ-ერთ ბოლო ნაშრომში აბაევმა აღნიშნა, რომ ოსური ენის ფონეტიკასა, მორფოლოგიასა და სინტაქსში კავკასიური სუბსტრატი გვევლინება, როგორც დამოუკიდებელი კონსტრუქციული ელემენტი და არა როგორც სესხება, კავკასიური ელემენტი იჭრება ოსური ენის ძირითად ლექსიკურ ფონდში, რაც შეიძლება მხოლოდ ხანგრძლივი ორენოვნების ფონზე (26, 291). როგორც აბაევის, ასევე სხვა მკვლევრების მტკიცებით, ამ სუბსტრატულ ელემენტებს შორის ძირითადი და მნიშვნელოვანია ქართულ-ქართველური ელემენტები. რამდენადაც ცხადყოფს ქართულის გავლენას ინდოევროპულ ოჯახის ერთ-ერთი ძირითადი შტოს – ოსური ენის – წარმომადგე-

ნელზე. ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა აბაევის ნაშრომები: „ნართების ეპოსი“ /1945/, „ოსური ენა და ფოლკლორი“ /1949/.

ზ. ჭიჭინაძის ცნობით, ნიქოზისა და ურბნისის სამონასტრო სკოლებში ასწავლიდნენ ოსთა შვილებს „წერა-კითხვას ქართულ ენაზე, ოსურს, ბერძნულს, ასურულს და რომაულს... მღვდელმოქმედებასა და საეკლესიო საქმეებში ოსურის ენითაც წვრთნიდნენ... სასულიერო პირთა გარდა ოსთა მეფენიც ქართული ასოებით სწერდნენ წერილებს, სიგელთა და გუჯრებს.. ლექსებს, შაირებს... ეს გარემოება ოსთა და ქართველთ დიდათ აკავშირებდა, აახლოვებდა“. ზ. ჭიჭინაძისავე ცნობით, ბაგრატ მეოთხემ ოსთა შვილებს „მრავლად გაუხსნა სხვადასხვა სახის სკოლები ... ამავთუ ბაგრატის მეოხებით, ოსთა შვილების რიცხვმა გამრავლება იწყო შიო მღვიმის სასწავლებელში.

აკად. ქეთევან ლომთათიძე აღნიშნავს: „ბოლო ხანებში ენათა შორის გამოვლენილმა ბგერათშესატყვისობებმა და ბგერათცვლილებების კანონზომიერებებმა ერთგვარად ნიადაგი „მოასუფთავა“ ნასესხები ლექსიკის გამოყოფისა და სესხების მიმართულების გარკვევისათვის“ (13, 25).

ბესარიონ ჯორბენაძე წერდა: „ცნობილი ფაქტია, რომ სესხების თვალსაზრისით ერი სწორედ იმ ხალხის ენას ერიდება ინტუიციურად, ვისგანაც განიცდის ძალდატანებას“ (19, 39). ამ თვალსაზრისით საინტერესო ფაქტებს იძლევა ჩვენი ისტორია და სინამდვილე. მუსულმანიზმის ძალმომრეობის ეპოქაში /VIII-XI საუკუნეები/ ქართულ ენაში არსებითად არ არის დამოწმებული მასობრივი სესხება აღმოსავლური /სპარსული, არაბული/ ენებიდან. მაგრამ აღმოსავლურ სიტყვებს ფართოდ ვაეღო კარი მაშინ, როცა ძალმომრეობის საშიშროება აღარ იყო /XI-XII საუკუნეები/. საერო ლიტერატურა არსებითად წილნაყარი აღმოჩნდა აღმოსავლურ ლიტერატურასთან. ანალოგიურად შეგვიძლია დავასკვნათ ოსებთან მიმართებითაც. საუკუნეების განმავლობაში ჩვენი ურთიერთობის შედეგად „ბუნებრივია, რომ ქართული არა მხოლოდ სესხულობდა სიტყვებს, არამედ გაასესხებდა კიდევ“ (19, 4).

გ. ახვლედიანის აზრით, „ოსურ-ქართული ენობრივი ურთიერთობის სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ აქ გვაქვს ხანგრძლივი საურთიერთო გავლენა, რომელიც სცილდება ჩვეულებრივი გავლენის ფარგლებს“. აღნიშნულ ენებს შორის ურთიერთდამოკიდებულებას, მისი აზრით, შეიძლება ვუწოდოთ უფრო ურთიერთგამჭვალე. მისივე თქმით, ქართული სიტყვები ოსურში და ოსური ქართულში ვერ მოხვდებოდა ამ ენებში იზოლირებულად, ცალკეული ნასესხობების სახით, ისინი უთუოდ შეადგენდნენ მრავალრიცხოვან სიტყვათა სისტემის უმნიშვნელო ნაწილს, რომელიც ორივე ენისათვის საერთო იყო და რომელიც ურთიერთკავშირის შედეგად იწვევდა ამ ენათა სტრუქტურაში შესაბამის ცვლილებებს გრამატიკულ და ფონეტიკურ დონეზე. ოსურისა და ქართული ენების ასეთი ურთიერთგავლენა, როგორც გ. ახვლედიანი წერს, თავს იჩენს, ამ ენათა ფონეტიკური სისტემების მსგავსებაში. თანამედროვე ოსურ თანხმობანთა სისტემას ქართულისაგან განასხვავებს მხოლოდ ერთი თანხმობანი, ეს არის ფ (29, 173). მეტად საინტერესო მასალა აქვს წარმოდგენილი ახვლედიანს ოსურ-ქართული ენობრივი შეხვედრების შესახებ, რომელშიც ავტორი განზრახ დიფერენციაციის გარეშე, მეტწილად წარმომავლობის მიუთითებლად განიხილავს ლექსიკურ და ფრაზეოლოგიური ხასიათის დეტალებზე ამახვილებს ყურადღებას.

მზია ანდრონიკაშვილი თავის ნაშრომში საუბრობს ქართველთა და ოსთა ურთიერთობებზე, რომელიც პირველ საუკუნეში ფიქსირდება. კასისოს დიონის ცნობით, ქართლის მეფე ფარსმან მეორემ მოაწყო აღანების მსხვილი შემოსევა, პართიისა და სოხეთის სამფლობელოში (3, 48). მას შემდეგ ხშირად იკვეთება ქართველებისა და ოსების ხაზები. ასეთი ხანგრძლივი და მჭიდრო პოლიტიკურ-ისტორიუ-



ლი ურთიერთობას, ბუნებრივია, უნდა მოჰყოლოდა ენობრივი ურთიერთობა. „ორივე ხალხის ენაში ჩვენ ვხვდებით ამ ურთიერთობის კვალს შეთვისებული ლექსიკური ელემენტების სახით. ოსურ ენაში მნიშვნელოვანი რაოდენობით ქართული ელემენტების რაოდენობა არაერთხელ იყო აღნიშნული ოს მკვლევართა მიერ“ (3, 50). აბაევისა და ახვლედიანის მიერ აღინიშნება, რომ ქართულის გავლენა ოსურზე უფრო დიდი იყო, ვიდრე პირიქით. ოსურ ენაში არსებული ქართული ელემენტები მისი განვითარების მთელ გზაზე და შეძლებისდაგვარად განსაზღვროს მათი შესვლის გზები. უნდა აღინიშნოს, რომ ქართულიდან ოსურში შესული სიტყვები არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც უბრალო ნასესხობები, რადგან ისინი ოსური ენის ორგანულ ნაწილს შეადგენენ, ისინი შედიან მისი ლექსიკის ძირითად ნაწილში; ბევრ მათგანს შესატყვისიც კი აქვს მონათესავე ენებში. ანდრონიკაშვილის აზრით, აბაევამდე სათანადო ყურადღება არ ექცეოდა ქართულ-ქართველური ენების მნიშვნელობას ოსური ენის ჩამოყალიბებაში. ნასესხობათა დიდი ნაწილი განეკუთვნება დიალექტურ ლექსიკას. აღსანიშნავია რაჭული, მოხეური, ხევსურული, რაჭული, სვანური, მეგრული, ჭანური, იმერული, მთიულური და სხვ., რომელთაც მეზობლური ურთიერთობა ჰქონდათ ოსურ მოსახლეობასთან.

სესხება მეტ-ნაკლები ინტენსივობით ორივე მიმართულებით ხდება. გარდა ამისა, გვაქვს სიტყვათა ნაწილი, რომელიც ორსავე ენაში ნასესხებია, მაგრამ ოსურ ფორმას აშკარად ეტყობა, რომ სესხებისას შუალედური რგოლი ქართველური, სვანური, ჭანური და მეგრულია. შეთვისებულ სიტყვათა ნაწილში კი შუალედური რგოლის გამოკვლევა ჭირს, რადგანაც ხელშესახები ფონოტაქტიკური მასალა არ გვაქვს. ჩვენს ხელთ არსებული მასალა საშუალებას გვაძლევს, ვივარაუდოთ სესხების შემდეგი მიმართულებები: ოსურიდან ქართველურში შეთვისებული ლექსიკა; ქართველურიდან ოსურში შესული სიტყვები; უცხო ენებიდან (ძირითადად აღმოსავლურიდან) ოსურში შეთვისებული ლექსიკური ერთეულები, სადაც სესხების შუალედური რგოლი ქართველური, სვანური, ჭანური და მეგრულია; ლექსემათა მცირე ნაწილი, რომელიც ორივე ენისთვის ნასესხობაა, მაგრამ სესხების მიმართულების კვლევა ჭირს (3, 40-60).

მკვლევარი ნ. აფხაზავა ლინგვისტური მონაცემების /ოსურ ენაში არსებული ქართული სიტყვები/ ანალიზით ვარაუდობს, რომ „აფხილ-აფშილები ქართველური მეგრულენოვანი ტომია, ვისგანაც ალან-ოსებს „მეგრელიზმი“ შეუთვისებიათ“ (4, 6-13).

ერთ-ერთ ბოლოდროინდელ კვლევაში ლინგვისტმა, ფილოლოგიის დოქტორმა აისა ხაიდოვმა თავის ნაშრომში «Введение в изучение кавказских языков» ყურადღება გაამახვილა ქართველიზმებზე, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში გავრცელდა მოსაზღვრე სახელმწიფოებში (34, 89).

ი. დეშერიევი წერდა, რომ საუკუნეების განმავლობაში „სახელწოდებები ნაყოფებისა და კულტურული მცენარეების მომდინარეობს ქართულიდან ან სხვა ენებიდან ქართულის მეშვეობით“ (30, 226).

აღსანიშნავია, რომ დღეს ამ საკითხზე მუშაობა გრძელდება. თანამედროვე მკვლევრებს შორის მნიშვნელოვანია პროფესორ მ. ჩუხუას მოღვაწეობა. მის მიერ შემუშავდა უნიფიცირებული ტრანსკრიფცია იბერიულ-კავკასიურ ენათა ფონოლოგიური სისტემისათვის. შესაბამისი მეთოდის გამოყენებით, მტკიცდება ამა თუ იმ ენებს შორის გენეტიკური ნათესაობა. ჩუხუას კვლევას შეადგენს ფუძე-ენების დონეზე რეკონსტრუირებული ეტიმოლოგიური ლექსიკონი. შეიქმნა ახალი პარადიგმა, რომლის ფარგლებშიც ენებს შორის გამოვლინდა რეგულარული, კანონზომიერი და სისტემური ბევრათშესატყვისობები და მასზე დაყრდნობით დამტკიცდა ხალხთა და ენათა ერთიანი გენეტიკური წარმომავლობა-ნათესაობა (16, 23).

არ შეიძლება არ აღინიშნოს პროფესორ მანანა ბუკიას მოღვაწეობა, რომელმაც დაადგინა საერთოკავკასიური ლექსიკური ერთეულები, სესხების მიმართულებები, ქრონოლოგია და ლინგვოკულტურული გარემო. ანგარიშგასაწევია მონოგრაფიულად დამუშავებული საკითხი ურთიერთმონათესავე ენებს შორის (5).

აღსანიშნავია, ქართულ-ოსური და ოსურ-ქართული ლექსიკონი, რომლის შემდგენელი და მთავარი რედაქტორი ორგანიზაცია „კავკასიური მოზაიკის“ თავმჯდომარე – პროფ. ნაირა ბეპიევი გახლავთ. აგრეთვე, 2014 წელს გამოვიდა ნართების ეპოსის ორენოვანი გამოცემა და ოსურ-ქართული და ქართულ-ოსური ლექსიკონების მეორე გამოცემა. კრებულში შესული ტექსტების დიდი ნაწილი პირველად. ქართულ-ოსური და ოსურ-ქართული ლექსიკონები სრულიად ახალი მოვლენაა ქართველებისა და ოსების კულტურულ-საგანმანათლებლო ისტორიაში. ქართულ-ოსური და ოსურ-ქართული ლექსიკონები მთლიანობაში 50 000-ზე მეტ სიტყვას მოიცავს. ლექსიკონების შემდგენელი და მთავარი რედაქტორია ნაირა ბეპიევი. ლექსიკონებს ერთვის ოსური ენის გრამატიკული ნარკვევი და ქართული ენის გრამატიკული მიმოხილვა. წიგნს დართული აქვს გამოყენების წესები ოსურ და ქართულ ენებზე, ოსური და ქართული ანბანი ტრანსკრიპციით, ასევე – შემოკლებები, განმარტებები და სხვა.

სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ სესხება ამ ორ ენობრივ კოლექტივს შორის ხდება ორივე მიმართულებით, ოღონდ არათანაბარი ინტენსივობით. ოსურს ქართველურიდან ნასესხები აქვს საყოფაცხოვრებო, შრომის იარაღების, სამეურნეო ნაგებობების, კულტურული მცენარეების, მიწათმოქმედებასთან, ქრისტიანობასთან დაკავშირებული ტერმინები.

#### **ლიტერატურა:**

1. ანდრონიკაშვილი მ., შენიშვნები ქართველური ენებიდან ოსურში შესული ლექსიკის ფონეტიკური ადაპტაციის შესახებ, თბ., 1984.
2. ანდრონიკაშვილი მ., შენიშვნები ქართულიდან ოსურში შესული სპარსული სიტყვების შესახებ, თბ., 1976.
3. ანდრონიკაშვილი მ., ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, 1964.
4. აფხაზავა ნ., აფშილთა ეთნიკური ვინაობისთვის, კრებულში: აფხაზეთის ისტორიის პობლემები, თბ., 1998.
5. ბუკია მ., ნარკვევები ქართველურ-აფხაზური ლინგვოკულტურული ურთიერთობის ისტორიიდან, 2014.
6. თედევი ო., დიალექტების მონაცემების მნიშვნელობა ენობრივი კონტაქტების შესწავლისათვის (ქართულ-ოსური მასალების მიხედვით); ტიპოლოგიური ძიებანი IV, თბ., 2000.
7. თედევი ო., ქართული ოთხთავის ოსური თარგმანის ისტორიისათვის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 108, თბ., 1964.
8. თედევი ო., ქართული ლექსიკური ნასესხობანი ოსურში // ნარკვევები ქართულ-ოსური ენობრივი ურთიერთობიდან, თბ., 1983.
9. თედევი ო., დანიელ ჭონქაძე როგორც ოსოლოგი, თბ., 1979.
10. თედევი ო., ნარკვევები ოსურ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბ., 1988.
11. თედევი ო., ნარკვევები ქართულ-ოსური ენობრივი ურთიერთობიდან, თბ., 1983.
12. იაღლუზიძე ი., ქართულად თარგმნილი ოთხთავი, 1823.
13. ლომთათიძე ქ., აფხაზურსა და ქართველურ ენებში არსებული ზოგი საერთო ფუძის ნასესხობის მიმართულებისათვის, თბ., 1999.

14. როზენი, ოსური გრამატიკა გამოკვლევითურთ მეგრულისა, სვანურისა და აფხაზურის შესახებ, 1846.
15. ჩიქობავა არნ., იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბ., 2008.
16. ჩუხუა მ., ქართულ-ჩერქეზულ-აფხაზური ეტიმოლოგიური ძიებანი (მასალები იბერიულ-კავკასიურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონისათვის), თბ., 2017.
17. წერეთელი გ., ენობრივი ნათესაობისა და ენობრივ კავშირთა შესახებ («Вопросы языкознания»), 1968.
18. ჯუსოთი ნ., სიტყვა მეცნიერზე (ვ. ი. აბაევის დაბადების 80 წლისთავი), „საბჭოთა ოსეთი“, №155; 1980, 1958.
19. ჯორბენაძე ბ., ენა და კულტურა, 1997.
20. Jones W., A dissertation on the orthography of Asiatick words in Roman letters, Asiatick Researches, 1786.
21. Абаев В. И., Историко-этимологический словарь осетинского языка» в 5 томах, 1958-90.
22. Абаев В. И., Значение ареальных контактов в истории языка [На мат. осет. и кавк. языков]; V рег. научн. Сессия по ист.-сравн. изуч. иб-кавк. яз. Тезисы докладов, Орджоникидзе, 1973.
23. Абаев В. И., Некоторые осетино-грузинские семантические параллели; ИКЯ, т. XVIII; 1973; Абаев В. И., Некоторые осетино-яфетические параллели; «Яфетический сборник», т. 3, М.Л., 1925; Абаев В. И., О вариативности сонантов [испол. мат. и картв. яз.]; Сб. «Актуальные проблемы иранской филологии», Тб., 1978.
24. Абаев В. И., О некоторых осетинских элементах в грузинском языке; Труды Инст. Языкозн., VI, М., 1956.
25. Абаев В. И., Осетино-вейнахские лексические параллели; Изв. Чеч.-Ингуш. НИИ истории, яз. и лит., т. I, вып. 2 (языкозн.), Грозный, 1959.
26. Абаев В. И., Древнеосетинская зеленчукская надпись, Осетинский язык и фольклор, I, 1949.
27. Андроникашвили М., О персидских словах, проникших в осетинский язык через грузинское посредство, М., 1976.
28. Ахвледиани Г. С., К вопросу о кавказском характере осетинского языка; Научная сессия Тбилисского гос. унив., 1948.
29. Ахвледиани Г., О функциях превербов в грузинском и осетинском языках, Тб., 1960.
30. Дешериев Ю. Д., Некоторые особенности эргативного строя предложения в бацбском языке. Язык и мышление, XI, М., 1948.
31. Климов Г. А., Алексеев М. Е., Типология кавказских языков, М., 1980.
32. Климов Г. А., Халилов М. Ш., Словарь кавказских языков. Сопоставление основной лексики / Ред. Я. Г. Тестелец. М., Восточная литература, 2003.
33. Калоев Б.А. Моздокские осетины, М, 1995.
34. Халидов А.И. Введение в изучение кавказских языков, 2006
35. Шанидзе А. Г., Страница из истории грузино-осетинских культурных отношений (Грузинско-осетинская книга 1823 года), 1964.
36. Шагрен А., Осетинская грамматика, 1844.

**Maia Gelashvili**  
***Georgian-Ossetian Language Relations (Georgianism in the Ossetian Language)***  
***Background***  
**Summary**

The purpose of the article is to present the results of earlier studies, including the prospects for scientific dissemination. We want to clarify the Georgian-Ossetian language relations on the basis of the obtained material received.

**Майя Гелашвили**  
***Грузино-осетинские языковые отношения (Грузинизмы в осетинском)***  
***История вопроса***  
**Резюме**

Цель статьи - представить результаты ранее проведенных исследований, в том числе перспективы научного распространения. Автор пытается прояснить грузино-осетинские языковые отношения на основе полученного материала.

**თამარ კიდურაძე**  
(საქართველო)

**ფანტასტიკა და მხატვრული ზღაპარი. ჟანრული კატეგორიზაციის საკითხი**

თეორიული დისკუსია ფანტასტიკის ჟანრის შესახებ, ევროპულ ლიტერატურათმცოდნეობაში გასული საუკუნის სამოციანი წლებიდან დაწყებული და დღემდე აქტუალური, ფანტასტიკის, როგორც მხატვრული ნარატიული ჟანრის, მომიჯნავე ჟანრებთან, უმთავრესად ზღაპართან, უფრო ზუსტად კი, მხატვრულ ზღაპართან შეპირისპირებაზეა აგებული.

პირველნი, ვინც ფანტასტიკურ თხრობით ტექსტსა და ზღაპარს შორის განსხვავების დადგენა სცადეს, ფრანგი თეორეტიკოსები, ლუი ვაქსი (7) და როჟე კაიო (1) იყვნენ. სწორედ ვაქსმა და კაიომ გამოყვეს „სასწაულებრივის“ ფენომენი. კაიოს აზრით, ზღაპარი, სასწაულებრივი, ჩვენი ყოფის მიღმა არსებული სამყაროა, ფანტასტიკური კი, პირიქით, რეალობაში გამაუცხოებელი, თითქმის აუტანელი შემოჭრაა (1, 45).

ფანტასტიკურის დეფინიცია, როგორც რეალობაში გაუცხოებული შემოჭრისა, შემდგომ ცვეტან ტოდოროვმა განავრცო თავის ნაშრომში (Tzvetan Todorov, Introduction a la litterature fantastique, 1970; 6), რომელიც დღემდე ფანტასტიკის ჟანრის ერთერთ მნიშვნელოვან თეორიულ გამოკვლევად რჩება. ტოდოროვს, მსგავსად მისი წინამორბედებისა, ვაქსისა და კაიოსი, მიაჩნდა, რომ ფანტასტიკა მხოლოდ მომიჯნავე ჟანრებთან, პირველ ყოვლისა, მხატვრულ ზღაპართან მიმართებით განიმარტება. ფანტასტიკურ თხრობას ტოდოროვი რეცეფციული ესთეტიკის პერსპექტივიდან განიხილავს და გამოყოფს იმპლიციტური მკითხველის როლს ამა თუ იმ ტექსტის ფანტასტიკის ჟანრისათვის მიკუთვნების პროცესში. ფანტასტიკური ტექსტი, ტოდოროვის თეორიის თანახმად, მკითხველს უბიძგებს, აღიქვას მოქმედ პირთა სამყარო, როგორც ცოცხალ პერსონათა სამყარო და გამოიწვიოს მკითხველის ორჭოფობა ტექსტში განვითარებული მოვლენების „ზუნებრივად“ თუ „ზეზუნებრივად“ განმარტებისას (6, 33). ტოდოროვის აზრით, თუ მკითხველი დაძლევს ორჭოფობას და ტექსტში ასახულ მოვლენებს ამა თუ იმ კატეგორიას მიაკუთვნებს, მაშინ ეს ტექსტი უკვე აღარ ეკუთვნის ფანტასტიკის ჟანრს და მომიჯნავე ჟანრში ინაცვლებს. თუ მკითხველი მოვლენებს განსაზღვრავს როგორც რეალურს, მაშინ ტექსტი „უჩვეულოს“ კატეგორიისა, თუ კი მოვლენა სხვაგვარი კანონზომიერების აღიარებით აიხსნება, მაშინ ტექსტი „სასწაულებრივის“ კატეგორიას მიეკუთვნება (6, 41-43).

ტოდოროვის თეორიის მრავალრიცხოვან კრიტიკოსთა მოსაზრებათა შორის საყურადღებოა დაგმარ გრენცის მიერ გამოთქმული აზრი, რომელიც ტოდოროვს საყვედურობს მომიჯნავე ჟანრების, კერძოდ, ზღაპრის, როგორც ხალხურის, ასევე მხატვრულის, განურჩევლად, ერთთავად „სასწაულებრივის“ კატეგორიას მიკუთვნებას (4, 39-40), აგრეთვე ფანტასტიკასა და „მხატვრულ ზღაპარს“ („Kunstmaerchen“), იგივე „რეალურ ზღაპარს“ („Wirklichkeitsmaerchen“) შორის ზედმეტად მკაცრი ზღვარის გავლენას (4, 39-40).

ფანტასტიკური მოთხრობის ერთგვარი გენეტიკური კავშირი მხატვრულ ზღაპართან, უმთავრესად გერმანულ ლიტერატურას ახასიათებს, ვინაიდან „მხატვრული ზღაპარი“, როგორც თხრობითი ფორმა, გერმანულ ლიტერატურულ ტრადიციას, უპირველესად, გერმანულ რომანტიზმსა და სახელდობრ – ე. ტ. ა. ჰოფმანს უკავშირდება. მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის გერმანულ ლიტერატურაში კი ამ ტრადიციის გამგრძელებლად მიხაელ ენდე უნდა მივიჩნიოთ. სწორედ ამ ორი ავ-

ტორის ტექსტების, ე. ტ. ა. ჰოფმანის „უცხო ბავშვის“ (E. T. A. Hoffmann, Das fremde Kind, 1817) და მიხაელ ენდეს „სურვილთა პუნშის“ (Michael Ende, Der Wunschpunsch, 1989) მაგალითზე, რეცეფციული ესთეტიკის პერსპექტივიდან, შევეცდებით ფანტასტიკურ მოთხრობასა და მხატვრულ ზღაპარს შორის ჟანრული კორელაციის დადგენას.

ფანტასტიკური ლიტერატურის ტოდოროვისეული თეორია უაღრესად საინტერესოდ განავრცო უვე დურსტმა (2), რომელიც განასხვავებს ფანტასტიკის მინიმალისტურ და მაქსიმალისტურ განმარტებას. მაქსიმალისტური თეორიით, ფანტასტიკურად მიიჩნევა ყველა ტექსტი, რომელთა ფიქციურ სამყაროში ირღვევა ბუნების კანონზომიერება, ხოლო რაც ეხება მინიმალისტურ თეორიას, აქ დურსტი, ცვეტან ტოდოროვის დარად, რეცეფციული ესთეტიკის პოზიციიდან მსჯელობს და ჟანრული კატეგორიზაციისას იმპლიციტური მკითხველის ყოყმანს მიიჩნევს გადამჭრელ ფაქტორად (2, 27, 80). დურსტი მომხრეა ფანტასტიკურის და სასწაულებრივის მკვეთრი გამიჯვნისა და ფანტასტიკურს რეალობის ორ ძირითად სისტემას, „რეგულარულს“ (R-System) და „სასწაულებრივს“ "das Wunderbare" (W-System) შორის, „არაფრის“ "Nichts" სისტემაში“ (N-System) ათავსებს. დურსტის მიხედვით, როგორც კი ტექსტი არაფრის სისტემიდან (N-System) რეგულარულ (R-System), ან სასწაულებრივ სისტემაში (W-System) გადადის, იქ თავდება ფანტასტიკური (2, 101-102).

ე. ტ. ა. ჰოფმანის „უცხო ბავშვსა“ და მიხაელ ენდეს „სურვილთა პუნშზე“ შემდგომი დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ეს ტექსტები ერთდროულად როგორც ფანტასტიკური თხრობის, ასევე მხატვრული ზღაპრის ნიმუშებად შეგვიძლია აღვიქვათ.

მიხაელ ენდეს „სურვილთა პუნს“ (1989) ე. ტ. ა. ჰოფმანის „უცხო ბავშვთან“ (1817) საუკუნენახევარზე მეტი ხანი აშორებს, მაგრამ ამ ტექსტებს, გარდა საერთო პათოსისა, რაც, ერთი მხრივ, ბუნებრიობისა და ადამიანური სიკეთის, ხოლო მეორე მხრივ, მის წინააღმდეგ მიმართული, ბოროტად გამოყენებული მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და გამდიდრების ჟინის სიავეს შორის ბრძოლა წარმოადგენს, აერთიანებთ ლიტერატურული ჟანრის სპეციფიკა, რომელიც, თუ დავესესხებით უვე დურსტის ტერმინოლოგიას, „რეგულარული რეალობის“ „სასწაულებრივ რეალობასთან“ შეთამაშებით ხასიათდება. „სურვილთა პუნში“, ისევე როგორც „უცხო ბავშვი“, მხატვრული ზღაპრის, უფრო დაზუსტებით კი, „სასწაულებრივი ზღაპრის“ ("Wundemaerchen") კატეგორიას მიეკუთვნება, კეთილი ბოლოთი, სადაც სიკეთე ბოროტებას ძლევს, მაგრამ, თუ ამ ტექსტებს რეცეფციული თვალსაზრისით განვიხილავთ, შესაძლებელია მათი „ფანტასტიკური მოთხრობის“ ჟანრით დეფინიცია. ცვეტან ტოდოროვი ფანტასტიკური მოთხრობის მთავარ მახასიათებლად მიიჩნევს უნარს, აიძულოს მკითხველი, განიხილოს მოქმედ პირთა სამყარო, როგორც ცოცხალ პერსონათა სამყარო (6, 33). ტოდოროვის ეს დეფინიცია ზუსტად ესადაგება „სურვილთა პუნშს“, ისევე როგორც „უცხო ბავშვს“. ორივე ტექსტში მოქმედ პირთა სამყარო მკითხველის მიერ აღიქმება როგორც ცოცხალ პირთა სამყარო.

მკითხველის ორჭოფობა იმის თაობაზე, თუ როგორ ახსნას ტექსტში განვითარებული მოვლენები, როგორც „ბუნებრივი“, თუ როგორც „ზებუნებრივი“, ფანტასტიკის რეცეფციულ თეორიათა ძირითადი დებულებაა (6; 2) და ამ თვალსაზრისითაც „სურვილთა პუნში“ და „უცხო ბავშვი“ ფანტასტიკური მოთხრობის კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ, ისევე, როგორც ფანტასტიკურის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფორმულა: „გამაუცხოებელი, აუტანელი შემოჭრა რეალობაში“ (1, 45) ზუსტად ესადაგება მიხაელ ენდეს „სურვილთა პუნშს“ და ე. ტ. ა. ჰოფმანის „უცხო ბავშვს“.

[მიხაელ ენდეს მოთხრობაში მოვლენები ვითარდება რეალისტურ, ურბანულ გარემოში; თუმცა ამ ჩვეულებრივ, თანამედროვე ქალაქში უჩვეულო, ზებუნებრივი ამბები ხდება, ვინაიდან ქალაქის გარეუბანში მდებარე ვილაში, სახელად „კომმარო“ (Villa Albtraum) ზებუნებრივი, ასოთხმოცდაშვიდი წლის ჯადოქარი, თანაც „ლაბორატორიის ჯადოქარი“ (Laborzauberer) სახლობს, რომელიც, თავის დეიდასთან, „ფულის კუდიანთან“ (Geldhexe) ერთად, რაც ტექსტში „ცოდნის ძალაუფლების“ (die Macht des Wissens) და ფულის ძალაუფლების ("die Macht des Geldes") შემადრწუნებელ ერთობას გამოხატავს (3, 62), ხარშავს „სურვილთა პუნშს“, რომელსაც უკუქმედების ძალა აქვს და ჩათქმულ სურვილს უკუღმა ადასრულებს, რათა ახალი წლის დადგომამდე შეასრულოს თავისი მბრძანებელი ქვესკნელის ბოროტი ძალის დავალება და სამყარო გაანადგუროს, მოწამლოს მდინარეები, გაახმოს ხეები და გამოიწვიოს ადამიანთა და ცხოველთა მომაკვდინებელი ეპიდემიები. მაგრამ სამყაროს ცხოველთა უმადლესი საბჭოს ორი შპიონი, კატა მაურიციო დი მაურო და ყვავი იაკობ კრაკელი გადაარჩენენ, რადგანაც მოხდება სასწაული და გაცოცხლება წმინდა სილიბისტროს (der heilige Silvester) ქანდაკება და კატას და ყვავს აჩუქებს ყინულის ნატეხს საახალწლო კონცერტის ოქროს პირველი ნოტიო, რომელსაც ისინი ჯადოქრების მოხარშულ პუნშში ჩააგდებენ და უკუქმედების ძალას შეაჩერებენ, კეთილი სურვილები კეთილადვე ახდება].

მიხაელ ენდეს „სურვილთა პუნშის“ თითქმის ყველა მოქმედი პირი ფანტასტიკური ფიგურაა, ჩვეულებრივ ადამიანებს ამ ტექსტში თითქმის არ ვხვდებით. მართალია, ავტორიალური მოთხრობელი ფანტასტიკური პერსონაჟების ფსიქოლოგიზაციას ახდენს, ტექსტის იმპლიციტური მკითხველი მაინც ორჭოფობს, თუ როგორ აღიქვას მოთხრობის გმირები და მასში განვითარებული მოვლენები როგორც ბუნებრივი, თუ როგორც ზებუნებრივი. ამასთანავე, წმინდა სილიბისტროს ფიგურა, რომელიც ტექსტში რელიგიურ სასწაულს ახდენს და სამყაროს გადაარჩენს, მკითხველის მიერ ერთმნიშვნელოვნად აღიქმება როგორც სასწაულმოქმედი.

ე. ტ. ა. ჰოფმანის „უცხო ბავშვში“ მოქმედი გმირები, კეთილნიც და ბოროტნიც, ორ პარალელურ სამყაროში არიან განაწილებული. აქ სიკეთე და ბოროტება პოლარიზირებულია, როგორც ეს ზოგადად ზღაპრისთვისაა დამახასიათებელი. რეალურ სამყაროში სიკეთე სოფლის ღარიბი აზნაურის, თადეუს ფონ ბრაკელის ოჯახის სახითაა წარმოდგენილი, რომელიც ბუნებრიობისა და ადამიანურობის განსახიერებაა, ხოლო ბოროტება – მისი მდიდარი და განსწავლული ნათესავებით. მეორე, ფანტასტიკურ სამყაროში კი „უცხო ბავშვს“ და მის კეთილ ფერია დედას ბოროტი ჯუჯა, იგივე „მაგისტრი მელანი“ (Magister Tinte) ებრძვის. ფანტასტიკური თხრობისათვის დამახასიათებელი ორჭოფობა ჰოფმანის ტექსტში გარკვევითაა ჩაქსოვილი, როდესაც ბავშვების დედას ეჭვი ეპარება შვილების, ტყეში „უცხო ბავშვთან“ შეხვედრის შესახებ ნამბობის რეალობაში.

ფანტასტიკის ჟანრის ერთ-ერთი მთავარი ფორმულა: რეალობაში გამაუცხოებელი, აუტანელი შეჭრა, ჰოფმანთან და ენდესთან ოდნავ განსხვავებულად იკითხება. მიხაელ ენდეს „სურვილთა პუნშში“ ფანტასტიკური ელემენტის „გამაუცხოებელი“, „აუტანელი შემოჭრა“ ტექსტის პირველივე თავში სახეზეა, როდესაც ერთი შეხედვით ჩვეულებრივი, თანამედროვე გერმანული ქალაქის გარეუბანში მცხოვრებ ლაბორატორიულ ჯადოქარს, ბელზებუბ ირვიცერს, ახალი წლის წინა დღეს ქვესკნელის ბოროტ ძალთა წარმომადგენელი ესტუმრება და სამყაროს განადგურების დავალებას შეახსენებს. ჰოფმანის „უცხო ბავშვიც“ სტუმრობით იწყება, ოღონდ აქ სავსებით რეალურ ოჯახს ასევე რეალური ნათესავი ოჯახი სტუმრობს, ხოლო ფანტასტიკური ელემენტი, როგორც „უცხო“, „უჩვეულო“ და „ზებუნებრივი“ ტექ-

სტში შემდგომ, კეთილი „უცხო ბავშვის“ და ბოროტი ჯუჯის, „მაგისტერ ტინტეს“ გამოჩენით ვითარდება.

მიუხედავად იმისა, რომ ორივე ტექსტი ფანტასტიკური თხრობის ყველა ნიშანს შეიცავს: იმპლიციტური მკითხველის ყოყმანს (6; 2), ფანტასტიკურის გამაუცხოებელ, ხშირად აუტანელ შეჭრას სინამდვილეში (1), მოქმედ გმირთა იმპლიციტური მკითხველის მიერ ცოცხლად აღქმას (6), მაინც ამ ტექსტებისათვის საერთო და დამახასიათებელი ნიშანი „სასწაულის“, „სასწაულებრივის“ ფენომენია, რომელიც, თავის მხრივ, მხატვრული ზღაპრის უანრული მახასიათებელია. მიხაელ ენდეს „სურვილთა პუნში“ სამყარო წმინდანის გაცოცხლებული ქანდაკების მიერ მოვლენილი სასწაულის მეშვეობით გადარჩება, ისევე როგორც ე. ტ. ა. ჰოფმანის „უცხო ბავშვის“ კეთილი, ზღაპრული ბოლო უცხო ბავშვის მიერ მოხდენილ სასწაულს უკავშირდება.

ამდენად, მიხაელ ენდეს „სურვილთა პუნში“, ისევე როგორც ე. ტ. ა. ჰოფმანის „უცხო ბავში“ ერთდროულად „ფანტასტიკური მოთხრობის“ და „მხატვრული ზღაპრის“ კატეგორიას შეგვიძლია მივაკუთვნოთ. ორივე ტექსტს გამოარჩევს რეალურის და ფანტასტიკურის მომხიბლავი შეთამაშება, რომელიც ლიტერატურას ზოგადად ახასიათებს და დიდწილად განაპირობებს მხატვრული ტექსტის ესთეტიკურ შთამბეჭდაობას.

#### **ლიტერატურა:**

1. Caillois R., Das Bild des Phantastischen. Vom Maerchen bis zur Science Fiction. In: Phaicon I. Almanach der phantastischen Literatur. Frankfurt am Main, 1974.
2. Durst U., Theorie der phantastischen Literatur. Tuebingen, 2001.
3. Ende M., Der satanarchaeoluegenialkohoellische Wunschpunsch, Stuttgart, 2007.
4. Grenz D., Die phantastische Erzählung in der Kinder- und Jugendliteratur. Ueberlegungen zur Bestimmung und den historischen Anfängen eines Genres. In: Informationen des Arbeitskreises fuer Jugendliteratur, Nr. 3, 1986.
5. Hoffmann E. T.A., Das fremde Kind. In: E. T. A. Hoffmann: Maerchen. Leipzig, 1983.
6. Todorov T., Einfuehrung in die fantastische Literatur. Muenchen, 1972.
7. Vax L., Die Phantastik. In: Phaicon I. Almanach der phantastischen Literatur. Frankfurt am Main, 1974.

#### **Tamar Kiguradze**

#### ***Fantasy and Literary Fairy Tale. On the Categorization of Genre***

#### **Summary**

The theoretical discussion about the difference between the narrative genres of fantasy and literary fairy tale, which started in the 60s of the last century, is still actual nowadays.

The modern German fantastic story is genetically close to the literary fairy tale of the German romanticism, especially to the tales by E. T. A. Hoffmann. Analyzing the texts of "Das fremde Kind" (1817) by E. T. A. Hoffmann and "Der Wunschpunsch" (1989) by Michael Ende, we try to demonstrate the possibility of categorization of these texts both to the genres of fantastic story and literary fairy tale.



**Тамара Кигурадзе**

***Фантастическая повесть и художественная сказка. Вопрос жанровой категоризации***

**Резюме**

Литературоведческая дискуссия относительно жанровой дифференциации между фантастическим повествованием и художественной сказкой, возникшая в 60-ых годах прошлого столетия, актуальна и по сей день.

Современная немецкая фантастическая литература проявляет генетическую связь с художественной сказкой немецкого романтизма. Исследуя повесть Михаэля Эндре: «Волшебный пунш» (1989) и сказку Э. Т. А. Гофмана «Чужой ребенок» (1817), стараемся доказать возможность категоризации этих текстов одновременно в жанре «фантастической повести» и «художественной сказки».

**ეკა ფხალაძე**  
(საქართველო)

**ჯემალ ქარჩხაძის ნარატივის სუბიექტივისტური დისკურსი**

ძველ ქართულ მწერლობაში სამოქალაქო-ისტორიული თხზულებების აღმნიშვნელად „ცხოვრება“ იხმარებოდა. სიტყვა „ცხოვრება“ ქართულში ერთხანს საისტორიო თხზულებათა საზოგადო სახელი იყო და „ისტორიას“ ნიშნავდა.

ივანე ამირხანაშვილი ამგვარ დეფინიციას აყალიბებს: ადამიანი თავისი დროის, თავისი „სიცოცხლის ისტორიის“ განმავლობაში ჩართულია იმ პროცესებში, რომლებიც ქმნიან მის თანამედროვე ისტორიას, მაგრამ ყოველივე ეს ისტორიად იქცევა მაშინ, როცა იგი ტოვებს თავის დრო-სივრცეს და მის ნაცვლად მოდის სხვა თაობა და სხვა დრო-სივრცე.

წერილში „სათაურის სემიოტიკა ქართულ ისტორიულ ნარატივში“ გია ჯოხაძე აღნიშნავს, რომ თანამედროვე ისტორია წარსულის ერთ მთლიანობად წარმოსახვას ცდილობს და ამ პროცესში ნარატივი მოვლენათა აღწერის მთავარ საშუალებად მიაჩნია.

„ნარატივი შეიცავს წარსულის მოდელების ერთიანობასა და მეტაფორულ განცხადებებს ისტორიის ამ ტიპებისა და მოდელების მსგავსებაზე; მათი მეშვეობით ადამიანები თავიანთ ცხოვრებისეულ მოვლენებს უკავშირებენ საკუთარი კულტურის სტრუქტურებსა და მნიშვნელობებს. (...) თუ ტრადიციული ფორმის ისტორია ძეგლის დოკუმენტად გადაქცევა, XX საუკუნის ისტორიამ დოკუმენტის ძეგლად გარდასახვის ფუნქცია იკისრა. ეს სემიოტიკის ბრალია. ისტორიულმა ნარატივმა დაკარგა ჭეშმარიტად ფაქტობრივი წყაროს მნიშვნელობა. სამაგიეროდ, რადგან ისტორია თხრობის ხელოვნებას დაუკავშირა, პოეტიკისა და რიტორიკის გამონაგონი და ისტორია ერთი კლასის ფენომენებად გამოცხადდა. ამ დებულების პოპულარიზებამ ისტორია და ლიტერატურა დაუკავშირა ერთმანეთს“ (4).

როცა პოსტმოდერნიზმმა თავისი დადებითი თუ უარყოფითი მხრებით დაიპყრო ქართული სალიტერატურო სივრცე და ეპოქა, მაინც აშკარად გამოიკვეთა, რომ 90-იანელთა პროზის საბჭოური კულტურის დიქტატიდან გათავისუფლება ყველაზე დიდი მოვლენა იყო სხვა დანარჩენთან შეფარდებით. „ყურადღება ადამიანის ყოველდღიურ სოციალურ და სულიერ პრობლემებზე გამახვილდა. თანამედროვე მწელობა კლიშეებისგან გათავისუფლდა“ (5, 20).

ცოტა ხნის წინ იყო დრო უწიგნობის, ძნელად შოვნის, ბუკინისტების იმ ხალხის, საკუთარ ოთახში მოგროვილ „ნაშთს ძველი დიდებისას“ თავს დამდგარი რომ გხვდებოდა და გაუთავებლად „ხოტბავდა დოვლათს“. მაგრამ „დგებოდა, დადგა კიდევ ახალი დროება, რომელმაც სრულიად ახალი ურთიერთობანი მოიტანა კლიენტსა და ბუკინისტს შორის, წიგნსა და პატრონს შორის“. თითქოს მკითხველი-მადიებლის, წიგნზე მონადირე მკითხველის დრო წავიდა... (6, 1).

მალე ეს დრო წიგნის მასობრივად გავრცელების ეპოქამ შეცვალა და მკითხველის სანტერესო კატეგორიაც გამოიკვეთა: მკითხველი – სკეპტიკოსი, მკითხველი – მეტოქე. როცა ჯემალ ქარჩხაძის მოთხრობებს ვკითხულობთ, ჩნდება აზრი, რომ წერის დროს მას თვალწინ სწორედ ასეთი მკითხველი უდგას და, რაც მთავარია, კარგად არის დაუფლებული მასთან იღუმალი ბრძოლის ილეთებს“ (7, 17).

თუ გავითვალისწინებთ, რომ ჯემალ ქარჩხაძემ მხოლოდ 62 წელი იცოცხლა და 1962 წელს გამოაქვეყნა თავისი პირველი მოთხრობა, მან ოთხ ათეულ წელზე ნაკლები იმუშავა თავისი ნაწარმოებების შესაქმნელად (ოცდაათამდე მოთხრობა, 6 რომანი, ერთი პიესა და პუბლიცისტიკა).

მიხო მოსულიშვილთან ინტერვიუში ქარჩხაძე შეეხო ორ მნიშვნელოვან საკითხს – მწერლის ნიჭიერებასა და მისდამი მთავარ მოთხოვნას: ნიჭი იმ ფურცლის ცალი გვერდია, რომლის მეორე გვერდი ბიოლოგიური სიცოცხლეა. ნიჭი არის ადამიანის თვითრეალიზაციის ძალა, თვითრეალიზაციის გარეშე კი ღმერთისკენ მიმავალი გზა ჩაკეტილია.

საკუთარი ნარატივის ანალიზისას „შემოქმედების კანონში“ მწერალი იმაზე ამახვილებს ყურადღებას, რომ არც იცის, რომელი ლიტერატურული ტრადიციის გამგრძელებელია, სულიერ ნათესაობას კი ყველაზე მეტად ბარათაშვილთან გრძნობს (ზემოქმული ადასტურებს ქარჩხაძისეულ ნარატივში სუბიექტივისტური დისკურსის პრევალირებას).

მისი შემოქმედებითი მოღვაწეობა მეტად რთულ და კრიტიკულ დროს დაემთხვა. როგორც კაღმის ნამდვილმა ოსტატმა, ისტორიული მოვლენები ფრთხილად და მოზომილად გააცოცხლა თავის ნაწარმოებებში. ცნობილია, რომ ერის თვითმყოფადობა და წინსვლა მის კულტურულ და ისტორიულ განვითარებაზე დამოკიდებული. ქვეყნის შიდა პოლიტიკა, სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობა, კულტურათა გაცვლა ხშირად განსაზღვრავს ხელოვნებაში მიმდინარე პროცესებს.

როდესაც კულტურულ განვითარებაზე ვსაუბრობთ, მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ ქვეყნის წარსული, აწმყო და მომავალი, რომელიც ერთიან უწყვეტ ჯაჭვს ქმნის და რომელსაც მწერალი გვერდს ვერ აუვლის. სწორედ ამ ფონზე მრავალფეროვანი თხრობითი დისკურსის თვალსაზრისითაა გამორჩეული ჯემალ ქარჩხაძის შემოქმედება.

მხოლოდ პიროვნულობაა ხსნა წარმავლობის მტანჯველი განცდისგან. „ამაოება ამაოთა“ დაძლევა სიზიფეს შრომას ჰგავს. როგორც ალბერ კამიუ წერს, იმ წამის სიხარული, როდესაც სიზიფე მწვერვალზე დგას, ყოველგვარ ტანჯვას გადაწონის. იგიმაც ააფორთხილა თავისი წილი ცხოვრების ლოდი მწვერვალზე და იქ დგომის, იმ წამის შეგრძნება, რომ უკან რჩება „მოწაფე“, რომელიც საბოლოოდ უეჭველად გათავისუფლდება უპიროვნობის ტყვეობისაგან (იგის გაკვალული გზით...), ღირდა იმად, რომ იგის უკანასკნელ წამს უხმოდ ეთქვა სხეულში: „იგისგან სწორედ ის დარჩა, რაც იგიში იგი იყო“.

ეს იყო იდეა თავისუფლებისა! პიროვნებად ქცევისა!

მოთხრობაში „ანტონიო და დავითი“ გმირის ცხოვრების ყოველი ეპიზოდი იმგვარადაა შერჩეული, რომ მაქსიმალური დრამატიზმით წარმოჩნდეს სულისა და ხორცის ჭიდილი, პიროვნული ხსნის გზის პოვნა თუ სხვისი სულის გზამკვლევად ქცევის მცდელობა. თუმცა ანტონიო ახლობელთა დახმარებით გადაურჩება დასჯას, მაგრამ სინდისი სტანჯავს, რადგან მისი სამი მეგობარი ჩამოახრჩვეს.

ამიტომაც, როდესაც კვლავ დადგება იმგვარივე საფრთხის წინაშე და ახლა მის მიერ „მოქცეული“ დავითი დაუპირებს გადარჩენას, მისჯილ საწამლავს დაღვეს და ამგვარად გამოისყიდის ადრე დაშვებულ შეცდომას.

მწერალი ანტონიოსა და დავითის სახით ერთმანეთს ორ დიდ, ტოლფარდ ძალას შეახვედრებს, ოღონდ ერთი სიკეთეა, მეორე – ბოროტება. კვლავაც გადათამაშდება პარადიგმად ქცეული „ბოროტსა სძლია კეთილმან“, ოღონდ – ოღნავ განსხვავებულად. ბოროტი არ კვდება, ის სიკეთედ იქცევა და სინათლის სამსახურში დგება. ეს მეტყველებს მწერლის ჰუმანიზმზე, მას სჯეროდა დაცემული ადამიანის აღდგენისა და სწორედ ამ რწმენას გამოხატავდა ამ მოთხრობითაც – ტოტალიტარულ სახელმწიფოში.

საუკუნის მიღწევებმა და ტექნიკურმა პროგრესმა უფრო დააჩქარა ცხოვრების რიტმი, შეიცვალა საზოგადოების შეხედულებები, ღირებულებები, მაგრამ, მიუხე-

დავად ამისა, მარადიული თემები და კითხვები დღესაც ისევე აღელვებს საზოგადოებას, როგორც ადრეულ ეპოქებში.

ერთი ასეთი პრობლემა ადამიანის სულის გადარჩენაა. და სწორედ სულიერები შენარჩუნებას, კაცობის გააზრება-გაცნობიერებას, ადამიანად ყოფნის დანიშნულებას ეხება ჯემალ ქარხაძის შემოქმედების დიდი ნაწილი.

მისი პერსონაჟები პიროვნებები არიან: იგი ადის დიდი დაძინების ქარაფზე, თუმცა ამ ნაბიჯის არ ეშინია; მღვდელი თევდორე საშიშროების აღქმისთანავე იღებს გადაწყვეტილებას, რომლის გარდაუვალი სასრული სასჯელია, თუმცა მას სიკვდილის არ ეშინია... ზებულონის ოკრობოკრო გზად ქცეული ცხოვრებაც პიროვნებად ჩამოყალიბების მცდელობის მაგალითებად ამოიკრიბებოდა...

ფოლკნერი წერდა: „მწერლობის დანიშნულებაა, შეეწიოს ადამიანს, გული გაუმაგროს, კვლავაც მოაგონებდეს სიმამაცეს, პატიოსნებას, იმედს, სიამაყეს, თანაგრძნობას, ღმობიერებას, თავგანწირვას... მწერლის ხმა უსარგებლოდ არ უნდა იხარჯებოდეს, საყრდენად, ბურჯად უნდა ედგეს ადამიანს, შეშველოს და გააძლეს ბინოს“.

ჯემალ ქარხაძე მოთხრობაში „რაჰათ-ლუსუმი“, რა თქმა უნდა, თანამედროვეობას ეხმიანება, სხვადასხვა დიალოგში ის დაუფარავად საუბრობდა საქართველოს კრიზისულ „ზნეობრივ ეკოლოგიაზე“.

„ჯემალ ქარხაძის აზრით, სტილური ძიებები, რომელიც ტოტალიტარიზმის დაუძინებელ მტერს – ინდივიდუალობას ავლენდა, ცხადია, კრიტიკის მიერ, იმთავითვე ადეკვატურად ვერ იქნებოდა აღქმული. კრიტიკასთან შედარებით მწერლობას გარკვეული უპირატესობა გააჩნდა, ეს იყო მისი იგავურობა, რომელიც მისვე გადარჩენის სფუძველს ქმნიდა“ (8, 394).

მწერალი თავადაც ხსნის საკუთარი სუბიექტივისტური დისკურსის არსს: „მე ჩემი ბუნებით, როგორც ჩანს, მორალისტი ვარ და ამას არაფერი ეშველება. ადამიანმა თუ საკუთარი ბუნების შეცვლა არ მოიწადინა, მისი ბოლო სიყალბე იქნება – ყველაზე უარესი რამ, რაც შეიძლება შემოქმედს სჭირდეს“.

„ერთი მხრივ, ქარხაძის პროზა თითქოს ტრადიციული წესით მიმდინარეობს, მაგრამ, მეორე მხრივ, მკვეთრად ინდივიდუალური და თავისთავადია...“ (9, 356).

მწერალი ხშირად უცხო თვალთ აკვირდება ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს და დასკვნები ისე გამოაქვს. შემოქმედის მოვალეობა სწორედ ესაა: დასვას კითხვები და ნაწილობრივ გასცეს მათ პასუხი, საბოლოო დასკვნების გამოტანა კი მკითხველს მიანდოს.

მაშინაა მწერალი დიდი და საინტერესო!

### **ლიტერატურა:**

1. ქარხაძე ჯ., ანტონიო და დავითი, თბ., 1987.
2. ქარხაძე ჯ., ზებულონი, თბ., 2012.
3. ქარხაძე ჯ., რაჰათ-ლუსუმი, თბ., 1987.
4. ჯოხაძე გ., ჟურნალი „სემიოტიკა“, 2012, 21. 04.
5. მირცხულავა ლ., პოსტმოდერნიზმი ეპოქათა ზღვარზე, თბ., 2011.
6. კიკნაძე ზ., არილი, ბუკინისტი, 2002, №2.
7. ბრეგაძე ლ., მოთხრობები ლიტერატურაზე, თბ., 2008.
8. კუპრეიშვილი ნ., სიტყვის დეგუსტაცია, თბ., 2013.
9. ტურავა მ., გარღვეული ლაბირინთი, თბ., 2015.

**Eka Pkhaladze**  
***Subjective Discourse of Jemal Karchkhadze's Narrative***

**Summary**

The article reviews the interrelation between history and literature or different background in Jemal Karchkhadze's narrative. The article provides conclusion based on the opinion of the authoritative researchers on diversity of Jemal Karchkhadze's subjective discourse. The author and his inner world are beyond the character's name; the road to personal freedom is always individual.

**Эка Пхаладзе**  
***Субъективный дискурс повествования Джемала Карчхадзе***

**Резюме**

В статье анализируется история истории и литературы на разных дивергентных предпосылках. Выдержки из мнений авторитетных ученых о многообразии субъективного дискурса Джемала Карчхадзе свидетельствует о том, что автор и его внутренний мир находятся за пределами имени персонажа, путь к личной свободе всегда индивидуален.

**მარინა დევაძე**  
(საქართველო)

**გენდერული ფაქტორის გავლენა კომუნიკაციაზე და მისი შესწავლა  
მხატვრული თარგმნის ასპექტში**

მხატვრული თარგმანის განვითარება მიმდინარეობს ურთიერთდაპირისპირებული პრინციპების ინტენსიური შეჯახებით, როგორებიცაა: სათარგმნი ტექსტის ერთგულება და თავისუფლება, ორიგინალთან მიახლოებული თარგმანი და ბუნებრიობის შენახუნება და ზოგჯერ პირიქით, დაშორებაც კი. თუმცა მკითხველი განიხილავს ორივეს, როგორც ორიგინალს, ისე თარგმნილ ლიტერატურას (2, 396).

მომავალი მთარგმნელებისთვის მხატვრული თარგმანის შესწავლის პროცესში მნიშვნელოვანია ორიენტაცია გააკეთონ არა მხოლოდ ინფორმაციაზე, რომელიც წარმოდგენილია მოცემულ სტატიაში, არამედ გამოიყენონ თავიანთი გამოცდილება, ცოდნა, მათში განვითარებული ფონური ცოდნა, ცხოვრებისეული ასოციაციები, შეხედულებები და მოსაზრებები.

თარგმანი ხასიათდება როგორც ორი პოლარული სივრცე, რადგანაც მთარგმნელს გადაწყვეტილების მიღება ყოველთვის უხდება ორი ენისა და კულტურის პოლუსებს შორის. თარგმანის ტექსტი კი არის „ბიკულტურული“. გარკვეულწილად ადაპტაციების გამოყენება რეციპიენტის კულტურის გავლით მაინც ვერ გაარღვევს ორიგინალი ტექსტის კულტურულ თავისებურებებს. წინააღმდეგ შემთხვევაში თარგმნისას თავს იჩენს ინგლისური ან რუსული ტექსტების გაქართულების საშიშროება. ამიტომ მთარგმნელი ხშირად მიდის კომპრომისებზე. თარგმანის პროცესი ეს არის ძიება, რომელიც დაკავშირებულია შესაძლო ვარიანტების არჩევანთან. აღნიშნული არჩევანის განსახორციელებლად, მთარგმნელი მუდმივად იყენებს საკუთარ ლინგვისტურ და კოგნიტურ ცოდნას, გარდა ამისა, იგი ითვალისწინებს მომავალი მკითხველის ლინგვისტურ და კოგნიტურ ცოდნას, რომელიც ასახავს მათი კულტურის თავისებურებებს. თარგმნისას გენდერული ფაქტორის გათვალისწინებლობის შემთხვევაში შეიძლება მივიღოთ უსიამოვნო შედეგი, ამიტომ სანამ გენდერული ფაქტორის გამოყენებაზე უარს ვიტყვით, უნდა გავითვალისწინოთ თარგმანის ენის კულტურული თავისებურებები, რომლებიც მისაღებია მოცემული ენის მატარებელთათვის. ერთადერთ მისაღებ „უნაკლო“ თარგმანად შეიძლება ჩაითვალოს:

- თარგმანი, რომელშიც მთარგმნელი არის თანაავტორი და შეიძლება გამოხატოს საკუთარი თავი თარგმანში;
- რომელიც არ უგულებელყოფს კონტექსტს (ფართო გაგებით, ითვალისწინებს სათარგმნი ენის გენდერულ და კულტუროლოგიურ თავისებურებებს);
- რომელსაც აქვს შესაძლებლობა გახდეს ორიგინალი ენობრივ, მხატვრულ და კულტურულ საფუძველზე (7, 303).

ცნება „გენდერი“ უკვე დიდი ხანია გასცდა გრამატიკის ჩარჩოებს. ეს მოვლენა ფართოდ განიხილება როგორც სოციალურ-კულტურული და დისკურსული ფსიქო-ლინგვისტური მოვლენა. დღესდღეობით გენდერი ეს არ არის უბრალოდ სქესის კატეგორია, არამედ ის ბაზური ასოციაციების კომპლექსია, რომელიც ასოციაციების ორიგინალთან სინთეზში შემოქმედებითი პროცესის სტიმულირებას ახდენს (5, 180; 6, 47-80).

თარგმანის ლინგვისტიკაში ერთ-ერთი ცენტრალური კვლევის მეთოდს წყარო და ნათარგმნი ტექსტის შედარებითი ანალიზი წარმოადგენს. ჩვენ განვიხილეთ ინგლისელი მწერლის ჰელენ ფილდინგის ნაწარმოებიდან „ბრიჯიტ ჯონსის დღიური“ რამდენიმე მაგალითი, გენდერულად მარკირებული ლექსიკური ერთეულები

უწვევტი შერჩევის მეთოდის გამოყენებით ენის სამ დონეზე, ესენია: მორფოლოგიური, ლექსიკური და სინტაქსური.

მორფოლოგიური დონეზე გენდერული მახასიათებლები ერთგვარად გამოიხატება სქესის კატეგორიაში. თანამედროვე ინგლისურ ენაში, რომელსაც აქვს ანალიტიკური სისტემა, სქესი ვლინდება მხოლოდ ლექსიკურ კატეგორიაში და არ აქვს ფორმალური გამოხატვა. ამა თუ იმ საგნის სქესის გარჩევა შესაძლებელია მესამე პირის მხოლოდითი რიცხვის ნაცვალსახელის გამოყენებით შესაბამისი კორელაციის მიხედვით, რისი გარჩევაც ქართულ ენაში არ ხდება (she, he, it). ასევე სქესის კატეგორია ვლინდება კონტექსტიდან გამომდინარე, რაც ქართულ ენაში პრობლემას წარმოადგენს. გენდერულად მარკირებული ერთეულების მთავარი მიზანი მორფოლოგიურ დონეზე ხდება ტექსტიდან გამომდინარე, ე.ი. ორიგინალის ტექსტში ამ მიზანს ემსახურება კონტექსტი, ხოლო თარგმანის ტექსტში – გრამატიკული სქესის კატეგორია:

"... She started saying she wanted to be paid for doing the housework, and she'd wasted her life being our slave".

„... მოთხოვნები წამოიყენა, მინდა დიასახლისობისთვის ხელფასი გადამიხადო, მთელი ცხოვრება თქვენს მონობას შევადიო“.

ამ შემთხვევაში სინტაქსური ასიმილაცია გვაძლევს საშუალებას, განვმარტოთ თარგმანის ტექსტში, რომ საუბარია ქალზე, გენდერული თვისებების გამოვლენა მორფოლოგიურ დონეზე არ გულისხმობს დიდი რაოდენობით ტრანსფორმაციების გამოყენებას. მათი გამოყენება არ იწვევს ორიგინალი ტექსტის რადიკალურ ცვლილებას.

ლექსიკურ დონეზე გენდერული თავისებურებანი, თავს ნათლად იჩენს, რადგანაც ჰ. ფილდინგის რომანის „ბრიჯიტ ჯონსის დღიურის“ გმირების აღწერა, მათი ქცევა, მანერები და ა.შ. ეს არის გენდერული ნიშნების გამოვლინების ძირითადი წყარო. პირველ რიგში, გენდერი ვლინდება სქესის შესაბამისად ნაცვალსახელების გამოყენებით. ნაცვალსახელი განკუთვნილია გენდერის გამოსახატავად ენაში, რომელიც აღნიშნულთან ერთად ასრულებს სხვა ფუნქციებსაც, როგორცაა: სახელის ჩანაცვლება და ა.შ. პირის, კუთვნილებითი და უკუქცევითი ნაცვალსახელები, ისევე როგორც ერთეულები მორფოლოგიურ დონეზე, არის გენდერის ფორმალური მანვენებლები და ემსახურებიან ტექსტში შინაარსის სრული სიცხადით შემოტანას:

"I had a career [...] I was a grasshopper collecting a big pile of grass, or flies [...] ready for winter, even if I didn't have a boyfriend".

„... კარიერა ხომ მქონდა... მე ის ჭრიჭინა ვიყავი, რომელიც ზამთრისთვის ბალახის დიდ კონებს ან ბუზებს ვიმარაგებდი, დიდი ამბავი თუ მეგობარი მამაკაცი არ მყავდა“.

ზემოთ აღნიშნულ მაგალითში ავტორი იყენებს ლექსიკურ ტრანსფორმაციას უზუსტობის თავის აცილების მიზნით. რაც იმას ნიშნავს, რომ ეს არ დააზარალებს ტექსტის შინაარსს ქართული ენისთვის, ამიტომ იგი იყენებს დამატებას ფრაზით „დიდი ამბავი“.

"singlewomen do tend to get desperate as they get older..."

„... მარტოხელა ქალებს ასაკის მატებასთან ერთად სასოწარკვეთილებაში ჩაყარდნა სწევიათ“.

თარჯიმანი ამ შემთხვევაში იყენებს ლექსიკურ ტრანსფორმაციას და სინტაქსურ ასიმილაციას. აქედან ნათელი ხდება ქალების ემოციური მდგომარეობის შესახებ.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ლექსიკა, თავისი ფემინისტური და მასკულინური ელფერით, რომელიც დამახასიათებელია ქალებისა და მამაკაცების, ასევე მათი ქცევისა და მდგომარეობის აღწერისას საზოგადოებაში.

ამდენად, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ გენდერული კვლევა ერთ-ერთი ცენტრალურ საკითხს წარმოადგენს თანამედროვე ლინგვისტურ, სოციოლოგიურ და კულტურულ კვლევებში, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მთარგმნელობითი კომპეტენციის ფორმირების ფარგლებში მხატვრული თარგმანის სწავლებისას გენდერული ასპექტები უფრო მნიშვნელოვანი ხდება. ასევე ხაზი გავუსვათ და ერთმანეთისგან გაგმიჯნოთ შემდეგი ცნებები: გენდერი – რომელიც, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენს სოციო-კულტურულ ცნებას, გრამატიკული სქესი – რომელიც წარმოადგენს ექსკლუზიურად ლინგვისტურ გაგებას და სქესი – რომელიც წარმოადგენს ადამიანის ფიზიოლოგიურ და ანატომიურ მახასიათებელს.

#### **ლიტერატურა:**

1. ფილდინგი ჰ., ბრიჯეტ ჯონსის დღიური, 2008.
2. Ананиашвили Э. О., Сущности искусства художественного перевода, М., 1992.
3. Бурукина О. А., Личность переводчика в контексте гендерных исследований // Гендер: язык, культура, коммуникация, М., 1999.
4. Горошко Е. И., Особенности мужского и женского стиля речи. Преображение, М., 1998.
5. Кирилина А. В., Гендер: Лингвистические аспекты, М., 1999.
6. Кирилина А. В., Гендерные аспекты массовой коммуникации // Гендер как интрига познания. Сб. Статей, М., 2000.
7. Федоров А. В., Основы общей теории перевода. Учеб. Пособие, М., 1983.
8. Fielding h., Bridget Jones's Diary. London, Picador, 1996.

**Marina Devadze**

#### ***Gender Factor Impact on Communication and Its Studying the Aspect of the Literary Translation***

##### **Summary**

The article deals with the notion of gender, its realization in different spheres of the language and means of rendering gender peculiarities in literary translation. The study of gender is one of the central issues in the modern sciences of language and society. Its significance for the purpose of forming translator's competences is increasing in the context of cultural intercourse. This fact presents a new challenge for teaching literary translation.

**Марина Девадзе**

#### ***Влияние гендерного фактора на общение и его изучение в аспекте художественного перевода***

##### **Резюме**

В статье рассматривается понятие гендера, его реализация в различной сфере языка и способы учета гендерных особенностей в художественном переводе. Изучение гендера является одним из центральных вопросов современных наук о языке, обществе и его значимости с целью формирования компетенции переводчика увеличивается в контексте культурного общения. Этот факт представляет собой новый вызов для преподавания художественного перевода.



**Борис Кварацхелия**  
(Грузия)

**ИЗ ИСТОРИИ КУЛЬТУРНЫХ СВЯЗЕЙ ГРУЗИНСКОГО И АЗЕРБАЙДЖАНСКОГО  
НАРОДОВ В 20-30-е ГОДЫ XX СТОЛЕТИЯ**

Исторический опыт учит, что народы всегда стремились к взаимному духовному сближению. Культура любой нации не может быть полноценной, если она не опирается на достижения других народов. Обособление и отчуждение ведут национальные культуры к утрате многих творческих импульсов, в то время как межнациональное общение создает благоприятные условия для их всестороннего расцвета и сближения.

Стоящие на разных уровнях экономического и культурного развития нации не могут успешно сотрудничать между собой в сфере духовной жизни. Влияние взаимно, когда вследствие сходства общественного быта, а, следовательно, и культурного развития каждый из двух обменивающихся народов может что-нибудь заимствовать у другого.

სასამართლო პრაქტიკა: უზენაესმა სასამართლომ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა დივიდენდის სამართლებრივი ბუნების შესახებ (საქმე №ას-1328-1170-2010). აღნიშნული სამოქალაქო საქმე ეხებოდა ნ. ს-შვილის სარჩელს, რომლითაც იგი მოითხოვდა მოპასუხე შპს „თ-ისათვის“ მის სასარგებლოდ 2004-2005 წლების მიუღებელი დივიდენდის თანხის დაკისრებას. საკასაციო სასამართლომ აღინიშნა, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში სამეურნეო წლის ბოლოს საზოგადოების მოგების ნაწილის მოთხოვნის (დივიდენდის მოთხოვნის) უფლების წარმოშობა აუცილებლად საჭიროებდა პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებას. ამდენად, მოსარჩელეს დივიდენდის მოთხოვნის უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებოდა, თუ დამტკიცდებოდა, რომ მოპასუხე საზოგადოებაში პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით საწარმოს წლიური მოგება გადანაწილდა დივიდენდების სახით. ასეთი კრების ჩატარების ფაქტზე ვერც მოსარჩელე უთითებდა და არც მოპასუხე ადასტურებდა მის არსებობას. სარჩელი ეფუძნებოდა ასევე იმ გარემოებას, რომ სადავო პერიოდის დივიდენდზე მოსარჩელის მოთხოვნის უფლება წილზე საკუთრების უფლებისაგან დამოუკიდებელი უფლება იყო და მისი განკარგვა შეიძლებოდა წილზე საკუთრების უფლებისაგან დამოუკიდებლად. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელის აღნიშნული მსჯელობა მართებული იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ სადავო პერიოდის დივიდენდზე მოსარჩელეს მოთხოვნის უფლება ექნებოდა. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელეს გააჩნდა ზოგადად დივიდენდის მიღებისა და არა დივიდენდის მოთხოვნის უფლება. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ დივიდენდის მიღების უფლება განუყრელად იყო დაკავშირებული პარტნიორად ყოფნასთან და მისი სხვა პირისათვის გადაცემა წილისაგან დამოუკიდებლად

არ დაიშვებოდა. ამ უფლების გადაცემა შესაძლებელი იყო მხოლოდ წილთან ერთად, ამიტომ წილის დათმობით ამ უფლების დათმობაც ხდებოდა. სხვა საკითხი იყო დივიდენდის მოთხოვნის უფლების გადაცემა, ამ შემთხვევაში პარტნიორი საზოგადოების კრედიტორს წარმოადგენდა და მას, როგორც კრედიტორს, უფლება ჰქონდა თავისი მოთხოვნა დივიდენდზე სხვა პირისათვის დაეთმო. დივიდენდის მოთხოვნის უფლება დამოუკიდებელ უფლებას წარმოადგენდა და წილის გადაცემის შემთხვევაში ავტომატურად არ გადადიოდა წილის მიმღებზე, თუ ეს სპეციალურად არ იქნებოდა აღნიშნული წილის დათმობის ხელშეკრულებაში (12).

სამოქალაქო კოდექსის 173-ე მუხლის თანახმად, საერთო საკუთრებასთან დაკავშირებულ საერთო (თანაზიარი და წილადი) საკუთრება წარმოიშობა კანონის ძალით ან გარიგების საფუძველზე (6. 1). „საერთო საკუთრებაში წილი განიმარტება, როგორც თანამონაწილეობის გამომხატველი კატეგორია, რომლის პროპორციულად განისაზღვრება საერთო საკუთრებაში არსებულ ქონებაზე გასაწევი ხარჯებისა და მისაღები მოგების ოდენობა. წილის განსაზღვრის საკითხი მეტად მნიშვნელოვანია საზიარო ქონების მართვის დროს. მასზე მრავალი პრობლემატური სამართლებრივი საკითხის გადაწყვეტაა დამოკიდებული, მაგალითად, საერთო საკუთრების ობიექტიდან მიღებული ნაყოფის კუთვნილების საკითხი; საერთო საკუთრების ობიექტის მოვლაში მონაწილეობის საკითხი; წილის ნატურით გამოყოფის შესაძლებლობა; საერთო საკუთრების შეწყვეტის ან გაუქმების შემთხვევაში წილის კომპენსაციის საკითხი“.

საერთო საკუთრებაში არსებული ნივთის მოვლისა და შენახვის ხარჯები თანამესაკუთრებს ეკისრებათ თანაბრად, თუ კანონით ან ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული (6. 3)... 954-ე მუხლი „მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავის გადაჭრის კანონმდებლობით დადგენილი ალტერნატივაა და კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს სკ-ით დადგენილ მხარეთა ავტონომიურობის პრინციპს – მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები კანონმდებლობით რეგულირდება“ (13).

„წილადი საკუთრების თითოეულ თანამესაკუთრეს ეკუთვნის განსაზღვრული წილი საერთო საკუთრებაში, რომლის განკარგვაც მას შეუძლია. თანაზიარი საკუთრებისას თითოეული მესაკუთრის უფლება ვრცელდება მთელ ქონებაზე. თუ წილადი საკუთრებისას მესაკუთრის წილი ქონებაში წინასწარაა ცნობილი, იდეალური წილის სახით თანასაკუთრებისას ეს წილი კონკრეტულად განისაზღვრება ქონების გაყოფის შემთხვევაში, მანამდე ივარაუდება, რომ ყველას წილი თანაბარია“ (14). „წილის სახეებად დაყოფა დამოკიდებულია მასზე, თუ რა თვისების მქონე ნივთზე მოიპოვებს თანამესაკუთრე წილობრივი საკუთრების უფლებას, საერთო საკუთრების ობიექტი შეიძლება იყოს გაყოფადი თუ გაუყოფადი ქონება. შესაბამისად, თანამესაკუთრეს საერთო საკუთრების ობიექტზე შეიძლება გააჩნდეს: წილი ნივთში (რეალური წილი); წილი ქონების ღირებულებასა ან/და უფლებაში“. იდეალური წილი შეიძლება საერთო საკუთრებაში არსებობდეს როცა დოკუმენტურად ან კიდევ მხარეთა შეთანხმებითაა განსაზღვრული წილი. „შეიძლება ითქვას, რომ მოძრავ ქონებაში, ისევე როგორც არამატერიალური ქონებრივი სიკეთის შემთხვევაში, წილი, ქონების თვისებიდან გამომდინარე, ყოველთვის იდეალურია“ (15).

სადღეისოდ უკვე არსებობს იმის რეალური საშუალება, რომ საკადასტრო ნახაზებით განისაზღვროს მხარეთა რეალური წილი, მაგრამ ხდება ისეც, რომ მოდავე მხარეებს როდი აკმაყოფილებთ ასეთი წესით განსაზღვრა რეალური წილისა და ხშირად მიმართავენ სასამართლოს, მაგრამ როგორც სასამართლო პრაქტიკის ანალიზმა აჩვენა სამწუხაროდ ზოგჯერ არ ხდება წილის ნატურით გამოყოფა სასამართლოს უარის გამო და არ გამოიყენება სსკ-ის 963-ე მუხლი, რომლის თანახ-

მად, საზიარო უფლება უქმდება ნატურით გაყოფისას, თუ საზიარო საგანი შეიძლება დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად, ღირებულების შემცირების გარეშე; თანაბარი წილების განაწილება მონაწილეთა შორის ხდება კენჭისყრით. სასამართლო არ არკვევს, არის თუ არა ტექნიკურად შესაძლებელი წილის ნატურით გამოყოფა (16). „თუმცა უნდა ითქვას, რომ მოდავე მხარეების დარწმუნება, ერთი სახურავის ქვეშ არსებული ფართი არ შეიძლება იყოს ცალკე უფლების ობიექტი, რთულია“ (17).

### **13. საერთო საკუთრებისა და საზიარო უფლების ობიექტთან დაკავშირებული დავების გადაწყვეტის თავისებურებანი**

ერთ-ერთი აქტუალური პრობლემა, რომელიც თან სდევს ხოლმე საზიარო საგნის საკუთრებასა და მართვასა, ეს არის საერთო საკუთრებიდან წილის გამოყოფის საკითხი, რომელიც არაერგზის გამხდარა სასამართლოების მსჯელობის საგანი.

ზოგადად, „საერთო საკუთრების სარგებლობა და განკარგვა ხორციელდება კანონით დადგენილი წესით თანამესაკუთრეთა ურთიერთშეთანხმებით. ასე, მაგალითად, საქართველოს კანონში „ბინათმოსარგებლეთა ამხანაგობის შესახებ“, ჩაწერილია, რომ: ეს კანონი არეგულირებს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების მართვასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ფორმებსა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საკუთრების ფორმებს, აგრეთვე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წარმოშობის, ჩამოყალიბების, საქმიანობისა და ლიკვიდაციის ძირთად სამართლებრივ პირობებს“ (6.1) და „რომლის მიზანია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების მართვის, ექსპლოატაციისა და განვითარების სამართლებრივი პირობების უზრუნველყოფა“ (6. 2). ან კიდევ, სამოქალაქო კოდექსის მუხლი 1158-ე (მეუღლეთა თანასაკუთრება), რომლის თანახმად, მეუღლეთა ქორწინების განმავლობაში შექმნილი ქონება მათ საერთო ქონებას (თანასაკუთრებას) წარმოადგენს, თუ მათ შორის საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი (როგორც ვხედავთ ნორმას ალტერნატიული დატვირთვა გააჩნია, რომელიც მეუღლეებს სთავაზობს ქონებაში წილის განსაზღვრის კანონისაგან განსხვავებულ ვარიანტს მათი შეთანხმების საფუძველზე), ამავე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს შემთხვევას, როცა მეუღლეთა თანასაკუთრება შეიძლება წარმოიშვას მაშინაც, თუ ერთ-ერთი მათგანი საოჯახო საქმიანობას ეწეოდა, უვლიდა შვილებს ან სხვა საპატრიო მიზეზის გამო არ ჰქონია დამოუკიდებელი შემოსავალი; სსკ-ის 1159-ე მუხლის თანახმად, კი („თანასაკუთრებაში არსებული ქონების მართავ მეუღლეებს ურთიერთშეთანხმებით“): „თანასაკუთრებაში არსებულ ქონებაზე მეუღლეებს აქვთ თანაბარი უფლებები. ამ ქონების მართვა, სარგებლობა და განკარგვა ხორციელდება მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით. „იმისათვის რომ მეუღლეებმა სასამართლოში იდავონ ქონების გაყოფის თაობაზე, საჭიროა არსებობდეს მეუღლეთა შორის რეგისტრირებული ქორწინება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ძალიან საინტერესოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიდგომა. სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე, სადაც სადავო საკითხს წარმოადგენდა მეუღლეთა შორის ქონების გაყოფა, განმარტა, რომ რეგისტრირებული ქორწინების ფაქტის დასადგენად, კანონით გათვალისწინებულია მხოლოდ ქორწინების მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ გაცემული მტკიცებულება – ქორწინების მოწმობა. ამავე საქმეზე სასამართლომ აღნიშნა, რომ მეუღლეთა უფლება-მოვალეობებს, კერძოდ, ქორწინების პერიოდში შექმნილ ქონებაზე თანასაკუთრების უფლებას წარმოშობდა მხოლოდ სამოქალაქო რეგისტრის სააგენტოს ტერიტორიული სამსახურების მიერ რეგისტრირებული ქორწინება. ზემოაღნიშნულ საკითხზე განვიხილოთ საქართველოს უზენაესი სასამარ-

თლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილება, სადაც სასამართლომ გადაუხვია მეუღლეთა ქონების თანაბრად გაყოფის კანონით დადგენილ წესს არასრულწლოვანი შვილების ინტერესების გათვალისწინებით. სასამართლომ აღნიშნულ საქმეზე ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ნორმის გამოყენების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს არა მხოლოდ არასრულწლოვანი შვილის ერთ-ერთ მეუღლესთან ცხოვრების ფაქტი, არამედ ისეთი გარემოების ან გარემოებათა არსებობა, რომელიც სასამართლოს უქმნის მყარ შინაგან რწმენას, რომ პირის (მეორე მეუღლის) თანასაკუთრების უფლება შესაძლებელია შეიზღუდოს/შემცირდეს. სასამართლოს შინაგანი რწმენა უნდა ემყარებოდეს ისეთ გარემოებებს, რომლებიც ცალსახად ადასტურებენ არასრულწლოვანი შვილების ინტერესების გათვალისწინების აუცილებლობას. ეს გარემოებები შესაძლებელია იყოს არასათანადო საბინაო პირობები, არასაკმარისი საცხოვრებელი ფართი და სხვა ნებისმიერ ფაქტორი, რომელიც არასრულწლოვანის ინტერესშია და მის ნორმალურ აღზრდას ხელს უშლის. ამდენად, სასამართლომ უნდა დაასაბუთოს, რომ არასრულწლოვანი შვილი და მასთან მცხოვრები მშობელი უფრო მეტად საჭიროებენ საცხოვრებელ ფართს, ვიდრე მეორე მშობელი. მეუღლეთა შორის ქონების სასამართლო წესით გაყოფის დროს სასამართლო განსაზღვრავს, თუ რომელი ნივთი რომელ მეუღლეს უნდა მიეკუთვნოს. პროფესიული საქმიანობისთვის საჭირო ნივთები, როგორცაა მუსიკალური ინსტრუმენტები, საექიმო მოწყობილობა და სხვა, თუნდაც მეუღლეთა საერთო სახსრებით იყოს შეძენილი, მაინც იმ მეუღლეს გადაეცემა, რომელსაც ისინი თავისი პროფესიული საქმიანობისთვის სჭირდება. თუკი საერთო ქონების გაყოფისას ერთ-ერთ მეუღლეს გადაეცემა ისეთი ნივთები, რომელთა ღირებულებაც მის კუთვნილ წილს აღემატება, მაშინ მეორე მეუღლეს მიეცემა შესაბამისი ფულადი ან სხვაგვარი კომპენსაცია. მეუღლეთა საერთო ვალები მათ შორის იყოფა საერთო ქონებაში თითოეულის კუთვნილი წილის თანაზომიერად. თუკი ვალი მხოლოდ ერთმა მეუღლემ აიღო, საერთო ქონებიდან მისი გადახდა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი სასამართლო დაადგენს, რომ აღებულები ვალი გამოიყენეს მთელი ოჯახის საერთო ინტერესებისათვის“ (18).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და ვაკატრების პალატამ 2009 წლის 2 აპრილის (№ას-960-1162-08) გადაწყვეტილებით საქმეზე „თანამესაკუთრედ ცნობა და რეალური წილის გამოყოფა“, დაადგინა, რომ: რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეში არსებულ ფაქტობრივ გარემოებებს, რამაც განაპირობა საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების მიღება. აღნიშნულის გამო საქმეზე გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს, მიღებული ახალი გადაწყვეტილებით კი დ. კ-ძეს სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს. მ. ჩ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს დაგაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 2 სექტემბრის განჩინება და მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება; დ. კ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს; დ. კ-ძეს დაეკისროს მ. ჩ-ძის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის გადახდა 300 ლარის ოდენობით“ (19).

სასამართლოების პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც სამეწარმეო საზოგადოებათა საწესდებო კაპიტალი პარტნიორთა საერთო საკუთრებადაა მიჩნეული. ერთ-ერთი საზოგადოების წესდებაში ჩაიწერა, რომ საზოგადოების კაპიტალი ეკუთვნის მის მონაწილეებს წლობრივი საკუთრების უფლებით“ (შპს „პეგასის წესდების მე-2 თავის 2-4 პუნქტი“). სასამართლოს მოქმედება არასწორია. მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარებში გატარებული აზრით, „ეს ჩანაწერი ბათილია და იგი არის საზოგადოების რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი, ხოლო თუ რეგისტრაცია მოხდა - მისი გაუქმების საფუძველი“{20}. საწესდებო კაპიტალი მისი



წევრების საკუთრება კი არა - ამ საზოგადოების დამოუკიდებელ საკუთრებას წარმოადგენს.

სამოქალაქო კოდექსით „თითოეულ მოწილეს შეუძლია სამართლიანი შეხედულების მიხედვით მოითხოვოს ყველა მოწილის ინტერესის შესაბამისი მართვა და სარგებლობა, თუ ეს შეთანხმებით ან უმრავლესობის გადაწყვეტილებით არ არის მოწესრიგებული“. ქართული სამოქალაქო კოდექსის აღნიშნული ნორმა გამოძახილია გერმანული სამოქალაქო კოდექსის §748-ისა, რომლის ნაწილის თანახმად, „თითოეული მოწილე სხვა მოწილეთა მიმართ ვალდებულია, თავისი წილის პროპორციულად იკისროს საზიარო საგანთან დაკავშირებული ვალდებულებები, ისევე როგორც შენახვის, მართვისა და საერთო სარგებლობის ხარჯები“.

მოწილეებს კანონმდებლობით შეუძლიათ შეთანხმებით განსაზღვროს საზიარო საგნის კანონით დაწესებული ნორმებიდან განსხვავებული სარგებლობის წესი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ საზიარო საგნის სარგებლობის წესთან დაკავშირებით განმარტა, რომ: სამოქალაქო კოდექსის 958-ე მუხლის თანახმად, საზიარო საგნის მოწილეებს ურთიერთშეთანხმებით შეუძლიათ განსაზღვროს საზიარო საგნის სარგებლობის წესი, რომელიც სავალდებულოა როგორც მათთვის, ისე მათი უფლებამონაცვლეებისათვის. მოწილეებს შორის საზიარო ქონებით სარგებლობასთან დაკავშირებულ შეთანხმებას უკავშირდება განსხვავებული სამართლებრივი შედეგი საზიარო საგანთან მიმართებაში. სამოქალაქო კოდექსის 957-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გადაწყვეტილება საზიარო საგნის თავისებურება შესატყვისი მართვისა და სარგებლობის შესახებ ხმათა უმრავლესობით იქნეს მიღებული, რომელიც წილთა მიხედვით გამოითვლება. თანამესაკუთრება მიერ საცხოვრებელი სახლის სარგებლობის ისეთ წესზე შეთანხმებისას, რომლის შედეგად მცირდება რომელიმე მათგანის სარგებლობის წილი, აუცილებელია მათი თანხმობა. საზიარო უფლებების მარეგულირებელი ნორმები ძირითადად იმპერატიული ხასიათისაა და თანამესაკუთრებს ურთიერთობის შეთანხმებით რეგულირების მცირე შანს უტოვებს. აღნიშნულის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობის საზიარო უფლებათა თავი, სადაც თანამესაკუთრება მიმართ თანაზომიერების პრინციპი იმპერატიულად მხოლოდ წილის ნაყოფის ნაწილთან მიმართებაშია განსაზღვრული და მისი რეგულირების შინაარსი შეცვლის საშუალებას არ იძლევა, ხოლო ამავე კოდექსის 956-958-ე მუხლებით საზიარო საგნის მართვისა და სარგებლობის წესის განსაზღვრა, მხარეთა შეთანხმებაზე ან ხმათა უმრავლესობით მიღებულ გადაწყვეტილებაზე დამოკიდებული, ვინაიდან მისი მარეგულირებელი ნორმები, დისპოზიციური შესაძლებლობით გამიჯნულია კონდიქციურ ვალდებულებათა იმპერატიული და დისპოზიციური რეგულაციით გამიჯნულ თანამესაკუთრება ურთიერთობების აღრევა, რამაც თავის მხრივ, გამოიწვია არასწორი სამართალშეფარდება. როდესაც თანამესაკუთრეს არა აქვს დადგენილი საზიარო საგნით სარგებლობის შეზღუდვის ვადა (ასეთის არსებობის შემთხვევაშიც), საკუთრების უფლების კონსტიტუციურ-შინაარსობრივი სუბსტანციიდან გამომდინარე, შეუძლებელია საკუთრების უფლება მისი არსებობის მანძილზე პარალიზებული იყოს ნივთზე მფლობელობისა და სარგებლობის უნარით, რაც სამართლებრივი უნარიანობის თვალსაზრისით საკუთრების უფლების გაუქმების ტოლფასია. საკუთრების უფლების გაუქმების შესაძლებლობებს კი იმპერატიულად მხოლოდ კანონი განსაზღვრავს. ამდენად, სანამ მოსარჩელე მესაკუთრედ ირიცხება საჯარო რეესტრში, მონაცემთა სისრულისა და სისწორის პრეზუმფციის შესაბამისად, იგი საკუთრების უფლების მატარებელია საზიარო ნივთზე და მას შეუძლია ამ უფლების განხორციელება. საკუთრების უფლება აბსოლუტური

უფლებათა, რითაც ყველა პირი ვალდებულია, თავი შეიკავოს საკუთრების უფლების დარღვევისაგან, ე.ი. მესაკუთრის მიმართ ვალდებულება ამ სახით ყველას წარმოშობილი აქვს განუსაზღვრელი ვადით, ანუ საკუთრების უფლების არსებობამდე (სკ, მ. 955-ე, ნ. 2, მ. 957). ცალკეული მოწილის თანხმობის გარეშე არ შეიძლება სარგებლობის წილზე მისი უფლების შემცირება. ამდენად, საზიარო საგნის მართვა და სარგებლობა, ჩვეულებრივ, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ხდება, მაგრამ შეუთანხმებლობის შემთხვევაში მოწილეს შეუძლია სარგებლობის უფლების განსაზღვრა და ამ უფლების სასამართლო წესით დაცვა მოითხოვოს. კანონით განსაზღვრული უფლების მფლობელი თავისუფალია, თვითონ გადაწყვიტოს ამ უფლებით სარგებლობის საკითხი (21).

დაუბრუნდებით ზემოთ აღნიშნულ მეუღლეთა შორის თანასაკუთრებაში არსებულ ქონებას და მასთან დაკავშირებული დავების განხილვის თავისებურებებს. როგორც აღნიშნეთ, 1158-ე მუხლის სპეციალურია, რომელიც მეუღლეთა შორის ქონებრივ ურთიერთობებს, მათ თანასაკუთრებას არეგულირებს, მაგარამ ამასთან, არსებობს სამოქალაქო კოდექსის სპეციალური 183-ე მუხლიც, რომელიც უძრავ ქონებაზე საკუთრების შექმნისათვის მოითხოვს წერილობით ფორმას და საჯარო რეესტრში საკუთრების უფლების რეგისტრაციას. „აღსანიშნავია, რომ მეუღლეთა შორის წამოჭრილი ქონებრივი დავები ხშირად უკავშირდება ერთ-ერთი მეუღლის მიერ დადებული საცხოვრებელი ბინის გასხვისების ხელშეკრულებას, რაც იმით არის გამოწვეული, რომ საჯარო რეესტრის წარმოების ზოგადი და უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების წარმოშობის სპეციალური ნორმების შესაბამისად, საცხოვრებელი ბინის მესაკუთრედ ითვლება ის მეუღლე, რომელიც საჯარო რეესტრში ასეთად არის რეგისტრირებული“ (22). იქიდან გამომდინარე, თუ რა არის თანაზიარი საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძველი, მისი რეგისტრაციის წესით გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. თანაზიარი საკუთრების უფლება შეიძლება წარმოიშვას ხელშეკრულების (არ იგულისხმება საქორწინო ხელშეკრულება), კანონისა და სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე.

**სასამართლო პრაქტიკა მეუღლეთა თანასაკუთრებიდან წილის გამოყოფის შესახებ.** საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების პალატამ განიხილა მეუღლეთა თანასაკუთრებიდან წილის გამოყოფა. უხენაესმა სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის 1152-ე მუხლის თანახმად აღნიშნა, რომ საოჯახო ურთიერთობებში მეუღლეები სარგებლობენ თანაბარი პირადი და ქონებრივი უფლებებით. ამავე კოდექსის 1158-ე მუხლით კი მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შექმნილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო ქონებას, თუნდაც ერთ-ერთი მათგანი ეწეოდეს საოჯახო საქმიანობას და საპატიო მიზეზის გამო არ ჰქონდეს დამოუკიდებელი შემოსავალი. აღნიშნული ნორმების ანალიზი ცხადყოფს, რომ არც ერთ მეუღლეს არ შეიძლება მიეცეს უპირატესი უფლება თანასაკუთრებასთან მიმართებაში. სამოქალაქო კოდექსის 1159-ე მუხლის თანახმად, თანასაკუთრებაში არსებულ ქონებაზე მეუღლეებს აქვთ თანაბარი უფლებები. კანონმდებლობა არ იცნობს თანაბრობის პრინციპის შეზღუდვის შემთხვევებს, თუნდაც იმ შემთხვევაში, როცა თანასაკუთრება შექმნილია ერთ-ერთი მეუღლის შემოსავლებით. ასეთ ნორმას ვერ უთითებს თვით კასატორიც. აღნიშნულიდან გამომდინარე, გართმელადის მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს. ამიტომ პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ მიიღო სწორი გადაწყვეტილება და მისი გაუქმების საფუძველი არ არსებობს, თუნდაც სასამართლოს დარღვეული ჰქონდეს საპროცესო ნორმები. პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად უნდა დარჩეს (23).

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მეუღლეთა დავაზე ქობილისში, მუხიანის მე-Xა მ/რ-ში, მე-X კორპუსში მდებარე ბინა №სხ-ისა და 36.65 კვ.მ. ფართის სხვენის 1/2-ის მესაკუთრედ ცნობაზე კუთვნილი წილის ნაწილში თ. და დ. ბ.-ებს შორის 2011 წლის 28 თებერვალს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობაზე დაადგინა, რომ: „... სამოქალაქო კოდექსის 1160-ე და 312-ე მუხლების ერთობლივი, შინაარსობრივი და ლოგიკური ანალიზის შედეგად, ცხადი ხდება, რომ მეუღლეთა საერთო თანასაკუთრებაში არსებული ქონების შემქმნის ინტერესების დასაცავად სამოქალაქო კოდექსის 1160-ე მუხლის მე-2 ნაწილით დაწესებული სტანდარტი განვრცობილია 312-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებში და არაორაზროვნად ასახავს კანონმდებლის ნებას, რომელიც საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მესაკუთრის მიერ ქონების განკარგვისას გამორიცხავს არარეგისტრირებული მესაკუთრის თანხმობის საჭიროებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შემქმნმა იცოდა ქონებაზე სხვა უფლებამოსილი პირის არსებობის თაობაზე. ამდენად, მართალია, სამოქალაქო კოდექსის 1160-ე მუხლი მეუღლეთა საერთო ქონების განკარგვის წესს განსაზღვრავს კეთილსინდისიერების პრინციპზე მითითების გარეშე, მაგრამ როგორც აღინიშნა, კეთილსინდისიერების ფაქტის არსებითი მნიშვნელობა უძრავ ქონებაზე უფლების მოპოვებისას რეგლამენტირებულია სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლში, გარდა ამისა, ნებისმიერი სახის სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის რეგულირებისათვის მხარეთა მიერ კეთილსინდისიერების პრინციპით მოქმედების ვალდებულებას ადგენს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის მიხედვით, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი.

აღსანიშნავია, რომ მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების გასხვისების დროს გარიგება ნამდვილად მხოლოდ შემქმნის კეთილსინდისიერების პირობებში მიიჩნევა. ნორმათა ამგვარი განმარტება ასახულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის განჩინებაში (24). საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში 2007 წლის 29 ივლისს განხორციელებული ცვლილების შედეგად მითითებული პრაქტიკის საკანონმდებლო რეგლამენტაცია განხორციელდა, კერძოდ, 1160-ე და 312-ე მუხლებით დადგინდა, რომ მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვასთან დაკავშირებით ერთის მიერ დადებული გარიგება ვერ იქნება ბათილად ცნობილი მეორის მოთხოვნით იმ საფუძველზე, რომ მან არ იცოდა გარიგების შესახებ ან ის არ ეთანხმებოდა გარიგებას. შესაბამისად, თუ მესაკუთრე ახდენს უძრავი ქონების გასხვისებას ან უფლებრივად დატვირთვას, დაუშვებელია გარიგების დადებისას (უფლების რეგისტრაციისას) თანამესაკუთრის თანხმობის მოთხოვნა, თუ იგი ასეთად არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში. ამდენად, გამსხვისებელი ითვლება ერთადერთ მესაკუთრედ, თუ იგი ასეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შემქმნმა იცოდა, რომ გამსხვისებლის გარდა არსებობს სხვა თანამესაკუთრე. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა დადგენილად მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1160-ე მუხლი მხოლოდ იმ შემთხვევაში იცავს, რომელიც იცოდა ან რომელსაც გარემოებათა გონიერი აღქმის შედეგად ვგონა, რომ გამსხვისებელი ერთადერთი მესაკუთრე იყო. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1160-ე მუხლის სხვაგვარი განმარტება არსებით წინააღმდეგობაში მოვა ამავე კოდექსის 312-ე მუხლთან. აღსანიშნავია, რომ მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს ნორმათა კონკურენცია და მითითებული ნორმები არ განიხილება ზოგად და სპეციალურ ნორმებად“. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის მითითებულ გადაწყვეტილებაში ნათლად და არაორაზროვნად განი-

მარტა, რომ „სამოქალაქო კოდექსის მე-2 მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით ამ კოდექსით გათვალისწინებულ ზოგად ნორმებსა და სპეციალურ ნორმებს შორის კოლიზიისას გამოიყენება სპეციალური ნორმები. პალატა თვლის, რომ სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლით გათვალისწინებული სანივთო სამართლებრივი ნორმა არ შეიძლება ჩაითვალოს ზოგად ნორმად ამავე კოდექსის 1160-ე მუხლით გათვალისწინებულ საოჯახო სამართლის ნორმასთან მიმართებაში. სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლი იძლევა კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესების დაცვის სამართლებრივ გარანტიებს, ხოლო 1160-ე მუხლი აწესებს თანამესაკუთრე მეუღლის ინტერესების დაცვის იურიდიულ მექანიზმს. აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ ზემოთ მოყვანილი ორივე ნორმა სპეციალურია“. იგივე უნდა ითქვას საქართველოს სამოქალაქო კოდექსში 2007 წლის (იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 9 დეკემბრის დიდი პალატის განჩინება №3კ/932-02-11-29 ივლისის განხორციელებული ცვლილების შედეგად ჩამოყალიბებულ 1160-ე მუხლის ფორმულირებაზე). აღნიშნული ცვლილებით მითითებულ მუხლს არ მინიჭებია სპეციალური ნორმის სტატუსი და დანიშნულება შემძენის კეთილსინდისიერების დაცვის კუთხით. უფრო მეტიც, აღნიშნული ცვლილებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლი ჩამოყალიბდა იმგვარი ფორმულირებით, რომ კიდევ ერთხელ ხაზი გაესვა 185-ე და 312-ე მუხლების გამოყენების აუცილებლობას შემძენის კეთილსინდისიერების შეფასებისას და მხოლოდ ის ფაქტი, რომ მეუღლე საცილოდ ვერ გახდის გარიგებას ამავე კოდექსის 1160-ე მუხლის კონტექსტში, არ ანიჭებს შემძენს აპრიორი კეთილსინდისიერი შემძენის სტატუსს“...

საინტერესოა პროფ. შალვა ჩიკვაშვილის მოსაზრება 1160-ე მუხლთან მიმართებაში, კერძოდ, 1160-ე მუხლი არ აკონტროლებს მეუღლეთა მიერ საერთო ქონების განკარგვისას იმ განსხვავებულ წესებს, რომლებიც გამომდინარეობენ მოძრავ და უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების წარმოშობის განსხვავებული რეჟიმიდან. აღნიშნული მუხლი არაფერს ამბობს კეთილსინდისიერი მყიდველის შესახებ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 187-ე მუხლი, რომელიც ეხება მოძრავ ნივთებზე საკუთრების შეძენის საფუძვლებს, ადგენს, რომ შემძენი ხდება ნივთის მესაკუთრე მაშინაც, როცა გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე, მაგრამ შემძენი ამ ფაქტის მიმართ კეთილსინდისიერია. გამომდინარე ამ ზოგადი ნორმიდან, ერთ-ერთი მეუღლის მიერ საერთო მოძრავი ქონების განკარგვასთან დაკავშირებული გარიგების ბათილად ცნობისათვის დადგენილი უნდა იყოს, რომ შემძენი კეთილსინდისიერია, ე.ი. მან იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ მეუღლე (განმკარგავი) მოქმედებდა მეორე მეუღლის ნების საწინააღმდეგოდ. იმ შემთხვევაში, თუ კონტრაქტი კეთილსინდისიერი იყო, გარიგება ჩაითვლება ნამდვილად. აქ, გარკვეულწილად ერთმანეთს უპირისპირდება მეუღლის (ვისი ნების საწინააღმდეგოდან ცაიდო გარიგება) და კეთილსინდისიერი მყიდველის ინტერესები. როგორც აღვნიშნეთ, კონტრაქტი არ არის ვალდებული გარიგების დადებისას მოითხოვოს მეორე მეუღლის თანხმობა. ამდენად, იმისათვის, რომ იმ მეუღლის სარჩელის საფუძველზე, რომლის ინტერესებიც დაირღვა ასეთი გარიგების დადებით, საკმარისი არ არის 1160-ე მუხლში მითითებული გარემოებები, არამედ აუცილებელია დადგინდეს გარიგების მეორე მხარის არაკეთილსინდისიერება. ჩვენ მიერ ზემოთ აღნიშნული სამოქალაქო კოდექსის 187-ე მუხლი თანაბრად ვრცელდება საოჯახო ურთიერთობებზე, მაგრამ სასურველი იქნებოდა კანონმდებელს 1160-ე მუხლშიც მიეთითებინა ამის შესახებ, რაც შემატებდა მას მეტ გარკვეულობას“ (25).

**1. 4. უპირატესი შესყიდვა საერთო საკუთრებისა და საზიარი უფლების განკარგვის შემთხვევაში**

უპირატესი შესყიდვის უფლება გეხვედება როგორც სანივთო, ასევე ვალდებულებით სამართალში. „განხორციელებული საკანონდებლო ცვლილებების საფუძველზე ამ უფლების რეგულირება თვისებრივად ახალ მიდგომას ითვალისწინებს. პრაქტიკაში ხშირად იდგა აღნიშნული უფლების გამოყენების სამართლებრივი პრობლემები. კერძოდ, არსებობდა სანივთო და ვალდებულებითი უპირატესი უფლების კონკურენციისა და უპირატესი უფლების გვერდის ავლით დადგენილი გარიგების ბათილობის საკითხი“ (26). საკანონმდებლო ცვლილებებით (2007 წლის 11 მაისი) სამოქალაქო კოდექსში გაუქმდა კანონისმიერი უპირატესი შესყიდვის უფლება და ამ უფლების არსებობა ისევე, როგორც მისი გამოყენების სამართლებრივი შედეგები, მთლიანად სახელშეკრულებო შეთანხმების საგანი გახდა. მაგალითად, სსკ-ის 933-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ხელშეკრულების დანარჩენ მოწილეებს აქვთ მესამე პირისათვის გადასაცემი წილის უპირატესი შესყიდვის უფლება. უპირატესი შესყიდვა სულაც არ ნიშნავს შეღავათიან პირობებში შესყიდვას. ერთადერთი შეღავათი თვით უპირატესი შესყიდვაა. აქედან ისიც ჩანს, რომ უპირატესი შესყიდვის უფლება გარკვეულწილად ზღუდავს სახელშეკრულებო თავისუფლებას. თუმცა ეს შეზღუდვები სრულიად სამართლიანი ინტერესებითაა გამოწვეული“ (27). „გერმანულ დოქტრინაში ერთმანეთისაგან მკვეთრადაა გამიჯნული სანივთო და ვალდებულებით-სამართლებრივი უპირატესი შესყიდვის უფლება. პროფ. ლადო ჭანტურია ავითარებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ „მიწის საკუთრების პრობლემატიკასთან არის დაკავშირებული უპიტარესი შესყიდვის უფლების საკითხი. მისი თავისებურება იმაშია, რომ ერთდროულად არის ვალდებულებითი სამართლის ინსტიტუტი (და ამით ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების ერთ-ერთი ფორმა) და სანივთო უფლება. ამ აზრით, იგი „სამომავლო უფლებრივ ცვლილებაზე მოთხოვნის სანივთო უზრუნველყოფის ერთ-ერთი საშუალებაა. უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე უფლებამოსილი უნდა იყოს, რომ მესაკუთრის მიწის ნაკვეთის გასხვისების შემთხვევაში შეეძლოს მესაკუთრისაგან ამ ნაკვეთის მოთხოვნა მესაკუთრესა და მესამე პირს შორის შეთანხმებულ პირობებში“. „უპირატესი შესყიდვის პირადი უფლებისაგან (ვალდებულებით სამართალში) სანივთო უპირატესი შესყიდვის უფლებას განასხვავებს შემდეგი გარემოებები: ჯერ ერთი, უპირატესი შესყიდვის პირადი უფლება წარმოშობს სამართლებრივ ურთიერთობებს მხოლოდ უპირატესი შესყიდვის უფლების მქონესა და ვალდებულ პირს შორის (28), მაშინ როცა სანივთო უპირატესი შესყიდვის უფლება მოქმედებს მესამე პირთა მიმართაც (§1098); მეორე, უპირატესი შესყიდვის პირადი უფლების საგანი შეიძლება იყოს ნებისმიერი ნივთი ან უფლება. სანივთო უპირატესი შესყიდვის უფლება მხოლოდ მიწის ნაკვეთზე შეიძლება გავრცელდეს. არაა სავალდებულო, რომ სანივთო უპირატესი შესყიდვის უფლებას საფუძველად უპირატესი შესყიდვის პირადი უფლება ედოს. სანივთო უპირატესი შესყიდვის უფლების საფუძველი შეიძლება გარიგება იყოს, მაგალითად, ჩუქება“ (29).

„პრაქტიკაში სანივთი უპირატესი შესყიდვის უფლება ძირითადად ორ შემთხვევაში გამოიყენება: ა. გრძელვადიან ქირავნობისა და საიჯარო ურთიერთობებისას და ბ. სამეზობლო შეთანხმების დროს, როცა ლაპარაკია მიწის ნაკვეთის გადიდებაზე. ამ დროს უპირატესი შესყიდვის უფლება გარიგების საფუძველზე წარმოიშობა და მას გარიგებითი უპირატესი შესყიდვის უფლებას უწოდებენ“ (29).

კანონი „საჯარო რეესტრის შესახებ“ არ მოითხოვს უპირატესი შესყიდვის შესახებ უფლების რესტრაციის სავალდებულოობას და არც იმპერატიულად ადგენს ფორმის აუცილებლობას. გამომდინარე აქედან, მისი დადება ფორმათავისუფალია (ზეპირად, მარტივი და რთული წერილობითი, სანოტარო ფორმით).

„კანონმდებელი ვალდებული პირის მიმართ უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე პირისა და მესამე პირის მიერ შეთავაზებულ შესრულებას შორის სხვაობას დამატებით ვალდებულებას უწოდებს. დამატებითი ვალდებულების შესრულების შინაარსი ფულადი ფორმით უნდა იქნეს გამოხატული. თუკი უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე პირს არ აქვს შესაძლებლობა შეასრულოს დამატებითი ვალდებულება, მან სანაცვლოდ უნდა გადაიხადოს მისი ღირებულება (მ. 519.1). „თუ შეუძლებელია დამატებითი ვალდებულების ფულადი შეფასება, მაშინ უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენება დაუშვებელია; დამატებითი ვალდებულების თაობაზე შეთანხმება ძალას კარგავს, თუ ხელშეკრულება დაიდო უპირატესი შესყიდვის უფლებისათვის გვერდის ასახვევად“. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში №ას-154-579-2006, აღნიშნულია, რომ სსკ-ის 517-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ვალდებულმა პირმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს უპირატესი შესყიდვის უფლების მქონეს იმ ხელშეკრულების შინაარსი, რომლის დადებასაც ის აპირებს მესამე პირებთან. აღნიშნული ნორმების ანალიზიდან გამომდინარე, უპირატესი შესყიდვის უფლება გარკვეულწილად ზღუდავს სახელშეკრულებო თავისუფლებას, თუმცა ეს შეზღუდვა ვრცელდება მხოლოდ უპირატესი შეზღუდვის მქონე პირსა და ვალდებულ პირს შორის სამართლებრივ ურთიერთობებზე და, შესაბამისად, აღნიშნული უფლების დარღვევით თანასაკუთრებაში არსებული ნივთის გასხვისება მესამე პირზე ამ გარიგების ბათილობას არ იწვევს. რაც შეეხება სკ-ის 518-ე მუხლს, ეს ნორმა აწესებს, რომ ვალდებულ პირსა და მესამე პირს შორის შეთანხმება ბათილია, თუ ამით ნასყიდობის ხელშეკრულება დამოკიდებული ხდება უპირატესი შესყიდვის უფლების გამოუყენებლობაზე ან ვალდებულ პირს უფლება აქვს უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუკი გამოყენებული იქნება უპირატესი შესყიდვის უფლება. მითითებული ნორმა ადგენს არა ვალდებულ პირსა და მესამე პირს შორის დადებული უპირატესი შესყიდვის უფლებით დატვირთული ნივთის ნასყიდობაზე ხელშეკრულების ბათილობას, არამედ ამ პირებს შორის უპირატესი შესყიდვის უფლების გამოუყენებლობაზე შეთანხმების ბათილობას. ამდენად, ვალდებულ პირის მიერ ნივთის მოსალოდნელი გაყიდვის შესახებ შეტყობინების მოვალეობის დარღვევა არ იწვევს იმავე ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობას. ასეთ შემთხვევაში კანონით შესაძლებელია ვალდებულები (უფლების დამრღვევი) პირისაგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა (30).

როგორც ზემოთაც აღნიშნეთ, „სკ“-ში დღეს არსებობს სამი იდენტური შინაარსის ნორმა: 173-ე მუხლის მე-4 ნაწილი, 933-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 959-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომელთა საფუძველზე იდენტურად წესრიგდება წილის გასხვისების დროს უპირატესი შესყიდვის უფლების საკითხი. შეიძლება ითქვას „ძალას კარგავს“ სკ-ის 516-ე-519-ე მუხლები, რომელთა საფუძველზეც უპირატესი შესყიდვის უფლების დარღვევა არ იწვევდა გარიგების ბათილობას და, ამ მუხლების თანახმად, ერთგვარ დაუცველ უფლებადაც კი მოიხსენიებოდა პრაქტიკაში. დღეს მთლიანად თანამესაკუთრეთა შეთანხმებაზე დამყარებული, მომავალში ექნება თუ არა პირს უპირატესი შესყიდვის უფლება“. სამოქალაქო კოდექსი 173-ე მუხლის მე-4 ნაწილი პირდაპირ მიუთითებს, რომ: „საერთო საკუთრების წილის უპირატესი შესყიდვის უფლება შეიძლება განისაზღვროს მხარეთა შეთანხმებით. მხარეთა შორის შეთანხმებით განსაზღვრულ უპირატესი შესყიდვის უფლებას „გარიგებითი უპირატესი შესყიდვის უფლებას უწოდებენ. უფრო დიდი მნიშვნელობისაა კანონისმიერი უპირატესი შესყიდვის უფლება, რომლითაც სახელმწიფო უზრუნველყოფს ნაკვეთების მიღებისა და განსაზღვრული მიზნებისათვის მათი გამოყენების შესაძლებლობას. კანონისმიერი უპირატესი შესყიდვის უფლება გამოიყენება განსახლების დროს, ... სანივთო უპირატესი შესყიდვის უფლება ძალაში რჩება, მიუხედავად

მესაკუთრის გარდაცვალებისა და მის ადგილზე მემკვიდრეების მოსვლისა. სანივთო უფლებათა მუდმივობის პრინციპი უცვლელია“ (31). რაც შეეხება უძრავ ქონებაზე ყოველგვარი ცვლილება მასზე (უპირველეს ყოვლისა, მესაკუთრის შეცვლა) საჯარო რეესტრში ფიქსირდება. სასურველი იქნებოდა უძრავი ქონების მაღალი საზოგადოებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე, როგორც მისი მესაკუთრის ცნობა მხოლოდ საჯარო რეესტრიდან დგინდება, ასევე საჯარო რეესტრში დარეგისტრირებულიყო უძრავ ქონებაზე უპირატესი შესყიდვის უფლებაც. ამით ბუნებრივია შემცირდებოდა სასამართლო დავები, რაც უპირატესი შესყიდვის ინსტიტუტთან დაკავშირებით არსებობს უძრავ ნივთებთან დაკავშირებით; რაც შეეხება მოძრავ ნივთებს, აქ, მხარეთა ნების გამოვლენის სრულ თავისუფლებაზე დამოკიდებული რა ფორმით გამოიყენებენ უპირატესი შესყიდვის უფლებას ხელშეკრულების მონაწილენი, როგორ დათმობენ მათ საკუთრებაში არსებულ წილს და სხვ.

### **1. 5. ხანდაზმულობის ვადების მნიშვნელობა საერთო ქონების და საზიარო უფლების განკარგვასთან მიმართებაში.**

ხანდაზმულობის ვადების დადგენას და მის სამართლებრივ რეგლამენტაციას დიდი მნიშვნელობა აქვს სამოქალაქო ბრუნვის წესრიგისათვის, ამ წესრიგში ჩართული პირების უფლებების რეალიზაციისა და ვალდებულებების შესრულებისათვის. „უხენაესი სასამართლოს ერთ-გადაწყვეტილების თანახმად, „ხანდაზმულობა არის ვადა, რომლის განმავლობაში პირს, რომლის უფლებაც დაირღვა, შეუძლია მოითხოვოს თავის უფლების იძულებით განხორციელება ან დაცვა“ (სუსგ, სამოქ. 1/2008, 72). „უფლების განხორციელების შეზღუდვამ განსაზღვრული ვადებით უნდა უზრუნველყოს სამართლებრივი სტაბილურობა და სამართლებრივი მშვიდობა“ (32). ვადის სამართლებრივი ბუნების საკითხი ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ ამ ვადებით სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგება ნორმატიულ თუ ინდივიდუალურ სიბრტყეში ხდება. ასევე საინტერესოა თავად მხარეთა ნების გამოხატვის ხარისხი, ანუ ვადა ცალსახადაა დადგენილი თუ ბუნდოვანი და ნაგულისხმევია (33). ვადა დროის მონაკვეთია. ამ მონაკვეთში ხდება ყველა მოვლენა, რასაც კი ადამიანის გონება აცნობიერებს (34). თამარ შოთაძის აზრით, „ხშირად სკ-ში ხანდაზმულობის ვადის მითითება გარკვეულ გაუგებრობას იწვევს, ვინაიდან მკაფიოდ არ არის გამიჯნული, საუბარია მხარეთა მიმართ მოთხოვნის უფლების დაცვის ვადაზე, თუ დარღვეული უფლების ან კანონიერი ინტერესის დარღვევის შემთხვევაში, სასამართლოსათვის მიმართვის ვადაზე. ხანდაზმულობის ვადები ესმარება სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეებს თავიანთი უფლებებისა და ვალდებულებების აქტიურად და დროულად განხორციელებაში. ამდენად, კონკრეტული ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგებისას, ამ ურთიერთობის სპეციფიკის მიხედვით, ერთი და იგივე მუხლი შეიძლება ითვალისწინებდეს როგორც სასარჩელო ხანდაზმულობის, ასევე სხვა სახის ვადასაც და, აქედან გამომდინარე, მათი მყარი გამიჯვნა, ზემოაღნიშნული გარემოებების გამო, აუცილებელია, ვინაიდან სკ-ის 968-ე მუხლით საზიარო უფლების გაუქმების მოთხოვნა არ ექვემდებარება ხანდაზმულობას. მუხლის შინაარსის მიხედვით, იგულისხმება როგორც საზიარო უფლების მატარებელი სუბიექტისადმი, ასევე სასამართლოსათვის მიმართვის შეუზღუდავი ვადა“ (35). საზიარო უფლების გაუქმებისათვის საკმარისია ერთ-ერთი მოწილის მოთხოვნა, თუმცა მათ ასევე შეუძლიათ შეთანხმებით გამორიცხონ საზიარო უფლების გაუქმების მოთხოვნის შესაძლებლობა. მოწილეთა შეთანხმებით საზიარო უფლების გაუქმების მოთხოვნის შესაძლებლობა შეიძლება გამოირიცხოს სამუდამოდ ან კიდევ განსაზღვრული ვადით. „სასამართლო პრაქტიკას თუ გადავხედავთ აშკარად იკვეთება ფაქტი იმის შესახებ, რომ 968-ე მუხლი მოსარჩელების მიერ გამოყენებულია სასამართლოსადმი მიმართვისას წილის გან-

საზღვრის, წილის ნატურით გამოყოფის მოთხოვნით, როცა საზიარო უფლების გაუქმებაზე საუბარი და რომესაც ეხება სსკ-ის 861 („საზიარო უფლების გაუქმება“), 964-ე („შეთანხმება გაუქმების შესახებ“), 963-ე („საზიარო უფლების გაუქმება ნატურით გაყოფისას“) და 964-ე („საზიარო უფლების გაუქმება საგნის გაყიდვით“) მუხლები. სსკ-ის 961-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, რომ, „თითოეულ მოწილეს შეუძლია ნებუისმიერ დროს მოითხოვოს საზიარო უფლების გაუქმება“ და 968-ე მუხლი, რომ „საზიარო უფლების გაუქმების მოთხოვნა არ ექვემდებარება ხანდაზმულობას“ ფაქტიურად საზიარო უფლების მქონეთ ანიჭებს უფლებას ნებისმიერ დროს მოითხოვონ საზიარო უფლების გაუქმება, ხოლო თუ „შეთანხმებით გაუქმების მოთხოვნის უფლება გამორიცხულია შეთანხმებით ან განსაზღვრული ვადით, მაშინ პატივსადები მიზეზის არსებობისას გაუქმება მაინც შეიძლება იქნეს მოთხოვნილი“ (სსკ, მ. 961, ნ.2). სამოქალაქო კოდექსი ბაილად მიიჩნევს შეთანხმებას, რომლითაც გაუქმების მოთხოვნის უფლება გამოირიცხება ან იზღუდება ამ წესის საწინაარმდეგოდ“ (მ. 961, ნ. 3). განსახილველი სტატიიდან გამომდინარე, გამომდინარე მეუღლეთა განქორწინებისას იმ შემთხვევაში თუ არ მომხდარა საერთო, თანაზიარო ქონების გაყოფა მათ შორის, მაშინ ეს ქონება შეიძლება იყოს ერთ-ერთი მათგანის მფლობელობაში, ან ორივესთან და მათ შეეძლება ამ ქონებით ისარგებლონ. მაგრამ ეს გაურკვეველ მდგომარეობამდე ვერ გაგარძელება, ამიტომ სსკ-ის 1171-ე მუხლის ადგენს განქორწინებულ მეუღლეთა თანასაკუთრების ქონების გაყოფის თაობაზე მოთხოვნებისათვის ხანდაზმულობის სამწლიან ვადას. „ამ ვადის დენა დაიწყება ქორწინების შეწყვეტის მომენტიდან, ე. ი. მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანოში განქორწინების რეგისტრაციის დღიდან“ (36). საინტერესოა, თუ მეუღლეთა დავა საზიარო უფლებებს უკავშირდება, მაშინ რომელი ვადები გამოიყენება მათ შორის წილის გამოყოფისას? ამ შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს სსკ-ის 968-ე მუხლი, რომ „საზიარო უფლების გაუქმების მოთხოვნა არ ექვემდებარება ხანდაზმულობას“ (37).

**ლიტერატურა:**

1. შოთაძე თ., საერთო საკუთრებისა და საზიარო უფლებების მარეგულირებელი ნორმების შედარებითი ანალიზი სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ჟურნალი „სამართალი“, 2009, №3.
2. ზოიძე ბ., ქართული სანიეტო სამართალი, თბ., 2003.
3. ზოიძე ბ., დასახელებული ნაშრომი.
4. ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბ., 2007.
5. საკუთრების უფლების განმარტება სასამართლოს პრაქტიკაში, ვებგვერდი: <https://tinatskhvediani.wordpress.com/2013/02/16/>
6. შოთაძე თ., სანიეტო სამართალი, თბ., 2014.
7. Zachariä von Lingenthal, Karl Salomo.: Handbuch des Französischen Civilrechts, 8., verm. und verb. Aifl. / bearb. von Crome, Freiburg i. B. Band 1-1894, 483. წყარო: ჭეჭელაშვილი ზ., სანიეტო სამართალი, თბ., 2010.
8. თოდუა მზია, ვიდეოსი ჰუბი, ვალებულებითი სამართალი, 2006, 97. წყარო: შოთაძე თ., საერთო საკუთრებისა და საზიარო უფლებების მარეგულირებელი ნორმების შედარებითი ანალიზი სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ჟურნალი „სამართალი“, 2009, №2.



9. შოთაძე თ., საერთო საკუთრებისა და საზიარო უფლებების მარეგულირებელი ნორმების შედარებითი ანალიზი სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ჟურნალი „სამართალი, 2009, №3.
10. იქვე.
11. შოთაძე თ., დასახელებული ნაშრომი.
12. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამე-  
წარმეო და გაკოტრების საქმეებზე, №ას-851-1124-05, 2006, 116-8; №ას-917-1160-  
05/06, 2006.
13. <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ganmarteba17.pdf>
14. შოთაძე თ., დასახელებული ნაშრომი.
15. ზოიძე ბ., ქართული სანივთო სამართალი, თბილისი, 2003.
16. შოთაძე თ., დასახელებული ნაშრომი.
17. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამე-  
წარმეო და გაკოტრების საქმეებზე, №ას-851-1124-05, 2006, 116-8; საქმე №ას-917-  
1160-05/06, 2006.
18. შოთაძე თ., დასახელებული ნაშრომი.
19. <http://pink.ge/love-sex/property-sharing-after-divorce/>
20. <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/kr20107.pdf>
21. ჭანტურია ლ., ნინიძე თ., მეწარმეთა კანონის კომენტარი, მესამე გამოცემა, თბ.,  
2002.
22. სუსგ, სამოქ. №ას-881-924-2011.
23. ჩიტოშვილი თ., უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების წარმოშობის ძირითადი  
სამართლებრივი ასპექტები, თბ., 2006.
24. სუსგ. განჩინება №ას-1243-1485-05, 9 იანვარი, 2006.
25. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 9 დეკემბრის დიდი პალა-  
ტის განჩინება №3კ/932-02.
26. [http://myadvokat.ge/wp-content/uploads/2013/07/მეუღლეთა-თანასაკუთრებაში-არსებუ-  
ლი-ქონების-მართვა.pdf](http://myadvokat.ge/wp-content/uploads/2013/07/მეუღლეთა-თანასაკუთრებაში-არსებუ-<br/>ლი-ქონების-მართვა.pdf)
27. შოთაძე თ., საერთო საკუთრებისა და საზიარო უფლებების მარეგულირებელი  
ნორმების შედარებითი ანალიზი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედ-  
ვით, ჟურნალი „სამართალი“. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იხ. სუსგ,  
საქმე №ას-1203-1447, 2008.
28. ზოიძე ბ., ქართული სანივთო სამართალი, თბ., 2003.
29. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის (§463) მიხედვით, „პირი, რომელიც უფლება-  
მოსილია ნივთის უპირატეს შესყიდვაზე, შეუძლია უპირატესი შესყიდვის უფ-  
ლების განხორციელება მაშინ, როდესაც ვალდებული პირი მესამე პირთან  
დებს ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულებას“.
30. ჭანტურია ლ., უძრავი ნივთების საკუთრება, მეორე გამოცემა, თბ., 2001.
31. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006  
წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმე №ას-154-579. წყარო: შოთაძე თ., სა-  
ნივთო სამართალი, თბ., 2014.
32. ჭანტურია ლ., უძრავი ნივთების საკუთრება, მეორე გამოცემა, თბ., 2001.
33. ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო,  
თბ., 2011.
34. ზარანდია თ., სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების ადგილი და ვა-  
დები, თბ., 2005.

35. ზოიძე ბ., ვადების ცნება და ზოგადი დახასიათება. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამართლის განყოფილების 2001 წლის სამეცნიერო კვლევითი გეგმით გათვალისწინებული ნაშრომი, ხელნაწერი.
36. შენგელია რ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, რედ. ჭანტური ლადო, ზოიძე ბესარიონ, ნინიძე თედო, შენგელია რომან, ხეცურიანი ჯონი, თბ., 2000.
37. ხარაზი ი., კვინიკაძე ქ., კანონისმიერი ვადლებულებითი ურთიერთობები, თბ., 2016.

### **Ia Kharazi**

#### ***Some Legal Aspects of the Regulation of Rights in Common***

##### **Summary**

The purpose of present article is to demonstrate the difference between Rights in Common and Common Property Institute. Partially, the article deals with the problematic issues regarding to shares in Rights in Common and Common Property Institutes, obligations in both institutes, the specificity of dispute resolution with respect to each institute, preemptive (priority) right, a period of limitation, etc. The article also presents the legal practice.

### **Иа Харazi**

#### ***Некоторый правовой аспект правового регулирования совместных прав***

##### **Резюме**

В статье идет речь о взаимосвязи совместных прав с вещевым правом и их разграничении законным обязательным межотношением, в частности совместных прав и нормой межотношении общей собственности, в определении проблемного вопроса доли общей собственности и во время совместных прав, доли владельцев лиц общего владения; обязательство относительно совместных прав; о своеобразии решения споров, связанных с объектом общей собственности и совместных прав, в привилегии купчая общей собственности и в случае распоряжения совместных прав и значения сроков давности общего имущества и относительно распоряжения совместных прав. Указанные в статье конкретные проблемы исследованы в судебной практике.

**მამუკა ეგუტიე**  
(საქართველო)

**არასრულწლოვანთა ყიდვა-გაყიდვა /ტრეფიკინგი/ და სასაზღვრო  
კონტროლის გაძლიერებით მისი პრევენცია  
/საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით/**

ადამიანის, მათ შორის, არასრულწლოვნის ყიდვა-გაყიდვა მტკივნეულ შავ ზოლად გასდევს კაცობრიობის განვითარების ისტორიას.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ისტორია მონათმფლობელობას არ იცნობს, პატრონჟიმობის დროსაც მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ადამიანით ვაჭრობას. რამაც შესაბამისი ასახვა პოვა ძველ ქართულ სამართალში.

ძველ ქართულ სამართალში, მათ შორის, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულში შესული სამართლის ძეგლები, ბექა-აღბუდას სამართალი, ბერძნული სამართალი, კათალიკოსთა სამართალი, მხითარ-გოშის სამართალი, სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა და სხვა მრავლად შეიცავს ადამიანის ყიდვა-გაყიდვის სამართლებრივ ნორმებს. ბერძნულ სამართალში მთელი თავი „სჯულის კანონი სოფლიერისა მოქალაქობისა სყიდვისა და გასყიდვისთვის“ არეგულირებდა ტყვეების, ყმების და სიღარიბით შვილის გაყიდვის საკითხებს (მუხლი მე-7, მე-8, მე-11), მხითარ გოშის სამართალი სასჯელის სახით იცნობს ისეთ ნორმებს, როგორცაა ქურდისა და მკვლელის გაყიდვა (მუხლი 152-ე), ხოლო სიკვდილით დასჯას აწესებს დამნაშავესთვის „რომელმან მოიპაროს შვილი ქრისტიანისა და გაყიდოს“ (მუხლი 205-ე). სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა სასჯელს აწესებს სხვისი შვილის და ცოლის გაყიდვისთვის (მუხლი 96-97-ე). მნიშვნელოვან მასალას შეიცავს XVI საუკუნის I ნახევრის ძეგლი სამართალი კათალიკოსთა „რამანც კაცმან კაცი გაყიდოს, ანუ დიდმან, ანუ მცირემან, ანუ თავადმან, ანუ აზმაურმან და ან გლეხმან, წმიდათა კრებულთაგან შეჩვენებულ იყო და განჰდილი“.

თუ დამნაშავე დადგინდებოდა და ის უკან არ გამოისყიდდა გაყიდულ კაცს, „მაშინც ვერამ საქმემ ვერ იჰსნას. უკანონოდცა არს - ძელსა მიეცეს“ (მუხლი 1).

თუ ვინმე ქრთამს აიღებდა და დამნაშავეს არ ჩამოახრჩობდა, მასაც მკაცრი სასჯელი ეკისრებოდა (6).

ტერორიზმი, ნარკოტიკებით ვაჭრობა, იარაღით ვაჭრობა და ტრეფიკინგი ისევ რჩება XXI საუკუნის მსოფლიოს მნიშვნელოვან პრობლემად.

ტრეფიკინგი ორგანიზებული დანაშაულის კლასიკური სახეა, ეს არის ადამიანის მონობა. გაეროს მიერ 2000 წელს მიღებული კონვენცია „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“ იძლევა რა ტრეფიკინგის დეფინიციას, გამოჰყოფს მის სამ ძირითად პოზიციას, კერძოდ, ქმედების დისპოზიციას, რომლის მიხედვითაც ტრეფიკინგი არის ადამიანთა გადაბირება, ტრანსპორტირება, გადაყვანა, შეფარება ან მიღება.

დანაშაულის ჩადენის ხერხია მუქარა, ძალის გამოყენება ან იძულება სხვა საშუალებებით, მოტაცებით, თაღლითობით, მოტყუებით, ძალაუფლების ან პირის უმწეო მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით ან იმ პირის თანხმობის მისაღწევად თანხის ან სხვა სარგებლის მიცემით ან მიღებით ვისი დამოკიდებულების ქვეშაც იმყოფება მეორე პირი. დანაშაულის ჩამდენის მიზანია ტრეფიკინგის მსხვერპლის სექსუალური ექსპლუატაციის, იძულებითი შრომის, ადამიანთა ორგანოებით ვაჭრობის გზით ფინანსური სარგებლის მიღება (4). ტრეფიკინგის დამამძიმებელი ფორმაა არასრულწლოვნებით, ბავშვებით ვაჭრობა.

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად, არასრულწლოვნით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) არის „არასრულწლოვანის ყიდვა ან გაყიდვა, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება, აგრეთვე მისი გადაბირება, გადაყვანა, გადამალვა, დაქირავება, ტრანსპორტირება, გადაცემა, შეფარება ან და მიღება ექსპლუატაციის მიზნით“ (1, 143<sup>2</sup>).

დანაშაულის დამამძიმებელი გარემოებებია იგივე ქმედების ჩადენა წინასწარი შეცნობით ორსულის მიმართ, უმწეო მდგომარეობაში მყოფის ან დამნაშავეზე მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებულის მიმართ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით; ასევე ჩადენილი არაერთგზის, იძულებით, მოტყუებით ან შანტაჟით ორი ან მეტი არასრულწლოვანის მიმართ, დაზარალებულის საზღვარგარეთ გაყვანით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, ასევე დანაშაულის ჩადენა ორგანიზებული ჯგუფის მიერ, რამაც გამოიწვია არასრულწლოვანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი.

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად, არასრულწლოვანია პირი, რომელსაც 18 წელი არ შესრულებია (2, 3).

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი დამამძიმებელ გარემოებად თვლის შემთხვევას, როდესაც ტრეფიკინგის მსხვერპლი უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირია. უმწეო მდგომარეობაში მოიაზრება არასრულწლოვანი, რომელიც თავისი ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის გამო მოკლებულია შესაძლებლობას გააცნობიეროს, თუ რა მოქმედებები ხორციელდება მის მიმართ და წინააღმდეგობა გაუწიოს ასეთს. ამ ვითარებაში შეიძლება აღმოჩნდეს ფსიქიკურად და ფიზიკურად სრულიად ჯანმრთელი არასრულწლოვანი, რომელსაც თავისი მცირეწლოვნების გამო (ბავშვი) არ შესწევს უნარი გააცნობიეროს, თუ რა მოქმედებები ხორციელდება მის მიმართ.

საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა თვლის, რომ 7 წლამდე ასაკის პირი ქმედუნაროა. მას არ შესწევს უნარი თავისი ნებით და მოქმედებით სრული მოცულობით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები (7, 153).

საქართველოს კანონი „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“, უმწეო მდგომარეობას განმარტავს როგორც მდგომარეობას, როდესაც პირი სხვა პირზე მატერიალურად ან სხვანაირად არის დამოკიდებული, როდესაც პირს ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის გამო არ შეუძლია რეალურად შეაფასოს არსებული ვითარება, როდესაც პირს არ გააჩნია სხვა რეალური საშუალება გარდა იმისა, რომ დაემორჩილოს მის მიმართ გამოყენებულ ძალადობას (3, 3).

ბელორუსიის სისხლის სამართლის კოდექსი (მუხლი 181-ე) მიჯნავს არასრულწლოვნის და მცირეწლოვანის ტრეფიკინგს. მუხლის მე-3 ნაწილი კიდევ უფრო ზრდის სანქციას, თუ მსხვერპლი მცირეწლოვანია (14).

საქართველოს კანონმდებლობით, თუ რა ასაკამდე შეიძლება ჩაითვალოს არასრულწლოვანი უმწეო მდგომარეობაში მყოფად კონკრეტულ საქმეზე, გამოძიების შესაფასებელია.

არასრულწლოვანთა და მცირეწლოვან ბავშვთა ტრეფიკინგის გამიჯვნის მიზნით საჭიროდ მიგვაჩნია კანონმდებლობის შემდგომი დახვეწა.

არასრულწლოვნით ვაჭრობა განზრახი დანაშაულია. დამნაშავეს შეგნებული აქვს თავისი ქმედების საზოგადოებრივად საშიში ხასიათი და სურს ამ შედეგის დადგომა.

„მოტივს დანაშაულის ჩადენისათვის მნიშვნელობა არა აქვს. იგი შეიძლება იყოს ანგარება, შური და სხვა. ის მხედველობაში მიიღება სასჯელის დანიშნის

სას, რაც შეხება მიზანს, მას კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა აქვს. ესაა ექსპლუატაციის მიზანი“ (8, 218).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შეცვალა თბილისის საოლქო სასამართლოს განაჩენი თურქეთის მოქალაქის მიმართ საქართველოს სსკ 143<sup>3</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნაწილში, რადგან დადგენილად ჩათვალა, რომ არასრულწლოვნების გადაყვანა თურქეთში მოხდა ნებაყოფლობით. ბრალდებულის მხრიდან აღვილი არ ჰქონია მოტყუებას, არასრულწლოვანის ყიდვა-გაყიდვას, ან მათ მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელებას. აგრეთვე მათ გადაბირებას, გადაყვანას, გადამალვას ან ექსპლუატაციის მიზნით მძევლებს, აღნიშნულის გათვალისწინებით სასამართლომ ბრალდებულის ქმედება გადააკვალიფიცირა სსკ-ის 171-ე მუხლის მესამე ნაწილზე (არასრულწლოვნის პროსტიტუციაში ჩაბმა) და დაუნიშნა შესაბამისი სასჯელი (11).

სასამართლომ სამართლიანად განსაჯა ის ფაქტი, რომ ბრალდებულის ქმედებაში არ იყო ექსპლუატაციის მიზანი. შესაბამისად მისი ქმედებაც ვერ შეირაცხებოდა არასრულწლოვნის ტრეფიკინგის შემადგენელ დანაშაულად.

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა ამომწურავად განსაზღვრავს, თუ რა მიიჩნევა კოდექსის 143<sup>2</sup> მუხლის მიზნებისთვის ექსპლუატაციად. კერძოდ:

„ექსპლუატაციად მიიჩნევა დამნაშავის მიერ მატერიალური ან სხვაგვარი სარგებლის მიღების მიზნით: ა) შრომის ან მომსახურების გაწევის იძულება, ბ) სექსუალური მომსახურების გაწევის იძულება, გ) პირის დანაშაულებრივ საქმიანობაში, პროსტიტუციაში, პორნოგრაფიაში ან სხვა ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში ჩაბმა, დ) ადამიანის სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის იძულებით ან მოტყუებით ამოღება, გადანერგვა ან სხვაგვარად გამოყენება, ე) ადამიანის მონობის მსგავს მდგომარეობაში ან მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენება“ (1, 143<sup>1</sup>-143<sup>2</sup>).

კანის შესაბამისად არასრულწლოვნით ვაჭრობა, მისი ყიდვა-გაყიდვა ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგებების განხორციელება, გადაყვანა, გადამალვა და სხვა უკანონო ქმედებები თუ განხორციელდა ექსპლუატაციის მიზნის გარეშე, მაშინ სახეზე იქნება არა ტრეფიკინგი, არამედ სისხლის სამართლის კანონმდებლობით დასჯადი სხვა დანაშაული, მაგალითად, არასრულწლოვანის ჩაბმა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში (სსკ 172-ე მუხლი), არასრულწლოვნის ყიდვა-გაყიდვა ან მის მიმართ უკანონოდ გარიგების განხორციელება შეილად აყვანის მიზნით და სხვა.

სისხლის სამართლის კანონმდებლობა ღიად ტოვებს შემთხვევას, როცა არასრულწლოვნის ყიდვა-გაყიდვას არ ახლავს არც ექსპლუატაციის და არც შეილად აყვანის მიზანი. მაგალითად, მისი მიზანია არასრულწლოვნის ოჯახისთვის ტკივილის მიყენება. ყიდის თავის გერს, რათა მას შეიღებს შეექმნათ კომფორტული გარემო და სხვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ თავის გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილა მსჯავრდებულის საკასაციო საჩივარი მისი ქმედების 143<sup>2</sup> მუხლის მეორე ნაწილიდან 172-ე მუხლზე გადაკვალიფიცირების შესახებ და მიუთითა შემდეგი: „საქართველოს სსკ 172-ე მუხლი მიზნით კვალიფიცირებული დელიქტია, ამ დანაშაულის ჩადენისას ბავშვის უშუალო გამყიდველისა და მყიდველის მიზანია, შესაბამისად ბავშვის გაშვილება და შეილად აყვანა, კასატორის მტკიცების საპირისპიროდ, საქმის არსებითად განხილვისას, სასამართლოს არ მიუჩნევია დადგენილად, რომ თითქოს ნ. მ-ს ამოძრავებდა შეილად აყვანის მიზანი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 21 აგ-

ვისტოს განაჩენით „უდავოდ დასტურდება, რომ ნ. მ-მ აღნიშნული ქმედებები განახორციელა სწორედ ბავშვის გაყიდვის და გამორჩენის მიღებისთვის და არა სხვა რაიმე კეთილშობილური მიზნით“ (12).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება 172-ე მუხლზე გადაკვალიფიცირებაზე უარის თქმის ნაწილში სამართლიანია, მაგრამ სამართლებრივად სადავოა მსჯავრდებულის ქმედების 143<sup>2</sup> მეორე ნაწილით დაკვალიფიცირება, რამდენადაც სასამართლო ვერ თვლის დადგენილად, რომ დამნაშავეს ამოძრავებდა ექსპლუატაციის გზით „გამორჩენის“ მიზანი, თუმცა მხოლოდ გამორჩენის მიღების სურვილი ექსპლუატაციის მიზნის გარეშე ვერ იძლევა მოცემული მუხლის შემადგენლობას.

როდესაც სამართლებრივი თვალსაზრისით განსახილველი და გადასაწყვეტი საკითხი არ არის გათვალისწინებული და რეგულირებული სამართლის არც ერთ ნორმაში, ადგილი აქვს ხარვეზს კანონმდებლობაში (10, 169).

სამოქალაქო სამართალში მოცემულ შემთხვევაში მოქმედებს კანონის ანალოგია, მაგრამ სისხლის სამართალში ანალოგია არ გამოიყენება.

„მოსამართლე არაა უფლებამოსილი ანალოგიის გზით შეავსოს ხარვეზი სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. სისხლის სამართალში ანალოგია დაიშვება მხოლოდ პიროვნების სასარგებლოდ. ანალოგია პიროვნების საზიანოდ სისხლის სამართალში არ დაიშვება“ (9, 169).

მიზანშეწონილი იქნება კანონმდებელმა გააკეთოს შესაბამისი განმარტება ან კანონის შესწორების გზით დადგინდეს, რომ არასრულწლოვნის ყიდვა-გაყიდვა (შვილად აყვანის მიზნის გარეშე) წარმოადგენს სსკ 143<sup>2</sup> მუხლით დასჯად ქმედებას იმ შემთხვევაშიც, თუ ვერ იქნება დადგენილი ექსპლუატაციის მიზანი, არ შეიძლება სასამართლო დავის საგნად იქცეს არასრულწლოვნის ყიდვა-გაყიდვის ფაქტზე დანაშაულის კვალიფიკაციის საკითხი და ყველა შემთხვევაში აღნიშნული ქმედება უნდა ისჯებოდეს 143<sup>2</sup> მუხლით.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2005-2016 წლებში გამოძიება მიმდინარეობდა ტრეფიკინგის 148 ფაქტზე (13).

ტრეფიკინგის უმრავლეს შემთხვევაში ხორცილდება ტრეფიკინგის მსხვერპლის საზღვარგარეთ გაყვანა. საქართველოს კანონმდებლობით არასრულწლოვნის საზღვარზე გადაყვანა ხდება მშობლის თანხმობით, მშობლის ან გამცილებლის საშუალებით. აღნიშნულის გამო დანაშაულის ჩასადენად შეიძლება განხორციელდეს საზღვრის უკანონოდ, საზღვრის არასათანადო ადგილზე ფარული გადაკვეთა, საზღვრის გადაკვეთა დოკუმენტების გაყალბების გზით და სხვა.

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით დამამძიმებელ გარემოებად ითვლება ტრეფიკინგის მსხვერპლი არასრულწლოვნის საზღვარგარეთ გაყვანა. ევროპის საბჭოს კონვენცია ადამიანთ ვაჭრობის ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს სასაზღვრო კონტროლის გაძლიერების ღონისძიებებზე. კონვენციის მე-7 მუხლი მონაწილე სახელმწიფოებს მოუწოდებს პირთა თავისუფალ გადაადგილებასთან დაკავშირებული საერთაშორისო ვაღდებულებების შეუზღუდავად გააძლიერონ სასაზღვრო კონტროლის ისეთი ზომები, რომლებიც აუცილებელია ადამიანთ ვაჭრობის პრევენციისა და გამოაშკარავების მიზნით. რაც მოიცავს კომერციული გადამზიდველი კომპანიებისათვის ხელის შეშლას თავიანთი სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებით წინამდებარე დანაშაულის ჩადენაში, მიმდებ ქვეყანაში შესვლისთვის აუცილებელი დოკუმენტაციის ქონის შემოწმების დავალებულებას ტრანსპორტის მფლობელებისათვის და სხვა (5).

საქართველოში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილების და მის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივ საფუძვლებს ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში სახელმწიფო ორგანოთა, თანამდებობის პირთა და იურიდიულ პირთა უფლებამოსილებებსა და ვალდებულებებს აწესრიგებს საქართველოს კანონი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, რომლის მიზანია უზრუნველყოს ადამიანით ვაჭრობის თავიდან აცილება და ტრეფიკინგის მსხვერპლთა უფლებების დაცვა.

კანონი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ავალდებულებს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ადამიანით ვაჭრობის დანაშაულში მონაწილე პირთა გამოვლენის და მათი საქართველოში შემოსვლისა და გასვლის აღრიცხვის უზრუნველსაყოფად გააკონტროლოს სახელმწიფო საზღვარზე პირების გატარების და სასაზღვრო გამშვები პუნქტების საქმიანობა.

არასრულწლოვანთა ტრეფიკინგის საკითხებზე საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პროგრამებში ადამიანით ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხების შეტანას (3)

რამდენადაც ტრეფიკინგის და მათ შორის არასრულწლოვანთა ტრეფიკინგის მნიშვნელოვანი ეტაპია მსხვერპლის სახელმწიფო საზღვარზე გაყვანა, ამ მიმართებით განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს როგორც საზღვარზე პირთა გადაადგილების და საზღვრის დაცვის საკითხებს, ასევე მნიშვნელოვანია დაიხვეწოს არასრულწლოვანთა სახელმწიფო საზღვარზე გადაადგილების პროცედურა, რათა აცილებული იქნეს საზღვარზე ტრეფიკინგის მიზნით არასრულწლოვანთა გადაადგილება.

#### **ლიტერატურა:**

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 143<sup>2</sup>-ე, 143<sup>1</sup>-143<sup>2</sup>- მუხლების შენიშვნა, 15.09.2017 წლის რედაქციით. <https://matsne.gov.ge>
2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 3. <https://matsne.gov.ge>
3. საქართველოს 28.04.2006 წლის კანონი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, მუხლი 3, მუხლი 6. 1.10.2017 წლის მდგომარეობით. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/26152>
4. გაეროს 2000 წლის კონვენცია „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“. <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1485286>
5. ევროპის საბჭოს კონვენცია „ადამიანებით ვაჭრობის ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“. რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 22.12.2006. <https://matsne.gov.ge>
6. დოლიძე თ., ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 1, თბ., 1963.
7. ჭანტურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ზოგად ნაწილში, თბ., 1997.
8. ლეკვეიშვილი მ. და ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, თბ., 2008.
9. ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბ., 2004.
10. ინწკირველი გ., სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია, თბ., 2003.
11. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა 02/06/2005, №2კ-49კოლ.-05 გადაწყვეტილება. <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>

12. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება №13-აგ-12 04/07/2012. <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>
13. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. <http://www.geostat.ge>
14. ბელორუსიის სისხლის სამართლის კოდექსი. <http://xn----ctbcgfviccvibf9bq8k.xn--90ais/>

**Mamuka Egutidze**

***Buying and Selling Juveniles (Trafficking) and its Prevention by Strengthening the Custody Control (according to Georgian Legislation)***

**Summary**

The topic aims to analyze current Georgian regulatory framework for preventing juvenile trafficking and attaching particular significance to strengthening border controls. The latter constitutes a primary prerequisite in combating juvenile trafficking, since trafficking is primarily carried out through the transportation of a victim across borders. The research revealed that if the selling and buying of minors is carried out without the intent of exploitation or adoption, then this might lead to a legal case. The signs of the latter are apparent in the trial practice of this category of cases. It is also important to differentiate between juvenile and minor (child) trafficking victims; their separation should be exercised at the legislative, not on a litigation level.

**Мамука Эгутидзе**

***Купля - продажа /трафикинг/ несовершеннолетних и усиление превенции пограничного контроля***

**Резюме**

Целью этой статьи является анализ действующей в Грузии нормативной базы по предотвращению торговли детьми несовершеннолетних и имеющее особое значение укреплению пограничного контроля. Последнее является основным предварительным условием в борьбе с торговлей несовершеннолетними, поскольку торговля людьми осуществляется главным образом путем перевозки жертвы через границы. Исследование показало, что если продажа и покупка несовершеннолетних осуществляется без намерения эксплуатации или усыновления, это может привести к судебному разбирательству. Признаки последних очевидны в практической практике этой категории случаев. Важно также проводить различие между несовершеннолетними и несовершеннолетними (детьми), жертвами торговли людьми, и их разделение должно осуществляться на законодательном, а не на судебном уровне.



ნესტან ლომია  
(საქართველო)

**გენდერული თანასწორობა: ინდივიდი და საზოგადოება**

თანასწორობა, ეს ის თემაა, რომელსაც ძალიან ხშირად ახსენებენ გენდერზე საუბრისას. ეს ადამიანის განვითარების ის საფეხურია, რომელზეც ადამიანის უფლებები, ვალდებულებები და საშუალებები არ განისაზღვრება იმით, ის მამაკაცია, თუ ქალი. თანასწორობა გადაწყვეტილების მიღებისა და რესურსების მართვის ძალაუფლებასთან არის გადაჯაჭვული. ის ცხოვრების ყველა სფეროში იხენს თავს, იქნება ეს საჯარო, კერძო, ადამიანური თუ სოციალური ჭრილი.

გენდერული თანასწორობა ჰარმონიული, სოციალური სამართლიანობის პრინციპებზე დაფუძნებული საზოგადოების ერთ-ერთი არსებითი მახასიათებელია. გენდერული თანასწორობა ნიშნავს, რომ ქალებსა და მამაკაცებს თანაბარი პირობები და ცხოვრებისეული შანსები აქვთ საკუთარი პოტენციალის სრული რეალიზაციისათვის, თანაბრად მონაწილეობენ პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული განვითარების პროცესებში და თანაბრად სარგებლობენ საზოგადოებრივი სიკეთეებით, შესაძლებლობებითა და რესურსებით.

დემოკრატიული სახელმწიფო უნდა ეფუძნებოდეს არა მარტო პოლიტიკური და სოციალური, არამედ გენდერული თანასწორობის იდეასაც, რაც გულისხმობს ქალისა და მამაკაცის თანაბარი უფლება-მოვალეობების, პასუხისმგებლობებისა და სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში თანაბარი ჩართულობის უზრუნველყოფას. ამ მხრივ სახელმწიფოს მთავარ მიზანს უნდა წარმოადგენდეს გენდერულ თანასწორობაზე ორიენტირებული პოლიტიკის ფორმირება და წარმოება, რომელშიც მოხდება გენდერული იდენტობებისა და ინტერესების ასახვა. საბოლოო ჯამში, სახელმწიფოს მიერ სწორად გატარებული გენდერული პოლიტიკის შედეგად მოხდება ქალისა და მამაკაცის უფლებებისა და თავისუფლებების გათანასწორების საშუალებებისა და პირობების სისტემის შექმნა-განვითარება.

თანამედროვე მსოფლიოში გენდერული თანასწორობა დემოკრატიის განვითარების ერთ-ერთ აუცილებელ პირობად არის აღიარებული. რეალური გენდერული თანასწორობის გარეშე შეუძლებელია ცივილიზებული საზოგადოების ჩამოყალიბება.

ქალისა და კაცის თანასწორობის საკითხს არც ისე ხანგრძლივი ისტორია აქვს. მე-19 საუკუნის ბოლომდე ქალს საზოგადოებაში დაქვემდებარებულის სტატუსი ჰქონდა; ქალს არ ეძლეოდა პოლიტიკურ ცხოვრებაში სრულყოფილი მონაწილეობის, განათლების მიღებისა და გარკვეულ პროფესიულ საქმიანობაში ჩართვის უფლება. თუმცა, დროთა განმავლობაში საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებმა, არსებულმა საჭიროებებმა და დამოკიდებულებების ცვლამ, ქალის როლის ცვლილებაც გამოიწვია. გენდერული თანასწორობის ისტორია არის ქალსა და კაცს შორის ინტელექტუალურ, პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ სფეროში ცვალებადი ურთიერთობების ისტორია.

ცნება *გენდერული თანასწორობა* გამოხატავს ქალებისა და კაცების იმ უფლებებრივ თანასწორობას, რაც როგორც ჩვენი, ისე სხვა სახელმწიფოების კანონ-

მდებლობით, კონსტიტუციით არის განმტკიცებული. იქიდან გამომდინარე, რომ გენდერული უთანასწორობის მსხვერპლნი ხშირად ქალები არიან, სწორედ ისინი იბრძვიან უფრო გამოხატულად გენდერული თანასწორობისათვის. ამის გამო კი საზოგადოებაში ჩამოყალიბებულია მოსაზრება, რომ გენდერული თანასწორობისათვის ბრძოლა ქალებისათვის კაცებზე მეტი უფლებების მინიჭებას გულისხმობს, რაც სრულიად ეწინააღმდეგება გენდერული თანასწორობის არსს.

გენდერული თანასწორობა თანაბრად სიკეთის მომტანია როგორც კაცების, ისე ქალებისათვის. არასწორია მტკიცება იმისა, რომ გენდერული უთანასწორობა უარყოფითად მხოლოდ ქალების ცხოვრებაზე აისახება, ვინაიდან ბევრი სტერეოტიპი არსებობს, რომელიც სწორედ კაცებს აყენებს დისკრიმინაციულ მდგომარეობაში; შესაბამისად თანასწორუფლებიანობისათვის ბრძოლა უნდა წარმოადგენდეს პრიორიტეტს როგორც ქალების, ისე კაცებისათვის.

რამდენიმე წლის წინ გენდერული თანასწორობა საზოგადოების დიდი ნაწილისათვის სრულიად უცხო ტერმინს წარმოადგენდა, ბევრს მხოლოდ უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდა მის მიმართ, ძალიან ცოტა ადამიანი თუ ხვდებოდა იმ სიკეთეს, რაც თანასწორობას მოაქვს თითოეული მოქალაქის ცხოვრებისათვის.

უკანასკნელი ათასწლეულების განმავლობაში განვითარებულ ქვეყნებში გენდერული თანასწორობა განსაკუთრებულად პრიორიტეტულ საკითხთა შორის მოექცა. მიზეზი, რის გამოც აღნიშნული თემატიკა საქართველოში დღემდე ვერ მოხვდა საზოგადოებისათვის აქტუალური საკითხების დღის წესრიგში, კომპლექსურია: დომინანტურ პატრიარქალურ კულტურასა და კონსერვატულ მენტალიტეტთან ერთად, მნიშვნელოვან დაბრკოლებას წარმოადგენს საზოგადოებაში გაბატონებული აზრი იმის თაობაზეც, რომ გენდერი ცალსახად ქალთა საკითხია. რეალურად, გენდერული თანასწორობა სცდება „ქალთა პრობლემის“ არსს, არ წარმოადგენს საბოლოო მიზანს და გაცილებით მასშტაბური გავლენა აქვს საზოგადოებრივი ცხოვრების, ფაქტობრივად, ყველა სფეროზე, ვიდრე ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს.

საუკუნეების მანძილზე დარღვეული თანასწორობის აღდგენას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნები სხვადასხვა სტრატეგიებით ებრძვიან; განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მთავრობებისა და საზოგადოებების დიდმა ნაწილმა გააცნობიერა, თუ როგორი მასშტაბური და დამანგრეველია უთანასწორობის შედეგები. საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა მონაწილეობის გაზრდის მიზნით დასავლეთ ევროპისა და ამერიკის ქვეყნები სულ უფრო და უფრო ხშირად მიმართავენ კვოტირების სისტემას.

გენდერული კვოტა – იდეა მოიაზრებს ქალთა დაცვას პოლიტიკური იზოლაციისგან. იგი ეფექტური საშუალებაა გენდერული თანასწორობის მისაღწევად, რაც ქვეყანაში „წარმომადგენლობითი დემოკრატიის“ ბაზისს ქმნის – კვოტირების თეორია წარმომადგენლობით პრინციპს ემყარება. ამ არგუმენტაციის თანახმად, რადგან მსოფლიოში მოსახლეობის ნახევარზე მეტს ქალები წარმოადგენენ, ლოგიკურია, რომ მოსახლეობის ამ ჯგუფს შესაბამისი წარმომადგენლობა ჰქონდეს გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში.

საზოგადოებაში სოციალური როლების განაწილებას აშკარად ახასიათებს გენდერული ნიშანი, რაც ინდივიდებს სპეციფიკურ მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებს აკისრებს. კერძოდ, საზოგადოების უმრავლესობისთვის მისაღებია სხვადასხვა სახის გენდერული როლის არსებობა, როგორებიცაა:

ქალის მთავარ მოვალეობად ოჯახზე ზრუნვის მიჩნევა;

ბავშვების მოვლის (საფენების გამოცვლა, დაბანვა და გამოკვება) დედების პასუხისმგებლობებად მიჩნევა;

სახლში კაცებისათვის გადამწყვეტი სიტყვის მიკუთვნება;

ქალის მიერ მისთვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მოთმენის ვალდებულება ოჯახის შენარჩუნების მიზნით.

ესაა ქართული გენდერული თანასწორობა, რამეთუ უკვე დამკვიდრებული სტერეოტიპები თაობიდან თაობას გადაეცემა. რა შეიძლება იყოს ასეთი დამოკიდებულების არსებობის საფუძველი? მაგ., ხშირია სიტუაციები, როდესაც დედებიც და მამებიც თავიანთ ვაჟებს ეუბნებიან: „შენ კაცი ხარ, ძლიერი და მამაცი უნდა იყო... რა გატირებს, გოგო ხომ არა ხარ? თუ ვინმემ დაგარტყა, უპასუხე და ა.შ.“ ასეთი მასკულიზური აღქმა და მესიჯები ზეწოლას ახდენს მოზარდ ბიჭზე და თუ ის ასეთ გარემოში გაიზრდება, ის აუცილებლად შეეცდება საპირისპირო სქესთან მიმართებაში იყოს – დომინანტი, ძლიერი და შეუპოვარი. თუმცა კაცი შეიძლება მოხვდეს ისეთ სიტუაციებში, სადაც თავის სიმამაცეს ვერ გამოიყენებს და თავს უძღურად იგრძნობს. რა მოხდება ასეთ შემთხვევაში? კაცი დაიწყებს საკუთარ სისუსტეზე ფიქრს და თავს არაადეკვატურად და ხელმოცარულად ჩათვლის, რის შედეგადაც ავტორიტეტის აღდგენას ძალის გამოყენებით სხვებთან შეეცდება. აქ მთავრდება ციკლი, რომელიც მშობლის მიერ შვილისათვის „ნამდვილი კაცის“ სტერეოტიპის შექმნით დაიწყო და მოძალადე კაცით დასრულდა. შამწუხაროდ, ეს ციკლი ხშირად მეორდება და მამის მხრიდან შვილს გადაეცემა, რაც კულტურაში მასკულიზობის ჰეგემონიას ამკვიდრებს. კავკასიაში ეს კარგად ნაცნობი ფენომენია. გარდა სხვა სტერეოტიპებისა, არსებობს ცნება „კავკასიელი“, რაც ძლიერი და დომინანტი და ზოგჯერ აგრესიული კაცის სინონიმია. მოკლედ, თანაბარი შესაძლებლობები ოჯახის სფეროში და თანასწორობა არ გულისხმობს მაინც და მაინც იმას, რომ ყველა ქალი სამზარეულოდან ძალით გამოვიყვანოთ და პარლამენტში დავსვათ. ის გულისხმობს, რომ თითოეული ოჯახი თვითონ უნდა წყვეტდეს როგორ გადაანაწილებს როლებს და პასუხისმგებლობებს და ამ პროცესებში ქალი და კაცი თანაბრად უნდა იღებდნენ მონაწილეობას, ანუ ოჯახი, სადაც ქალია დიასახლისი და კაცი შემომტანი, ან კაცი დიასახლისი და ქალი შემომტანი, ან ორივე თანაბრად ინაწილებს ფინანსურ და საოჯახო პასუხისმგებლობებს. საზოგადოების მხრიდან ეს არ უნდა იყოს გაკიდვის საგანი. დღევანდელი ერთ-ერთ სტანდარტად გვევლინება ქალისა და კაცის პროფესიები. მაგალითად, ქალისათვის – ძიძა, მდივანი, ექთანი, ხოლო კაცის გავრცელებული პროფესიებია, მაგალითად, მეხანძრე, პოლიციელი, პოლიტიკოსი და ა.შ. ადამიანი, ზოგადად, პროფესიას თავისი შესაძლებლობების ფარგლებში უნდა ირჩევდეს და არა ჩამოყალიბებული, გარკვეული სტერეოტიპისაგან შემდგარი სტანდარტით.

საქართველოში ორმაგი სტანდარტის მკაფიო გამოვლინებად გვესახება სექსუალური თავისუფლების პრობლემატიკა, ვინაიდან კაცის მხრიდან სექსუალური თავისუფლება სტატუსია, ხოლო ქალის შემთხვევაში, პარტნიორის ყოლა საზოგადოების თვალში აღიქმება როგორც მსუბუქი ყოფაქცევა.

თუ გენდერულ თანასწორობას სასურველ მიზნად ვაღიარებთ, მაშინ უთანასწორობა პრობლემად უნდა ვაღიაროთ. ქართულ საზოგადოებაში შედარებით იშვიათად ვხდებით ჯგუფებსა და ინდივიდებს, რომელნიც ღიად გამოდიან გენდერული უთანასწორობის დასაცავად. სამაგიეროდ, ხშირად ვხვდებით მოსაზრებას, რომ ჩვენთან გენდერული უთანასწორობა არ არსებობს.

ქართული საზოგადოების უმეტესობის შეხედულებები მკაცრად კონსერვატიულია და ქალის როლი საზოგადოებაში, ქალის სექსუალური თავისუფლება მიბმული და გაიგივებულია ოჯახის ცნებასთან. სოციალურ საკითხებში საქართველოს მოსახლეობა შედარებით შემწყნარებელია ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მიმართ, მაგრამ გენდერული თანასწორობა ოჯახის მართვასა და რჩენაში, სექსუალურ ცხოვრებაში რადიკალურად მიუღებელია. სხვადასხვა კვლევები აჩვენებენ,

რომ საზოგადოების უმეტესს ნაწილს მიაჩნია ოჯახში გადაწყვეტილებების მიმღები უნდა იყოს მამაკაცი, ასევე მამაკაცი უნდა იყოს ოჯახის მარჩენალი, ქალისათვის ქორწინებამდე სექსი მიუღებელია, ისევე როგორც, მამაკაცთან ქორწინებამდე თანაცხოვრება.

აქედან მხოლოდ ასეთი დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ ქართული საზოგადოების შეხედულება გენდერულ თანასწორობაზე ორმაგ სტანდარტს ეყრდნობა. სოციალური თანასწორობა მისაღებია, ხოლო ოჯახური და სექსუალური თანამშრობა – მკაცრად დაგმობილი.

ქალს შეუძლია ისწავლოს, მაგრამ არ შეუძლია თანაბარი როლი შეასრულოს ოჯახის რჩენასა და მართვაში, არ შეუძლია თავად განსაზღვროს სექსუალური ცხოვრების ნორმები, ან დაოჯახებისათვის სასურველი ასაკი. ეს სასურველი ასაკი, რომელსაც ხაზი გაუვსვით, მისი შინაარსი მდგომარეობს ნაადრევ ქორწინებაში. ამ დროს ოჯახი მხოლოდ იმიტომ იქმნება, რომ ახალგაზრდა წყვილს თანაცხოვრების სხვა შესაძლებლობა არ გააჩნია, ის ხშირად მოკლებულია მყარ საფუძვლებს და პასუხისმგებლობებს. ოჯახი, რომლის „არდანგრევის“ მიზეზი მხოლოდ მშობლების ან ზოგჯერ მეზობლების განკითხვის შიშია, არ შეიძლება ჰარმონიულად ფუნქციონირებდეს. ქართული საზოგადოებისათვის ყველაზე მტკივნეული საკითხი ქალის სექსუალური თავისუფლებაა. სექსუალური ცხოვრების მარეგულირებელი არსებული ნორმები, რეალობას ვეღარ აკონტროლებს; შესაბამისად, სექსუალობის თემა ტაბუდადებულ, დალუქულ სფეროდ რჩება, თუმცა რეალობაში იგი ნელ-ნელა ყოველდღიურად ირღვევა. შეხედულებების სხვადასხვაობა ინდივიდისაგან მოითხოვს გარკვეულ თამაშს, დამალვას, რაც არ შეიძლება ჯანსაღი იყოს მთლიანად საზოგადოების, ან ინდივიდებისათვის.

სამწუხაროდ, ეს აზრი მხოლოდ ნაადრევად დაქორწინებულებს არ ეხებათ. ეს იმას გულისხმობს, რომ ქალები, რომლებიც ნაადრევად არ ქორწინდებიან, იღებენ განათლებას და აქვთ კარიერა, გათხოვების შემდეგ ხშირად თმობენ თავიანთ პირად ამბიციებს და ოჯახი ხდება მათი მთავარი საქმე. ეს ყველაფერი კიდევ ერთ, ძალიან მნიშვნელოვან პრობლემას უწყობს ხელს: ოჯახში ძალადობას. იმის გარდა, რომ არის პირდაპირი კავშირი ნაადრევ ქორწინებასა და ოჯახში ძალადობას შორის, ზოგადად საქართველოში ამ მხრივ ძალიან საგანგაშო მდგომარეობაა. ის ერთ-ერთ ყველაზე ფართოდ გავრცელებულ და არასათანადოდ აღრიცხულ დანაშაულს წარმოადგენს. ქორწინებაში მყოფი ყოველი მეთერთმეტე ქალი ხდება ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი, მაგრამ იმ ქალთა რიცხვი, რომლებიც ყოველდღიურად არიან ეკონომიკური, სექსუალური და, მით უმეტეს, ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი, ბევრად აღემატება ამას.

ამ პრობლემას ამძაფრებს სხვა ფაქტორებიც – რადგან ქალისათვის ოჯახი მაინც პრიორიტეტად ითვლება, ისინი მიდიან მთელ რიგ დათმობებზე, მაგალითად, განათლების მიღების შეწყვეტა, ან სამსახურის თავის დანებება, რაც შემდგომში იწვევს მთელ რიგ ძალადობებს. ეკონომიკური, სექსუალური და, მით უმეტეს, ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი ბევრად აღემატება ზემოჩამოთვლილს.

საკამათო საკითხი არაა ის, რომ სოციალური გარემო, სადაც ვიბადებით და ვიზრდებით, გავლენას ახდენს ჩვენს ქცევაზე. შესაძლოა ვინმემ იფიქროს, რომ ამის გამო დაშტამპულები ვართ საზოგადოების მიერ ჩვენთვის წინასწარმომზადებული ფორმებით. ასეთი შეხედულებები მცდარია. ის ფაქტი, რომ დაბადებიდან ჩართულნი ვართ სხვებთან ურთიერთობაში, რა თქმა უნდა, განაპირობებს ჩვენს პიროვნულობას, ღირებულებებს, რომლებსაც ვფლობთ და ქცევას, რომელსაც ვახორციელებთ – თუმცა სოციალიზაცია ჩვენი ინდივიდუალობისა და თავისუფლების საწყისია. მისი მეშვეობით ხდება სოციალურ როლთა ინტერიორიზაცია – ათ-

ვისება. სოციალიზებული ადამიანი ჯდება თავის „გარემოში“. იგი იზიარებს თავისი სოციალური ჯგუფის შეხედულებებს, ფასეულობებს, ღირებულებებს და ურთიერთობას ამყარებს იმავე კულტურის სხვა წარმომადგენლებთან. სოციალიზაციის გზაზე თითოეული ჩვენგანი მოიპოვებს იდენტობას და დამოუკიდებელი აზროვნებისა და ქმედების უნარს, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია ადამიანის პიროვნული განვითარებისათვის.

ბევრი აღიარებს, რომ კარგ მოქალაქეებად კი არ იბადებიან, არამედ ყალიბდებიან სხვადასხვა გავლენისა და ინსტიტუტების ურთიერთქმედების შედეგად. ესაა: ოჯახი, რელიგია, სკოლა, თანატოლები, კანონი, სოციალური კლასი, ინტერესთა ჯგუფები, პოლიტიკური პარტიები და მასმედია. ისინი უყალიბებენ ადამიანს ვალდებულებებისა და საკუთარი რწმენის შეგრძნებას. ადამიანი იძულებული ხდება იფიქროს და იმოქმედოს საზოგადოებრივად მისაღები ფორმით. უშუალოდ პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესი იწყება ოჯახში, სადაც ადამიანი ყოველდღიურად იღებს სასჯელს ან ჯილდოს, სწავლობს რა არის დაშვებული და რა არა. ერკვევა რა ვალდებულებებში, ნელ-ნელა ხდება ოჯახის მოქალაქე. ამ გზებით ოჯახი სახელმწიფოს შემცირებული ფორმაა, საზოგადოების უჯრედია და უდიდეს გავლენას ახდენს პიროვნული ღირებულებების ფორმირებაზე, რაც შემდგომში განაპირობებს ადამიანის ქცევას საზოგადოებაში.

გენდერული თანასწორობის მიღწევა რთული ამოცანაა, ვინაიდან მიზნად ისახავს საუკუნეების მანძილზე გამყარებული შეხედულებებისა და სქესთა შორის დამყარებული ძალთა ბალანსის შეცვლას თანასწორობის სასარგებლოდ. გენდერული თანასწორობისაკენ სვლა რომ დაიწყოს საზოგადოებამ, მრავალი მიმართულებით უნდა მიმდინარეობდეს მუშაობა. ამ პროცესებში სამოქალაქო საზოგადოებასთან ერთად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მთავრობის მონაწილეობას, ვინაიდან ხელისუფლებამ უნდა დაგვემოს და განახორციელოს იმგვარი პოლიტიკა, რომელიც ეტაპობრივად უზრუნველყოფს სქესთა შორის თანასწორობას.

გლობალიზაციის ეპოქაში ქალისა და მამაკაცის თანასწორობაზე საუბარი და დისკუსია არც უნდა იმართებოდეს, მაგრამ ვინაიდან ეს არის სოციალური შინაარსის პრობლემა, შესაბამისად, მისი საბოლოო დარეგულირება და განსახილველი საკითხების სიიდან ამოღება საკმაოდ რთულია, რადგან საზოგადოებაში რაიმე დამკვიდრებულის აღმოფხვრა, გარდაქმნა ან ახლის დანერგვა, ისეთი ახლის, რომელიც ძალიან განსხვავდება უკვე არსებულისაგან, ძალიან ძნელია და გარკვეულ დროს მოითხოვს. ამიტომაც საკითხი – გენდერული თანასწორობა – საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე დგას და საკმაოდ მნიშვნელოვანია თავისი სიღრმიდან გამომდინარე.

პრობლემა თავისთავად არსებობს, თუმცა ცალსახად პასუხის გაცემა ძალიან რთულია. გენდერულ თანასწორობას თუ ისტორიულ ჭრილში განვიხილავთ, შედარებაც არ არის, იმდენად ჩართულია ქალი საზოგადოებრივ ცხოვრებაში და გათანაბრებულია მისი უფლებები. ისიცაა, რომ ზოგჯერ ზეწოლა, კონფლიქტი შეიძლება უფრო ორ ადამიანს შორის მოხდეს და ვიწრო ხასიათის იყოს, მაგრამ თუ ქალი დაიხაგრა, ამას განზოგადებული სახე მიეცეს. პირადად ყოველდღიურ ცხოვრებაში ნაკლებად ვხვდები ქალზე ძალადობას. ჩემს ირგვლივ უამრავი წარმატებული ქალბატონია, თუნდაც სამსახურში ძალიან ბევრი ქალი მუშაობს. ბევრ ჩვენ თანამემამულე მანდილოსანს ჰყავს ავტომანქანა, ისინი დადიან სალონებში, კინოში, თეატრში, რესტორანში, მეგობრებთან, შეუძლიათ ჩაიცივან შეუზღუდავად, მისდევენ სპორტს, მოგზაურობენ საზღვარგარეთ და ასე შემდეგ. ამით იმის თქმა მსურდა, რომ ქალებს აქვთ საშუალება ჩვეულებრივი, ნორმალური ცხოვრებისა. მაგრამ: მინდა დავძინო ამ ნათქვამს ის ფაქტი, რომ იმ ქალების უმეტესი ნაწილი,

რომელიც სოციუმში ნორმალურად არის ინტეგრირებული და ზემოწამოთვლილი სიკეთეებით სარგებლობს, ჩვენს სინამდვილეში ქმარგაყრილი ქალები არიან. პირადად ჩემ მიერ ჩატარებულმა კვლევამ ინტერვიურების საშუალებით, გვიჩვენა, რომ იმ ქალების უმეტესობას, რომლებიც თავისუფალ ქალბატონებად მოიაზრებიან (ასე აღიქვამს საზოგადოება), არა აქვს ოჯახი, ანუ არ ჰყავს მეუღლე. აქედან გამომდინარე კი, არსებობენ ასეთი ქალები, მაგრამ მათ არ ჰყავთ შემზღუდავი, ისინი ეკონომიურად უზრუნველყოფენ საკუთარ თავს და იღებენ იმ გადაწყვეტილებებს, რომლებიც მათ მიაჩნიათ თავიანთი ცხოვრების პრიორიტეტად გარკვეულ პერიოდში. ალბათ, არიან გათხოვილი და ოჯახიანი ქალებიც, რომლებსაც შეუზღუდავი უფლებები აქვთ, მაგრამ ეს პრეცედენტები უფრო ელიტური წრისათვისაა დამახასიათებელი და მას არა აქვს ფართო მასშტაბები, რადგან მოსახლეობის უმეტესი ნაწილი, ბოლომდე არ არის გარკვეული გენდერული თანასწორობის საკითხებში.

გენდერულ თანასწორობაზე ბევრი რამ თქმულა და დაწერილა. მიუხედავად ამისა, მიგვაჩნია, რომ ქართველ მამაკაცებს უჭირთ აღიარება ქალის, როგორც საზოგადოების სრულფასოვანი წევრის. ჩვენი აზრით, ქალებმა უნდა აღიმაღლონ ხმა არსებული სინამდვილის წინააღმდეგ, საზოგადოებაში ჩამოყალიბებული სტერეოტიპების აღმოსაფხვრელად. გლობალიზაციის პერიოდში, როცა სწრაფი ტემპებითა და დაჩქარებული დროით იცვლება ყველაფერი, ნუთუ რთულია ბრძოლა იმ უფლებებისათვის, რაც ისედაც ეკუთვნის კაცობრიობის უბრწყინვალეს მეორე ნახევარს. ერთიანობა და სურვილი თანასწორობისა ორივე მხარისათვის მომგებიანი და საზოგადოების წინსვლისათვის წინგადადგმული უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია. ვიმედოვნებთ, რომ ქართული საზოგადოება არ დაიშურებს ძალისხმევას და თითოეული ინდივიდი ეცდება თავისი წვლილი შეიტანოს გენდერული თანასწორობისათვის ბრძოლაში.

#### **ლიტერატურა:**

1. მაგშტადტი თ., გავიგოთ პოლიტიკა, 2011.
2. ჰეივუდი ე., პოლიტიკა, 2007.
3. გიდენსი ე., სოციოლოგია, 2011.
4. ბერძენიშვილი ა., პოლიტიკური სოციოლოგია, 2011.
5. ჰეივუდი ე., პოლიტიკური იდეოლოგიები, შესავალი კურსი.
6. ბერეკაშვილი ნ., ფემინიზმი და გენდერული დემოკრატია, 2016.
7. ანთელავა ლ., კულტურა და გენდერი, 2002.

### **Nestan Lomaia Gender Equality: Individual and Society Summary**

The article considers one of the problems of the second half of the XX century - gender equality, which represents an inseparable part of human rights. Gender equality implies equal opportunities, rights and responsibilities in the political, economic and cultural aspects.

The article carries an idea that much depends on the individual and the society as a whole; the deconstruction of old, obsolete and retarded stereotypes and changing of our way of life in accordance with the requirements of modern society is necessary.

**Нестан Ломая**  
*Гендерное равенство: Индивид и общество*

**Резюме**

В работе рассмотрена одна из таких проблематик второй половины XX века, как гендерное равенство, которое является неотъемлемой частью прав человека. Гендерное равенство подразумевает равные возможности, права и ответственность в политической, экономической, социальной и культурном разрезе.

В статье прослеживается мысль, что многое зависит от самого индивида и общества и очень важно деконструкция стереотипов, мешающих развитию.

**Kateryna Svyrydenko, Olena Yatsenko**  
(Ukraine)

**PEACE-EDUCATION: FROM WESTERN METAPHYSICS TO  
POSTCOLONIAL THINKING**

The project of the Enlightenment did not bring to humanity the desired peace and prosperity. The development of technology and civilization has greatly complicated the content and ways of communication and interaction. But an inherent to human natural aggression education has not yet succeeded. This aggression has gained new, more complex and sophisticated forms. The spectrum of its explication varies from physical violence to manipulative practices and information influence methods. The complex organizational structure of the existing system of interdependencies, of course, is a kind of product and the result of the implementation of the project of the Enlightenment. So, quite rightly observes Klepko S. (2017). “Wars and conflicts do not occur due to the lack of education and training; more than likely, they are started and planned by well-educated rulers; those manipulate by ignorance and roughness of their subjects” (1, 47). But there is no other way to overcome aggression and prevent manipulation than reflection, critical thinking and education. The problem is, first of all, that the information component accumulated in the formation of culture requires not only understanding and analytics, but also a peculiar system of management. If the tendencies of information oversaturation of a modern globalized world produce new challenges, then there is an obvious need for the formation of a contemporary ethical imperative. It is logical that the core of its content should be the sustainable development and the minimization of confrontation. And for the realization of this ambitious task has appeared such a direction of modern humanities as peace education.

Actually, if we analyze the principles of the classical ethical paradigm and, accordingly, the content of the concept of education and training in Ukraine, then we find out that questions of war and peace are left out of sight. But the real situation means the extreme urgency of this problem: from local military conflicts around the world, or the phenomenon of terrorism to domestic violence or bullying in educational organizations. Perhaps, if we would name things with their own names, then the perception of the essence of the processes will change qualitatively? Nowadays is full of simulation and simulacrum, and it is difficult to speak about the correspondence of the phenomenon and essence. However, the rejection of discursive ethics in matters of war and peace is a direct threat to present and future generations. And this ambiguous situation is observed not only in Ukraine. So, Lewsader and Myers-Walls (2016) came to the conclusion: “Peace is a topic that is often avoided in educational efforts by parents and educators, because it may be considered difficult or sensitive” (2, 2). Understanding the war as a completely horrible phenomenon, the educators exclude it from the thesaurus of educational practice. But with the concept of war, the concept of peace as a principle and the goal of human interaction naturally disappear too. And accordingly, other ethical categories like “friendship”, “tolerance”, “politeness” are deprived of its justification. Why is this happening? As the main determinants of this course of events, we should note the classical subject-centrist paradigm of philosophy and ethics. According to it, a person acts in the coordinates of free will and responsibility. Let us remember that ethics regulates the activity of single person, and reduces the meaning of the context in accordance with the Kantian critique of practical reason. But could we build a harmonious relationship with the world as object, which, moreover, is rapidly changing? The task is not feasible. It is necessary to combine the activity of the person and the dispersed environment.

Lewsader and Myers-Walls (2016) investigated the gradation of the context formation for understanding the peace from the personal level of activity to the universal in children: “We can imagine the child’s understanding of peace to look like a staircase. Each step represents the next



level of understanding. So in the case of our study, the staircase of peace would be six steps high, representing the six levels of children's understanding of peace. The outline below combines the research conclusions and theoretical perspectives to create recommendations to help children begin to scale those stairs" (2, 6). Therefore, it is indisputable conclusion about the expediency of pedagogical technologies in the formation of competencies of inflexible behavior. Such pedagogical technology has the following necessary components: "A review of peace education literature reveals four assumptions and conclusions that address the critical components of effective peace education: (1) peace education is not a specific curriculum; (2) dialogue and discussion are central; (3) the values and beliefs of the educator are critical; and (4) peace learning should be active....Peace education programs have been established in many countries and for many educational levels. But very few programs have been created with an understanding of the developmental process of understanding peace" (2, 12). Hence, a plastic and unstable world needs the notion of procedural in the dynamics of war and peace. And it is important in the sense of peace-building. We should move in implementing the strategy of peace-building from the closest local field to the global context of development. The world as a certain constant of human existence is an illusion. Therefore, there are grounds to distinguish the meaning of this concept, based on the criterion of activity in its affirmation. So, Cremin notes (2016): "Negative peace is achieved through peace-keeping initiatives, but positive peace is achieved through peace-making and peace-building" (7, 2). So, the strategy of affirming peace is also dependent on the way of representation and legitimation. The era of conspiracy dictates its rules. That is why "Most notably processes of marketisation have resulted in education being reduced to a commodity to be consumed like any other. This has diminished its potential as a process of human growth and spiritual development. At a global level, politicians have encouraged students and their parents to view themselves as atomised citizen-consumers who are more interested in the outputs of education than in processes of learning" (7, 5). Bickmore notes on this: "Reflecting on the ways in which cultures of schooling undermined her peace education work over a number of years in state schools in Canada, highlights a related concern that peace education programmes often fail to take a genuine account of diversity or to teach students how to create dynamic peace: the non-violent confrontation of ... conflicts is what sustains both democratic civil society and human relationships .... Unfortunately typical urban public schools in Canada today do not embrace such conflicts as opportunities for learning and collectively creating dynamic peace. On the contrary, despite many notable shining exceptions these schools seem much more often to ignore or actively repress expressions of difference in both implicit and explicit curriculum, focussing their efforts of achieving negative peace through control and conformity (Bickmore 2011, 99)" (4, 8).

Interaction between people can take different forms and be carried out in different operational ways. Because of that Behr, Megoran and Carnaffan (2018) assert "...peace education promotes (a) that violent conflict is not a natural state amongst people, peoples and societies, (b) that there are historical and present-day forms of cooperation and non-violent means of conflict management and resolution, and that (c) there are conflict-causing and conflict-propelling worldviews and perceptions which must be challenged through peace education" (3, 79). That is, politics and pedagogy need some correlation and integration in the modern world. Such a holistic and integrated approach to solving the complex problems of war and peace in the modern world is extremely important and in demand. We consider a remark by Rasheed and Munoz (2016) to be appropriate in this case: "Sustainable social change and peacebuilding efforts 'cannot be successful if they focus only on changing a discrete part, or several discrete parts, with no recognition of the dynamic system that these individual pieces comprise (ibid., 26)" (6, 176). Therefore, we reiterate the importance of the context of the implementation of ethical strategies and in the pursuit of peace in particular. According to famous researchers Bickmore, Salehin Kaderi and Guerra-Sua (2017): "Education for peace cannot occur in a vacuum, but in response to its contexts. Official history and

social studies curricula in any country create opportunities and barriers for building young citizens' capacities to participate in the daily work of building democratic peace" (6, 283). The basis of mutual understanding is not just a common desire for consensus, not just a common understanding of the values and principles of life. But tolerance and benevolence are also needed in the practice of interpreting the historical past and cultural heritage. Or by definition of Bickmore, Salehin Kaderi and Guerra-Sua (2017): "Narratives and cultural symbols (such as those embedded in any curriculum) may contribute to cultures of destructive conflict, exacerbating inter-group distrust (Ross 2007; Williams 2014). History education, in particular, may legitimize (or mitigate) enmity through narratives of past conflicts, in particular by silencing (or acknowledging) alternate perspectives and pluralist identities (Byrom and Riley, 2007; Paulson, 2015)" (4, 284). When freedom of speech and thought is suppressed by ideology, and instead of the proposed techniques of revenge and resipitancy, the world is undoubtedly and automatically endangered. Or "When one hegemonic version of the past is presented, especially when it blames an 'Other' for the outbreak and persistence of violent conflict, this raises fears and impedes understanding of complex realities (Anne Tupper, 2014; Bekerman and Zembylas, 2012; Davies, 2005; Vanner, Akseer, and Kovinthan, 2017)" (4, 285). Therefore, the affirmation of peace is possible through activity, through communication and perception of pluralism of thoughts and techniques of interpretation. The notion of peace does not imply the absence of conflicts of interests, aspirations and preferences. Rather, it focuses on the possibility and feasibility of productive conflict resolution through the development of communicative skills, social and emotional intelligence, flexibility and openness of consciousness. Thus, it is possible to achieve the realization of the main goal, or as noted by Bickmore, Salehin Kaderi and Guerra-Sua (2017): "Fundamental to affirming just peace, beyond generic communicative conflict resolution and dialogue skills is a capacity to humanize across social differences, especially amid the particular challenges of intergroup division, social exclusion, and inequity conflicts" (4, 300). Therefore, the concept of peace does not eliminate the meaning and significance of the conflict as such, but focuses attention on its contextual and perspective direction. Therefore, the task of peace-education is predominantly in shaping the ability to orient in social and cultural diversity and the ability to build a productive strategy of cooperation and communion. The principle of cultural pluralism is fundamental to the pursuit of peace-education. The post-colonial way of thinking and practice, from political discourse to routine activity, leads to a more open and flexible interaction.

But this is a certain idea of the purpose and the ideal of such cooperation. Reality offers us the empiric of conflictology both in the diplomatic format and in the measurement of real armed confrontation, up to a direct military confrontation, as in Syria or in Ukraine. The archaic ways of realizing state policy, combined with modern information technology civilization, create ambiguity in the content of public opinion around the world. The distortion of the content of real events as the basis of manipulative practices requires sound critical thinking skills. And therefore it is quite appropriate to note Zembylas (2017): "As it is emphasized, the goal of critical peace education is to empower young people to engage in practices and activism that increase societal equity and justice, which in turn, foster greater peace" (5, 4). The distortion of the content of real events as the basis of manipulative practices requires sound critical thinking skills. And, therefore, it is quite appropriate to note Zembylas (2017): "This work emphasizes an important point: when it is recognized that major theoretical schemes and practices of peace education are Eurocentric, and when it is realized that those are limiting (even under the banner of criticality), decolonial thinking can indeed open up valuable reflective spaces and opportunities for our field" (5, 6). The transformation of the practice of colonization into the practice of decolonization and the formation of postcolonial thinking is the main purpose of the peace-education. Therefore, it is rightly asserted by Zembylas (2017): "The infusion of postcolonial and decolonial theories into critical peace education, especially those versions that are conceptually grounded in some Freirean theoretical ideas, moves us closer toward the necessary epistemic reflexivity. If peace education is going to be truly transformative and critically

responsive toward the colonial order, then it has to become decolonizing, that is, it has to dismantle first all colonial practices from its social practices and theoretical frames. This means that discourses of critical peace education need to be accountable for their own coloniality (e.g. when such dialog is held on the basis of knowledge produced mainly in the West). Postcolonial and decolonial thinking, therefore, can be critically utilized to supplement critiques of peace education and address its omissions” (5, 12). The strategy and the principles of colonialism are broadcasted in the general paradigm of pedagogy and education. This phenomenon is explained not just by the technological advantage of Western civilization, but above all by the structures of mentality. These mental constructions are produced by Western metaphysics implicitly inherent in archaic imperial ambitions. The principle of centralism and integrity, binary dialectics, value ontology indirectly leads to idea about the ontological dimension of the hierarchy and the primacy of the principle before personality and sociality. The classical modes of cognition and representation in the correlation with scientific and technological progress level the meaning of the context in favor of universal order. Therefore, the ideology of colonialism represents itself as a factor in educational activities whose purpose is to restore social justice. And it is absolutely aptly assertion by Zembylas (2017): “Subedi (2013) suggests three strategies that I find particularly valuable in efforts toward decolonization: antiessentialism, contrapuntal readings, and ethical solidarity. The first strategy – antiessentialism – is about critiquing the monolithic portrayal (i.e. Eurocentric) of knowledge (e.g. regarding peace and peace education), while emphasizing the value of recognizing not only the link between Western epistemology and modernity/coloniality but also the contributions made by Third-World countries and cultures. The second strategy – contrapuntal readings – focuses explicitly on questions of colonization and imperialism. For example, as noted earlier, some approaches in peace education deal mainly with the development of individual skills (e.g. conflict resolution; dialogue), putting aside the problematic of the entanglements with empires and colonies (Barreto 2013). A decolonizing curriculum in peace education encompasses a different philosophy of the history in which understandings of peace and peace education are based on, giving birth to a new paradigm of critical peace education that historicizes notions of peace in the (post)colonial condition and their entanglements with power structures. Finally, the third strategy – ethical solidarity – is attentive to how questions of solidarity have been conceptualized, and it emphasizes the need to mobilize collective struggles across differences” (5, 17). We consider it extremely important to correct pedagogical technologies and training practices precisely in this ideological context. It is difficult, of course, to imagine the possibility of implementing Kantian ethics in its absoluteization of the rules of moral law and understanding of the other as a goal of activity. After all, the spectrum of human life contains a whole array of variations of direction. Therefore, any maxim is essentially local in use. The leading criterion for social life should be not the severity of the law and the uncontested truth, but the criticality of thinking and motivated solidarity. It is possible to make this transformation by peace-education. It is especially productive and expedient to consider this process as a matter of education of the younger generation. Or, in the opinion of Zembylas (2017): “In relation to critical peace education, for example, this strategy implies that to promote action-oriented empathy and solidarity, there has to be a systematic investigation of the different ways in which feelings of empathy are evoked in the classroom and have differential implications for those who suffer” (5, 17). That is, gradually expanding the context of applying peace from personal to social, state and universal. Or, in the interpretation Bazaluk and Svyrydenko: “Therefore, to maintain a regulatory compromise in the conditions of a continuously and nonlinearly complicating mental space of the Earth and its manifestations, it is actually impossible. It can only be supported by predicting, and a timely response to changes in the rhizome of a mental space and its manifestations. However, the professionally written security strategy may well prevent the war as a way to extend the possibilities of a locus of civilization and keep the conditions of peace effectively. It follows that the security strategy should have specific

objectives for the prevention of the causes of war and limit of the possibilities of aggressive manifestations on the part of any mental space at the scale of the Earth” (8, 96). Therefore, peace-education should become the mainstream of modern pedagogy.

Concepts of war and peace are in fact eliminated from the use of pedagogical practice. However, such a precedent is very dangerous and inexpedient. Modernity requires the actualization of these concepts. The blurriness of the content of the concept produces a lack of clear motivation and ethical imperative in daily practice. Dynamics of the context requires plasticity and openness of consciousness. Therefore, the classical principles of European metaphysics naturally produce the principles of colonial thinking. An important instrument for implementing this strategy is peace-education. Close attention and practical activity in this area will help to solve urgent issues of our time.

**Literature:**

1. Klepko S., Pedagogy of Peace and Philosophy of War: the Search for Truth Future Human Image: 7, 2017.
2. Lewsader J., Myers-Walls J., Developmentally appropriate peace education curricula, Journal of Peace Education, 2016. DOI: 10.1080/17400201.2016.1228527.
3. Behr H., Megoran N., Carnaffan J., Peace education, militarism and neo-liberalism: conceptual reflections with empirical findings from the UK, Journal of Peace Education, 2018. DOI: 10.1080/17400201.2017.1394283.
4. Bickmore K., Salehin Kaderi A., Guerra-Sua A., Creating capacities for peacebuilding citizenship: history and social studies curricula in Bangladesh, Canada, Colombia, and México, Journal of Peace Education, 2017. DOI: 10.1080/17400201.2017.1365698.
5. Zembylas M., Con-/divergences between postcolonial and critical peace education: towards pedagogies of decolonization in peace education, Journal of Peace Education, 2017. DOI: 10.1080/17400201.2017.1412299
6. Rasheed R., Munoz A., Higher education and peacebuilding – a bridge between communities? Journal of Peace Education, 2016. DOI: 10.1080/17400201.2016.1205003.
7. Cremin H., Peace education research in the twenty-first century: three concepts facing crisis or opportunity? Journal of Peace Education, 2016. DOI: 10.1080/17400201.2015.1069736.
8. Bazaluk O. O., Svyrydenko D. B., Philosophy of war and peace: in search of new European security strategy. Anthropological Measurements of Philosophical Research 12, 2017.

**ეკატერინა სვირიდენკო, ელენა იაცენკო**

**მშვიდობის სწავლება:**

**დასავლური მეტაფიზიკიდან პოსტკოლონიალურ აზროვნებამდე რეზიუმე**

მიუხედავად თანამედროვეობის მოთხოვნებისა, მშვიდობის სწავლებისას თავს იჩენს პრობლემა – ამ კონკრეტულ სფეროში მომუშავე პროფესიონალების ნაკლებობა. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ ომისა და მშვიდობის საკითხები განხილვას არ ექვემდებარება. სტატიაში გაანალიზებულია მშვიდობის სწავლებისა და მისი რეალიზაციის ძირითადი პრობლემები, კერძოდ, არასაკმარისი ყურადღება საკითხისადმი პედაგოგიურ პროცესში; კონტექსტის გაგენის, როგორც კლასიკურ ეთიკურ კონცეფციაში სასიცოცხლოდ აქტიური ფაქტორის, არარსებობა. მშვიდობის სწავლების სფეროში განათლების მეთოდოლოგია განაპირობებს პოტენციალის გაზრდასა და კონკრეტული კომპეტენციების განვითარებას მთელი ცხოვრე-

ბის განმავლობაში. ყველა ეს ფაქტორი ხელს უწყობს პოსტკოლონიალური აზროვნების ხარისხის გაუმჯობესებას.

**Екатерина Свириденко, Елена Яценко**

***Обучение миру: от западной метафизики к постколониальному мышлению***

**Резюме**

Несмотря на требование современности, проблема обучения миру демонстрирует отсутствие профессионалов, работающих в этой конкретной области. Одной из причин является то, что вопросы войны и мира не подлежат обсуждению. В статье анализируются основные проблемы обучения миру и его реализации. Авторы рассматривают некоторые вопросы, часто не учитываемые: недостаточное внимание к проблеме в педагогическом процессе, отсутствие влияния контекста как фактора жизненной активности в классической этической концепции. Методология образования в области обучения миру влечет за собой увеличение потенциала и развитие конкретных компетенций на протяжении всей жизни. Все вышеперечисленные факторы способствуют улучшению качества постколониального мышления.

**ჟანეტა ვარძელაშვილი, სალომე სამხარაული**  
(საქართველო)

**ვირტუალური ქსელური კომუნიკაციის  
სოციო-ფსიქოლოგიური თავისებურებანი**

Поведение человека, вредящее здоровью, часто бывает оценено обманчиво, как положительное. Неправильные образцы культуры и субкультуры вызывают аномальное поведение, являются следствием давления общества и массово реализуются. Это способствует формированию неправильных привычек, отношений и вредящего здоровью выбора. Человек, имеющий ощущение принадлежности к обществу, зачастую применяет те же самые модели поведения, которые в обществе широко распространены.

Образ жизни, который может эффективно бороться с цивилизационными угрозами здоровья современного человека и облегчить себе преодоление стресса имеет вписанный в свою систему ценностей физическую активность. «Это форма участия в физической культуре, целью которой является удовлетворение потребностей самореализации в области конкуренции моторики на пути к достижению наилучших результатов» (9, 10). Помимо стремления к престижу, физическая активность развивает стремление к самореализации, которые дают жизни единицы и группы динамики, показывают, что это стремление к чему-то и до бытия кем-то, к примеру, человеком всесторонне развитым, здоровым, эффективным, аккуратным, красивым, который мог организовывать своё свободное время, опираясь на радости жизни и мотивации к действию. Таким образом, физическая активность имеет большое значение профилактики здоровья.

Определяя перспективы изменения образа жизни в условном 2000, А. Сичинский утверждает, что физическая активность имеет шансы быстрого развития. Это она может стать «существенным элементом различных моделей образа жизни будущего» связанных с проблемами здоровья, профилактики здоровья и способов противодействия социальной патологии, проблемы преодоления стресса. В этой связи возникает ситуации, в которых мы имеем дело с коллективами открытыми, современными, с элементами конкуренции, особенно в группах, стремящихся к доминированию, и, наконец, к возможности выбора здорового образа жизни (5, 76).

Для успеха, выражая приверженность принципам здорового образа жизни, необходимо внести изменения в обществе. Необходимо добиваться того, чтобы полезным для здоровья поведением сопровождала общественная поддержка. Отправной точкой для начала процесса может быть кампании по информированию общественности. Это ряд действий, направленных на конкретную аудиторию, с целью изменить отношение или поведение определённой группы людей, используя массовые каналы связи (традиционные СМИ, нестандартные действия). Чаще всего в её реализацию ангажируется много субъектов: бизнес, медиа, общественные организации, государственные учреждения, делая возможными разные формы участия: финансовую помощь, речевую и тому подобное.

Эффективная социальная кампания должна быть организована профессионалами – рекламные агентства вместе со средствами массовой информации. Это они имеют опыт и знания о рынке, знание инструментов и методов маркетинга. Для рекламного агентства социальные проекты являются не только формой саморекламы, но прежде всего шансом на исправление какой-то части мира, а также развитие своего творческого потенциала. Социальная реклама должна быть «жесткой», в отличие от коммерческой, должна убедить человека, чтобы он решился внести изменения или полностью поменять образ жизни. Социальные проекты позволили рекламным агентствам изменить свой имидж, и реклама стала играть важную роль в общественной жизни (10).

Социальные кампании под лозунгом «Пей молоко, будешь Большим!» пропагандирующие молоко и молочные продукты, много лет проводит Международная Ассоциация Рекламодателей в Польше. Целью авторов идеи является побуждение детей к питью большего количества молока. Одна из главных причин остеопороза (прогрессирующее уменьшение костной ткани), которая угрожает свыше 9 млн. взрослых поляков, это недостаточное употребление молочных продуктов в детстве. Кампания направлена на детей в возрасте 5-13 лет и их родителей - весёлые истории, которые рассказываются ровесникам детей, которые благодаря питью молока набирают уверенности в себе, заканчиваются появлением известной личности, которая говорит: «Пей молоко, будешь Большим». Кампании, направленные на рекламирование молока, реализуются также в других странах, напр. в США под девизом «У тебя есть молоко»? Это не социальная кампания (финансируется за счёт производителей молока) ролики не транслируются по телевидению. Однако, как и в Польше поддерживает



крупнейшие звезды шоу-бизнеса и спорта. Кампания в Польше охватила все средства массовой информации. Сначала медицинские центры, поддерживали акции своим авторитетом Институт пищевых Продуктов и Питания, Мультидисциплинарный Остеопоротический Форум, Цент Биохимии и Здоровья Ребёнка. Действиям в национальном масштабе предшествовал пилотный проект в сентябре и октябре 2010 года в Верхней Силезии. Включал в себя рекламу на региональном телевидении TVP и радио, наружную рекламу и рекламу в региональной прессе. Результаты были обработаны в два этапа, проведены бесплатно институтом Millward Brown SMG / KRC (25), В январе 2011 года, рекламная деятельность под девизом «Пей молоко, будешь Большим!» накрыли всю страну. Поддержанная более чем 100 партнёрами из средств массовой информации, маркетинга и рекламы. Одной из обязанностей телекомпании TVP, как общественного института донести социально важную информацию, и это и есть социальные кампании (11).

Обеспокоенная здоровьем эмоциональным, умственным и нравственным детей и молодёжи, в июне 2001 года Ирена Козьминьска, основатель и президент Фонда ABCXXI инициировала кампанию «Вся Польша читает детям». Она была направлена на то, чтобы объяснить родителям пользу, вытекающую от совместного повседневного чтения. Организованы многочисленные вечера чтения, напоминали о необходимости провести время со своими детьми. Ежедневно, по крайней мере, 20 - минут чтения детям, учит думать, развивает память и воображение. Это помогает отличать добро от зла, приносит радость и уверенность в себе. Поощряя общее чтение, кампания привлекла внимание к необходимости для родителей контролировать количество и качество телевизионных программ и компьютерных игр, которым дети уделяют так много времени сегодня. Рекламный ролик, транслируемый на телеканале TVP, показывает юмористическую сценку, в которой ребёнок приходит к смотрящему телевизор отцу и спрашивает: «Папа, а ты умеешь читать?», достиг желаемого эффекта.

В ноябре 2003 года кампании стали набирать институциональный характер. Они появились координаторы для каждого воеводства, города, муниципалитета, сотрудничающих учреждений, школ и детских садов. Социальную кампанию «Вся Польша читает детям», в настоящее время проводят по всей стране несколько тысяч добровольцев, а программы Фонда ABCXXI «Читающие школы» и «Читающие детсады» объединяют тысячи школ и детских садов. Организации, которые ввели ежедневное чтение вслух для детей, наблюдают более глубокое понимание текстов и содержания, улучшение концентрации, лёгкость в устных и письменных ответах, повышение мотивации к обучению и готовность к сотрудничеству, формирование связей между учениками и между учениками и читающим преподавателем, увеличением читающих среди детей и уменьшения количества антиобщественного поведения. Регулярные исследования IPSOS (20) показывают, что социальная кампания «Вся Польша читает детям» знают 85% респондентов.

Социальная компания «Кодекс Здоровой Жизни» содействует сохранению снижения риска развития рака. В рамках кампании Центр Онкологии - Институт в Варшаве организовали пикник и прогулку под лозунгом «Хожу, Бегу, Живу». Основной целью мероприятия является пропаганда здорового поведения, исходя из предположения, что «профилактика лучше, чем лечение». Эти мероприятия в основном предлагают: использование здорового питания, богатого фруктами и овощами, забота о весе, регулярной физической активности, отказ от курения и чрезмерного количества алкоголя. Участники могли бесплатно измерить артериальное давление, уровень холестерина и глюкозы в крови, вычислить свой индекс массы тела (ИМТ), а также сдать кровь. В настоящее время в Польше, злокачественные опухоли являются первой причиной смертности среди женщин и на втором месте - среди мужчин. В то же время, немного поляков знают, что ведение здорового образа жизни может не только улучшить общее состояние здоровья, но и предотвратить множество

смертей от рака. И несмотря на то, что большинство (84%) считает, что должны заботиться о своём здоровье, только 13% перекалывают эту обязанность на государственные учреждения (12). Более 78% респондентов достаточно заботятся о своём здоровье. Средний поляк, хотя и имеет общие знания о вреде курения, ожирения, недостатке физической активности, неправильного питания, злоупотребления алкоголем, не реализует их в повседневном поведении. Более того, только 12% опрошенных поляков соотносят ведение здорового образа жизни в борьбе с профилактикой рака (26).

Кампания пропагандирует основные принципы нового издания Европейского Кодекса по Борьбе с Раком, подготовленного в ЕС. Рекомендации относятся к здоровому, активному образу жизни, а также скрининга и ранней диагностики (13).

Мы одна из наименее активных стран в Европе - этот вывод следует из отчёта, составленного Всемирной Организацией Здравоохранения. Более 70% поляков не выполняют каких-либо упражнений, а также около 10% только иногда (реже одного раза в неделю). Вопреки распространённому мнению, чтобы повысить эффективность необходимо не подвергнуться многочасовым тренировкам, а только увеличить свою повседневную физическую активность.

В целях пропаганды более простых методы физической активности была организована Национальная Организация Физической Активности «Поставь сердце на ноги». Организаторы подчёркивают, что активный образ жизни может проводить каждый человек, независимо от возраста и предыдущего опыта занятий спортом. Дефицит подвижности вызывает ожирение и избыточный вес, а также способствует развитию таких заболеваний, как сахарный диабет, атеросклероз и гипертония.

Для участия в кампании призвали представителей местных общин, представляющих жителей всей страны. Благодаря их инициативе, мероприятия по содействию активному и здоровому образу жизни проходят повсеместно во всей Польше.

В рамках кампании прошли спортивно-рекреационные мероприятия на открытом воздухе во многих городах Польши. При поддержке президента Польши, при поддержке Министерства Образования, Олимпийского Комитета Польши, Ассоциации Здоровых Городов Польши и научных организаций в том числе: Польское Кардио-логическое Общество, Польское Общество Исследований Атеросклероза, Польское Общество Спортивной Медицины. Кампания организована совместно с Pfizer Foundation, благотворительной организацией, основанной Pfizer Inc., которая первая начала финансирование программ медицинского образования в Центральной и Восточной Европе. Медиа-партнёрами акции были: телеканал II TVP, Radio ZET, Super Express, и Onet.pl (22).

В кампании «Спортивная Семья - Бактерия Спорта», организованной Олимпийским фондом Польши и Агентством Artim, чтобы вдохновить поляков заниматься физкультурой целыми семьями, заботясь о физическом состоянии детей и взрослых. Благодаря этому, в первый раз в Польше в таком крупном масштабе изучается физическое состояние учащихся начальных школ. Учителя физкультуры проводят Тест Физического Состояния, подготовленный доктором Кшиштофом Жухором, руководителя Отделения Теории Физической Культуры AWF, который определяет индивидуальную физическую активность, среди прочего: гибкость, скорость, прыгучесть, силу рук, выносливость и сила мышц живота, независимо от возраста и пола. Он имеет очень простые критерии, разработанные на основе различных распространённых тестов со всего мира. Упражнения были выбраны таким образом, чтобы они могли быть выполнены в любых условиях и всеми. Баллы полученные в процессе тестирования могут стать элементом позитивной конкуренции, например, в семье, потому что оценки и стандарты, применяемые в индексе позволяют сравнить достижения взрослых и детей. Для того, чтобы проверить его состояние приглашаются все желающие. На веб-сайте (18) кампании, вы можете найти интерактивные анкеты с описаниями упражнений для тес-

тирования. Средства массовой информации поддержавшие акцию: «Польское Телевидение», «Польское Радио», «Региональная Пресса», «Спортивный Обзор», «Просто». Кампанию также поддерживает плеяда величайших звёзд польского спорта.

В Польше, каждый год более 14000 случаев рака груди - болезни, которая является наиболее распространённой причиной смертности среди женщин в связи с поздним выявлением болезни, в связи с отсутствием образования, страха и низким уровнем информированности. Хотя эпидемиологические исследования подтверждают, что процент смерти от рака молочной железы ниже, в последние годы, женщины по-прежнему часто не знают, как контролировать свою грудь, а врачи избегают этой рутинной процедуры.

С марта 1998 года Avon Cosmetics Польша проводит «Большую Кампанию Жизни», которая направлена на повышение осведомлённости о профилактике рака молочной железы и осведомлённости женщин, что раннее обнаруженная болезнь излечима, и что они сами должны заботиться о своём здоровье. Ежегодные марши под лозунгом «Вместе Мы Победим Рак» соединяют больных и здоровых в борьбе с раком молочной железы, по всех территории Польши проводятся акции с целью донесения знаний о профилактике рака молочной железы.

На сегодняшний день все акции пропаганды здоровья реализованные в рамках «Большой Компании Жизни» собрали более 15 миллионов злотых. Avon собирает средства за счёт продажи продуктов с розовой лентой, а также путём организации благотворительных балов и концертов, подготавливая рекламные кампании (например: «Чего глаза не видят», «Хорошо иметь грудь», «Всегда»), поддерживая мюзикл «Ромео и Джульетта» - часть доходов от продажи билетов и программ были переданы в адрес «Большой Кампании Жизни». Кроме того, при реализации проектов, связанных со здоровьем, осуществляемых в рамках кампании, совместно организовали курсы для медсестёр из всей Польши в области профилактики, основанные на введении привлекательных условий страхования на случай заболевания на рак молочной железы для консультанток Avon. Субсидирует УЗИ груди в 100 медицинских центрах по всей стране, как часть проекта «Твоё Первое УЗИ молочных желёз». При реализации проекта, компания сотрудничает со многими организациями такими как: «Варшавский Клуб Женщин После Мастэктомии Амазонки», «Польская Организация Борьбы с Раком», а также представители органов государственной власти (19). В 2003 году от имени Avon ОВОР провёл исследование на тему понимания акции «Большой Кампании Жизни» среди женщин в возрасте от 15 до 60 лет. Результаты двух опросов были сравнены и однозначно заявлено, что компания почти повсеместно известна польским женщинам (94%) людей в возрасте от 15 до 60 лет, более 68% считают её исключительно частью рекламы косметики, и более 17% понимают, что в дополнение к продвижению косметики, Avon также участвует в благотворительной деятельности по борьбе с раком молочной железы. Объявлено о высокой информированности «Большой Кампании Жизни - Avon против Рака Грудь» - слышали об этом более 62% польских женщин.

Формирование здорового образа жизни является сложной задачей, которая требует взаимодействия многих сред. Как показывает практика, достижение долговременных изменений такого поведения в массовом масштабе очень сложно, хотя возможно. В развитых демократических странах спорт и физическая активность, стали общим благом, фактор, влияющий на здоровье и личность, способствует развитию здоровых привычек и отношений.

Гибкость методов, достижение требований адаптации к изменяющимся условиям, а также забота о правильном биологическом развитии и активной здоровой жизни это основные задачи современного поляка. Однако в обществе взрослых преобладает стиль жизни, далёкий от здорового стиля жизни. Достоинства здорового образа жизни и спорта, представленные в разных, доступных для каждого формах, все время остаются неизвестными или

недооцениваемыми. При увеличении возраста жизни поляков несёт серьёзную угрозу здоровью и качеству жизни. Похожая констатация связывается с показателями безработицы, которая с экономическими последствиями также поднимает риск заболеваемости. Такое состояние определяется наличием и доступностью (ценами), плохим предложением программ для людей всех возрастов и состояния здоровья.

Польша, следуя примеру других стран ЕС, жизненно заинтересована в развитии и распространении различных видов спорта. Это находит своё отражение в социальной политике - с 2003-го года действует «Стратегия Развития Спорта в Польше до 2012 года», включающая конкретные цели и задачи (14).

В связи с этими, кажется, необходимо разрабатывать кампании по профилактике заболеваний, направленные на различные аудитории. Действия, направленные на изменение мировоззрения требуют общности, единства воздействий в области здоровья человека. Все хорошо знаем, что здоровье это богатство. Просто мы не всегда знаем, как этого достичь. В значительной степени это зависит от того, сколько людей смогут изменить свой образ жизни, как изменят свои привычки. Будут ли они вызывать желание заботиться о здоровье, физической активности, о стиле здоровья, а также распространять его между родственниками и друзьями.

У нас, как у непосредственных участников общества, есть ещё много дел для реализации в этом направлении.

### **Литература:**

1. Добрачинский М., Рапорт о состоянии мира, ПВН, Варшава, 1990.
2. Добрачинский М., Отчет о состоянии мира, Oxford University Press, 1990.
3. Знанецкий Ф., Культурная реальность. Чикагский университет, 1919 г. (II Издание- Нью-Йорк 1982), [в] укреплении здоровья: социально-культурный контекст внизу. ред. Гловацька Данута Мария. Познань, Kozięgłowy, 2000.
4. Сициньский А., Жизненный стиль концептуальные и теоретические проблемы, Варшава, 1976.
5. Сициньский А., Образ жизни. Трансформации в современной Польше, Варшава, 1978.
6. Здоровье для всех к 2000 году целей и задач польской программы. Варшава, 1988.
7. Ottawa. Хартии укрепления здоровья 1986[B]. JB Карский, пропаганда здорового образа жизни. Понятие и принципы, «Здоровье», 1993, №3-4.
8. Влодарчик С., политика здравоохранения в демократическом обществе, University Medical Publishing House «Везалии», Лодзь-Краков-Варшава, 1996.
9. Малая энциклопедия спорта, Oxford University Press, 1987.
10. Витас К., Маркетинг идей, МПК-Т, №129, 2-06-2006.  
<http://www.marketing-news.pl/theme.php?art=401> (13. 11. 2007).
11. Приложение к постановлению Совета TVP SA No. 108/2005 от 29 марта 2005 (10. 10. 2007).
12. Общенациональный опрос, проведенный в ноябре и декабре 2006 года по заказу Центра Онкологии- Института в Варшаве.
13. Бойл П. и др., Европейский кодекс против рака и научное обоснование: третья версия (2003). Летописи Oncology 14: 973-1005.
14. Стратегия развития спорта в Польше до 2012 г. <http://www.menis.pl/> (23. 10. 2007).
15. Гловацька М. Д., Укрепление здоровья: социально-культурные контексты, Познань, Ко-зегловы, Волумин 2000.
16. Парсонс Т., Социальная структура и личность, PWN, Варшава, 1968.  
<http://www.mediweb.pl/womens/wyswietl.php?id=893> (13. 11. 2017).

17. Карский Й., Пропаганды здорового образа жизни. Понятие и принцип, «Публичное Здоровье», 1993, №3, 4.
18. <http://www.wysportowanarodzina.pl> (12. 01. 2008).
19. <http://www.wielkacampaniazycia.pl/> (16. 01. 2008).
20. <http://www.calapolskaczytadzieciom.pl/nowa/> (06. 12. 2007).
21. <http://www.marketing-news.pl/theme.php?art=401>
22. <http://www.mediweb.pl/womens/wyswietl.php?id=893>(13. 11. 2017).
23. <http://www.menis.pl/>
24. <http://oboppl/>
25. <http://www.pijmlekobedzieszwielki.pl/>(13. 11. 2007).
26. <http://www.ukie.gov.pl/WWW/serce.nsf/>(20. 12. 2007).
27. <http://www.wysportowanarodzina.pl/>



## Wielka Kampania Życia - Avon Kontra Rak Piersi






- ☞ Twórcy: Avon Cosmetics Polska
- ☞ Cel: szerzenie wiedzy na temat profilaktyki raka piersi
- ☞ Odbiorcy: kobiety w wieku 15- 60 lat
- ☞ Data rozpoczęcia: III. 1998 r.

źródło: [www.avon.pl](http://www.avon.pl) (07. 02. 2008 r.)

### მაჟენა სობჩაკი

### *ზრუნვა ცხოვრების ჯანსაღ წესსა და ფიზიკური აქტიურობის განვითარებაზე სოციალურ ჯგუფებში – სოციალური პოლიტიკის კომპონენტი რეზიუმე*

ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია ცხოვრების ჯანსაღ წესსა და სოციალურ ჯგუფებში ფიზიკური აქტიურობის სწორ განვითარებაზე. აღნიშნულია, რომ ეს არის სოციალური პოლიტიკის კომპონენტი, რომელიც გავლენას ახდენს სოციალური ჯგუფების ფორმირებასა და საქმიანობაზე.

### Mazhena Sobchak

### *Caring to Maintain Healthy Lifestyle and Development of Physical Activities in Social Groups-Component of Social Politics*

#### Summary

The article discusses healthy lifestyle and right development of physical activities in the social groups. It also mentions a component of social politics, which has its influence over the formation and activities of social group.

**ბროლისა წულაია**  
(საქართველო)

**გუნებისმცოდნეობის სწავლების ახალი ტექნოლოგიები**  
(თანამშრომლობითი სწავლება)

ბუნებისმცოდნეობის სწავლებას დაწვებით კლასებში განსაკუთრებული აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. სპეციალური ცოდნის გადაცემასთან ერთად ბუნებისმცოდნეობის კურსი უნდა ემსახურებოდეს მოსწავლეთა ეკოლოგიურ, ესთეტიკურ, პატრიოტულ და შრომის აღზრდას, რაც უნდა გამოიხატოს მოსწავლეებში შესაბამისი უნარ-ჩვევებისა და განწყობა-დამოკიდებულებების გამოქვეყნებით. სასკოლო განათლების სისტემაში მოსწავლეზე ორიენტირებულმა მიდგომამ ბიძგი მისცა თანამშრომლობითი პედაგოგიკის განვითარებას, რაც დღეისთვის ფართოდ არის გავრცელებული.

გასული საუკუნის 80-იანი წლებისათვის განათლებაში მიმდინარე მრავალრიცხოვანმა ინოვაციურმა პროცესებმა თავისი განვითარების გზაზე, შედეგის სახით, გამოიწვია ყოველმხრივად განვითარებული პედაგოგიური განზოგადოება, რომელსაც თანამშრომლობის პედაგოგიკას უწოდებენ. ეს განზოგადოება მოდის პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური პრაქტიკის საუკეთესო ტრადიციებიდან (კონსტანტინ უშინსკი, ანტონ მაკარენკო, ჟან-ჟაკ რუსო, იანეშ კირჩაკი).

თანამშრომლობითი პედაგოგიკის იდეები შევიდა თითქმის ყველა თანამედროვე პედაგოგიურ ტექნოლოგიაში. იგი ამკვიდრებს ახალ პედაგოგიურ აზროვნებას, პროგრესული იდეების წყაროა და ნებისმიერ ინოვაციურ საგანმანათლებლო ტექნოლოგიაში „შედწევადობის თვისებების“ მატარებელია (12, 47-50).

თანამშრომლობის პედაგოგიკას გააჩნია თავისი საკვალიფიკაციო მახასიათებელი ნიშნები და იგი არის:

- გამოყენების დონის მიხედვით - ზოგადპედაგოგიური ტექნოლოგია;
- ფილოსოფიური საფუძვლის მიხედვით - ჰუმანისტური;
- განვითარების ძირითადი ფაქტორის მიხედვით;
- პიროვნებაზე ორიენტაციის მიხედვით;
- ბავშვისადმი მიდგომის მიხედვით;
- მასში ყველაზე უფრო მიღებული მეთოდის მიხედვით – პრობლემურ-ძიებითი, შემოქმედებითი, დიალოგიური და სხვ. (10, 115-123).

თანამშრომლობა არის მოწაფეებისა და ბავშვების ერთობლივი განმავითარებელი საქმიანობის ამალგებული იდეა; ეს იდეა გულისხმობს მათში მონაწილე სუბიექტების მიერ ერთმანეთის სულიერ სამყაროში შეღწევისა და ურთიერთგაგებას. თანამშრომლობის კონცეფციაში მოსწავლე წარმოდგენილია როგორც საკუთარი სასწავლო საქმიანობის სუბიექტი. ერთი პროცესის ორი სუბიექტი მოქმედებს ერთად, საქმიანობაში მონაწილეობს თანაბარი უფლებით და არც ერთი მათგანი არ დგას მეორეზე მაღლა. ასე განისაზღვრება მიმართება „მასწავლებელი და მოსწავლე“.

თანამშრომლობითი სწავლება წარმოადგენს სწავლების ყველაზე თანამედროვე ფორმას, რომელსაც მასწავლებლები სულ უფრო აქტიურად იყენებენ სასწავლო პროცესში. იგი მიმართულია პარტნიორული და ჯგუფური მუშაობისაკენ, რომელიც მოითხოვს მოსწავლეთა სინქრონულ და არასინქრონულ, კოორდინირებულ და კონკრეტულ აქტივობას პრობლემის ერთობლივად გადასაჭრელად და საერთო მიზნის მისაღწევად (11, 61-70).

თანამშრომლობითი სწავლების დროს, დამოუკიდებელი და კონკურენტული სწავლებისაგან განსხვავებით, მოსწავლეებს უვითარდებათ ორმაგი, როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური პასუხისმგებლობა. ამ დროს თითოეული მათგანი პასუხს აგებს არა მარტო საკუთარ თავსა და კეთილდღეობაზე, არამედ ჯგუფსა და მის წარმატებაზე. თანამშრომლობის პედაგოგიკაში გამოყოფენ რამდენიმე მიმართულებას; მათ შორის ყველაზე საპატიო ადგილი უჭირავს ბავშვის მიმართ ჰუმანურ-პიროვნულ მიდგომას, რომლის ავტორია გამოჩენილი ქართველი პედაგოგი და ფსიქოლოგი შალვა ამონაშვილი.

შალვა ამონაშვილის პედაგოგიკა იმით არის უძლიერესი, რომ მასში ბავშვებისადმი მიმართება ღვთაებრივ დონეზეა აყვანილი. უპირველესი და განუხრელი პირობაა ის, რომ საგანმანათლებლო პროცესი ყოველი ცალკეული ბავშვისადმი მასწავლებლის ოპტიმიზმით იყოს გამსჭვალული; უმაღლესი ღირსებაა, თუ მასწავლებელი ღრმად და დარწმუნებული ფორმულაში „მას ყველაფერი შეუძლია“ და ყოველმხრივ ცდილობს, ეს მტკიცე რწმენა დომინანტად დააბედოს მოსწავლის ცხოვრებაშიც. მასწავლებლის ეს ოპტიმიზმი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორია მის მიერ ბავშვის ფსიქოლოგიური აღქმა, ვინ არის ბავშვი მისთვის? თუ მისთვის ბავშვი მხოლოდ მოსწავლეა და მეტი არაფერი, მაშინ საგანმანათლებლო პროცესში ოპტიმიზმის ძალა ქრება და ყველაფერი ისევ დაიყვანება ავტორიტარული რეჟიმის პრინციპებზე (14, 10-15).

თანამშრომლობითი სწავლებისას გამოყოფენ პასუხისმგებლობის ორ დონეს – პირველი ჯგუფი პასუხისმგებელია, რათა ჯგუფმა მიაღწიოს მიზანს, ხოლო მეორე ჯგუფის თითოეული წევრის პასუხისმგებლობაა, საკუთარი წვლილი შეიტანოს ჯგუფის მუშაობასა და წარმატებაში. სწორედ პასუხისმგებლობის ეს ორი დონე უნდა იყოს ინტეგრირებული თანამშრომლობით გაკვეთილში, თითოეულ მოსწავლეს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ მისი წარმატება ჯგუფის წარმატების საწინდარია.

თანამშრომლობითი სწავლებისათვის შექმნილი ჯგუფის ერთ-ერთი ამოცანაა, თითოეული წევრი აქციოს მკვეთრად გამოხატულ ინდივიდად, თუმცა კვლევები გვიჩვენებს, რომ ჯგუფური მუშაობის დროს ბევრი მოსწავლე ცდილობს, სხვის ხარჯზე გავიდეს ფონს და დაუმსახურებლად მიიღოს ჯილდო. აქედან გამომდინარე, ადვილი არ არის, შევაფასოთ ჯგუფურად მუშაობაში თითოეული მოსწავლის მიერ შეტანილი წვლილი. ამ პრობლემის თავიდან ასაცილებლად, მასწავლებელმა გონივრულად უნდა შეარჩიოს ჯგუფური მუშაობის მეთოდი.

თანამშრომლობითი სწავლების წარმატების მისაღწევად მასწავლებელი იყენებს კლასში წყვილებისა და ჯგუფური მუშაობის მეთოდს.

**თანამშრომლობა ოჯახსა და სკოლას შორის** - კვლევებზე დაყრდნობით, ბავშვის საგანმანათლებლო წარმატება დამოკიდებულია ოჯახზე, მშობლების განათლებაზე, მათ შემოსავალსა და ბავშვის საცხოვრებელ ადგილზე.

თანამშრომლობითი სწავლების ერთ-ერთი მეთოდია სეგმენტური მეთოდი, რომელიც ეხმარება მოსწავლეებს როგორც ინდივიდუალური, ასევე ჯგუფური პასუხისმგებლობის განვითარებაში და საშუალებას აძლევს მასწავლებელს შეაფასოს თითოეული მოსწავლის პირადი წვლილი ჯგუფურ მუშაობაში. სეგმენტური მეთოდი არის გრაფიკულად სტრუქტურისებული თანამშრომლობითი სწავლების მეთოდი, რომელიც საშუალებას იძლევა ჯგუფის ყველა წევრის ინდივიდუალური მუშაობის შედეგების შერწყმით მოამზადოს და კლასს წარუდგინოს ჯგუფის საერთო პროდუქტი (10, 115-120).

**აღნიშნულ თემაზე ჩატარდა კვლევა, პროექტი - ჯაჭვური რეაქცია**



შეადგინეთ გეგმა გაკვეთილისა შეიცვალა თუ არა თანამშრომლობის სურვილი და მოტივაცია საბუნებისმეტყველო მეცნიერების მიმართ კვლევაზე დაფუძნებული გაკვეთილის ჩატარების შემდეგ. პროექტის დასახელება იყო „ჯაჭური რეაქცია“.

მიზანი იყო საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლების დამოკიდებულებებისა და მიდგომების ცვლილებების შესწავლა კვლევაზე დაფუძნებული სწავლების პროცესში. საკვლევი კითხვებიდან და კვლევითი ამოცანებიდან გამომდინარე, ჰიპოთეზის შესამოწმებლად გამოვიყენეთ კვლევის შერეული ტიპები, თვისობრივი და რაოდენობრივი; მეთოდი - ინტერვიუ. ინტერვიუ ჩაწერეთ 7 მასწავლებელთან.

**ანეტა** - პრეინტერვიუში აღნიშნავს, რომ მოსწავლეთა მოტივაციის ასამაღლებლად და მათი სასწავლო პროცესში ჩართვის მიზნით, მნიშვნელოვანია საგაკვეთილო პროცესის დროს პრაქტიკული სამუშაოების განხორციელება.

„პრაქტიკული სამუშაოს დანიშნულება ბუნებისმეტყველების გაკვეთილებზე არის მოტივაციის ამაღლება, რის შედეგადაც ბავშვი ებმება საგაკვეთილო პროცესში და ხდება აქტიური შემსწავლელი“. იგი ხაზს უსვამს ცდების მნიშვნელობას. ის პრეინტერვიუში აღნიშნავს, რომ კვლევაზე დაფუძნებული სწავლება რთულია მრავალრიცხოვან კლასში, რადგან შეუძლებელია მცირე ჯგუფების შედგენა.

**ანეტა** - პოსტინტერვიუში უკვე განსხვავებულად საუბრობს კვლევაზე დაფუძნებულ სწავლებაზე, მასწავლებელსა და იდეალურ კვლევით გაკვეთილზე. იგი რადიკალურად ცვლის სასწავლო მიდგომას კვლევით ასპექტში.

იგი აღნიშნავს, რომ მოსწავლეებს უნდა მივცეთ საშუალება, დამოუკიდებლად მოიფიქრონ, განსაზღვრონ საჭირო რესურსი – „ვცდილობ დავგავიძოვო ისეთი გაკვეთილი, სადაც მოსწავლე თვითონ მოიფიქრებს, თუ როგორ უნდა იკვლიოს“. მასწავლებელი აღნიშნავს, რომ პროექტში ჩართვის შემდეგ მოსწავლეებს გაუჩინდათ ბევრი საკვლევი კითხვა, გაიზარდა მათი დამოუკიდებლად მუშაობის სურვილი. გაიზარდა ჯგუფური მუშაობის შედეგად ბავშვებს შორის თანამშრომლობა.

**მანანა** - ინტერვიუში განიხილავს პრაქტიკულ საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხს. ის აღნიშნავს, რომ მოსწავლეები თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, მასწავლებელთან შედარებით გაცილებით მეტ ინფორმაციას ითვისებენ მოკლე დროის განმავლობაში. კვლევითი სწავლება მათთვის საინტერესოა, ისინი უფრო აქტიურები ხდებიან, ერთმანეთთან კარგად თანამშრომლობენ, იბრძვიან გამარჯვებისთვის. მანანა საკუთარ წუხილს გვიზიარებს სწავლების მიდგომის ფლობასთან დაკავშირებით. იგი მიიხნევს, რომ ჯერჯერობით არ არის მზად კვლევაზე დაფუძნებული სწავლებისათვის, რადგან საამისოდ არ გააჩნია საკმარისი ცოდნა და ინფორმაცია. ამ მიზეზის გამო, ძირითადად თეორიულ გაკვეთილებს ატარებს. ინტერვიუში აღნიშნავს: „ხშირად ვფიქრობ, რა შეიძლება გავაკეთო, რომ რაიმე კვლევითი სამუშაო მივცე ბავშვებს, მიუხედავად ამისა, მაინც თეორიულ მხარეს მივყვები“. მასწავლებელი გამოთქვამს მზაობას მიიღოს მონაწილეობა კვლევაზე დაფუძნებულ სწავლებასთან დაკავშირებულ ტრენინგებსა და სემინარებში.

**გურანდა** - ინტერვიუში საუბრობს საბუნებისმეტყველო საგნების მიდგომებსა და სწავლა-სწავლების პროცესზე. მასწავლებელი საუბრობს მოსწავლის პასუხისმგებლობაზე, რწმენასა და თავდაჯერებულობაზე ჯგუფური მუშაობის დროს, როგორ თანამშრომლობენ ერთმანეთთან, უზიარებენ მოსაზრებებს და თანამშრომლობენ მასწავლებელთან კვლევითი საქმიანობის განხორციელებისას. ამასთანავე, აღნიშნავს, რომ კვლევაზე დაფუძნებულ სწავლებას ხელს უშლის მოსწავლეთა მრავალრიცხოვნება გაკვეთილზე. მაგალითად მოჰყავს მის მიერ ჩატარებული ერთ-ერთი, შედარებით წარუმატებელი, კვლევითი გაკვეთილი, სადაც მრავალრიცხოვ-

ნების გამო შეექმნა დისციპლინის პრობლემა, რადგან ვერ განახორციელა მოსწავლისადმი ინდივიდუალური მიდგომა: „კლასში ბავშვების რაოდენობა ბევრი იყო, ამიტომ თითოეულ ბავშვთან მისვლა გამიჭირდა. განსხვავებული გარემო რომ ყოფილიყო, ცოტა მოსწავლე რომ ყოფილიყო (დაახლოებით 20 მოსწავლე), ალბათ, მეტ ყურადღებას მივაქცევდი“. ინტერვიუში მასწავლებელი ხაზს უსვამს, რომ კვლევებით, კეთებითა და აღმოჩენით სწავლებისთვის მნიშვნელოვანია მასწავლებლის მიერ მოსწავლეთა წინაშე ცოდნისა და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინება; „კვლევის დაგეგმვის დროს თუ სწორად ვერ გავთვალე ასაკობრივი ჯგუფი, ან მოსწავლეთა ცოდნა, ასეთი გაკვეთილი შეიძლება იყოს გაკვეთილის წარუმატებლად ჩატარების მიზეზი. „კვლევითი საქმიანობის განხორციელებისათვის მნიშვნელოვნად მივიჩნევ მასწავლებლის საგნობრივ ცოდნასა და კომპენტენციას“. წარუმატებლობის განმსაზღვრელი შეიძლება იყოს პედაგოგის მომზადების დონე.

**თამილა** - ინტერვიუში ხაზს უსვამს კვლევის დროს ქიმიისა და ბიოლოგიის მასწავლებლების ურთიერთთანამშრომლობის მნიშვნელობას. ის ხშირად ატარებს კვლევებს, თანამშრომლობს კოლეგებთან, გაიზარდა მოსწავლეთა მოტივაცია და ისინი მუშაობენ დამოუკიდებლად. თამილა საუკეთესო გამოცდილებად მიიჩნევს მოსწავლეებთან ერთად დაგეგმილი კვლევითი გაკვეთილის ჩატარებას. „ჩემს საუკეთესო გამოცდილებად ითვლება, როცა მე ბავშვებთან ერთად ვგეგმავ კვლევებს, ვატარებ და შედეგებსაც ერთად ვხედავთ“; წარუმატებლობის მიზეზად კი ასახელებს არასწორ ინსტრუქციას, მაშინ, როდესაც პროექტში მონაწილეობამდე მხოლოდ სიტყვიერი კომენტარებითა და მითითებებით შემოსაზღვრებოდა. ერთ-ერთი კვლევის აღწერისას აღნიშნავს – „ბავშვებს ჰქონდათ მინდობილი და ბევრ წყალს უსხამდნენ, ვფიქრობ, ამის მიზეზი არასრული ინსტრუქციაა“.

**ნინო** - ინტერვიუში აღნიშნავს, რომ ხშირად მიმართავს თანამშრომლობით სწავლებას, რადგანაც იგი მიმართულია პარტნიორული და ჯგუფური მუშაობისაკენ. კვლევაზე დაფუძნებული სწავლებით დავრწმუნდი, რომ ამგვარი მიდგომა მოსწავლეებში ავითარებს ლოგიკურ აზროვნებას, კოგნიტურსა და შემეცნებით უნარებს. ბავშვები ხალისით ატარებენ კვლევებს, ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ შეხედულებებს. სწავლება უფრო საინტერესო და ხალისიანი ხდება. ის ზოგადად საუბრობს პრაქტიკული სამუშაოების უპირატესობაზე, თეორიულ სწავლებასთან შედარებით, მოჰყავს მაგალითები საკუთარი პრაქტიკიდან.

**დოდო** - ინტერვიუში საინტერესოდ საუბრობს საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების კვლევაზე დაფუძნებულ მაგალითებზე. აღნიშნავს, რომ კვლევის განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია მასწავლებლის წინასწარი მომზადება და მოსწავლეთა განწყობა და მოტივაცია. როგორც თვითონ ამბობს, ბევრი წარუმატებელი გაკვეთილი აქვს ჩატარებული და მიზეზად ასახელებს დაბალ კომპენტენციასა და გაკვეთილის ჩატარების საკუთარ მიდგომას. აღნიშნავს, რომ უჭირს წინასწარი დაგეგმვა; „ბევრჯერ მაქვს ჩატარებული წარუმატებელი გაკვეთილი და, ეს იმიტომ, რომ სხვა მიზეზებთან ერთად, მიდგომა, მეთოდიკა, გლობალური დამოკიდებულება გაკვეთილის მიმართ, არასწორი მაქვს“. მის ჩატარებულ გაკვეთილზე დიდ გავლენას ახდენს მოსწავლეთა წიგნიერება, ინტერესი, განწყობა და დისციპლინა, შექმნილი სასწავლო გარემო. ინტერვიუში ჩანს, მასწავლებელს ინტერესი უცრუვდება, როცა დაუინტერესებელ, წიგნიერების დაბალი დონის მქონე მოსწავლეებთან აქვს ურთიერთობა.

**ელენე** - ინტერვიუში საუბრისას ძირითად ყურადღებას ამახვილებს მასწავლებელთა არაპროფესიულ განვითარებაზე. განიხილავს აგრეთვე საკლასო მენეჯმენტსა და საგაკვეთილო მიდგომებს, კარგად აქვს გააზრებული, თუ რა კომპე-

ტენციებს უნდა ფლობდეს საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებელი. იგი მოსწავლეთა წარმატებების მისაღწევად მნიშვნელოვნად მიიჩნევს პრაქტიკულ საქმიანობაზე დაფუძნებულ სწავლებას: ათვისებლობიერებს კვლევასა და აღმოჩენებზე დაფუძნებული სწავლების მნიშვნელობას და აღნიშნავს, რომ კარგად დაგეგმილი გაკვეთილის პირობებში, როდესაც რესურსებიც ხელს უწყობს მასწავლებელს, ყველა მოსწავლე აქტიურად ერთვება სასწავლო პროცესში, მათი მსჯელობით, ამგვარი მიდგომებით მოსწავლეთა თანამშრომლობის ხარისხი მაღალია.

**მაია** - ინტერვიუში საუბრობს პროექტით სწავლების მნიშვნელობაზე. იგი აღნიშნავს, რომ პროექტით სწავლება ყველაზე გავრცელებული მიდგომაა, რომელიც მოიცავს ამა თუ იმ საკითხის გამოძიებას. იგი შეიძლება განვიხილოთ, როგორც მოსწავლის შემოქმედებითი და შემეცნებითი, დამოუკიდებელი აზროვნების, პრობლემის გამოკვეთისა და მისი გადაჭრის საუკეთესო საშუალება.

ამგვარად, პროექტში მონაწილეობის შემდეგ მასწავლებლები თვლიან, რომ კვლევაზე დაფუძნებული სწავლებისათვის მნიშვნელოვანია მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობა, მასწავლებელთა თანამშრომლობა, პროფესიული განვითარება და გამოცდილების გაზრდა, რათა მასწავლებელმა ყოველთვის ჩაატაროს უხარვეზოდ დაგეგმილი, მთელი პასუხისმგებლობით წინასწარ გაწერილი კვლევითი გაკვეთილები.

კვლევის დროს მიღებული შედეგების ანალიზი განაპირობებს მოსწავლეთა ზოგადი და პრაქტიკული უნარების, ჰიპოთეზისა და არგუმენტის ჩვენების განვითარებას.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენ მიერ განხორციელებული პროექტი ორიენტირებულია მასწავლებელთა და მოსწავლეთა თანამშრომლობაზე, კვლევითი კომპონენტების განვითარებასა და კვლევაზე დაფუძნებული სწავლების დანერგვაზე, რაც საბოლოოდ აისახება კვლევითი უნარების განვითარებასა და ბუნებისმეტყველების საგნის სწავლების მოტივაციის ამაღლებაზე.

### **ლიტერატურა:**

1. ეროვნული სასწავლო გეგმა ბუნებისმეტყველებაში, 2011-2016.
2. ეროვნული სასწავლო გეგმა ბუნებისმეტყველებაში, 2018-2024.
3. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მეთოდური გზამკვლევი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2010.
4. წულაია ბ., ბუნებისმეტყველება დაწყებით კლასებში, თბ., 2012.
5. წულაია ბ., ბუნებისმეტყველების ინტეგრირებული კურსი სწავლების მეთოდიკისადმი მიდგომის ზოგადი ტენდენცია დაწყებით კლასებში. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 1, 2007.
6. წულაია ბ., ბუნებისმეტყველების სწავლების ინტერაქტიული მეთოდები დაწყებით კლასებში, თბ., 2008.
7. ქურაძე ი., სწავლა/სწავლების მეთოდების ეფექტური გამოყენება სწავლების ორგანიზაციის პროცესში, თბ., 2014.
8. ლობჯანიძე ს., სწავლების ეფექტური სტრატეგიები, თბ., 2012.
9. ლობჯანიძე ს., სწავლების ეფექტიანი სტრატეგიები. გონებრივი იერიში, თბ., 2012.
10. ლობჯანიძე ს., თანამშრომლობითი სწავლების მეთოდები. სევტენტური მეთოდი, თბ., 2016.
11. ლობჯანიძე ს., თანამშრომლობითი სწავლების მეთოდები, ინტერვიუ სამი ნაბიჯი, თბ., 2016.

12. ჯინჯისაძე ჯ., თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიები. თანამშრომლობის პედაგოგიკა, თბ., 2012.
13. მოსიაშვილი თ., სკოლის, ოჯახისა და თემის თანამშრომლობის გაძლიერება. ჟურნალი „მასწავლებელი“, N3, 2016.
14. Амонашвили Ш., Размышления о гуманной педагогике, М., 1996.

**Brolisa Tsulaia**  
***New Technologies for Teaching Science (Cooperative Teaching)***  
**Summary**

Cooperative teaching contributes to the development of the following skills of socialization: stating and defending our own positions, respecting the opinions and views of others, acquiring experience from common experience, etc. Joint work makes the learning/teaching process interesting.

We can say that joint study is easy, interesting and effective process, as it leads to academic success, social development and moral growth. Group work gives each student an opportunity to listen and summarize different opinions and make actions.

Research-based teaching arises high interest in students, which in turn contributes to the development of scientific literacy and stimulates participation in classroom activities, improves cognition, and involves them in scientific explanation of events going in nature. One aspect is that the teacher should constantly conduct research, but the second important aspect is to take into account the students' interests about specific issue being researched. The teacher's tasks selected according to the personal interests of pupils and oriented on research issue, increase the efficiency of the educational process regarding this issue, at the expense of increased interest.

**Бролиса Цулая**  
***Новейшие технологии изучения естествознания (сотрудническое изучение)***  
**Резюме**

Сотрудническое изучение способствует также развитию следующих навыков социализации: фиксации и защите собственных позиций, уважению чужих мнений и взглядов, приобретению опыта из общего опыта и т.д. Совместная работа делает интересным процесс учения/изучения.

Можно сказать, что совместное изучение является лёгким, интересным и эффективным процессом, так как вызывает как академические успехи и социальное развитие, так и повышение нравственности, групповая работа дает каждому учащемуся возможность действия и слушания-результативирования мнений.

Учение, основанное на исследовании, вызывает в учащихся высокий интерес, что со своей стороны, способствует развитию научной книжности и обуславливает рост включения в классные активности, улучшает навык познания и подключает его к научному объяснению явлений происходящих в природе. То, что учитель должен постоянно проводить исследования, является одним из значимых аспектов, но вторым значимым аспектом является то, что должен быть предусмотрен интерес учащихся по отношению к конкретному исследуемому вопросу. Задания, отобранные учителем исходя из личностных интересов учащихся, ориентированные на исследовательскую работу, повышают эффективность образовательного процесса по отношению к данному вопросу, за счет повышенного интереса.

**კახი კოპალიანი, გვანცა ბერაძე**  
(საქართველო)

**პროფესიული სტრესის პიროვნული და სოციალური დეტერმინანტები  
საჯარო და კერძო სკოლის პედაგოგებთან**

პროფესიული სტრესი საკმაოდ აქტუალური საკითხია დღევანდელ რეალობაში. მნიშვნელოვანია სტრატეგიები, რომლებსაც ამგვარ პროფესიათა წარმომადგენლები იყენებენ სტრესის დასაძლევად. კვლევების მიხედვით, ყველაზე სტრესულ პროფესიებს შორის ერთ-ერთი არის მასწავლებლის პროფესია. კვლევის სამიზნე ჯგუფად სწორედ მასწავლებლები შეირჩნენ.

სხვადასხვა კვლევის მიხედვით, მასწავლებლების სტრესის ძირითადი მიზეზები შესაძლოა იყოს: მოსწავლეების რთული ქევა, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები კლასში, დიდი ზომის კლასი, ადმინისტრაციული სამუშაოები და ხელმისაწვდომი რესურსების სიმცირე. კვლევათა შედეგების მიხედვით, სამუშაო გამოცდილების ზრდასთან ერთად, იზრდება სტრესის მიმართ ფსიქოლოგიური მდგრადობაც, ეს უკანასკნელი ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში განხილულია როგორც ფსიქიკის თვითრეგულაციის მექანიზმი, რომელიც მისწავლის სტრესორის შემცირების ან მოშორებისკენ.

სამუშაოთი გამოწვეულ სტრესს, ასევე, ამცირებს თვითცნობიერების ერთ-ერთი ინტეგრალური მახასიათებელი – კონტროლის ღოკუსი, რომელიც აკავშირებს პასუხისმგებლობის გრძნობას, აქტიურობის მზაობასა და მე-ს განცდას. ის ერთ-ერთი ბაზისური პიროვნული მახასიათებელია, რომელიც გავლენას ახდენს ინდივიდის ქცევაზე.

ადამიანები განსხვავდებიან იმის მიხედვით, თუ ზოგადად რას მიაწერენ წარმატებას ან წარუმატებლობას – საკუთარ ძალისხმევას, თუ უფრო იღბალს ან ძალაუფლების მქონე ადამიანების ჩარევას. ინტერნალებისათვის მნიშვნელოვანია უფრო მაღალი პასუხისმგებლობა და სოციალური აქტიურობა, ექსტერნალებისთვის კი უფრო ნიშნულია ეჭვიანობა, შფოთვა, დეპრესიულობა, აგრესიულობა, კონფორმულობა, უპრინციპობა, ცინიზმი.

კონტროლის ღოკუსი ასახავს პიროვნული მახასიათებლების და მოქმედებების მოსალოდნელ შედეგებთან კავშირის გენერალიზირებულ მოლოდინს. მიუხედავად იმისა, რომ კონტროლის ღოკუსი პიროვნულ მახასიათებელს წარმოადგენს, იგი ექვემდებარება პიროვნებაში მომხდარ ცვლილებებს. შინაგანი კონტროლი იზრდება ასაკთან ერთად.

ზემოთქმულიდან გამომდინარე ჩვენი კვლევის მიზანი, სწორედ მასწავლებელთა ფსიქოლოგიურ მდგრადობას, ღოკუს-კონტროლს, ასაკსა და სამუშაო გამოცდილებას შორის ურთიერთდამოკიდებულების ემპირიული შესწავლა გახლდათ.

კვლევა ჩატარდა ქალაქ თბილისის 20 სკოლაში. აქედან 10 საჯაროსა და 10 კერძო სექტორში. სულ მონაწილეობა მიიღო 200-მა მასწავლებელმა. სკოლების შერჩევა მოხდა შემთხვევითი პრინციპით. სამიზნე ჯგუფი იყო პედაგოგები, რომლებიც ასწავლიან პირველი კლასიდან მე-12 კლასის ჩათვლით, განურჩევლად საგნისა.

კვლევისთვის გამოყენებულ იქნა შემდეგი ინსტრუმენტები:


- კონტროლის ღოკუსის როტერის ტესტი;
- სტრესის დაძლევის სტრატეგიების საკვლევი ლაზარუსი/ფოლკმანის ტესტი.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე კონტროლის ღოკუსისა და სტრესის დაძლევის სტრატეგიების გარდა კვლევის ჩატარების პროცესში შემოტანილი იყო კიდევ

ორი ცვლადი: ასაკი და სამუშაო გამოცდილება, რომლებიც ჰიპოთეტურად კავშირშია ფსიქოლოგიურ მდგრადობასთან.

ჩატარებული კვლევის საფუძველზე მიღებული მონაცემების მიხედვით, საჯარო სკოლებში ცდის პირთა 54% 31-დან 45 წლამდე, 26% 46-დან 60 წლამდე, ხოლო 20% 21-დან 30 წლამდე ასაკისაა. კერძო სკოლებში მასწავლებელთა პროცენტული მაჩვენებელი ასაკის მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა: 60% - 21-დან 30 წლამდე, 28% 31-დან 45 წლამდე, ხოლო 12% 46-დან 60-წლამდე ასაკისაა (იხ. სურ. 1).


**მასწავლებელთა პროცენტული მაჩვენებელი ასაკის მიხედვით კერძო და საჯარო სკოლებში**



სურ. 1.

რაც შეეხება სამუშაო გამოცდილებას, კერძო სკოლებში მასწავლებელთა 56%-ს 0-5 წლამდე გამოცდილება აქვს. საჯარო სკოლაში კი რესპოდენტთა 42% 10 წელზე მეტია რაც სკოლაში მუშაობს (იხ. სურ. 2).


**მასწავლებელთა პროცენტული მაჩვენებელი სამუშაო გამოცდილების მიხედვით**



სურ. 2.

ემპირიული ანალიზის მიხედვით კერძო და საჯარო სკოლებში ძრითადად კონტროლის ლოკუსის შერეული ტიპი ჭარბობს. შემდეგ მოდის ინტერნალობა, ხოლო ყველაზე უფრო დაბალი პროცენტული მაჩვენებელი მიიღო უკიდურესმა ექსტერნალობამ (იხ. სურ. 3).


**კონტროლის ლოკუსის პროცენტული მაჩვენებელი კერძო და საჯარო სკოლებში**



სურ. 3

სტრესის დაძლევის სტრატეგიები შემდეგნაირად გადანაწილდა. საჯარო სკოლაში კონფრონტაციის სტრატეგიას ყველაზე მაღალი სიხშირის მაჩვენებელი აქვს, რასაც მოსდევს დისტანცირებისა და პასუხისმგებლობის სტრატეგიები. ყველაზე ნაკლებად კი იყენებენ პოზიტიურ გადაფასებას. კერძო სკოლებში კი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი სოციალურ მხარდაჭერას და პოზიტიურ გადაფასებასა და პრობლემის გადაჭრის დაგეგმვას აქვს, ყველაზე ნაკლები პასუხისმგებლობის აღებებს, ხოლო დანარჩენი სტრატეგიები, თითქმის თანაბრად არის გადანაწილებული (იხ. სურ. 4).

სტრესთან დაძლევი სტრატეგიების მონაცემები კერძო და საჯარო სკოლის მასწავლებლებთან



სურ. 4

როგორც ვხედავთ სოციალური მხარდაჭერისა და პოზიტიური გადაფასების სტრატეგიებს, რომლებსაც საჯარო სკოლებში ყველაზე ნაკლებად იყენებენ, კერძო სკოლებში მოწინავე ადგილი უჭირავს.

კორელაციურმა ანალიზმა გვიჩვენა შემდეგი (ცხრილი 1). კერძოდ, სტატისტიკური მნიშვნელობის დადებითი კორელაცია დადასტურდა დისტანცირებასა და ინტერნალობას შორის და საპირისპირო კორელაცია დისტანცირებასა და ექსტერნალობას შორის. სხვა სიტყვებით, რაც უფრო მეტადაა პედაგოგებთან ინტერნალობა გამოხატული, მით უფრო მეტად იყენებენ ისინი სტრესის დაძლევის ისეთ სტრატეგიას, როგორცაა დისტანცირება და პირიქით, რაც უფრო გამოკვეთილი ექსტერნალია პედაგოგი მით უფრო ნაკლებად მიმართავს ის დისტანცირებას. ასევე დადებითია კორელაცია ინტერნალობასა და პასუხისმგებლობის აღებას შორის და პოზიტიურ გადაფასებასა და კონტროლის ლოკუსის შერეულ ტიპს შორის. ანუ, შეიძლება ითქვას, რომ ინტერნალი პედაგოგები მაღალი პასუხისმგებლობით გამოირჩევიან, ხოლო სტრესის დაძვევის ისეთ სტრატეგიას, როგორცაა პოზიტიური გადაფასება ძირითადად კონტროლის ლოკუსის შერეული ტიპის პედაგოგები მიმართავენ.



კონტროლის ლოკუსისა და სტრესთან გამკლავების სტრატეგიების  
კორელაციური მონაცემები

	ინტერნალობა	შერეული ტიპი	ექსტერნალობა
კონფრონტაცია	.117	-.380	.335
დისტანცირება	.498*	-.259	-.379*
თვითკონტროლი	-.134	.311	-.155
სოციალური მხარდაჭერის ძიება	.345	.210	-.124
პასუხისმგებლობის აღება	.852**	.178	-.141
გაქცევა, თავის არიდება	-.208	-.272	-.225
პრობლემის გადაჭრის დაგეგმვა	-.044	.027	-.154
პოზიტიური გადაფასება	.003	.419*	.124

როგორც ცნობილია ინტერნალ ადამიანებს კონტროლის შინაგანი ლოკუსი აქვთ. ისინი საკუთარ შესაძლებლობებზე არიან ორიენტირებულები, იშვიათად ელიან იღბალს ან სხვა ადამიანებს საქმის გასაკეთებლად, უფრო მეტად ცდილობენ ინფორმაციის მოძიებას და გარკვევას მოცემულ სიტუაციაში, რათა მეტის გაკეთება შეძლონ. ინტერნალები დამოუკიდებელი არიან და ხშირ შემთხვევაში მიმართავენ დისტანცირებასაც. დისტანცირების სტრატეგიისას ადამიანები ემოციური ფონის გადაფარვას რაციონალური მოქმედებით ცდილობენ. ამ დროს ემოციების გამოვლენას ერიდებიან და ცდილობენ დამოუკიდებლად გადაჭრან მოცემული პრობლემა. აქედან გამომდინარე, სრულიად ლოგიკურია სტატისტიკური მნიშვნელობის კორელაცია პასუხისმგებლობის აღებასა და ინტერნალურ ლოკუსის კონტროლს შორის.

ექსტერნალების ლოკუსის კონტროლი გარეთ არის მიმართული, ისინი არ ცდილობენ დისტანციის დაცვას და განრიდებას, არ თრგუნავენ ემოციებს, მათთვის მნიშვნელოვანია გარედან მიღებული სტიმულები. შესაბამისად, გასაკვირი არც არის საპირისპირო კორელაცია დისტანცირებასა და ექსტერნალობას შორის.

შერეული კონტროლის მქონე ადამიანები მეტ-ნაკლებად ახერხებენ წონასწორობის დაცვას ინტერნალობასა და ექსტერნალობას შორის, რაც ამცირებს როგორც მათი ჭარბი პასუხისმგებლობის, ასევე უმოქმედობის სასოწარკვეთილებისგან გამოწვეულ სტრესს. პოზიტიური გადაფასება, ყველაზე მეტად სწორედ შერეული კონტროლის ლოკუსის მქონე ადამიანებთანაა შესაძლებელი. მათ შეუძლიათ გადაჭრან პრობლემები და ამ გზით თვითგანვითარებაზე იზრუნონ. ასეთი ადამიანებისთვის წარუმატებლობა არ ნიშნავს სრულ მარცხს, არამედ გამოწვევას, კარგ გაკვეთილს ან ახალი შესაძლებლობების შანსს. ამ დროს მნიშვნელოვანია საკუთარ შესაძლებლობებთან ერთად გარემო ფაქტორების გათვალისწინებაც, რაც სწორედ რომ შერეული კონტროლის ლოკუსის ტიპს ახასიათებს.

სამუშაო გამოცდილებისა და სტრესის მართვის სტრატეგიების კორელაციურმა ანალიზმა გვიჩვენა შემდეგი (იხ. ცხრილი 2). 0-დან 5 წლამდე სამუშაო გამოცდი-

ლება კორელაციაშია სტრესის დაძლევის ისეთ სტრატეგიებთან, როგორებიცაა სოციალური მხარდაჭერის ძიება და პოზიტიური გადაფასება. 5-დან 10 წლამდე პედაგოგიური საქმიანობის გამოცდილების მქონე მასწავლებლები ძირითადად პასუხისმგებლობის აღების სტრატეგიას მიმართავენ. ხოლო 10 წელი და მეტი პედაგოგიური საქმიანობის გამოცდილების მქონე მასწავლებლები უფრო მეტად მიმართავენ სტრესის დაძლევის ისეთ სტრატეგიას, როგორიცაა კონფრონტაცია.

ცხრილი 2.

**სამუშაო გამოცდილებისა და სტრესთან გამკლავების სტრატეგიების კორელაციის ცხრილი**

	0-5 წლამდე	5-10 წლამდე	10 - წელზე ზემოთ
კონფრონტაცია	.121	-.298	.432*
დისტანცირება	.116	.355	-.294
თვითკონტროლი	.247	.089	.451
სოციალური მხარდაჭერის ძიება	.371*	.015	.289
პასუხისმგებლობის აღება	.222	.423*	-.118
გაქცევა, თავის არიდება	.038	-.206	.386
პრობლემის გადაჭრის დაგეგმვა	-.029	.139	.215
პოზიტიური გადაფასება	.374*	-.104	.167

საჯარო სკოლებში 0-5 წლამდე გამოცდილების მქონე მასწავლებლები სამუშაო სტრესს აღიქვამენ როგორც დინამიურს და სწრაფად ცვალებადს, ამიტომ იყენებენ სიტუაციაზე ორიენტირებულ სტრატეგიებს. ისინი ძირითადად ინტერნალები არიან. 5-10 წლამდე სამუშაო გამოცდილების მქონე მასწავლებლები სტრესს აღიქვამენ ცვალებადს, რომლის შეცვლაც შესაძლებელია პრობლემაზე ფოკუსირებით და მისი გაკონტროლებით. მათთვის დამახასიათებელია კონტროლის ლოკუსის შერეული ტიპი. ამიტომ ისინი პრობლემაზე ორიენტირებულ სტრატეგიებს იყენებენ, რომლებიც პრობლემის გაანალიზების, გააზრებისკენ და შეცვლისკენაა მიმართული. 10 წელზე მეტი გამოცდილების მასწავლებლები კი სტრესულ ფაქტორებს აღიქვამენ უცვლელად და იყენებენ ემოციურ სტრატეგიებს, რომლებიც იმპულსური ქმედებისკენ არის მიმართული, კონტროლის ლოკუსი კი მათთან ინტერნალობიდან ექსტერნალობისკენ იცვლება.

კერძო სკოლებში ყველაზე მეტად გამოყენებულია პოზიტიური გადაფასების, სოციალური მხარდაჭერისა და პრობლემის გადაჭრის დაგეგმვის სტრატეგიები. აღსანიშნავია, რომ კერძო სკოლებში ძირითადად 21-დან 35 წლამდე ასაკის პედაგოგებია, რომელთა სამუშაო გამოცდილება 0-დან 5 წლამდე მერყეობს. მათ შერეული კონტროლის ლოკუსი ახასიათებთ და სარგებლობენ ემოციებზე და პრობლემაზე ორიენტირებული სტრატეგიებით. კერძოდ, პოზიტიური გადაფასებით, სოცია-

ლური მხარდაჭერის ძიებითა და პრობლემის გადაჭრის დაგეგმვით. 5-10 წლამდე მასწავლებლებში გვხვდება ასევე პოზიტიური გადაფასება, პრობლემის გადაჭრის დაგეგმვა და სოციალური მხარდაჭერა, კონტროლის ლოკუსი კი ინტერნალური და შერეული ტიპის. ამ შემთხვევაშიც სტრესული სიტუაცია აღიქმება ცვალებადად. 10 წლზე მეტი გამოცდილების მასწავლებლები რაოდენობრივად ყველაზე მცირეა და გამოიყენებენ უფრო მეტად ემოციებზე ორიენტირებულ სტრატეგიებს. რის მიხედვითად მათ მიერ სტრესორი აღიქმება უცვლელად.

პრობლემაზე ორიენტირებული სტრატეგიების გამოყენების შემთხვევაში სტრესთან გამკლავება ხდება ეფექტურად და სწრაფად, ემოციებზე ფოკუსირებული სტრატეგიები კი გადაჭარბების შემთხვევაში იწვევს ფრუსტრაციას და არ არის მიმართული კონკრეტულად პრობლემის გადაჭრისაკენ. საჯარო სკოლებში უფრო მეტად ემოციებზე ფოკუსირებულ სტრატეგიებს იყენებენ, კერძო სკოლებში კი პრობლემაზე ორიენტირებულს, აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ რომ კერძო სკოლებში სტრესს უფრო ეფექტურად უმკლავდებიან.

### დასკვნა

ჩატარებული კვლევის ანალიზის საფუძველზე, შესაძლოა გაკეთდეს შემდეგი დასკვნები:

- საჯარო სკოლის მასწავლებლები ყველაზე ხშირად მიმართავენ კონფრონტაციის, პასუხისმგებლობის აღებისა და დისტანცირების სტრატეგიებს.
- კერძო სკოლის მასწავლებლები ყველაზე ხშირად მიმართავენ პოზიტიური გადაფასების, სოციალური მხარდაჭერისა და პრობლემის გადაჭრის დაგეგმვის სტრატეგიებს.
- სტრესის დაძლევის პრობლემაზე ორიენტირებული სტრატეგიები კავშირშია კონტროლის ლოკუსის ინტერნალური და შერეული ტიპის ფორმებთან.
- საჯარო სკოლის მასწავლებლების კონტროლის ლოკუსი, გამოცდილებისა და ასაკის მატებასთან ერთად, ინტერნალობიდან ექსტერნალობისკენ იცვლება.
- საჯარო სკოლის მასწავლებლები უფრო მეტად ემოციებზე ფოკუსირებულ სტრესის დაძლევის სტრატეგიებს იყენებენ.
- კერძო სკოლის მასწავლებლები უფრო მეტად პრობლემაზე ორიენტირებულ სტრესის დაძლევის სტრატეგიებს მიმართავენ.
- სამუშაო გამოცდილების ზრდასთან ერთად, სტრესული სიტუაციები აღიქმება როგორც უცვლელი, იმატებს ემოციაზე ფოკუსირებული სტრატეგიების გამოყენება და კონტროლის ლოკუსი ხდება ექსტერნალური.

### ლიტერატურა:

1. ჩარკვიანი დ., ფსიქოლოგია ინდუსტრიულ ორგანიზაციებში, თბ., 2001.
2. Teachers in the Twenty-First Century: Time to renew the vision. Day C. Teachers and teaching Theory and practice, 2000.
3. Singh M., Singh G. Assessment of Mental Health Status of Middle-Aged Female School Teachers of Varanasi City. The Internet Journal of Health, 2006.
4. Wang Z., Lan Y., Li J., Wang M., Appraisal of occupational stress and strain in primary and secondary school teachers. Hua Xi Yi Ke Da Xue Xue Bao, 2001.
5. Kyriacou C., Chien PY., Teacher stress in Taiwanese primary schools. Journal of Educational Enquiry, 2004.

**Kakhi Kopaliani, Gvantsa Beradze**

***Social Determinants and Persons Personal Stress in the Public and Private Schools***

**Summary**

In this article we discuss the psychological sustainability of public and local schools, locus control, age and working experience between the studying processes of variables in the process of interaction.

**Кахи Копалиани, Гванца Берадзе**

***Личные и социальные детерминанты профессионального стресса у педагогов  
общеобразовательных и частных школ***

**Резюме**

В статье уделяется внимание психологическому состоянию учителей общеобразовательных и частных школ, а также эмпирическому изучению изменения между локус-контролем, возрастом и опытом работы.

მზია ტალახაძე  
(საქართველო)

**ქიმიური სინთეზის ამოცანების მოდელირება  
დიფერენციალური განტოლებებით**

მეცნიერების სხვადასხვა დარგის მათემატიკურ მოდელირებაში დიფერენციალურ განტოლებებს უკავიათ მნიშვნელოვანი ადგილი. დიფერენციალურ განტოლებათა თეორია საკმაოდ ეფექტური და გავრცელებული საშუალებაა სხვადასხვა სახის პრაქტიკული ამოცანების ამოსახსნელად. ბევრი რეალური პროცესი აღიწერება მარტივად და სრულად დიფერენციალური განტოლებებით. გამომდინარე აქედან, გასაგებია ის ყურადღება, რაც ეთმობა დიფერენციალურ განტოლებათა შედგენას.

ჩვენი მიზანია ფართოდ გავაშუქოთ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნიკის სხვადასხვა ამოცანები და ხელი შევეწყოთ თანამედროვე მეთოდებით გამოყენებით ამოცანების დიფერენციალური განტოლებების შედგენის შესწავლას. ეს ამოცანები წარმოიქმნება მეცნიერული მოდელის ან წარმოების პროცესში.

**პირველი რიგის განტოლება**

დიფერენციალური განტოლებები წარმოადგენენ ერთ-ერთ ძირითად მათემატიკურ ინსტრუმენტს ბუნებრივი პროცესების მოდელის აგებაში.

ქიმიური კინეტიკის მაგალითად სამოლეკულური რეაქცია, სტაციონალური დიფუზია და მრავალი სხვა დაიყვანება დიფერენციალური განტოლებების ან დიფერენციალური განტოლებათა სისტემების ამოსხნამდე.

დიფერენციალური განტოლებათა თეორიის გამოყენებით მნიშვნელოვან ძალიან დიდია. სანამ გადავიდოდეთ გამოყენებით ამოცანებზე, საჭიროა ჩამოვაყალიბოთ ყველა აუცილებელი თეორიული ინფორმაცია. ეს საშუალებას მოგვცემს უკეთ წარმოვიდგინოთ მათემატიკური მოდელის აგების და კვლევის პროცესი.


**განსაზღვრება.** დიფერენციალური განტოლება ეწოდება განტოლებას, რომელსაც აქვს სახე  $F(x, y, y', y'', \dots, y^{(n)}) = 0$ , სადაც  $F(t_0, t_1, t_2, \dots, t_{n+1})$  არის ფუნქცია, რომელიც განსაზღვრულია  $R^{n+2}$  სივრცის რაღაც  $D$  არეზე.  $x$  არის დამოუკიდებელი ცვლადი,  $y$  არის  $x$ -ის ფუნქცია,  $y', y'', \dots, y^{(n)}$  მისი წარმოებულები.

განტოლების რიგი ეწოდება განტოლებაში შემავალი  $y$ -ის წარმოებულის უმაღლეს რიგს.


$f(x)$  ფუნქციას ეწოდება განტოლების ამონახსნი  $(a; b)$  შუალედზე, თუ ყველა  $x$ -სათვის  $(a; b)$ -დან შესრულებულია პირობები: 1)  $f(x)$  ფუნქციასათვის არსებობს  $k$ -ური რიგის წარმოებულები (სადაც  $k \leq n$  დიფერენციალური განტოლების რიგია). 2. შესრულებულია ტოლობა  $F(x, f(x), f'(x), \dots, f^{(n)}(x)) = 0$ . ამონახსნის გრაფიკი ეს არის ინტეგრალური მრუდი.

**მაგალითი 1.** ამოვხსნათ განტოლება  $y' = 0$ . მისი ამონახსნი:  $f(x) = const$  განსაზღვრულია  $(-\infty; +\infty)$ . აღვნიშნოთ, რომ ეს მუდმივი ნებისმიერია და ამონახსნი – ერთადერთი არაა, არამედ არის ამონახსნთა უსასრულო სიმრავლე (ნახაზი 1).

**მაგალითი 2.** ამოვხსნათ განტოლება  $y' = \varphi(x)$ ,  $x \in (a; b)$  სადაც  $\varphi(x)$  არის  $(a; b)$  შუალედზე უწყვეტი ფუნქცია. ვთქვათ,  $\varphi(x)$  ფუნქციის პირველყოფილი ფუნქციაა  $F(x)$ , მაშინ განტოლებას აქვს ამონახსნთა უსასრულო სიმრავლე  $(a; b)$ -ზე და ყველას აქვს სახე  $y = f(x) = F(x) + C$ , სადაც  $C$  ნებისმიერი მუდმივია (ნახაზი 2). არსებობს პირდაპირი ხერხი ამოვირჩიოთ ამ ამონახსნებიდან ერთ-ერთი, მოვითხოვოთ, რომ რომელიღაც  $x_0 \in (a; b)$  წერტილისათვის სრულდებოდეს პირობა  $y(x_0) = y_0$ . მაშინ ჩავსვათ  $x_0$  ამონახსნში, ვვებულობთ პირობას  $y_0 = F(x_0) + C$ , განსაზღვრავს  $C = y_0 - F(x_0)$  და ამასთან ერთად, ერთადერთ ამონახსნს მითითებული პირობით.



ნახაზი 1.



ნახაზი 2.

განვიხილოთ მნიშვნელოვნად ზოგადი სიტუაცია, ვიდრე გვექონდა მაგალითებში. დავუშვათ, გამოსაკვლევ განტოლებას აქვს სახე  $y' = f(x, y)$ . ეს არის პირველი რიგის განტოლება ამოხსნილი  $y'$  მიმართ. ტერმინი „ამოხსნილი“ ნიშნავს, რომ  $y'$  გამოისახება დანარჩენი სიდიდეების საშუალებით, ზოგადი სახის  $F(x, y, y') = 0$  განტოლებისაგან განსხვავებით, რომლიდანაც  $y'$  გამოსახვა შესაძლებელია სრულიად არ მოხერხდეს. ჩამოვაყალიბოთ მნიშვნელოვანი თეორემა.

**თეორემა 1** (კოშის ამოცანის ამონახსნის არსებობის და ერთადერთობის შესახებ).

ვთქვათ,  $f(t_1, t_2)$  უწყვეტი ფუნქციაა  $D \subset R^2$  არეში, ამასთან,  $\frac{\partial f}{\partial t_2}(t_1, t_2)$  არსებობს და შემოსაზღვრულია  $D \subset R^2$ -ში. მაშინ ნებისმიერი წერტილისათვის  $(x_0; y_0) \in D$  კოშის ამოცანა:

$$\begin{cases} y' = f(x, y) \\ y(x_0) = y_0 \end{cases}$$

აქვს ამონახსნი, ამასთან ერთადერთი იმ აზრით, რომ თუ არსებობს მისი ორი  $y_1$  და  $y_2$  ამონახსნი განსაზღვრული შესაბამისად  $(a_1, b_1)$  და  $(a_2, b_2)$  ინტერვალზე, რომლებიც შეიცავენ  $x_0$  წერტილს, მაშინ ისინი ემთხვევა ამ ინტერვალთა  $(a; b)$  კვეთაზე.

**შენიშვნა 1.** თუ თეორემა 1-ში არ დავადებთ პირობებს  $\frac{\partial f}{\partial t_2}(t_1, t_2)$  ქცევებსა და არსებობაზე, მაშინ შეიძლება ვამტკიცოთ მხოლოდ ამონახსნის არსებობა. მოცემული მტკიცება ცნობილია პიანოს თეორემის სახით.

**შენიშვნა 2.** ამბობენ, რომ დიფერენციალური განტოლების  $y_1(x)$  ამონახსნი  $(a_1, b_1)$  ინტერვალზე არის  $y_2(x)$  ამონახსნის გაგრძელება  $(a_2, b_2)$  ინტერვალზე თუ  $(a_2, b_2) \subset (a_1, b_1)$  და  $y_1(x) \equiv y_2(x)$ ,  $(a_2, b_2)$  ინტერვალზე. ასევე ამბობენ, რომ  $y(x)$  ამონახსნი მაქსიმალურია ან არაგაგრძელებადია  $D$  მიმართ, თუ  $y(x)$  არ ფლობს გაგრძელებებს მთლიანად მოთავსებულს  $D$ -ში.

ამ შენიშვნის საფუძველზე შეიძლება ვამტკიცოთ, რომ თეორემის პირობებში არსებობს ერთადერთი მაქსიმალური არაგაგრძელებადი კოშის ამოცანის ამონახსნი.

თეორემის გეომეტრიული აზრი მდგომარეობს შემდეგში:  $y' = f(x, y)$  განტოლების მარცხენა მხარე  $y'$  წარმოადგენს მხების დახრის კუთხის ტანგენსს საძიებელი ფუნქციის გრაფიკის მიმართ  $(x, y)$  წერტილში, ხოლო მარჯვენა მხარე  $f(x, y)$  გვაძლევს მის რიცხვით მნიშვნელობას ამ წერტილში. ამიტომ შეიძლება ჩავთვალოთ, რომ განტოლება იძლევა მიმართულების ველს  $D$  არეზე, ანუ ყოველ  $(x, y) \in D$  წერტილში მიმაგრებულია ვექტორი, რომელიც გვიჩვენებს საძიებელი ინტეგრალური მრუდის მიმართ მხების მიმართულებას.

ამიტომ თუ შესრულებულია თეორემა 1-ის პირობები, მაშინ ყოველ  $(x, y) \in D$  წერტილზე გადის ერთადერთი არაგაგრძელებადი ინტეგრალური მრუდი.

**მაგალითი 3.** განვიხილოთ კოშის

$$y'(x) = \begin{cases} \alpha x^{\alpha-1} \sin(1/x) - x^{\alpha-2} \cos(1/x), & x \neq 0 \\ 0, & x = 0 \end{cases}$$

ამოცანა საწყისი პირობებით  $y(0) = 0$ , სადაც  $\alpha \in (1; 2)$ . ადვილი დასანახია, რომ მოცემული ამოცანის ამონახსნია

$$y(x) = \begin{cases} x^\alpha \sin(1/x), & x \neq 0 \\ 0, & x = 0 \end{cases}$$

მიუხედავად იმისა, რომ 1 თეორემის პირობები არ სრულდება, ამონახსნი არსებობს. ამგვარად, თეორემა 1-ის პირობები არის აუცილებელი.

### განტოლებები განცალკევადი ცვლადებით

**განსაზღვრა 1.** განცალკევად ცვლადებიანი განტოლება ეწოდება განტოლებას, რომელსაც აქვს სახე  $y' = f(x)g(y)$ , სადაც  $f(x)$  უწყვეტია რომელიღაც  $(a; b)$  შუალედში, ხოლო  $g(y)$  უწყვეტია  $(c; d)$ -ზე, ამასთან,  $g(y) \neq 0$   $(c; d)$ -ზე, რადგანაც

$$\frac{dy}{dx} = f(x)g(y) \Leftrightarrow \frac{dy}{g(y)} = f(x)dx$$

ვაინტეგრით ბოლო გამოსახულების ორივე მხარე ვლებულობთ

$$\int \frac{dy}{g(y)} = \int f(x)dx$$

$\frac{1}{g(y)}$  ნებისმიერი პირველყოფილი ადენიშნით  $G(y)$ -ით, ხოლო  $f(x)$ -ის ნებისმიერი პირველყოფილი  $F(x)$ . ეს გამოსახულება გადავწეროთ შემდეგი სახით  $G(y) = F(x) + C$ . ეს საძებნი ინტეგრალური მრუდია. განვიხილოთ ასეთი სახის განტოლებათა მაგალითები.


**მაგალითი 5.** განვიხილოთ განტოლება  $y' = ay, a \neq 0$ . ცხადია, ამონახსნი  $y \equiv 0$ . თუ  $y \neq 0$  მაშინ განტოლება შეიძლება შევცვალოთ  $\int \frac{dy}{y} = a \int dx$  საიდანაც  $\ln|y| = ax + C$  თუ ჩავთვით, რომ  $y > 0$ , მაშინ  $\ln y = x + C$ , საიდან  $y = e^C \cdot e^{ax}$  ან  $y = ke^{ax}, k = e^C$  ანალოგიურად, როცა  $y < 0$ , ვლებულობთ  $y = k_1 e^{ax}, k_1 < 0$  (ნახაზი 3).

**მაგალითი 6.** განვიხილოთ განტოლება  $y' = 2\sqrt{|y|}$  ცხადია, ამონახსნი  $y \equiv 0$ . როდესაც  $y > 0$  გვაქვს:


$$\frac{dy}{dx} = 2\sqrt{y} \Leftrightarrow \frac{dy}{2\sqrt{y}} = dx \Leftrightarrow \int \frac{dy}{2\sqrt{y}} = \int dx \Leftrightarrow \sqrt{y} = x - C$$

შაიდანაც  $x \geq C$  და  $y = (x - C)^2$ . ანალოგიურად, როცა  $y < 0$ , ვპოულობთ  $y = -(x - C)^2, x \leq C$  (ნახაზი 4).

წერტილებში  $(C; 0)$  ამონახსნის ერთადერთობა ირღვევა. შევნიშნოთ: ეს არ ეწინააღმდეგება ერთადერთობის თეორემას:  $f(x, y) = 2\sqrt{|y|}$  და ფუნქცია  $\frac{\partial f}{\partial y}$  არ არის შემოსაზღვრული  $(x_0; 0)$  წერტილის ნებისმიერ მიდამოში.



ნახაზი 3.



ნახაზი 4.



## სამმოლეკულური რეაქცია

ქიმიური სინთეზის ამოცანის არსი ზოგადად მდგომარეობს შემდეგში:

ვთქვათ, მოცემული გვაქვს სხვადასხვა ნივთიერების გარკვეული რაოდენობა და ცნობილია, რომ შეიძლება რაღაც ქიმიური რეაქციების ჩატარება. ვაჩვენოთ, რომ ასეთ პირობებში შეიძლება (ან არ შეიძლება) ჩვენთვის სასურველი ნივთიერების მიღება. ამ ტიპის ამოცანების ამოხსნას დიფერენციალური განტოლებათა თეორია წარმატებით წყვეტს.

დიფერენციალური განტოლებების დახმარებით ქიმიური სინთეზის ამოცანის ამოხსნისათვის საჭიროა:

ა) ამოცანა ჩაიწეროს დიფერენციალური განტოლებათა თეორიის ენაზე – შეიქმნას ამოცანის მოდელი დიფერენციალური განტოლებათა თეორიის ენაზე (ზოგადად მათემატიკური მოდელი).


ბ) მითებულ მოდელზე დიფერენციალური განტოლებათა თეორიის კანონების გამოყენებით გაეცეს კითხვებზე პასუხი.

ცნობილია, რომ მოდელირება არის საკვლევი ობიექტის შესწავლა მის მოდელში. ქიმიური სინთეზის ამოცანის შესწავლა ჩვენ გადავწყვიტეთ მის დიფერენციალურ განტოლებათა თეორიის მოდელში. ამიტომ ქვემოთ საქმე გვექნება ქიმიური სინთეზის ამოცანის დიფერენციალური განტოლებებით მოდელირებასთან.

დავსვათ ქიმიური სინთეზის კონკრეტული ამოცანა და მოვახდინოთ მისი მოდელირება. მაგალითად, განვიხილოთ აზოტის ოქსიდის დიოქსიდ აზოტში დაჟანგვის რეაქცია  $2NO + O_2 \rightarrow 2NO_2$

უმარტივეს ქიმიურ აქტში მონაწილე მოლეკულათა რიცხვის მიხედვით, ანსხვავებენ რეაქციის მოლეკულურობას; ანსხვავებენ მონო, ბი და სამმოლეკულურ რეაქციებს.

გამოვიკვლიოთ სამმოლეკულური რეაქციის მათემატიკური მოდელი ყოველ ელემენტარულ აქტში, რომელშიც მონაწილეობს სამი მოლეკულა ან ატომი. მაგალითად, განვიხილოთ აზოტის ოქსიდის დიოქსიდ აზოტში დაჟანგვის რეაქცია:



პირველი ნივთიერების ორი მოლეკულისა და მეორე ნივთიერების ერთი მოლეკულის ურთიერთქმედების შედეგად ვღებულობთ მესამე ნივთიერების ორ მოლეკულას.

შემოვიღოთ აღნიშვნები, ვთქვათ  $y_1(t) = [NO]$ , არის  $t$  მომენტში  $NO$  ნივთიერების კონცენტრაცია,  $y_2(t) = [O_2]$ , მაშინ მოქმედ მასათა კანონის თანახმად გვექნება

$$\begin{cases} \frac{dy_1}{dt} = -2ky_1^2 y_2 \\ \frac{dy_2}{dt} = -ky_1^2 y_2 \end{cases} \Rightarrow dy_1 = 2dy_2 \Rightarrow y_2 = \frac{y_1 - C}{2}$$

სადაც  $k$  სიჩქარის მუდმივაა. ეს არის ჩვენი ამოცანის მოდელი დიფერენციალური განტოლებათა თეორიის ენაზე.

მუდმივა შეიძლება ვიპოვოთ მოცემული აზოტის ოქსიდის და ჟანგბადის მოლეკულათა კონცენტრაციის საწყისი პირობებიდან;  $C = y_1(0) - 2y_2(0)$ . ვიპოვოთ  $y_1$ :

$$y_1' = -ky_1^2(y_1 - C) \Rightarrow \frac{-1}{y_1^2} \cdot \frac{dy_1}{dt} = k(y_1 - C) \Rightarrow d\left(\frac{1}{y_1}\right) = k\left(\frac{1}{y_1} - C\right) dt \quad \text{შემოვიღოთ აღ-}$$

ნიშვნა  $z = \frac{1}{y_1}$ , მაშინ  $C \neq 0$  და

$$\frac{zdz}{1-zC} = kdt \Rightarrow kt = \int \frac{zdz}{1-zC} = \frac{1}{C} \int \frac{Cz-1+1}{1-zC} dz = -\frac{z}{C} - \frac{1}{C^2} \ln(1-Cz) + C_1 \Rightarrow$$

$$t(z) = \frac{C_1}{k} - \frac{z}{kC} - \frac{1}{kC^2} \ln(1-Cz)$$

მუდმივ  $C_1$  ვპოულობთ საწყისი პირობებიდან  $t=0$ -ის ჩასმით და ვღებულობთ განტოლებას  $C_1 = \frac{z_0}{C} - \frac{1}{C^2} \ln(1-Cz_0)$  სადაც  $z_0 = \frac{1}{y_1(0)}$  ხოლო  $C$  მუდმივა ადრე გვაქვს განსაზღვრული.

ანალიზის მეთოდით მარტივად ვახველებთ, რომ ფუნქცია  $t(z)$  მონოტონურია როდესაც  $z \in \left[\frac{1}{y_1(0)}; \frac{1}{C}\right)$  ხოლო როდესაც  $z \rightarrow \frac{1}{C} +, t \rightarrow +\infty$  ხო-


ლო როდესაც  $z \rightarrow \frac{1}{y_1(0)}, t \rightarrow 0+$ . ამგვარად, კონცენტრაცია  $y_1(t)$  მონოტონურად

კლებულობს  $t$  გაზრდით საწყისი  $y_1(0)$  მნიშვნელობიდან  $C = y_1(0) - 2y_2(0)$  მნიშვნელობამდე (ნახაზი 5).


იმ შემთხვევაში, როდესაც აზოტის ოქსიდის და ქანგბადის მოლეკულათა კონცენტრაცია დაკავშირებულია შესაბამისობით  $2y_2(0) = y_1(0)$  ანუ  $C = 0$  ვღებულობთ

$$y_1' = -ky_1^3 \Rightarrow \frac{-1}{y_1^3} \cdot \frac{dy_1}{dt} = k \Rightarrow y_1^{-1} = 2kt + C_1 \Leftrightarrow y_1(t) = \frac{1}{\sqrt{2kt + C_1}}$$

მუდმივ  $C_1$  ვპოულობთ საწყისი პირობებიდან, საიდანაც  $y_1(t) = \frac{1}{\sqrt{2kt + y_1^{-2}(0)}}$  (ნახაზი 6).



ნახაზი 5.



ნახაზი 6.

## პირველი რიგის რეაქცია

ამოცანა. განვსაზღვროთ პირველი რიგის რეაქციის სიჩქარის მუდმივა.

ამოსხნა. ქიმიური რეაქციის რიგი ტოლია ქიმიური რეაქციის მარცხენა მხარეში შემავალ მოლეკულათა საერთო რაოდენობისა. ამგვარად,  $RaB \rightarrow RaC$  არის პირველი რიგის რეაქცია. რეაქციის სიჩქარე არის  $v$ , რომლითაც რეაქციის განტოლების მარცხენა მხარის კომპონენტების სისტემა გარდაიქმნება რეაქციის განტოლების მარჯვენა მხარის კომპონენტების სისტემაში.

მოქმედი მასა ანუ რეაგირებადი ნივთიერების კონცენტრაცია  $A$  არის ამ ნივთიერების გრამ-მოლეკულათა რაოდენობა ერთეულ მოცულობაში. მოქმედ მასათა კანონის თანახმად, რეაქციის სიჩქარე პროპორციულია მოქმედი მასებისა მოცემულ მომენტში.

პირველი რიგის რეაქციის მათემატიკური გამოსახულება ჩაიწერება შემდეგი სახით:  $A \rightarrow$  (რეაქციის საბოლოო პროდუქტია)

თუ  $a$  არის  $A$  ნივთიერების საწყისი კონცენტრაცია,  $x$  გრამ-მოლეკულათა რაოდენობაა ლიტრზე, რომლებმაც მოახდინეს რეაგირება რეაქციის დაწყებიდან  $t$  დროის განმავლობაში, მაშინ რეაქციის სიჩქარე  $\frac{dx}{dt}$ , ხოლო მოქმედი მასა ამ მომენტისათვის არის  $a - x$ .

მოქმედ მასათა კანონი გამოისახება პირველი რიგის რეაქციის დიფერენციალური განტოლებით

$$\frac{dx}{dt} = k(a - x) \quad (1),$$

სადაც  $k$  პროპორციულობის კოეფიციენტია (სიჩქარის მუდმივა), რომელიც დამოკიდებულია ქიმიური პროცესის პირობებზე და სახეზე.

(1) დიფერენციალური განტოლების საერთო ამონახსნი

$$\frac{dx}{(a - x)} = k dt$$

იქნება

$$\ln \frac{C}{a - x} = kt \quad (2)$$

საწყისი პირობა: როცა  $t = 0$   $x = 0$  საიდანაც  $\ln \frac{C}{a - 0} = k \cdot 0$

ან  $C = a$

(3)

ჩავსვათ ეს მნიშვნელობა განტოლების (2) ზოგად ამონახსნში

$$\ln \frac{a}{a - x} = kt$$

საიდანაც  $k = \frac{1}{t} \ln \frac{a}{a - x}$ .

### ლიტერატურა:

1. პონომარევი კ. კ., დიფერენციალურ განტოლებათა შედგენა, 1973 (რუსულად).
2. Математические методы решения химических задач, М., 2013.

**Mzia Talakhadze**  
***Modeling of Chemical Synthesis Tasks with Differential Equations***

**Summary**

Differential equations take an important place in math appendixes of different fields of science. They are quite effective and common way to solve the tasks by using natural science and technique. Many real processes are described easily and completely with differential tasks. Therefore, the interest toward creating differential equations is quite natural.

Our aim is to show different tasks of natural science and technique and support the modern methods to study the creation of differential equations. These tasks are derived in the process of scientific research or production. Chemical kinetics equation, for example, molecular reaction, stationary diffusion and many others are brought on the solution of differential equation or differential equation system.

We decided to study the chemical synthesis in its theoretical model of differential equation. Therefore, we deal with the task of chemical synthesis with the modelling of differential equations.

**Мзия Талахадзе**

***Моделирование задач химического синтеза в дифференциальных уравнениях***

**Резюме**

В приложениях математики к различным отраслям науки дифференциальные уравнения занимают важное место. Использование их – наиболее эффективное и распространенное средство решения прикладных задач естествознания и техники. Многие реальные процессы с помощью дифференциальных уравнений описываются просто и полно. Поэтому вполне понятно то внимание, которое уделяется вопросу составления дифференциальных уравнений.


Наша цель широко обозреть различные задачи естествознания и техники, способствовать овладению современной методикой составления дифференциальных уравнений прикладных задач, возникающих в процессе производства или научной деятельности.

Уравнения химической кинетики, например, тримолекулярные реакции, стационарная диффузия и многие другие сводятся к решению дифференциальных уравнений, либо систем дифференциальных уравнений.

ირმა ცომაია, თამარ გიგოშვილი, ანტონ ჩიქოვანი  
(საქართველო)

ზარმაცობნოსტუტრალ მნიშვნელოვანი ვიტამინები: კაროტინოიდები,  
ვიტამინი C, ვიტამინი K და ვიტამინი P

კაროტინოიდები აერთიანებენ 75-ზე მეტ შენაერთს და ქიმიური ბუნებით წარმოადგენენ ტეტრატერპენებს ( $C_{40}H_{64}$ ). ყველაზე აქტიურია  $\beta$  კაროტინი. კაროტინები წარმოადგენენ ლიკოპინის ნაწარმებს, ლოკალიზდება ქსანტოფილთან ერთად და ანიჭებს ნარინჯისფერ ან ყვითელ შეფერვას ყვავილებს და ნაყოფებს. ვიტამინი A და მისი წინამორბედი კაროტინები მოქმედებენ იმუნურ სისტემაზე, ავლენენ ანტი-ოქსიდანტურ, სიმსივნის საწინააღმდეგო და ანაბოლიტიკურ ეფექტებს.




ნახ.1.  $\beta$  კაროტინი

კაროტინოიდებით მდიდარი მცენარეები და ნედლეული:

**გოგრის ნედლი ნაყოფი** – Fructus Cucurbitae recens ხოკერა გოგრა – Cucurbita pepo, მსხვილი გოგრა – Cucurbita maxima გოგრისებრთა ოჯახი – Cucurbitaceae ერთწლოვანი ერთსახლიანი მცენარეა, მიწაზე გართხმული მცოცავი ღეროთი. სამშობლოა მექსიკა, გვატემალა. შეიცავს კაროტინოიდებს, შაქრებს, პექტინებს, სახამებელს, ვიტამინებს: C, B, P... გოგრის ნაყოფი კაროტინის სამრეწველო წყაროა,

**სტაფილოს ნედლი ფესვი** (ძირხვენი) - Radix Dauci recens, სტაფილო - Daucus sativus ქოლგოსანი ოჯახი - Apiaceae (Umbeliferae) სათესი სტაფილოს მრავალი ჯიშია ცნობილი. ისინი გამოყვანილია ველური სახეობის ფერისცვალასაგან – D. carota. სტაფილო მდიდარია ვიტამინებით, შაქრებით, ეთეროვანი და ცხიმოვანი ზეთებით. სტაფილო გამოიყენება ჰიპო და ავიტამინოზის დროს, დაუკარინი მოწოდებულია კორონარული უკმარისობის, ათეროსკლეროზის სამკურნალოდ. ფერისცვალას გამონაწვდილი შედის პრეპარატ „უროლესალის“ შემადგენლობაში, რომელიც სპაზმოლიტიკურია და ქვების დამშლელი.

**ვიტამინი K** ქიმიურად წარმოადგენს ნაფტოქინონს. მისი სახელი მომდინარეობს „კოლაგულაციიდან“, რადგან აქვს სისხლის შედედების უნარი. მონაწილეობს პროთრომბინული კომპლექსის ბიოსინთეზში და არეგულირებს სისხლის ნორმალურ შედედებას.



ნახ. 2. ვიტამინი K

ვიტამინი k-ს შემცველი მცენარეები და ნედლეული:


**წიწმატურას ბალახი** – Herba Bursae pastoris, წიწმატურა – Capsella bursa pastoris ოჯახი ჯვაროსანნი – Brassicaceae (Cruciferae) ერთწლოვანი ბალახია, გვხვდება მთელ საქართველოში, შეიცავს k-ს, წყალში ხსნად ვიტამინებს, ნახშირწყლებს, საპონინებს, ფლავონოიდებს. მედიცინაში გამოიყენება როგორც სისხლის დენის შემაჩერებელი.

**ჭინჭრის ფოთლი** – Folium Urticae – ორსახლიანი ჭინჭარი – Urtica dioica, ოჯახი ჭინჭრისებრნი – Urticaceae. მრავალწლოვანი ბალახია, გავრცელებულია მთელ საქართველოში. შეიცავს სხვადასხვა ვიტამინს, ფლავონოიდებს, კუმარინებს, ორგანულ მჟავებს ბევრებში, აზოტშემცველი ჰისტამინია. მედიცინაში გამოიყენება სისხლდენის შესაჩერებლად. კოსმეტოლოგიაში შედის ხოლცისტიტის სამკურნალო პრეპარატის „ალოხოლის“ შემადგენლობაში.

**ბახველის ქერქი** – Cortex viburni ბახველი – Viburnum opulus. ცხრატყავისებრნი – Caprifoliaceae ბუჩქი ან ტანმორჩილი ხეა შეიცავს ვიტამინებს, ნახშირწყლებს, მჟავებს, ირიდოიდებს, ალკალოიდებს და სხვა. გამოიყენება სისხლდენის შესაჩერებლად.

**სიმინდის სვეტები დინგებით** – Stily cum stigmatis Zeae maydis Zea mays ოჯახი მარცვლოვანნი – Poaceae (Graminae). სიმინდი ერთლებნიანი, ერთწლოვანი მცენარეა. შეიცავს ვიტამინებს, ნახშირწყლებს, საპონინებს, ეთეროვან და ცხიმოვან ზეთებს, ფლავონოიდებს. გამოიყენება ექსტრაქტის, გამონაცემისა და მონახარშის სახით როგორც ნაღვლმდენი და შარდმდენი, აგრეთვე სისხლდენის შესაჩერებლად როგორც k ვიტამინის სხვა შემცველები.

**ვიტამინი C** – ასკორბინის მჟავა, ქიმიურად წარმოადგენს 2,3 დიჰიდრო – L – გულონმჟავას გამა ლაქტონს. არსებობს ორი აქტიური ფორმით: დაჟანგული – დეჰიდრო ასკორბინის მჟავის და აღდგენილი – L ასკორბინის მჟავას სახით. დიდ როლს ასრულებს ჟანგვა-აღდგენით რეაქციებში.



ნახ. 3. ვიტამინი C

ვიტამინი C-ს შემცველი მცენარეები და ნედლეული:


**ასკილის ნაყოფი** – Fructus Rosae (Cynosbati) ასკილი – Rosa ოჯახი ვარდისებრნი – Rosaceae ასკილი ღამაზი დატოტვილი ბუჩქია, გვხვდება მთელ საქართველოში. ნაყოფი მდიდარია ვიტამინებით, ნახშირწყლებით, ფლავონოიდებით, მთრიმლავი ნივთიერებებით. გამოიყენება **ჰიპო** და **ა** ვიტამინოზის დროს. ნაყოფიდანღებულობენ ასკილის ზეთს, პრეპარატ კაროტოლინს. ისინი გამოიყენება დამწვრობის და ჭრილობების შესახორცებლად.

**შავი მოცხარის ნაყოფი** – Fructus Ribis nigri შავი მოცხარი, ხუნწი – Ribes nigrum ოჯახი ფხიჯასებრნი – Saxifragaceae უკლო ბუჩქია, გავრცელებულია ევროპაში. საქართველოში შემოტანილია, შეიცავს ვიტამინებს, ნახშირწყლებს, ფლავონოიდებს, ორგანულ მჟავებს, მიკროელემენტებს. პოლივიტამინური საშუალებაა, გამოიყენება აგრეთვე ათეროსკლეროზის, ღვიძლის სამკურნალოდ.

**მარწყვის ფოთლი** – Folium Fragariae მარწყვი – Fragaria vesca ოჯახი ვარდისებრნი – Rosaceae. მრავალწლოვანი მცენარეა სწორი ან წამოწეული ღეროთი. გვხვდება მთელ საქართველოში. შეიცავს ვიტამინებს, ნახშირწყლებს, ფლავონოიდებს, ორგანულ მჟავებს, მიკროელემენტებს. ინიშნება **ა** ვიტამინოზის დროს, აგრეთვე, გამოიყენება შარდმდენ, ქვების დამშლელ საშუალებად.

**კაკლის ფოთლი** – Folium Juglandis კაკლის უმწიფარი ნაყოფი – Fructus Juglandis immaturus კაკალი, ნიგვზის ხე – Juglans regia ოჯახი კაკლისებრნი – Juglandaceae. დიდი ხე მცენარეა, ველური ფორმით, გვხვდება კავკასიაში, შუა აზიაში, ირანში. სამშობლოდ ითვლება ავღანეთი. ჩვენთან შემოვიდა საბერძნეთიდან. შეიცავს ვიტამინებს, ნახშირწყლებს, ფლავონოიდებს, ორგანულ მჟავებს, მიკროელემენტებს. მედიცინაში გამოიყენება ეგზემის, ბუასილის, დიათეზის, რაქიტების სამკურნალოდ; ასევე როგორც შემკვრელი და ანთების საწინააღმდეგო.

**ვიტამინი P** – წარმოსდგა ლათინური სიტყვისგან Perme, რაც შეღწევადობას,



გამტარიანობას ნიშნავს. P ვიტამინი აღმოაჩინეს 1936 წელს ციტრუსების ნაყოფში და უწოდეს ციტრინი. განსაკუთრებით ბევრია იგი ღიმონის კანში. მოგვიანებით აღმოაჩინეს: შავ მოცხარში, მწვანე ჩაიში, მარწყვში, ჟოლოში, ცირცელში, წითელ წიწაკაში, ვაშლში, ასკილში, რომელიც ამავე დროს მდიდარია C ვიტამინით. ორივე ვიტამინი აქტიურად მონაწილეობს ჟანგვა-აღდგენით პროცესებში, ახასიათებს ანტიოქსიდანტური თვისებები.

**Irma Tsomaia, Tamar Gigoshvili, Anton Chikovani**  
**Pharmacogenetically Valuable Vitamins: Carotenoids,**  
**Vitamin C, Vitamin K and Vitamin P**

**Summary**

The carotenoids combine more than 75 compounds and by chemical nature they are Tetraterpenes. The raw material containing carotenoids: raw pumpkin, the roots of the carrot; Vitamin K is composed of: shepherd's purse (Capsella bursa-pastoris), common nettle (Urtica dioica) leaves,

viburnum bark and maize stem with Gynoecium; Vitamin C contains *fructus rosae*, blackcurrant, strawberry leaf, walnut leaves, immature walnut; Vitamin P is rich in strawberries, green tea, raspberries, rowan, red pepper, apple, dog rose (*Rosa canina*).

**Ирма Цома, Тамар Гигошвили, Антон Чиковани**  
***Важные витамины фармакогностики: каротиноиды, витамин С,***  
***витамин К и витамин Р***

**Резюме**

Вещества, входящие в каротиноиды: сырой плод тыквы, сырой корень моркови, листья крапивы, ивовая кора и метелки кукурузы (орган генерации - часть женских растений); в состав витамина С входят: плоды шиповника, плоды черной смородины, листья клубники, листья грецкого ореха, зеленые, незрелые плоды грецкого ореха; витамином Р богаты клубника, зеленый чай, малина, красный перец, яблоко, шиповник.



**ლალი გაბუნია**  
(საქართველო)

**ზრახმენტები ანდალუსიური დღიურებიდან**

თბილი, მზით სავსე დღეა. ავიალაინერი ხმელთაშუა ზღვის ცის კაბადონს სერავს. ილუმინატორიდან მოჩანს ანდალუსიის ულამაზესი მთები, ოქროსფერი მინდვრები, ლურჯად მოლივლივე ზღვა და შორს, სადღაც შორს, ატლანტის ოკეანის სანახები.

საჰაერო ბონგი აეროდრომზე ნელა ეშვება, ლამისაა ზღვას შეახოს ფრთები... ჩვენ წინ ჯადოსნური ხედები იშლება – ზეთისხილის ხეები, პალმები, ოლქანდრები, აფრიანი გემები, იახტები... ეს სამხრეთ ესპანეთის საყოველთაოდ ცნობილი რეგიონია, კოსტა დელ სოლის მზიანი სანაპირო.

სასაზღვრო პუნქტთან ესპანელ მესაზღვრეს ვესალმები და პასპორტს ვუწვდი. "Georgian? from Georgia?" – მიღიმის და ცოტათი უკვირს, რომ ესპანეთი ჩემი მოგზაურობის პირველი ევროპული ქვეყანაა. ხანმოკლე დიალოგის შემდეგ საქართველოს ამბებს მეკითხება, იმედს გამოთქვამს, რომ ჯორჯიას მალე ესტუმრება, მე კი ბედნიერ ესპანურ არდადეგებსა და ხალისიან დღეებს მისურვებს.

მალაგის აეროპორტში მეგობარი მხვდება და ჩემი დიდი ხნის ნაფიქრალი მოგზაურობაც იწყება.

**მალაგა – ხმელთაშუა ზღვის პრინცესა**

ჩვენ მალაგაში ვართ. აქაურობა ძველ თბილისს ჰგავს თავისი ვიწრო ქუჩებით, ულამაზესი არქიტექტურით. 3500 წლის წინათ ფინიკიელების მიერ დაარსებული ეს ქალაქი უამრავი ღირსშესანიშნაობითა და კულტურული ძეგლებითაა განთქმული. ქალაქის ცენტრში შემორჩენილია პირველი საუკუნის რომაული თეატრის ნანგრევები, აქვე, სულ ახლოს კი, მავრიტანელთა მეფის, ალკაბასის სასახლე-ლაბირინთია – გარშემორტყმული უზარმაზარი გალავნით. თავისი მონუმენტურობით, ასევე, შთამბეჭდავია მალაგის ეპარქიის კათედრალური ტაძარი, რომელიც რენესანსის ეპოქის შესანიშნავი ქრისტიანული ძეგლია. შეუძლებელია ეს ყველაფერი თუნდაც ერთხელ ნახო და სულში წარუშლელი კვალი არ დარჩეს.

ძველმა მოგზაურებმა მალაგას ხმელთაშუა ზღვის პრინცესა შეარქვეს. მართლაც, აქაურობა ზღაპრულ პრინცესას ჰგავს თავისი ბოტანიკური ბაღით, სკვერებითა და ლამაზი პარკებით. მდიდრული ვილები, ყვავილებში ჩაფლული ქუჩები, სანაპიროზე პალმებისა და ოლქანდრების ხეივნები ნამდვილ მიწიერ სამოთხეს მოგაგონებთ.

აქ დაიბადა ჰოლივუდის ცნობილი მსახიობი ანტონიო ბანდერასი. მალაგელებს უყვართ თავიანთი თანამემამულე და მისით ამაყობენ კიდევ. მალაგის ისტორიულ ცენტრში მდებარეობს სერვანტესის უძველესი თეატრი, რომელიც 1200 მაყურებელს იტევს. გარკვეული მიზეზების გამო ჩვენ ვერ მოვახერხეთ მალაგის თეატრის რომელიმე სპექტაკლი გვენახა, მაგრამ მჯერა, ეს სიამოვნება წინ გველის...

## **პიკასო აუცილებლად ორიგინალში უნდა ნახოთ**

მაღაგა ცნობილი ესპანელი მხატვრის პაბლო პიკასოს მშობლიური ქალაქია. სხვათა შორის, მაღაგის აეროპორტიც ამ დიდი მხატვრის სახელს ატარებს და როგორ შეიძლება აქედან ისე წახვიდე, რომ პიკასოს მუზეუმს არ ესტუმრო.

მუზეუმის წინ უამრავი ტურისტი ირევა და ჩვენც ამ კუბისტი ხელოვანის სამყაროში შევდივართ. კოლექციაში 250-მდე ექსპონატია – დაწყებული ადრეული ნამუშევრებით, დამთავრებული ბოლოდროინდელი სიურრეალისტური ნახატებით. მართალია, პიკასოს ნამუშევრები გაფანტულია მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმებში, მაგრამ მაღაგაში დაცული ნახატები ნამდვილად იძლევა იმის საშუალებას, რომ ოდნავ მაინც ჩაწვდე და შეიგრძნო დიდი ხელოვანის შემოქმედება. ასე რომ, თუ მაღაგაში მოხვდებით, აუცილებლად უნდა ესტუმროთ პიკასოს მუზეუმს.

## **მარბელა: ფორთოხლების მოედანი ქალაქის ცენტრში**

ჩვენი მანქანა ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს მიუყვება – ერთმანეთს ენაცვლება ზეთისხილის პლანტაციები, პალმების ხეივნები, ავოკადოს, მანგოს ხეები, ეგზოტიკურ ყვავილებში ჩაფლული საოცარი არქიტექტურული ნაგებობები, თეთრი ვილები, გოლფის სათამაშო მწვანე კორტები, სავაჭრო ცენტრები, კაფე-ბარები. სივრცეში კი ჩანს ანდალუზიის მთები – იბერიის ნახევარკუნძულის მშვენიერება და სილამაზე.

მარბელაში შევდივართ. ეს არის კიდევ ერთი პოპულარული ქალაქი და, როგორც ამბობენ, სამხრეთ ესპანეთის სანაპირო ზოლის მარგალიტი. აქაური მცხოვრებლების უდიდესი ნაწილი მდიდარი უცხოელები არიან, ძირითადად – დიდი ბრიტანეთიდან, გერმანიიდან, სკანდინავიის ქვეყნებიდან. ადრე მარბელას არისტოკრატების კურორტსაც უწოდებდნენ.

თვალს ახარებს ფაქიზად მოვლილი ყვავილნარები, ქალაქის ცენტრში გაშენებული ფორთოხლების ხეების კოლორიტული მოედანი პატარა რესტორნებით.

აქ ძალიან ბევრი სახლის ფასადი ღვთისმშობლის, მაცხოვრის და წმინდანების ხატებითაა დამშვენებული. ესპანელებს უყვართ და დიდ პატივს სცემენ თავიანთ სარწმუნოებას. კოსტა დელ სოლის ქალაქებში უამრავი კათოლიკური ტაძარია. აქვე ვნახეთ რუსული მართლმადიდებელი ეკლესიაც.

მარბელადან სულ რაღაც 20 კილომეტრშია ქალაქი სან პედრო (წმინდა პეტრეს ქალაქი). აქ უპირველესად თვალში მოგხვდებათ გოლფის სათამაშო მოედნები და კიდევ – ქვიშიანი, სუფთა პლაჟები, ცაში აზიდული პალმები... სადამოს ეს პატარა ქალაქი საოცრად ბრწყინავს. აქაც თითქმის ყოველ ფეხის ნაბიჯზეა კაფე-რესტორნები.

მთელი დღის შთაბეჭდილებებით სავსენი მწვანეში ჩაფლულ რესტორანში ვსხდებით. ეს ჩემი მეგობრების საყვარელი ადგილია. რესტორნის მეპატრონე დიმილით გვესალმება, თავაზიანი მოკითხვის შემდეგ მენიუს გვაცნობს და ჩვენც პიკანტურ ესპანურ კერძებს ვაგემოვნებთ.

## **რონდა – ანდალუზიის თეთრი ქალაქი**

ესპანეთში, თითქმის ყველგან, თეთრი ფერი ბატონობს. რონდაც – ეს უძველესი, ისტორიული ძეგლებით სავსე ქალაქი, ქათქათებს და საოცარი სისუფთავით თავს გვაწონებს.

საუკუნეების მანძილზე, ჯერ კიდევ ჩვენი წელთაღრიცხვიდან მოყოლებული, კახო დე რონდას ხეობაში მოქცეულ ამ პატარა ოაზისს თავს ესხმოდნენ სხვადასხვა ჯურის დამპყრობლები. მათი მთავარი სამიზნე ძვირფასი ლითონების საბადოებით მდიდარი რონდას მთები იყო. ქალაქის სახელიც ამ მთებიდან – კახო დე

რონდადან – მოდის. ასე მონათლეს ძველმა კელტებმა. ფინიკელები, რომაელები, ბიზანტიელები, არაბები... აქ ყველამ თავისი კვალი დატოვა. რონდაში არქაულობა და თანამედროვეობა ჰარმონიულად ერწყმის ერთმანეთს.

ესპანელებს მიაჩნიათ, რომ ვისაც გაუმართლებს და მოხვდება კოსტა დელ სოლის სანაპიროზე, აუცილებლად უნდა მოინახულოს რონდა. ჩვენც სწორედ იმ ბედნიერთა რიცხვში ვართ. წარსული უმაღლეს ცოცხლდება ძველი რომაული ნანგრევების, არაბული აბანოების, მანდრაგორის სასახლის, ქალაქის კარიბჭის, ხეობა ელ ტახოს ულამაზესი პეიზაჟების ნახვისას.

კორიდის დამაარსებელი ფრანცისკო რომერო რონდაში დაიბადა. ასე რომ, რონდა კორიდის სამშობლოცაა. თუმცა დღეს კორიდის ტრადიცია თანდათანობით წარსულს ბარდება.

### **გიბრალტარი და აფრიკის ნისლისფერი უდაბნო**

დღეები სწრაფად გარბის... დილის 7 საათია. ჩვენი მანქანა ლოს რეალის მთებში ჩაკარგული სერპანტინებით მაღლა მიიწევს. ქურციკებისა და ნიამორების არგვები გზას გვიჭრიან და თვალის დახამხამებაში სადღაც ქრებიან. მენანება, რომ ვერ ვასწრებ ფოტობიექტივით ამ კადრების სრულად დაფიქსირებას... ეს სიერა ბერმეხას ნაციონალური პარკია – მთელ სამხრეთ ესპანეთში გამორჩეული ადგილი ველური ბუნების მრავალფეროვნებით.

ლოს რეალის მწვერვალზე ვართ. ეს ადგილი ზღვის დონიდან 1450 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს. ჩვენ წინ საუცხოო სანახაობა იშლება. სამხრეთით ნათლად ჩანს აფრიკის დანისღული, ქვიშიანი უდაბნო, დასავლეთით კი გიბრალტარი თითქოს ხელისგულზე დევს, ადგილი, სადაც ხმელთაშუა ზღვა და ატლანტის ოკეანე ერთმანეთს კვეთს. იქამდე არც ისე შორია, სულ რაღაც, 60 კილომეტრი. ანდალუზიური ფიჭვები, როზმარინები ირგვლივ საოცარ სურნელს აფრქვევენ. ქვემოთ ესტეპონა გველოდება – ყვავილების პატარა ქალაქი... აქ, ყველგან, სადაც კი თვალი მისწვდება, ყვავილებია – აივნებზე, ტროტუარებზე, კიბეებზე, პარკებში, შადრევნებთან... ყველა გიღიმის, გესალმება... ასე გგონია, თითქოს ყველა ერთმანეთის ახლობელი და მეგობარია.

ესტეპონაში წელიწადის 325 დღე მზიანია და არა მარტო ესტეპონაში, ესპანეთის მთელ ამ მხარეში. სწორედ ამიტომ ჰქვია კოსტა დელ სოლ, რაც ქართულად მზიან სანაპიროს ნიშნავს.

...

ასე დამთავრდა ეს პატარა ესპანური არდადეგები, რომელიც ჩემი კეთილი შვედი მასპინძლების ანნა მარია და კაი ჰაგბერგების დიდი დამსახურებაა. სწორედ მათ მანუქეს დაუვიწყარი ესპანური დღეები.

ირინა კრუაშვილი.....	3
<i>სუბსტანტიური პრეფიქსული დერივატები გერმანულ ენაში</i>	
<b>Irina Kruashvili</b>	
<i>Noun Prefix Derivatives in the German Language</i>	
<b>Ирина Круашвили</b>	
<i>Субстантивные префиксальные дериваты в немецком языке</i>	
ლილია ტრინკა.....	11
<i>არქაიზმების როლი გამოთქმების ფრაზეოლოგიზმებად გარდაქმნაში</i>	
<b>Lilia Trinca</b>	
<i>The Role of Archaisms in Turning Expressions Into Phraseological Units</i>	
<b>Лилия Тринка</b>	
<i>Роль архаизмов в формировании фразеологизмов</i>	
ნინო მაშია .....	15
<i>სამიწათმოქმედო რიტუალების აღმნიშვნელი ლექსიკა მეგრულ-ლაზურში</i>	
<b>Nino Mashia</b>	
<i>The Vocabulary of Crescent Rituals in Megrelian-Lazuri</i>	
<b>Нино Машиа</b>	
<i>Лексика, обозначающая ритуалы земледелия в менгрело-лазском языке</i>	
ჯანეტა ვარძელაშვილი, ნატალია პევნაია .....	22
<i>რუსულ ლინგვოკულტურაში ემოციურ-ზნეობრივი კონსტრუქტების</i>	
<i>„სიყვარული“ vs. „ერთგულება“ ონტოლოგიის ინტეგრირებული ანალიზი</i>	
<b>Janetta Vardzelashvili, Natalia Pevnaya</b>	
<i>Integral Analysis of the Ontology of Emotional and Moral Constructs 'Love' vs.</i>	
<i>'Affection/Attachment' in Russian Linguistic Culture</i>	
<b>Жанета Вардзелашвили, Наталья Певная</b>	
<i>Интегративный анализ онтологии эмоционально-нравственных конструкторов</i>	
<i>‘Любовь’ vs. ‘Привязанность’ в русской лингвокультуре</i>	
ემა კილანავა .....	28
<i>სტრუქტურა be + მიმდებარე II თანამედროვე ინგლისურში</i>	
<b>Emma Kilanova</b>	
<i>Structure be + participle II in contemporary English</i>	
<b>Эмма Киланова</b>	
<i>Структура be + причастие II в современном английском языке</i>	
მანანა გამბაშიძე.....	35
<i>მეტყველების აქტი როგორც სოციალური კომუნიკაციის საფუძველი</i>	
<b>Manana Gambaschidze</b>	
<i>The Act of Speech as the Base of Social Communication</i>	
<b>Манана Гамбашидзе</b>	
<i>Речевой акт как основа социальной коммуникации</i>	

სვეტლანა ფენდერავა.....	41
<i>რუსული, ქართული და ინგლისური მენტალობის გამომხატველი ფრაზეოლოგიური კონცეპტები</i>	
<b>Svetlana Penderava</b>	
<i>Phraseological Concepts Reflecting Modern Russian, Georgian and English Mentality</i>	
<b>Светлана Пендерава</b>	
<i>Фразеологические концепты, отражающие современную русскую, грузинскую, и английскую ментальность</i>	
მაია გელაშვილი.....	47
<i>ქართულ-ოსური ენობრივი ურთიერთობები (ქართველიზმები ოსურში)</i>	
<b>Maia Gelashvili</b>	
<i>Georgian-Ossetian Language Relations (Georgianism in the Ossetian Language)</i>	
<b>Майя Гелашвили</b>	
<i>Грузино-осетинские языковые отношения (Грузинизмы в осетинском)</i>	
იავლინა გუჯეჯიანი.....	51
<i>მასდარის წარმოების ზოგიერთი საკითხი სვანურში</i>	
<b>Iavlina Gujejani</b>	
<i>Some Questions of Deriving (Forming) of Infinitive (Masdari) in the Svanuri Language</i>	
<b>Явлина Гуджеджиани</b>	
<i>Некоторые формы образования начальной формы глагола (масдар - по грузински)</i>	
სვეტლანა ფენდერავა.....	56
<i>რუსული, ქართული და ინგლისური ენების ფრაზეოლოგია კონცეპტ „ღლთობა/ღლთის“ მიხედვით</i>	
<b>Svetlana Penderava</b>	
<i>Russian, Georgian and English Phraseologies on the Concept of "D`runkeness"</i>	
<b>Светлана Пендерава</b>	
<i>Фразеология русского, грузинского и английского языков на материале концепта «пьянство/пьяница»</i>	
მაია გელაშვილი.....	67
<i>ქართულ-ოსური ენობრივი ურთიერთობები (ქართველიზმები ოსურში) საკითხის ისტორია</i>	
<b>Maia Gelashvili</b>	
<i>Georgian-Ossetian Language Relations (Georgianism in the Ossetian Language) Background</i>	
<b>Майя Гелашвили</b>	
<i>Грузино-осетинские языковые отношения (Грузинизмы в осетинском) История вопроса</i>	
თამარ კიგურაძე.....	76
<i>ფანტასტიკა და მხატვრული ზღაპარი. ქანრული კატეგორიზაციის საკითხი</i>	
<b>Tamar Kiguradze</b>	
<i>Fantasy and Literary Fairy Tale. On the Categorization of Genre</i>	
<b>Тамара Кигурадзе</b>	
<i>Фантастическая повесть и художественная сказка. Вопрос жанровой категоризации</i>	

ეკა ფხალაძე..... 81  
*ჯემალ ქარჩხაძის ნარატივის სუბიექტივისტური დისკურსი*  
Eka Pkhaladze  
*Subjective Discourse of Jemal Karchkhadze's Narrative*  
Эка Пхаладзе  
*Субъективный дискус повествования Джемала Карчхадзе*

მარინა დევაძე..... 85  
*გენდერული ფაქტორის გავლენა კომუნიკაციაზე და მისი შესწავლა მნატერული თარგმნის ასპექტში*  
Marina Devadze  
*Gender Factor Impact on Communication and Its Studying the Aspect of the Literary Translation*  
Марина Девадзе  
*Влияние гендерного фактора на общение и его изучение в аспекте художественного перевода*

**პოლიტოლოგია – POLITOLOGIA – ПОЛИТОЛОГИЯ**

---

ბორის კვარაცხელია..... 88  
*ქართველ და აზერბაიჯანელ ხალხთა კულტურული კავშირის ისტორიიდან XX საუკუნის 20-30-იან წლებში*  
Boris Kvaratskhelia  
*From the History of Georgian and Azerbaijani People's Cultural Relations in the 20s-30s of the XX century*  
Борис Кварацхелия  
*Из истории культурных связей грузинского и азербайджанского народов в 20-30-е годы XX столетия*

**სამერთაშორისო ურთიერთობები – INTERNATIONAL RELATIONS – МЕЖДУНАРОДНЫЕ ОТНОШЕНИЯ**

---

ირინა მატიაში ..... 95  
*საქართველოს წარმომადგენლობა უკრაინაში 1918-1921 წლებში: დამოუკიდებელ სახელმწიფოსა და საბჭოთა რესპუბლიკას შორის*  
Irina Matyash  
*Georgian Representatives in Ukraine 1918-1921: Between Independent State and Soviet Republic*  
Ирина Матяш  
*Грузинские представительства в Украине в 1918-1921 гг.: между Независимым государством и Советской республикой*

ინა ხომენსკაია ..... 105  
*საქართველოს კულტურული დიპლომატიის ინსტრუმენტები უკრაინაში*  
Inna Khomenska  
*Tools of Cultural Diplomacy of Georgia in Ukraine*  
Инна Хоменская  
*Инструменты культурной дипломатии Грузии в Украине*

იური მაკუხა..... 111  
*სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების მოდერნიზაციის პროცესი და აზიური ინტეგრაციის პარადიგმა*

**Yurii Makukha**

*Modernization of South-East Asian Countries and Paradigm of Asean Intergration Processes*

**Юрий Макуха**

*Процессы модернизации юго-восточных стран Азии и парадигма азиатской интеграции*

**Резюме**

სურა გუსეინოვა..... 121  
*საერთაშორისო საინფორმაციო უსაფრთხოების გამოწვევები: საგარეო პოლიტიკის განზომილება*

**Sura Guseinova**

*International Informational Security Challenges: Foreign Policy Dimension*

**Сура Гусейнова**

*Вызовы международной информационной безопасности: внешнеполитическое измерение*

**სამართალმცოდნეობა – JURISPRUDENCE – ПРАВОВЕДЕНИЕ**

---

ია ხარაზი..... 129  
*საზიარო უფლებების სამართლებრივი რეგულირების ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტის შესახებ*

**Ia Kharazi**

*Some Legal Aspects of the Regulation of Rights in Common*

**Иа Харази**

*Некоторый правовой аспект правового регулирования совместных прав*

მამუკა ეგუტიძე..... 146  
*არასრულწლოვანთა ყიდვა-გაყიდვა /ტრეფიკინგი/ და სასაზღვრო კონტროლის გაძლიერებით მისი პრევენცია /საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით*

**Mamuka Egutidze**

*Buying and Selling Juveniles (Trafficking) and its Prevention by Strengthening the Custody Control (according to Georgian Legislation)*

**Мамука Эгутидзе**

*Купля - продажа /трефикинг/ несовершеннолетних и усиление превенции пограничного контроля*

ნესტან ლომაია.....	152
<i>გენდერული თანასწორობა: ინდივიდი და საზოგადოება</i>	
Nestan Lomaia	
<i>Gender Equality: Individual and Society</i>	
Нестан Ломая	
<i>Гендерное равенство: Индивид и общество</i>	
ეკატერინა სვირიდენკო, ელენა იაცენკო.....	159
<i>მშვიდობის სწავლება: დასავლური მეტაფიზიკიდან პოსტკოლონიალურ აზროვნებამდე</i>	
Kateryna Svyrydenko, Olena Yatsenko	
<i>Peace-Education: from Western metaphysics to postcolonial thinking</i>	
Екатерина Свириденко, Елена Яценко	
<i>Обучение миру: от западной метафизики к постколониальному мышлению</i>	
ჯანეტა ვარძელაშვილი, სალომე სამხარაული.....	165
<i>ვირტუალური ქსელური კომუნიკაციის სოციო-ფსიქოლოგიური თავისებურებანი</i>	
Janeta Vardzelashvili, Salome Samkharauli	
<i>Socio-psychological Characteristics of Virtual Network Communication</i>	
Жанета Вардзелашвили, Саломе Самхараули	
<i>Социо-психологические характеристики виртуальной сетевой коммуникации</i>	
მერი ჭანტურია.....	169
<i>ქორწინებისა და ოჯახის სოციოლოგიური პრობლემის ემპირიული კვლევის შედეგების ზოგიერთი ასპექტი</i>	
Meri Chanturia	
<i>About the Results of Empiric Research of Marriage and Family Sociology Problems</i>	
Мери Чантурия	
<i>О результатах эмпирического исследования социологических проблем брака и семьи</i>	

პედაგოგობა და ფსიქოლოგია – PEDAGOGY AND PSYCHOLOGY –  
ПЕДАГОГИКА И ПСИХОЛОГИЯ

---

იან კე.....	173
<i>უცხოური ენების სწავლება და საერთაშორისო კომუნიკაციის ორმხრივობა</i>	
Yang Ke	
<i>Foreign Language Teaching and Directionality of International Communication</i>	
Ян Кэ	
<i>Преподавание иностранного языка и двунаправленность международной коммуникации</i>	



მაჟენა სობჩაკი..... 181  
*ზრუნვა ცხოვრების ჯანსაღ წესსა და ფიზიკური აქტიურობის განვითარებაზე  
 სოციალურ ჯგუფებში – სოციალური პოლიტიკის კომპონენტი*  
**Mazhena Sobchak**  
*Caring to Maintain Healthy Lifestyle and Development of Physical Activities  
 in Social Groups – Component of Social Politics*  
**Мажена Собчак**  
*Забота о здоровом образе жизни и развитии физической активности в социальных  
 группах – компонент социальной политики*

ბროლისა წულაია..... 190  
*ბუნებისმეტყველების სწავლების ახალი ტექნოლოგიები  
 (თანამშრომლობითი სწავლება)*  
**Brolisa Tsulaia**  
*New technologies for teaching Science (Cooperative Teaching)*  
**Бролиса Цулая**  
*Новейшие технологии изучения естествознания (сотрудническое изучение)*

კახი კოპალიანი, გვანცა ბერაძე..... 196  
*პროფესიული სტრესის პიროვნული და სოციალური დეტერმინანტები  
 საჯარო და კერძო სკოლის პედაგოგებთან*  
**Kakhi Kopaliani, Gvantsa Beradze**  
*Social Determinants and Persons Personal Stress in the Public and Private Schools*  
**Кахи Копалиани, Гванца Берадзе**  
*Личные и социальные детерминанты профессионального стресса у педагогов  
 общеобразовательных и частных школ*

**მათემატიკა – MATHEMATICS – МАТЕМАТИКА**

მზია ტალახაძე..... 204  
*ქიმიური სინთეზის ამოცანების მოდელირება დიფერენციალური  
 განტოლებებით*  
**Mzia Talakhadze**  
*Modeling of Chemical Synthesis Tasks with Differential Equations*  
**Мзия Талахадзе**  
*Моделирование задач химического синтеза в дифференциальных уравнениях*

ირმა ცომაია, თამარ გიგოშვილი, ანტონ ჩიკოვანი..... 212  
*ფარმაკოგენოსტურად მნიშვნელოვანი ვიტამინები: კაროტინოიდები,  
ვიტამინი C, ვიტამინი K და ვიტამინი P*  
Irma Tsomaia, Tamar Gigoshvili, Anton Chikovani  
*Pharmacogenetically Valuable Vitamins: Carotenoids,  
Vitamin C, Vitamin K and Vitamin P*  
Ирма Цомаия, Тамар Гигошвили, Антон Чиковани  
*Важные витамины фармакогностики: каротиноиды, витамин C,  
витамин K и витамин P*

**ჩანახატი – LITERARY SKETCH – ЭСКИЗ**

---

ლალი გაბუნია..... 216  
*ფრაგმენტები ანდალუსიური დღიურებიდან*  
Lali Gabunia  
*Fragments from the Andalusian diaries*  
Лали Габуния  
*Фрагменты из Андалузского дневника*

ჟურნალის ელექტრონული ვერსია:

<http://www.nplg.gov.ge>

E-mail: indiradzagania5@gmail.com

Tel.: (+ 995 32) 2 54 14 49

Mob.: (+995 93) 93 20 91

ჟურნალში გამოქვეყნებულ მასალაზე  
პასუხისმგებელია ავტორი.

**Ответственность за содержание публикации  
в журнале несет автор.**

**Authors are solely responsible for the content  
of published materials.**



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ა. ჯორჯიაშვილის ქ. №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30

E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com



9771512436007